სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მეხაბ ბეჩიძე

ერთი სოფლის ტოპონიმია

2

ნასოფლარი ეჩოტა

ახალციხე
2013

გრძელდება „ერთი სოფლის ტოპონიმიის“ სერია. მასში, გარდა ნასოფლარ ერკოტის გეოგრაფიული სახელებისა, შევიდა ის სტატიები, რომლებიც ამ ნასოფლართან და მესხეთთან არის დაკავშირებული.

აქვეა წარმოდგენილი რამდენიმე გამოხმაურება.

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“

© მერაბ ბერიძე
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2013

ISBN 978-9941-9334-0-0

აბრამასთავი, — ნასოფლარი, ბორცვი. ***ჭურას ტბის*** დასავლეთით, 700-800 მეტრში არის ნასოფლარი ***აბრამას თავი.*** ეტყობა ნაქანები ადგილი. აბრამასთავი მდებარეობს ნასოფლარ ***ჭურას*** გასწვრივ, ჩრდილოეთით. აბრამა ადამიანის სახელია, ხოლო თავი ჰქვია იმიტომ, რომ ამაღლებული ადგილია ***ჭურასთან*** და ***ჭურას ტბასთან*** შედარებით. აბრამა, ეტყობა პატრონი იყო ამ ადგილისა. აქვეა ***ჭურას თავი*** (იხ.), რომელიც ტბის ასასვლელთან, მის დასავლეთით, აბრამასთავივით გამორჩეულია. თავისი ამაღლებულობით. მესამე „თავი“ არის ნასოფლარ ***ბერიას*** მხარეს და მას ***კურდღლისთავი*** ჰქვია, აშკარაა, რომ აქ კურდღელი იცოდა ბევრი. ამ „თავებს“ შორის 150-200 მეტრია დაშორება.

აბრამას ჩოქაქი, — ტაფობი. ნასოფლარ ჭურაში არის ***აბრამასთავი,*** ხოლო აბრამასთავის ძირს, ერკოტის მხარეს არის პატარა მოვაკებული ადგილი, ტაფობი, რომელსაც ***ჩოქაქს*** ეძახიან. იმის ქვემოთ ***ერკოტის ტყეა.*** ჩოქაქი სამცხესა და ჯავახეთში არის „პატარა ჩაღრმავებული ადგილი (ბერიძე, 1981: 156)“. აბრამას ჩოქაქი ზუსტად ასახავს ამ განმარტებას. რადგან ***აბრამასთავი*** ამაღლებული ადგილია, „თავია“, გორისა, მთისა და არა აბრამასი, მას ახლს „ძირი“, მაგრამ ძირი ამ შემთხვევაში არის პატარა და თანაც ჩოქაქი, სადაც ზაფხულის მუშა ხარისა და მეხრეების ღამის გასათევი ადგილი იყო. ჩავარდნილობის გამო დაცული იყო, ხარი არსად წავიდოდა.

აგარა — იხ. აგარული ნაჩეხი.

აგარული ნაჩეხი, — მინდორი. ტყეს უფრთხილდებოდა გლეხი კაცი, სოფლელები ტყეს, როდესაც გაჩეხდნენ და ყანას გააკეთებდნენ, ახო ჰქვია, მაგრამ ტყე იჩეხებოდა სხვა დანიშნულებითაც: საწვავად, სამშენებლოდ.

გაჩეხვის გარდა რგაედნენ კიდეც ტყეს. ფიჭვნარის დარგვა სატყეოების დროს მოხდა. ფიჭვნარი ტყე დაირგო ჯავახეთში და ბევრ სხვა კუთხეში. კომუნისტებამდე სოფელი ძირითადად რგაედა მუხას და პანტას. ორივეს იყენებდნენ შემდეგ. პანტას სამკურნალოდ და ჩირად, ხოლო რკოს ღორისა და საქონლის საჭმელად, ამიტომ ეს ხეები განსაკუთრებით ფასობდა, თანაც უფრო ძნელად ხარობდა და ყურადღება სჭირდებოდა.

აგარლები ერკოტის ტყით ყოველთვის სარგებლობდნენ. მათ აკავშირებდათ, მართალია, შორი, მაგრამ კარგი საურმე გზა, რომელიც გადმოდიოდა *ლებისის* და *ბუზმარეთის* მხრიდან *გრძელი ჭალით. აგარა ნიალის ველზე. ვარძიის თავზე* მდებარე სოფელი იყო, რომელიც დღეს ნასოფლარია.

ტოპონიმიაში არ ასახულა ეს ინტენსიური ურთიერთობა აგარლებისა *ერკოტის ტყესთან*. ერკოტელთა სხვენაში არის გადმოცემა, რომ აგარლები გადმოვიდნენ დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოს და ერთი ადგილი გაჩეხეს პირწმინდად. ეს არის ადგილი, რომელიც მდებარეობს ერკოტიდან მიმავალი გზის ხელმარცხნივ, ვიღრე ჭურაში ავალთ. ფართობი პატარაა, დაახლოებით ერთი ჰექტარი, მაგრამ ტყე რადგან გაიჩეხა პირწმინდად და არა შერჩევით, სახელიც იმიტომ დაერქვა.

ავჭალები, — ჭალები. *დადეშისა* და *ერკოტის* საზღვარზე *ბერიებში* არის ავჭალები, სათიბი და სახნავი. ზოგი ინფორმატორის აზრით — „ავს იმიტომ ეძახიან, რომ ძნელი სათიბია, უხეში საკვები იცის“. სხვა აზრით — „საქონელს, ავჭალების თივას რომ ჭამს, მოჰყვება ჭიების კვერცხები, ჰერმითური (ჭიის დაავადება, ჭიური დაავადება) დაავადება იცის. გაზაფხულზე თეორი პატარა ჭია მოჰყვება ნაკელს. ადგილი ჭაობიანია, პეპელაც არის (ფასციოლიზი), რომელიც საქონლის ღვიძლში იბუდებს, თივას გაყოლილი. ამ ჭიის და პეპლის ავადმყოფობის გამო ეძახიან ავჭალებს“. ინფორმატორი, რომელიც ამ აზრს გვაწვდის პროფესიონალი ვეტექიმია. ავჭალები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თივა ძნელად მოსაპოვებელი იყო, იმდენიც არ ჰქონდათ, რომ ჰყოფნოდათ და ასეთი საკვები არ ეჭმიათ საქონლისათვის. ავჭალები ძირითადად დადეშელების სათიბი იყო.

აზია, — ფერდობი, საძოვარი. *ერკოტიდან* ჩრდილოეთით და *ვარნეთის* დასავლეთით *ლეკმიწების* გაყოლებაზე არის კლდეებით შემოსაზღუდული ფართობი, მეწყერული წარმოშობის ტაფობი ადგილია. აქა-იქ შეიმჩნევა მიწისქვეშა სიცარიელეები, ღრმული ადგილები. ინფორმატორის თქმით: „ბავშვობაში ქვას ჩავაგდებდით და შორს ისმოდა დაცემის ხმა (ა. ბერიძე)“. ზაფხულში დიდი სიცხე იცის, ზამთარში მზისგულია და თბილა, ამიტომ ზამთრობით საქონლის საძოვრად იყენებდნენ.

ზამთარ-საფხულ ერკოტელები და ყარნეოელები იყენებდნენ საძოვრებად. როდესაც ყარნეოელი მაჰმადიანები გაასახლეს, ***აზიის*** ტერიტორია ერკოტას მისცეს, მაგრამ შემდეგ გადასცეს ***საყუდაბელს***. აზია უფრო ვარნეთს ემიჯნება, ვიდრე ერკოტას. ამ ორ სოფელს თანაცხოვრების ტრადიცია ჰქონდათ. მათ მხოლოდ აზია არ ჰქონდათ საერთო საძოვრად. ასევე საერთო ჰქონდათ ***ზედა მთა*** (იხ.) ერთმანეთის მომიჯნავედ ჰქონდათ სათიბი ჭალა ***ჭურაში***.

სახელის ეტიმოლოგიას კონტინენტის სახელს უკავშირებენ სიცხის გამო, რაც ეჭვს იწვევს, რადგან აზიის, როგორც კონტინენტის განცდა, საკმაოდ გვიანდელია და მით უმეტეს, მისი ასოცირება სიცხესთან.

ალაჯიენთ წისქვილი — იხ. ერკოტული.

ალიკვიენთ ყანები//ალიკოონთ ყანები, — ***ყანები***. ალიკოონი ბერიძეების ერთი შტო იყო. მათი შთამომავლები ჯერ ურაველში სახლობდნენ, შემდეგ გადავიდნენ ახალციხეში. ისინი ფლობდნენ ყანებს. ამ ყანას ***ჭაროსეულსაც*** ეძახიან. ეტყობა, ვიდრე ალიკოონი დაეუფლებოდნენ ყანას, მას ვინმე ***ჭარო*** ფლობდა. ყანა მდებარეობს ***ბრმაწყაროს*** მიდამოებში ***დიდი ლოდის*** გვერდით.

ალიკოონთ უბანი — იხ. ერკოტა.

ამაღლება — იხ. ‘სიარეთი.

ამაღლების მთა — იხ. ‘სიარეთი.

ასკარიენთ ფოტორა — იხ. ასკარიენთ ყოტორო.

ასკარიენთ ფოტორო, — ***ყანა***. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ***დადეშის მხარეს, ქეთქეთას გორის*** სამხრეთით არის სახნავ-სათესი. ასკარას ‘სეღმეტ სახელად ეძახდნენ იქაურ ცალქალამანიძეს, მისი და მისი შთამომავლების ყანა იყო, ფოტორო კი იმიტომ ჰქვია, რომ ღარიბი თეთრი მიწაა. დასტურდება მეორე ვარიანტი ***ასკარიენთ ფოტორა***.

აწყვიტა — იხ. ბერიები.

ახვრები, — ***საქონლის სადგომი***. ***აბრამას ჩოქაქში*** არის გამოქვაბულები, რომელსაც საქონლის სადგომად იყენებდნენ. ამოსავალია ***ახორი***, რომელიც მესხურ დიალექტში ბოსელს ნიშნავს.

ახორტყე, — ***ტყე***. ***საბადურის*** გაყოლებაზე, ***დადეშის მხარეს***, ტყის ერთ ნაწილს ეძახიან ***ახორტყეს***. ***ახორტყის ძირში, ნაფუზარში*** იყო ***კალოები***. აქ რომ კალო იღებოდა

დღესაც ახსოვთ. ინჟორმატორთა ცნობით ახორტყე დაკავშირებული იყო კალიეებთან. „ეს ტყე ისეთი იყო, რომ კალოს მოლეწვის დროს სალამოს მეხრე ხარს არეკავდა ახორტყეში, ახლო იყო და დილით ისევ მორეკავდა კალოზე. ახორტყეში ღამეს ათევდა ნამუშევარი საქონელი. იქ ეყარა სხვა საქონელიც, თითქოს ბოსელში იყო, როგორც ერკოტელები ბოსელს უწოდებდნენ, ახორში. ახორტყეში აღრე იყო პანტის, მუხის, არყის, რცხილის, თხილის, ნეკერჩხლის, ყურძვის ხეები, ხარობდა ასკილიც. თავდაპირველად მხოლოდ ყოთლოვანი ტყე იყო, რომელიც გამეჩხერდა, გაიჩეხა, რადგან მას ერკოტელებთან ერთად დადეშელებიც ხმარობდნენ. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სატყეო მეურნეობამ გააშენა წიწვოვანი ტყე. შეიძლება თავიდან იყო ***ახლო ტყე*** (ალექსი ბერიძე)". სოფლის დანარჩენი ნახირი აქ არ შედიოდა, მხოლოდ კალოს ლეწვის დროს იყენებდნენ ამ ტყეს. ახორტყეში ბევრი კურდღელი იცოდა.

„ისეთი სქელი ტყე ყოფილა, რომ ვერ გაიცლიდი შიგ. ახორტყიდან მოიპარეს 150 სული ხარი და თურქეთში გადარეკეს. წიწვიანი ტყე ძირითადად ვარნეოელებმა გააშენეს. პირველი ტყე მტრებმა გადაწვა. ხარი აქ ეყრებოდა, ვიდრე ტყე გაშენდებოდა(ელგუჯა ბერიძე)".

სახელის სემანტიკა დაკავშირებული შეიძლება იყოს, როგორც ახორთან, ისე ახოსთან.

აშკარაა, რომ ეს ადგილი გამოიყენებოდა ახორად (**ახვრად**) (ბოსელი) და ასევე შესაძლებელია, გაჩეხილი ტყეც იყო თავის დროზე, რომელიც გამოიყენეს საქანელად. ტყე აქ გვიან გაშენებული ჩანს. ძველი კი „გადაწვეს", იქნებ სწორედაც საქანელ გაიჩეხა. ამ ორი მსგავსი ჟორმისა და სხვადასხვა შინაარსის სიტყვა გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

ახორტყის თავი — იხ. განიგ'სა, გ'საგაიარა.

ახორტყის ძირი — იხ. ახორტყე.

ბადალაშვილის წისქვილი — იხ. ერკოტულა.

ბასტიაკლდე — იხ. ბასტიას კლდე.

ბასტიას კლდე//ბასტიაკლდე, — კლდე. მდებარეობს *ლეკმიწის* გაყოლებაზე ჩრდილოეთით. ეს არის ფაქტიურად დანალექი მასალა, კლდოვანი არ არის. ერთი ნაწილი მეწყერით მთლიანად ჩამოქცეულია და ღელედ არის ქცეული, 10-12 მეტრი სიმაღლე ექნება და ამიტომ კლდეს ეძახიან.

ჩამაყალ ღელეს ***ბასტიაღელე*** ჰქვია. ღელეს მეორე მხარეს ***ბასტიაკლდეს*** ემიჯნება ***აზია***. ***ბასტიას ღელის თავზე***, ზემოთა ნაწილი მოვაკებული ადგილია, სადაც იყო ***გიგოლას ყანა***. პატრონის სახელის მიხედვით ხდება ნომინაცია. გიგოლა ბერიძე ფლობდა ამ ყანას.

ბასტია მეტსახელია კაცისა. ალბათ ბერიძე იქნებოდა, რადგან ბერიძეების ყანებია გარშემო.

„ერკოტიდან დასავლეთით მაღალი კლდეა. თუ მოძულებული ძაღლი რამე გეყავდა გადავაგდებდით. ბასტიას კლდეს აქვს თავი, რომელსაც ***ბასტიას კლდის თავი*** ჰქვია. ბასტიას კლდის თავზე არის ***ნაგუთნები*** (ოთარ ინასარიძე, დაბ. 1934წ. გრიშა ბერიძე დაბ. 1927წ.)“.

ბასტიას კლდის თავი – იხ. ბასტიას კლდე, ნაგუთნები.

ბასტიაღელე – იხ. ბასტიას კლდე.

ბასტიას ღელის თავი – იხ. ბასტიას კლდე.

ბაღდვიენთ ყანა, – ყანა. ბაღდვიენი ხატიძეები არიან. ისინი ფლობდნენ ყანას სოფელში. იხ. მანასეული.

ბაღდოონთ უბანი – იხ. ერკოტა.

ბებრის კლდე, კლდე. ზედა მთაზე არის კლდის შვერილი ცხრაკენჭას წყაროს დასავლეთით 200 მეტრზე. გარშემო ეტყობა, რომ სხვა კლდეებიც ყოფილა. მაგრამ დაშლილა, ეს კი დგას.

ბებრის კლდის გარშემო საბოურებია, კლდე გამოყენებულია ფარეხად.

ბერბუკები//ბერბუკი, – ყანა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ალვწერე პირველად ერკოტის ტოპონიმია, ბერბუკების შესახებ მიწერია, რომ არის ყანები. დღეს ნაყანარი ადგილია, რომელსაც კარგად ემჩნევა, რომ ახალი გაკორდებულია. ჭყერდიბზე ზღვარი და ყანა ენაცვლება ერთმანეთს. ერკოტის ჩრდილოეთით არის ჯერ ***ინასათიბი, ლეკმიწა*** და ბოლოს ***ბერბუკი***. ბერბუკში ერთ ადგილს ***კაპანს*** ეძახიან, კლდიანია, გზა გადადის ***ვარნეთის ტყეში***. გზა გაჭრილია ხელოვნურად, როგორც დადეშიდან მიმავალი გზა ***უნაგირაში***, რომელსაც აგრეთვე ***კაპანს*** ეტყვიან. ბერბუკში იჩრდება ერთგვარი მცენარე, რომელსაც დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლის მკვრივი ღერო აქვს. იკეთებს ყვითელი ფერის ყვავილს, რომელიც ჯერ ბრიწეულივით გაიბერება, კარგა ხნის შემმდეგ კი გაიხსნება. ეს ყვავილი ახლო-ახლო არ იზრდება, დაახლოებით 8-10 მეტრში ერთი დგას. მსგავსი ტერიტორიაა

სოფ. საროში და მასაც *ბერბუკს* ეძახიან. იქაც ასეთი ქვავილი ხარობს. ამ მცენარეს საქონელი არ ეკარება, არ ჭამს.

ასპინძელი ინფორმატორის ცნობით *ბერბუკს* ეძახიან ჭაობის მცენარეს, რომელიც მაღალი იზრდება. მაგი, ხაკერდოვანი თაგი აქვს, რომელსაც ხოგჯერ დეკორატიულ ელემენტად იყენებენ. როგორც ჩანს, ბერბუკი ხოგადი სახელია სხვადასხვა მაღალღეროიანი მცენარისა.

ბერიები/ბერია. — ნასოფლარი. ცნობილი ნასოფლარია ერკოტაში. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, *უნაგირას მთის* გადაღმა. *უნაგირას* და ბერიებს შორის ჩადის *გრძელიჭალის* (უ'სუნჩაირის) წყალი. აქვე გადის ბუზმარეთისკენ მიმავალი გზა, რომელსაც *ბუზმარეთის გზა* ჰქვია. ბერიების გარშემო ტყეს ჰქვია *ერკოტის ტყე.* ნასოფლარს ჰქონდა თავისი ტერიტორიები, რომელიც ეკუთვნოდა მას, როდესაც სოფელი ცოცხლობდა. მისი ჩრდილოეთის საზღვარი იყო *სხალნარი, გრძელიჭალის* წყლის გაყოლება. ბერიებსა და სხალნარს შორის არის ჰატარა ნასოფლარი *ხატმანაშენი,* სადაც ორი საცხოვრისის კვალი ემჩნევა. შემორჩენილია დიდი ლოდების კედლები. ეტყობა ადვილად წასაღები ქვა წაიღეს. ერკოტიდან მომავალი გზა ადის *ინასათიბში,* გადაკვეთს მას და გადადის *სხალნარში,* სადაც იყოფა სამ ნაწილად: ერთი მიდის *ბერიაში,* მეორე — *ჭურაში,* მესამე — ზველ-ჭობარეთისკენ *ყანისის* გაყოლით. შესაბამისად ჰქვიათ: *ბერიების გზა, ჭურას გზა* და *ზველის* ან *ჭობარეთის გზა.*

ბერიებს სახნავ-სათესი მიწები ჰქონია ერკოტის მხარეს თავისიუე ტერიტორიაზე, რომელსაც *ლოდის ყანებს* ეძახიან, რადგან დიდი ლოდები ჰყრია. ნასოფლარის ზემოთ, ჭურას მხარეს არის ჭალა, სათიბები. ნასოფლარში გამოდის წყარო, რომელსაც *სათუთას წყარო* ჰქვია.

ტრადიციის მიხედვით ბერიძეები წამოსულები არიან ბერიებიდან და ჩასახლებულან დადეშსა და ერკოტაში. დადეშში ჩასახლებული ბერიძეები ბერიებში ფლობდნენ მიწებს ისევე, როგორც ერკოტელები. ერკოტამ და დადეშმა გაინაწილეს ბერიების მიწები, თუმცა დღეს ეს ორი სოფელიც ნასოფლარია მხოლოდ. ალექსი ბერიძის თქმით, სოფლის სახელი იყო *ბერია,* ხოლო *ბერიები* არის მთელი ტერიტორია, რომელიც სოფლისა იყო. „ჭემს ბავშობაში ჰატარა ნაეკლესიარიც იყო ნასოფლარში. ასპინ-

ძაში რომ მშენებლობები დაიწყო, ვილაცამ გამოხიდა ქვები, ნასოფლარის ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ღელე, რომლის პირზეა პატარა გორა, იქ იყო ისეთი სასაფლაო, როგორიც არის ერკოტაში, ***პატარა გორა*** რომ ჰქვია, ის არის სოფლის ყველაზე ძველი სასაფლაო".

სოფლის დაცლა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა (ომიანობა, მკაცრი ჰავა....), აშკარად ეტყობა, რომ ღელე, რომელსაც ჰქვია ***კვარანთა ხევი//კორანთახევი***, ერთ დროს არ მიდიოდა იმ მიმართულებით, საითაც ღელე მიდის. იწყება გრძელი ჭალიდან, ჩამოდის ***როკეთსა*** და ***აწყვიტას*** შუა, ჩადის ***ქუნცის*** ტერიტორიაზე, სადაც ***ქარნიოტას ღელე*** ჰქვია და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. როცა არსებობდა სოფელი, იყენებდა ამ წყალს. საიჯრა ***კვარანთახევი*** ბუნებრივად, ჩაღრმავდა, დაბლა ჩავარდა ღელე, სოფელს ასცდა წყალი და მას ველარ იყენებდნენ. გრძელი ჭალიდან გაჰყავდათ და ძველ დადგშს რწყავდნენ ამ წყლით.

ბერიებს ჩაედის მეორე ხევი, რომელიც სათავეს იღებს სხალნარიდან, გაივლის ***ბერიებს, თორნეულს,*** თორნეულის ქვემოთ 500-600 მეტრში უერთდება მას ***ყანისის ხევი***, ჩადის ***ორგორა-სახუდაბელს*** შორის და ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალ გზაზე, ***ქორეთის*** შემდეგ, უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

ბერიებში შედიოდა ტერიტორიულად და ამას სახელიც ადასტურებს, ***ბერიმზიგული***. მას ***ბერიების მზისგულსაც*** უწოდებენ. იგი არის ბერიების საპირისპირო მხარეს ***უნაგირას*** დასაელეთით ფერდი, რომელიც გადაჭურებს ***ბერიას***. ეს ფერდი საძოვარია, თუმცა ეტყობა, რომ ერთი პატარა ყანაც ყოფილა ოდესღაც, არის მეხერი ტექც. მზიგული ჰქვია, რადგან მზიანი ადგილია. შუადღის მერე მზე რომ გადაიწევს, სადილობის შემდეგ, მთელი ღღე უყურებს ამ ფერდობს. ***ბერიმზიგულზე (ბერიებიმზიგულზე)*** ნოყიერი ბალახი იცის. ყველას უნდოდა, რომ საქონელი აქ ეძოვებინა.

ბერიმზიგულში იყო კარგი სოკოს ადგილები. ნახეყარმოყარისებურად იზრდებოდა მკვეთრი, ხასხასა მწვანე ფერის ბალახი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ნაწვიმარზე. როგორც კი მზე გამოვიდოდა, აქ ქამა სოკო გაჩნდებოდა. იყო გუდაყმუტაც, მაგრამ ძირითადად საუკეთესო ქამა იზრდებოდა. რამდენიმე წელიწადში ეს ბალა-

ხი დაიკარგებოდა, ე. ი. სოკოც აღარ მოდიოდა, მაგრამ მერე სხვაგან გაჩნდებოდა და ა. შ. ბერიებს ჰქონდა ***ბერიებიბოლო,*** ადგილი, საძოვარი, რომელიც მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო-დასავლეთით ***ბერიების*** ყოფილ ტერიტორიასა და სხალნარს შორის. ***ბერიების ტყე*** ერქვა ტყეს, რომელიც ესაზღვრებოდა ***ერკოტის ტყეს.***

სახელის ფუძე, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება ბერია ფორმა, უნდა იყოს ***ბერა.*** აქედან გამომდინარე ლოგიკურია მესხურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის: ბერა-ები → ბერიები.

ბერა სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის „შუა გასავალი. ბერა ეწოდების, ორთა მჭარესა შეკვრენ და საშუალს კართა გასავალთა უმჯობ მეწველთა ცხოვართათვის, ვინა მსგავსად მისსა რასამესაცის გასატარებლად (ორბელიანი, 1985:105).“

მესხეთში სულხან-საბასეული განმარტებით ბერა დღესაც არსებობს. ***ბერაში*** დაჯდება ერთი კაცი, რომელიც იჭერს ორ ცხვარს, ხოლო ორიც დაჭერილ ცხვრებს წველის. ბერაში ცხვარს ატარებენ მოსაწველად. ბერის ეს მნიშვნელობა გაფართოვდა და ეწოდება არა მხოლოდ „შუა გასავალს“, არამედ იმ შემოღობილ ბაკსაც, სადაც შერეკილია ცხვარი. ცხვრის გარდა, ადგილი, სადაც საქონელი ებმებოდა კოლექტივის დროს და იწველებოდა, ***ბერა*** იყო.

ბერას ეს მნიშვნელობა ცნობილია სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, რასაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ადასტურებს: 1) მოსაწველებში დატოვებული ვიწრო გასავალი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად და საწველად). ბერაში წველა – ბაკში დამწყვდეული ცხვრის თითო-თითოდ გატარება ბერაში და რიგრიგობით მოწველა. 2) ძვ. მრავალთაგანზე აღმართული და გადაჯვარედინებული იარაღი (ხმალი, შუბი...), რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს. ბერაში გატარება – გადატ. ვისიმე დამარცხება, ან დაშინება და შერცხვენა (ქ ე ბ ლ, I, 1950:1033).

ბერიები არ დასტურდება არც „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ და არც ვახუშტისთან. საკვირაოდია, რომ ის იყო დაღეშისა და ერკოტის მთა, სადაც საზაფხულოდ ადიოდნენ და შემდეგ იქცა დასახლებულ

პუნქტად ისევე, როგორც ***გოგაშენი,*** რომელიც თავდაპირველად ***ჭაჭკრის*** „სათესველი“ იყო, ხოლო შემდეგ იქცა სოფლად და ჭაჭკარი კი „ბაღებად“ (იხ. ბერიძე, 2008:261).

„სერაპიონ ხარხმელის ცხოვრებაში“ დასტურდება ადგილის სახელად ***ბერას ჯუარი,*** რომელიც სამცხეში მომავალ გზაზეა: „ხოლო წარმოემართნეს რაჲ მათ თანა ეტყრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ თანა-შემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მთასა, ვითარცა სამეუფოთა პალატსა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, რომელსა ***ბერას ჯუარ*** ეწოდების (ჯანაძე, 1975:156)“.

ერკოტა და ბერიები ერუშეთის მთებში მდებარე ნასოფლარებია. ჯვარ-კომპონენტიანი კომპოზიტური ტოპონიმები ან წარმოქმნილი სახელები ამ რეგიონში ბევრი გვხვდება. ბერას, ბერიასა და ბერიებს შორის ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. მესხეთის ტოპონიმიაში სოფლის სახელი რომ მრავლობით(ში) გექონდეს, ასეთი რამ არ ხდება. არა გვაქვს და არც შეიძლება იყოს ერკოტა და ერკოტები, დაღე(ში) და დაღე(ებ)ი, მაგრამ თუ იქნება ესა თუ ის სოფელი მსახლეველთან ერთად, კერძოდ: დიდი, პატარა, გაღმა, ზემო, ქვემო და ა. შ. შესაძლებელია მათი მრავლობით რიცხვში მოხსენიება. ვთქვათ, ცნობილი ფაქტი, განძა და განძანი, ფოკა და ფოკანი.

ერკოტაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელი შეიძლება შეგვხვდეს მხოლობით(ში)ც და მრავლობით(ში)ც, ოღონდ ეს არ ეხება ორონიმიას. მაგალითად: ***გვირგვინი*** და ***გვირგვინები, ბერბუკი*** და ***ბერბუკები*** და ა. შ. ამ შემთხვევაში რეალურ სიმრავლესთან გვაქვს საქმე. იგულისხმება ადგილი, მისი სახელი მხოლობით რიცხვში და მის გარშემო ტერიტორიები – ყანები, ჭალები და სხვა. ბერია არის სოფლის სახელი, ხოლო ბერიები – მის გარშემო ტერიტორიები, ჭალები, ველ-მინდვრები და სხვა. **ბერიჲ/ბერა** ინარჩუნებდა შინაარსის გაგებას („შუაგასავალი“). რამაც განაპირობა ორონიმის და რეალური მრავლობითის გამოხატვა ერთი ფუძით.

ბერიებიბოლო – იხ. ბერიები.

ბერიებიმზიგული – იხ. ბერიები.

ბერიების გზა – იხ. ბერიები, ერკოტა.

ბერიების ეკლესია. – **ნაეკლესიარი.** ბერიებში **ავჭალის** დაბლა

დარჩენილია საძირკველი ეკლესიისა, რომელიც იყო წმინდა გიორგის სახელობისა. სალოცავად ადიოდნენ დაღეშელები და ერკოტელები.

ბერიების მზისგული — იხ. ბერიები.

ბერიების ტყე — იხ. ბერიები.

ბერიების წყალი — იხ. ორთახევი.

ბერიმზიგული — იხ. ბერიები.

ბერიმზიგულის გოლგოთი — იხ. გოლგოთი.

ბოსტანა, — ნაბოსტნარი. სიყულეთან ახლოსაა ვაკე ადგილია ჩრდილოეთით, ფონას გაღმა, მის გაყოლებაზე. საბოსტნე ადგილი იყო და იყენებდნენ კიდეც. სახელიც იქიდან უნდა მოდიოდეს.

ბრმაწყარო, — წყარო. *ჰასანაჭალის* აღმოსავლეთით, **დიდი ლოდის** სამხრეთით არის წყარო, რომელიც ხაფხულობით შრება.

ბრუდეყანა, — ყანა. ნაფუზრის ჩრდილო-დასავლეთით, ახლოსაა არის ერთი ყანა, რომელსაც დახრილი ხღვარი დასდევდა, "ბრუდე" იყო, ამიტომ ეძახდნენ ასე (ა. ბერიძე).

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ***ბრუდეყანა*** და ***მოდრეკილაც*** ერთი და იმავე ობიექტის სახელად მაქვს ჩაწერილი. ზოგიერთი ინფორმატორის აზრით ბრუდეყანას ***ოსმანასეულსაც*** უწოდებენ. იხ. ოსმანასეული, მოდრეკილა.

ბუზმარეთის გზა — იხ. ბერიები.

ბუზმარეთის მხარე — იხ. ირმისრქა.

გადაკვეთილა, — ქედი, გზა. გადაკეთილა იყო დაღეშიდან მომავალ გზაზე. ეტყობა, რომ ხელოვნურად გაჭრილია გზა. დიდი ხნის ნამუშევარი ჩანს, ადგილიც ისეთია, თითქოს სპეციალურად გადაგიკვეთია.

დაღეშიდან ორი გზა შედიოდა ერკოტაში, ერთი გადმოდიოდა ***გადაკვეთილაზე***, ხოლო მეორე გამოდიოდა ***ძველი დადეშიდან***, გამოიყვლიდა ***მელაჯვარას***, შემდეგ **ქვაბიძირს** და შემოვიდოდა სიყულეში. ქვაბიძირთან იყო ***ქვაბიძირიყანები***, მაღლა იყო რამდენიმე გამოქვაბული, რომელიც კარგად ჩანდა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში. დღეს მხოლოდ ერთიღა მოჩანს.

გადაკვეთილას გლერდნარა — იხ. გლერდნარა.

გადაკვეთილას გლერძნარა — იხ. გლერდნარა.

გადაკვეთილას დასაქანი — იხ. დასაქანი.

გავეთის დიდი ზიარეთი — იხ. ზიარეთი.

გამოლმა ბაღები, — ბაღები. ფონას წყაროდან გამოდის წყალი,

მიეკუთვნება *ერკოტის ლელისაკენ*, ვარნეთის მიმართულებით. ამ წყლის მიხედვით იწოდება *გალმა ბალები* და *გამოლმა ბალები*. ერკოტის მხარეს არის *გამოლმა ბალები*, ხოლო წყლის გალმა არის *გალმა ბალები*.

გამოლმა ბალებში იყო ბერიძეთა ბალები: *ჰუშუტაანთ ბალი, სოსანაანთ ბალი, ყაყოონთ ბალი*. ამ განაყოფებს სხვაგანაც ქქონდათ ბალი, ამიტომ ასე იტყოდნენ, როდესაც გამოლმა ბალში იყვნენ, ხოლო სოფლად სისუსტისთვის ითქმოდა: *ჰუშუტაანთ გამოლმა ბალი, სოსანაანთ გამოლმა ბალი, ყაყოონთ გამოლმა ბალი*.

განიგზა, — გზა. დაღმიდან მომავალი გზა, რომელიც მიდიოდა ერკოტის გავლით *ზეელ-ჭობარეთისა* და ახალციხისაკენ, გაღმოდის *ძველ დადეშს*, გამოიყვლის *ყორნარას//ყორნარიებს*. გაიყვლის *ნაქურთალს* (ყანები), *გზაგაიარას, ინასათიბს, სხალნარს*... ამ გზაზე *ახორტყის თავზე* გაყვლისას ადგილს ჰქვია *განიგზა*, ხოლო ყანებს *განიჰყანები*. იხ. გზაგაიარა.

განიჰყანები — იხ. განიგზა.

გალმა ბალები, — ბალები. ფოჩას წყლის გალმა მდებარე ბალებს ეტყოლნენ ასე. *გალმა ბალების* დიდი ნაწილი *ჰალაჯიენთია*, ასევე ჰქონდათ აქ ბალები ბერიძეების სხვა განაყოფებს: ყაყოონთ, სოსანაანთ, *კორკოტაანთ*, *ჭრათლიენთ*, ამათ ქვემოთ იყო ტივაძეებისა, რომელსაც *ჩაურმა* ერქვა, ჩაურმა ისეთივე ბალები იყო, როგორც დანარჩენი გალმა ბალები. გალმა ბალებში გვართა მიხედვით ბალები მოიხსენიებოდა ასე: *ჰალაჯიენთ ბალები, ყაყოონთ ბალები, სოსანაანთ ბალები, კორკოტაანთ ბალები, ჭრათლიენთ ბალები*. რადგან ამ განაყოფებს ჰქონდათ გამოლმა ბალები. ბალები, მოიხსენიებოდნენ შემდეგნაირადაც: *ჰალაჯიენთ გალმა ბალები, ყაყოონთ გალმა ბალები, სოსანაანთ გალმა ბალები, კორკოტაანთ გალმა ბალები ჭრათლიენთ გალმა ბალები*.

გალმა ყანები — იხ. კოწახურა.

გვალა//გვალაი, — ყანები. ლეკმიწებს დასავლეთიდან აქვს *ინასათიბი* და *ნაგუთნები*, ხოლო ქვეით, ჩრდილოეთით არის *გვალა*. სადაც იყო ყანები. ეს ყანები 5-6 მოსახლისა იყო, ძირითადად, უფრო ტივაძეებს ეკაყათ. ერთი არხილა ბერიძე იყო, მასაც ჰქონდა გვალაში ადგილი. ლეკმიწებში გამოდის წყალი, მაგრამ ცალკე მიდის, გვალას აუქცევს გვერდს, ამიტომ წყაროებს თაეს უკრიდნენ

და იმით რწყავდნენ გვალაში ყანებს. ინფორმატორის, ალექსი ბერიძის თქმით, რომელიც პროფესიით გეოლოგია, – „როგორც *ჩუნჩხა–პტენის* ქვეშ ნიადაგის ერთ სისტემაში ჩამოდის წყალი, ასე *ერკოტაში, როკეთში, დადეშში, ზველშიც*. ეტყობა ვულკანური განფენია. ზოგან ამაღლებული მთა აწვეს სემოდან, ესენი ნაგვიანები ვულკანებია“. ინფორმატორთა მტკიცებით *გვალა* მრგვალთან არ არის დაკავშირებული. სახელი შეერქვა იმიტომ, რომ გვალვიანი ადგილია. ადგილი ისეთია, რომ როცა სიცხე შეაწუხებს, გამოიგვალება ნიადაგი, დასკდება, ნათესს უჭირს, რადგან მოყვითალო ფერის თიხიანი ადგილია.

გვალაჲ, – იხ. გვალა.

გვალიტყე//გვალტყე, – ტყე. „სანამ *ჭურაში* ახვალ *ერკოტიდან,* არის *სხალნარი* და *პანტები,* აქეა *გვალტყე,* ხედაი და ქვედაი, *ზედა გვალტყე* და *ქვედა გვალტყე*“. გვალტყეში მუხა და პანტა ხარობს. „*რგვალი ტყე* არის ერკოტაში, შემოკლებით *გვალტყეს* ამბობენ“.

ტყეს ხშირად მოსახლეობა აშენდა, ძირითადად რგავდნენ მუხას და პანტას. *ზედა რგვალი ტყე* და *ქვედა გვალი ტყე* თითქოს ხელოვნურად გაშენებული ტყეა, მაგრამ ბუნებრივად იყო მოშენებული. შუაში გ'სა გადის, რომელიც ზველ-ჭობარეთის მიმართულებით მიდის. *რგვალტყე* სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. გვალტყის ჩრდილოეთით, ტყესთანავე, ახლოს *არის თორნეული.*

მესხურ დიალექტში ლიტერატურული ფორმა მრგვალ არ იხმარება, გვხვდება მხოლოდ რგვალი, რომელსაც რ-ც სცილდება და ყლებულობთ *გვალს.* გვალტყის გარდა ამაყე ფონეტიკური პროცესების შემდეგ გვაქვს *გვალჭალა.*

გვალტყე, – იხ. გვალიტყე.

გვალჭალები, – *სათიბი.* ბერიების ტერიტორიაზე, მის თავზე, ზევიდან სამხრეთით ტაფობი ადგილია, ფორმა მრგვალი აქვს და გვალჭალები იმიტომ ჰქვია.

გვეზალეი, – *წყარო.* ერკოტელები ასე ეძახიან *ზედა მთაში* წყაროს, რომელიც *ბებრიკლდესა* და *პაკოსებს* შუა გამოდის. იხ. ღამაზი წყარო.

გვირგვინები, – იხ. გვირგვინი.

გვალჭალა – იხ. გვალიტყე.

გვირგვინი//გვირგვინები, – *მთა. გვირგვინი* არის მთა *ცხრაკენ-*

ჭას წყაროს აღმოსავლეთით. გვირგვინზე მაღლა არის ***ირმის რქა***. გვირგვინი უტყეო თავმოშიშვლებული მთაა. გვირგვინის აღმოსავლეთის მხარეს არის ***სანამქრეები***. გვირგვინის ფერდობები არის საძოვრები. მთას აქვს ***გვირგვინის თავი***, რომელსაც ***გვირგვინის წვერსაც*** ეტყვიან, ხოლო, როდესაც მთის ფერდობებისა და ტერიტორიის შესახებ უნდათ მოხსენიება ***გვირგვინებს*** უწოდებენ. გვირგვინის აღმოსავლეთით არის შუბლი, რომელსაც აქვს ორი დიდი სანამქრე, „თითქოს ადამიანის თავია გვირგვინდადებული“. გვირგვინის აღმოსავლეთით არის ***გრძელი ჭალა***, დასავლეთით ***ცხრაკენჭა***, რომელიც გვირგვინის თაქსეა. გვირგვინის ნაწილია ***ბებრის კლდე***. ტერიტორიულად ეკუთვნის ***დადეშს, ქუნცას და ერკოტას***. გვირგვინების შესასვლელში არის ***ზედა მთა, ნაოხრები***, ხელმარჯვნივ ***ვარნეთისაა***, მარცხნივ – ***ერკოტისა***.

გვირგვინის თავი, – იხ. გვირგვინი.

გვირგვინის სანამქრეები, – იხ. სანამქრე.

გვირგვინის წვერი, – იხ. გვირგვინი.

გზაგაიარა, – გზა. ***ერკოტის ზიარეთზე*** არის ძველი გზა, რომელიც იწყება ***უნაგირადან***, უფრო ზუსტად – ***უნაგირას ჭალიდან***, ჩადის დაბლა, დადეშში ჩრდილოეთიდან.

ზიარეთს სამი ფერდი აქვს: ***ტალაგვერდი*** დასცქერის დადეშს, ბერიებისაკენ იხვეჭება ***უნაგირა***, ხოლო ***გზაგაიარა*** არის იმ ფერდზე, რომელიც დაჰყურებს ერკოტას. გზა გაჭრილია და ხელოვნური, ეტყობა, მი'ეხედავად იმისა, რომ გზაგაიარა ძველი გზაა (ახალი საერთოდ არ არსებობს), უფრო ძველი შორს შემოსავლელი იყო სხვა მხრიდან, ხოლო ეს გზა მოკლე გზაა ***ბერიებამდე***. ასევე ამ გზით ამოდიოდნენ დადეშელები და ერკოტელები უნაგირაზე პირველ მთად, მეორე მთად დადეშელები ამოდიოდნენ ***სანამქრეში***, რომელიც ყველაზე მაღალი წერტილი იყო მემთეულებისა. ერკოტელები ადიოდნენ ***ზედამთაზე*** ან ***ცხრაკენჭაზე***, ისინი გვერდიგვერდაა, ერთი ტერიტორიაა. გზაგაიარათი დადეშელებთან ერთად სანამქრეში ამოდიოდნენ ***ქუნცელებიც***. სანამქრე ორია: „შუბლის ქვემოთ ერთი თვალი ტერიტორიაა ქუნცისა, მეორე დადეშისა“.

გზაგაიარას ქვეშ, ერკოტის მხარეს, არის ***ქვაბისძირი/ქვაბიძირი***. გზაგაიარას სოგი ***განიგზასაც*** ეძახის. როდესაც გზაგაიარა ***ახორტყის თავზე*** გადის ***კაპანსაც*** ეტყვიან.

ბერბუკებშიც არის ***კაპანი,*** რომელსაც ხოგი **გზაგაიარას** ეტყვის. გზაგაიარას შინაარსი, მოტივაცია ასეთი უნდა იყოს: ეს არის გაჭრილი გზა, ხელოვნური, რომელიც ძნელად გასაყვანი იყო, უნდა ნიშნავდეს – „გზა გაიღა“, „გზამ გაიარა“.

გზაგაიარას გზა, – იხ. გზაგაიარა, ერკოტა.

გიგოლაანთ კალო, – იხ. ნაფუსრები.

გიგოლაანთ უბანი, – იხ. ერკოტა.

გიგოლას ყანა, – იხ. ბასტიას კლდე, ნაგუთნები.

გიგოლიენთ ყანა, – იხ. თხილიყანები.

გლერდნარა//გლერძნარა, – ***ქეთქეთას*** აღმოსავლეთით ყურდობს გლერძნარა ჰქვია, ასევე გლერძნარა (გლერდნარაა) ***გადაკვეთილას*** ჩრდილოეთის ყურდობი და ***ინასათიბის*** ყურდობი. გასარჩევად მიუთითებენ ხოლმე მთავარ ორიენტირს და იტყვიან: ***ქეთქეთას გლერდნარა (გლერძნარა), გადაკვეთილას გლერდნარა (გლერძნარა)*** და ***ინასათიბის გლერდნარა (გლერძნარა).***

გლერძნარა, – *იხ.* გლერდნარა.

გოგოლიენთ ყანები, – იხ. ყონა.

გოლგოთი, – ***გორა.*** ერკოტაში გოლგოთი იქცა გეოგრაფიულ ტერმინად. იგი ისმარება გორის, ბორცვის სინონიმად.

გოლგოთის ტიპური ნიმუშია, მაგალითად, ახალციხიდან ასპინძისკენ მიმაყალი გზის მონაკვეთზე ***რუსთავის*** გაღმა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სანდროშვილების მიერ აშენებული ჰესის თავზე, ნასოფლარ ***პატრაშენის*** აღმოსავლეთით მთებში გამორჩეული მცირე მთა, ბორცვი, რომელსაც შეიძლება ეწოდოთ გოლგოთი. ერკოტაშიც იყო მსგავსი გოლგოთები. ***მელავჯარასთან*** იყო ამაღლებული ბორცვი, ეძახდნენ ***გოლგოთს,*** ასევე ***გოლგოთია ქედქედასთან,*** ასევე ***ბერიმზიგულის*** აღმოსავლეთით არის ბორცვი, რომელსაც ***გოლგოთი*** ჰქვია. „ერთმანეთისგან გასარჩევად იტყოდნენ, მაგალითად: მელავჯარასთან ***გოლგოთზე*** შევინახე ულელი, ან – საქონელი დაეცა ***ბერიმზიგულის გოლგოთზე.*** მეხი ჩამოვარდნილა ***ქეთქეთას გოლგოთზე.*** მიუხედავად იმისა, რომ ქეთქეთა თავად ქედი და ქედი იყო, ერთ შემაღლებულ ადგილსაც ***გოლგოთი*** ერქვა (ალექსი ბერიძე)“.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სახარებისეულ ტერმინთან. გოლგოთა ძვ. ებრაული სახელია და „თავის ქალას“ ნიშნავს. იგი იყო „ბორცვი იერუსალიმის ჩრდილო-

დასაგლეთით, სადაც უძველესი დროიდან სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს. ამ ბორცვზე ჯვარს აცვეს იესო ქრისტე (ს მ ე ე ლ 2007:213)".

საქართველოში იერუსალიმური ტოპონიმია ბევრი მოგვეპოვება. მცხეთა, ქართული იერუსალიმი, მოქცეულია იერუსალიმური ტოპონიმიის ცენტრში, თაბორი, ბეთლემი, გეთსამანია და სხვანი გარს აკრავს საქართველოს ძველ დედაქალაქს (კეკელიძე, 1957:363; მახარაძე, 1995, №4) მსგავსი შემთხვევები გვაქვს მესხეთის ტოპონიმიაშიც (ბერიძე, 2008:3-13).

გოლგოთა გეხვდება აღგილის სახელად, კერძოდ არის „მთა მცხეთის პირდაპირ, და არაგვის შესაყართან და ეკლესია, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ამ მთაზე. ჯვარის ტაძრის ჩრდილოეთით. მთამ და მასზე აგებულმა ეკლესიამ სახელწოდება მიიღო იერუსალიმის „გოლგოთის" მიბაძვით...

გოლგოთის მოხასტერი ყოფილა აგრეთვე ქართლშიც სამთავნელის სამწყსოში (ს მ ე ე ლ 2007:213)".

ს. მელიქიძეს გამოყოფილი აქვს გოლგოთაში –თა დაბოლოება (მელიქიძე, 2007:6). ეს გამოყოფა საეჭვო ჩანს, რადგან გოლგოთი ქედი (!), როგორც შეტანილია ლექსიკონში (მელიქიძე, 2007:42) ამ გამოყოფის საფუძველს არ იძლევა. ეტყობა ესეც ჩვეულებრივი იერუსალიმური ტოპონიმია მცხეთის სიახლოვეს.

ერკოტის გოლგოთები საინტერესოა იმით, რომ არ არის ეკლესიონიმები. იგი შემოვიდა როგორც გეოგრაფიული ტერმინი და ასე დაერქვა აღგილს.

ქართულ ენაში გოლგოთა შემოსულია თავისი პირვანდელი მნიშვნელობითაც და გადატანითი მნიშვნელობითაც „მძიმე, ძნელი გზაა, ტანჯვის გზა (ქ ე გ ლ, II, 1951:1469)". კიდევ უფრო გააალიტერატურულეს გოლგოთა ერკოტელებმა. სიტყვის ბოლოკიდური – ა გაგებული იქნა კნინობითობის მაწარმოებლად და ჩამოსცილდა, ამიტომაც გვაქვს გოლგოთი და არა გოლგოთა.

გორა – იხ. გორაი.

გორაი//გორა, – გორა. გორა ბევრია ერკოტაში, მაგრამ აღგილის სახელად ***ჭურას ჭალის*** სულა თაღში, ***მოკრილჭალის*** ახლოს მდებარე გორას, რომელიც შედარებით დიდია გორაზე, მაგრამ მთაზე პატარაა, მოიხსენიებენ ხოლმე. გვაქვს აგრეთვე ***პატარა გორა*** (იხ.) ერკოტის ქვე-

მოთ სასაფლაოს სახელად და ასევე სასაფლაოს სახელად ნასოფლარ ბერიასთან.

გორას ყანები, — ყანები. „ვიღრე ზედა მთაში ახვალ, ***ჭურას-თან*** მოკიდებულია ***გორასყანები.*** კარგი ჭვავი მოდიოდა“. მოკიდებული (მოკიდული) მიბმულს, გადაბმულს ნიშნავს მესხურ დიალექტში.

გორის ძირი, — ბაღი. ერკოტის ქვემოთ **პატარა გორის** (იხ.) ქვეშ იყო, ბერიძეების ბაღი, რომელსაც გორის ძირი ერქვა.

გრძელი ყანები, — იხ. ნაფუსარები.

გრძელი ჭალა, — ჭალა. ერკოტიდან ბუსმარეთისაკენ მიმავალი გზის გარშემო მდებარე ჭალა, რომელიც ვიწროა და გრძელი. იხ. აგარული ნაჩეხი.

გრძელი ჭალის წყალი, — იხ. ბერიები.

გუმბათი, — იხ. სანამქრე.

გუმბათის სანამქრე, — იხ. სანამქრე.

დადეშელების სანამქრე, — იხ. სანამქრე.

დადეშის მხარე, — იხ. ასკარიენთ ყოტორო.

დადეშის სანამქრე, — იხ. ზედა მთა.

დადეშიჭალები, — ჭალები. ბერიებში დადეშელების კუთვნილ ჭალებს ეძახდნენ ასე და ამ ჭალებში მომდინარე წყალს, რომელიც ორხევში უერთდება ***ჭურას ტბის წყალს, დადეშიჭალების წყალი*** ჰქვია.

დადეშიჭალების წყალი, — იხ. დადეშიჭალები.

დადეშური ქოხები, — იხ. ერკოტა, უნაგირა.

დალეწილები, — იხ. ვარნეთი.

დამპალი ჭალა, — ჭალა. სოფლის ქვეშიდან არის წყარო, რომელსაც ***ქვედა წყარო*** ჰქვია. ეს წყალი გადის ჭალაში და აჭაობებს მას, ამიტომ ეძახიან ***დამპალჭალასაც*** და ***ჭაობსაც.***

დამპალწყარო, — იხ. ერკოტული, ზურგანა.

დამპალჭალა, — იხ. დამპალი ჭალა.

დარბუკები, — იხ. სკოლიყანები.

დარბუკეი, — იხ. სკოლიყანები.

დასაქანი, — დაღმართი. დასაქანი ერქვა ერკოტაში რამდენიმე ადგილს. დასაქანი იყო ***მოდრეკილაში, ჩიტიწყაროსთან*** და ***გადაკვეთილასთან,*** ამიტომაც იტყოდნენ ხოლმე „ფროხილად სამოდი ***მოდრეკილას დასაქანში***“; „ურემი დამიყირდა ***ჩიტიწყაროს დასაქანში***“; „ძნელად გადმოვიარე ***გადაკვეთილას დასაქანი***“ და ა. შ. ე. ი. გვქონდა შე-

საბამისად: ***მოდრეკილას დასაქანი, ჩიტიწყაროს დასაქანი*** და ***გადაკვეთილას დასაქანი.*** მოვაკებული ადგილიდან რომ უცბად ეშვება გზა, დასაქანი ჰქვია და დაკავშირებულია ურმის მოძრაობასთან. დასაქანში ურმის თვალს (ცოგორას) ჯაჭვით დააბამდნენ, რომ არ ებრუნა, ან ჯაუბამდნენ უკნიდან რაიმეს, ვთქვათ, დიდ მორს სიგრძივ, რომ არ დაგორებულიყო. იყო შემთხვევა, რომ ქვაც ჯაუბამთ სიჩქარის შესანელებლად. დასაქანი დალმართს ჰქვია მესხურ დიალექტში.

დიდი ზიარეთი, — იხ. ზიარეთი.

დიდი ლოდი, — ლოდი. დიდი შავი ლოდი, რომელიც გამორჩეულია გარემოში. მის სიახლოვესაა ***ბრმაწყარო,*** ხოლო დასავლეთით—***ჰასანას ჭალა.***

დიდი ყანები, — იხ. ნაყუზარი.

დუბე, — იხ. ვარნეთი.

ევგენას ყანა, — იხ. ნაგუთნები.

ევგენას წისქვილი, — იხ. ერკოტულა.

ეკლესია, — იხ. ყვრისცვალების ეკლესია.

ეკლესიის საფლავები, — იხ. ფხაკო.

ერბოყანა, — იხ. ვარნეთი.

ერკოტა, — სოფელი. სოფელი ერკოტა, რომელიც დღეს ნასოფლარია, მდებარეობს ერუშეთის მთიანეთის ფერდობებზე. მის გარშემო იყო შემდეგი სოფლები: ჩრდილოეთით — ***ვარნეთი,*** რომელიც აგრეთვე ნასოფლარია დღეს, დაცარიელდა იქიდან მაჰმადიანთა გადასახლების შემდეგ და ***ასპინძა.*** ჩრდილო-აღმოსავლეთით—***ივერია,*** რომელიც არის აღდგენილი სოფელი და მდებარეობს ნასოფლარ ***ოსკერიის*** ტერიტორიაზე. თავად ოსკერია მტკვართან ახლო სოფელი იყო. აღმოსავლეთით სოფელს ესაზღვრებოდა სოფელი ***დადეში*** და ნასოფლარი ***ძველი დადეში.*** დღეისათვის დადეშიც ნასოფლარია. დადეშელები ჩაეცდნენ აწყვეტაში საცხოვრებლად. ერკოტის დასავლეთით მოსაზღვრე სოფლებია ***ორგორა*** და ***საყუდაბელი.*** სამხრეთით ერკოტას ემიჯნება აგრეთვე ნასოფლარები ***ბერიები*** და ***ჭურა.*** სოფელი გაშენებული იყო მესხეთისათვის ტრადიციულ კლდოვან ადგილზე, რომელიც აგრეთვე მზისგულს წარმოადგენდა. ერკოტის სიმდიდრე მუდამ ტყე და წყალი იყო და არის. მრავალი დიდი და პატარა წყარო გამოდის ერკოტის მიდამოებში.

ნასოფლარის ცენტრში დგას ***ყვრისცვალების*** ეკლე-

სია. სოფელს ჰქონდა უბნები, რომლებშიც კომპაქტურად იყო დასახლებული გვარები. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ***ქურქჩიენთ უბანი*** ერქვა. ქურქჩიენი ტიკაძეები იყვნენ. სადაც ცალქალამანიძეები ცხოვრობდნენ, ***ქუჩჩაანთ*** უბანი ერქვა, რადგან ცალქალამანიძეები ქუსლიანი იყვნენ მეტგვარად.

ერკოტაში ყველაზე დიდი გვარი ბერიძეთა გვარი იყო, ამიტომ მათი განაყრებით დასახლებულ უბნებს ასე ერქვათ: ***ჰალაჯიენთ უბანი*** (ეკლესიის ჩრდილო–დასავლეთით); ***ჯრათლიენთ უბანი, ყაყოონთ უბანი, გიგოლაანთ უბანი, სოსანაანთ უბანი, ალიკოონთ უბანი, კორკოტაანთ უბანი, ჰუშუტიენთ უბანი.*** ჰუშუტიენთ ალექსას ნათელმირონობა ჰქონდა დადგმულ ბერიძეებთან ოდითგანვე. ეს ოჯახი ცნობილი იყო მოტეხილობის მკურნალლობით და ხალიჩის ქსოვით. ***ბაღდოონთ უბანი*** ხატიძეების უბანი იყო. ისინი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ეკლესიის მოშორებით ცხოვრობდნენ.

საგვარეულო დაყოფის გარდა სოფელი იყოფოდა ***ზედა უბნად*** და ***ქვედა უბნად. ზედა უბანი*** ეკლესიის ზევით მდებარე უბანი იყო, ხოლო ***ქვედა უბანი*** ეკლესიის ქვევით მდებარე ნაწილს ერქვა. ქვედა უბანს ჰქონდა თავისი წყარო და მას ***ქვედა წყაროს*** ეძახდნენ, გამოდიოდა ადგილზე. ზედა უბანს ჰქონდა ***ზედა წყარო,*** რომელიც მთელი სოფლის წყაროც იყო. ის გამოდიოდა ***უკანხევში.*** სოფლიდან კაცი ჩამოდიოდა ხევში და მოდიოდა ზედა წყაროზე. ზედა და ქვედა წყაროების წინ ხის ავაზანები იდგა. სოფლის ერთი უბანი გამოიყოფოდა ***ქართლელას წყაროს*** გარშემო, მაგრამ მას ***ქართლელას წყაროს*** უბანი არ ერქვა, ის ზედა უბანში შედიოდა, შემდეგ გვარების მიხედვით ირჩეოდა. მესხეთის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გზაგასაყარზე ან ერთ გზაზე მდებარეობს, რომელიც უსრუნველყოფს მათ კონტაქტებს მეზობელ სოფლებთან თუ კუთხეებთან. მართალია ხშირი იყო მტერთა თავდასხმა, მაგრამ სოფლის არსებობისათვის უყრო მნიშვნელოვანი სამეურნეო და სატრანსპორტო დანიშნულების საშუალებები – გზები იყო. მტერს ემალებოდნენ დარნებში, ან იცავდნენ თავს, იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-სიმაგრეებს და ქვაბ-სამალავებს. ერკოტაში ციხე არ იდგა, სამაგიეროდ ცნობილი და მნიშვნელოვანი ციხეები იყო

ვარნეთსა და ასპინძაში. ეს ციხეები წარმოადგენდა ერკოტელების იმედსაც. ერუშეთის მთიანეთის ფერდობები, რომლებიც ეშვებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მჭიდროდ იყო დასახლებული და დაკავშირებული ერთმანეთთან გზებით. ვახუშტი ბატონიშვილი ერკოტას არ აღწერს მაშინ, როდესაც დასახელებული და აღწერილია მისი სიახლოვის მნიშვნელოვანი პუნქტები და ხევ-ღელეები. მის გარშემო ცნობილი ციხე და მონასტერი იყო ვარნეთსა და დადეშში. ერკოტა სწორედ პირველ რიგში ამ სოფლებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

დადეშიდან ერკოტაში შემოდიოდა ორი გზა. პირველი გზა მოდიოდა ***გადაკვეთილას*** გაყოლით, გავიდოდა შუა სოფელში და ჩიტიწყაროსთან უერთდებოდა მეორე გზას, ასევე ძველი დადეშიდან მომავალს, რომელიც გამოიყოლის ***მელავჯვარას, ქვაბიძირს, საბადურს***, გადადის ***სხალნარში***. მეორე გზას აქვს განშტოება ***გზაგაიარას გზის*** სახით, რომელიც ძველი დადეშიდან მომავალი ***მელავჯვარას*** შემდეგ გაუხვევს მარცხნივ, ადის აღმართზე, უნაგირას ფერდობზე, გადადის უნაგირაზე, ასცდება სოფელს და გადის ***ბერიებში***.

ასპინძიდან ორი გზა მოდიოდა. საურმე გზა მოდიოდა ***საქორისთავების*** გაყოლით და უერთდება ***გადაკვეთილას გზას*** გადაკვეთილამდე ***გლერძნარას*** ტერიტორიაზე. ასპინძიდან ადიოდა საცალფეხო გზაც, რომელსაც მგზავრობდნენ ფეხით, ცხენით. იგი ვარნეთის გაყოლით ადიოდა ერკოტაში. გაიყვლიდა ***წისქვილების ბაღს***, ადის ***ჭალის ყანაში, ლომიასეულში*** და ერკოტაში. ერკოტა ვარნეთთან დაკავშირებული იყო სამარხილე გზით, ოღონდ ეს იყო გზა კერაცხოვლობის ეკლესიამდე. ეკლესიიდან შეიძლებოდა მოსვლა ვარნეთში, საიდანაც ეკლესიის, ციხის მხრიდან შეიძლებოდა ასვლა ***ხარის საწოლში***, შემდეგ გვალაში და ბოლოს ერკოტაში.

დადეშიდან და ვარნეთიდან მომავალი გზები იყრებოდა ინასათიბში, საიდანაც გადადიოდა სხალნარში და იყოფოდა რამდენიმე მიმართულებით: ***ჭურას გზა, ბერიების გზა*** და ***ზეელ-ჭობარეთის*** გზა. ბუსმარეთისაკენ მიმავალი გზა გადის ბერიების ძირზე.

გზები მოსაელელად ძნელი იყო. ჩვენ არ შემოგვრჩენია ტრადიცია გზის გაყვანისა, მაგრამ აშკარად ემჩნევა, რომ გზას დაჰყვებოდა ნიაღვარიც ხოლმე, ჩაღრმავებუ-

და ესა თუ ის ადგილი, რომლის გაწმენდის შედეგად ამოსული ქვები ჩარიგდებოდა გუხის პირებზე, რაც დღეს მიგვანიშნებს გუხების მიმართულებებს.

ერკოტის ხევზე 6 წისქვილი მუშაობდა, ისინი ხევის ჩაყოლებაზე იყო ჩარიგებული. ინფორმატორთა ხსოვნაში ოთხი ეკუთვნოდა ჰალაჯიენთ (ბერიძე). ჰალაჯიენთ ოთხი ძმა ყოფილა: როსტომა, სიდორა, ევგენა, თედორა (ღოლოს ეძახდნენ, ლოლოს მაღალს ეტყოდნენ, ყირულის ლოლოსავით წაგრძელებულს. მამამისს ერქვა და შვილებსაც გადმოუცია). ამ ძმებს ჰქონდათ თაყიანთი წისქვილი. ამ ხევზე ორი წისქვილი ჰქონდათ ყურაოლიენთ და სოსანიენთ (ბერიძეები).

ერკოტელებისათვის უმთავრესი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, რაც უკავშირდებოდა მთად გასვლას საფხულობით. ერკოტას ახლომახლო საძოვრები საფხულობით არ ჰყოფნიდა და სიცხეში უჭირდა საქონელს. ვიდრე საფხულში, ალპურ სონაში ავიდოდნენ, სადაც ხე აღარ ხარობს, ივნისის დასაწყისში პირველ მთად გადიოდნენ უნაგირაში, რომელიც განიკმულია საუკეთესო ბალახით. ამით საშემოდგომოდაც ისოგებოდა სოფლის გარშემო საძოვრების ბალახი. ***უნაგირაში*** კეცლიანი, მიწური ბინები ჰქონდათ, როგორც ერკოტელებს, ისე დადეშელებს. ასეც ეძახდნენ: ***ერკოტული ქოხები*** და ***დადეშური ქოხები***. ეს მხოლოდ ქოხი არ იყო. მიგ ცხოვრობდნენ კიდეც, ინახავდნენ საკვებს, პროდუქტს, ხბორებისთვის ჰქონდათ სადგომი. საქონელთან ერთად პირველ მთად გაჰყავდათ ღორი და ქათამი. გადიოდა ყველა, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა. ზოგიც გაატანდა, მიაბარებდა საქონელს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ან მორიგდებოდნენ გადაზიდვაში, მწყემსობაში დახმარებას. მემთეული დიასახლისი მხოლოდ ყველ-ერბოს დამზადებით არ იყო დაკავებული. უნაგირაზე აგროვებდნენ თხილს, მაყვალს, პიტნას, ქონდარს. იყო ერთგვარი ბალახი, რომელსაც ჯონჯოლს ეძახდნენ და მწნილად დებდნენ. კეთდებოდა ტენილი ყველი ქოთნებში და გუდის ყველი. ტენილი ყველი კეთდებოდა ცხერის რძით. პირველმთობას რჩებოდნენ იყლისის ბოლომდე, ვიდრე თოვლი ჩამოდნებოდა ***ზედა მთაზე***. ხანდახან აგვისტოს ბოლომდე იყო სანამქრეში თოვლი.

უნაგირაზე ტოვებდნენ ბინებს, აიკრებოდნენ და ადი-

ოდნენ ***ზედა მთაზე. ცხრაკენჭას*** ტერიტორიაზე, იქვე იყო ***პაკოსები. ბებრის კლდე*** და ***გვირგვინების*** დასაცლეთი მხარე. ზედა მთაზე ერკოტელები რჩებოდნენ აგვისტოს ბოლომდე, სოგჯერ სექტემბრის ნახევრამდე, ამინდის მიხედვით. აქ კეთდებოდა სამთრის სარჩო-საბადებელი. მზადდებოდა მატყლიც. ცხერის ერთი პარსვა ***ზედა მთაში*** ხდებოდა.

გადამწყვეტი იყო დიდოჯახიანობა, რაც მეტნი იყვნენ ოჯახის წევრები, მით მეტი ღოვლათი იქმნებოდა. ხშირად ერთ ჭერქვეშ სამი ძმა ცხოვრობდა. ნაწილი მთად მიდიოდა, ნაწილი კი სოფელში რჩებოდა, ხილისა და პურეულის მოსავალს პატრონობდა. დარჩენილები სოფელში მიწას უცლიდნენ, ბაღს, ყანას. ასევე რჩებოდა ოჯახის ისეთი წევრიც, რომელიც ყიდდა მოწეულ პროდუქტს, რომ საჭირო ნივთები და იარაღი შეეძინა. სოფელში რჩებოდნენ მოხუცებიც.

მე-16 საუკუნეში ერკოტა პატარა სოფელი იყო. ის სულ 6 კომლისაგან შედგებოდა. ***ვარძელ გიორგისძე, პაპუნა ბერისძე, სამადა იოსებისძე, იმარინდო ქეთხუდა — იასე, თაყა ბალიასძე*** და ***კვირიკას შვილიშვილი*** (ჯიქია, 1941:138) ესენი იყვნენ მაშინდელი ოჯახის უფროსები. ერთ-ერთი მათ შორის ***ბერისძეა***. უკვე ამ დროს ბერიძეთა გვარი არსებობდა ერკოტაში და ცხოვრობდნენ ამ გვარის წარმომადგენლები.

ერკოტის დაცარიელება დაიწყო 1944 წლიდან, როდესაც მაჰმადიანები გაასახლეს მესხეთიდან. რაიონული ცენტრი, როგორც ღღეს, იყო ასპინძა, რომლის ძირითადი მოსახლეობა მაჰმადიანი ქართველობა იყო. მათი გასახლების შემდეგ რაიონული ცენტრი, რომელიც ძირითადად ციხის გარშემო დასახლებას წარმოადგენდა და აქა-იქ გაჩნდა ახალი ტიპის შენობები ახალციხე-ახალქალაქის გზის გასწვრივ. 1944 წელს რამდენიმე ოჯახი ჩამოსახლდა ასპინძაში ერკოტიდან. ასეთი ბუნებრივი მიგრაცია გაგრძელდა 1947 წლამდე. შემდეგ შეჩერდა პროცესი და 1959-1961 წლებში ჩამოასახლეს მთელი მოსახლეობა. მათი ასპინძაში დასახლება მოხდა ძირითადად ერთ უბნად მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ერეკლეს ნახიდართან. აქვე გაკეთდა ხიდი მტკვარზე. ამ უბანს ასპინძაში ***ერკოტის უბანი*** ჰქვია.

ერკოტა-ასპინძის გზა, — იხ. სიმინდის ყანები.

ერკოტა-დადეშის ზიარეთი, – იხ. ზიარეთი.
ერკოტის ეკლესია, – იხ. ფცერისცვალების ეკლესია.
ერკოტის მიწები, – იხ. ვარნეთი.
ერკოტის მხარე, – იხ. კოწახურა.
ერკოტის სასაფლაო, – იხ. ყხაკო.
ერკოტის ტბა, – იხ. ჭ'ურა, ჭ'ურას ტბა.
ერკოტის ტყე, – ტყე ნასოფლარ ერკოტის ტერიტორიის ერთ-ერთი ნაწილი უკავია ტყეს, რომელსაც სხვადასხვა ადგილ'ზე სხვადასხვა სახელი ჰქვია, თუმცა, როდესაც ნასოფლარ ჭ'ურას ტერიტორიის ადგილის სახელებს მიუთითებენ, ორიენტირად გვხვდება ***ერკოტის ტყე*** (იხ. ***აბრამას ჩოქაქი***). სხვა შემთხვევაში ერკოტის ტყე უპირისპირდება სხვა სოფლელთა ან ნასოფლართა მიხედვით სახელდებულ ტყეს. მაგალითად: ***ერკოტის ტყის*** საპირისპიროდ გვაქვს ***ვარნეთის ტყე, ჭობარეთის ტყე, ზველის ტყე*** და სხვა. იხ. აგარული ნაცხი, ბერიები.
ერკოტის ქვაბები, – იხ. მაღარიები.
ერკოტის ღელე, – იხ. გამოღმა ბაღები.
ერკოტის წყლის გვერდი, – ***ფერდობი. ერკოტის წყალი*** (წყარო) და ***ქართლელა*** უერთდება წისქვილებთან. წყაროს გვერდით არის ერკოტის წყლის გვერდი.
ერკოტის ხევი, – იხ. ერკოტა.
ერკოტულა, – ***ხევი.*** ერკოტულას ***ერკოტის ხევს*** უწოდებდნენ ვარნეთელები. ეს იყო დახეული წყალი, რომელიც იმდენად წყალუხვი იყო, რომ მას'ზე წისქვილები იდგა. გაჭირდებოდა ხოლმე საფხულობით, როდესაც ერკოტულათი ირწყვებოდა ველ-მინდვრები. ასეთ შემთხვევაში წისქვილი უნდა გაერებულიყო. თუ ერკოტელები მოწყვეტდნენ, ღელეში (ხევში) წყალი აღარ მიდიოდა, ამიტომ ამ წყალ'ზე ხშირად დავობდნენ ვარნეთელები და ერკოტელები.

ერკოტულა იყო ***ქართლელადან*** დაწყებული ხევი, რომელიც გაივლის ***უკანხევში,*** შეუერთდება ***ზედაწყარო, წვრილი წყაროები, ფონას წყარო, დამპალწყარო, პორფილას წყარო, ლეკმიწის წყარო,*** ვარნეთ'ში შეუერთდება ***ინასათიბის ღელე,*** გაივლის ***კაკაველს*** და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან ***ერეკლეს ნახიდარს*** ზევით იქ, სადაც კოლექტივის დროს იდგა წყალსაქაჩი.

ერკოტ'ულა'ზე (ერკოტის ხევ'ზე) იყო შემდეგი წისქვილები: ***ჭულუკიენთ წისქვილი //ევგენას წისქვილი, სიდო-***

რას წისქვილი, ალაჯიენთ წისქვილი, სოსანიენთ წისქვილი, ჯრათლიენთ წისქვილი, ბადალაშვილის წისქვილი. ქვეყნად მეპატრონე ბერიძე იყო.

ერკოტულას ღელე, — იხ. კლდეკარი.

ერკოტული ქოხები, — იხ. ერკოტა, უნაგირა.

ერუშეთის მთები, — იხ. სანამქრე.

ვარნეთი, — ნასოფლარი. მდებარეობს ნასოფლარ *კაკაველსა* და *ერკოტის მიწებს* შორის. *ერკოტის ხევი* ნაუვლის ვარნეთის აღმოსავლეთის მხრიდან. ვარნეთს ჰქონდა *კვირაცხოვლობის* სახელობის ეკლესია და *ვარნეთის ციხე.* აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ 1944 წლამდე. ალექსი ბერიძე მოგვითხრობს: „ერკოტასა და ვარნეთს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ. მამაჩემს ილია ბერიძეს, რომელიც 1930 წელს დაქორწინდა, ძველი ტრადიციის მიხედვით, ნათელმირონად ვარნეთელი აბდულა ჰყავდა. ამათ გარდა კიდევ ორ ოჯახთან გვქონდა ნათესაობა. ერთი იყო ქვედაყარა (ორი ყარა. იყო — ქვედაყარა და ზედაყარა. ერთი *ზედა უბანში* ცხოვრობდა, მეორე *ქვედა უბანში*), აგრეთვე, თაარა, ღვრგალი კაცი იყო, რომელთანაც მთელი ოჯახით ვმეგობრობდით.

1918 წელს, როდესაც გვარბევდნენ, ქვედაყარამ სამი ბავშვი შეიფარა: მამაჩემი (ილია ბერიძე), გიორგი ბერიძე (ჯაბღო) და ივლიანე, მამიდაჩემი. პაპაჩემი გაქცეული იყო და *ზოვრეთში* ხეცი'შვილებთან იყო შეფარებული. ექვსი თვის შემდეგ პაპაჩემი ჩამოვიდა ვარნეი'ში და წაიყვანა ბავშვები.

აბდულას მამა იყო მოლა. აბდულას ნათლიობა იმით გამოიხატებოდა, რომ ქორწილ'ში ნათლიის ადგილას იჯდა. მართალია ბავშვს არ ნათლავდა შემდეგ, რადგან მაჰმადიანი იყო, დანარჩენ წესს — მისვლას, ნათლიის საჩუქარს, ოჯახის ახლობლობას — ასრულებდა".

ნათლიის აღმნი'შვნელად იყო თურქული ტერმინი *„ქირვა"*. ასეთი ნათელმირონობა ხდებოდა კათოლიკეებსა და მართმადიდებლებს შორისაც. „ქირვა" შემოიღეს იმისათვის, რომ ქართული *„ნათლია"* გამოეხატათ ნათელმირონობას მართლმადიდებლებს შორის.

ვარნეი'ში მცხოვრებთა ძირითადი შტო იყო *მახარააანი,* როგორც *ზანდარაანი* (ბერიძეები) ერკოტა'ში.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებ'ში ვარნეთელი ახმედ დროღვან-ოღლი უსეინოვისაგან ნაწერილი მაქვს ტოპო-

ნიმები, რომლების აღგილ-მდებარეობა, სამწუხაროდ, არ მიმითითებია. ამაგე ტოპონიმებში შერეულია ***ზემო ოშორის*** საკუთარი სახელები, მაგრამ მათ მაინც მოვიყვან, რადგან ეს არის ისტორიული ფაქტი. აი, ეს სახელები: ***დალეწილები, ტიბეთი, საბანიებელი, ფერსათხევი, საგაროვი, კაცკალია, ჯოყოფი, ტეიტელი, დუბე, კეტალია, ერბოყანა, მეისი, ჭანჭურაყანა, კიბია, კაკაველი, ოლიაური, საბიეი, ხუცური, ნალეკი, თავნები, სხანნარი*** (ბერიძე, 2009:12). თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით არაყრით გამოირჩევა ჩამოთვლილი სახელები მესხეთის სხვა ტოპონიმთაგან.

ვარნეოსა და ერკოტას ერიმანეთთან მჭიდრო ეკონომიკური, მეზობლური, ტერიტორიული კავშირი ჰქონდათ.

ვარნეთის თავი, – იხ. ლენინის თავი.

ვარნეთის ტყე, – იხ. ვარნეთიტყე.

ვარნეთის ღელე, – იხ. კაკაველი.

ვარნეთის ციხე, – იხ. ვარნეთი.

ვარნეთიტყე//ვარნეთის ტყე, – ტყე. ტყე მდებარეობს ვარნეთის დასავლეთით და ერკოტის ჩრდილოეთით. ვარნეთის ტყეს უწოდებდნენ ***ბერბუკიდან*** დაწყებული, ***საროსყაფანის*** აღმოსავლეთით, ვიდრე დასავლეთით ***სხალნარის ხევამდე*** და ***საყუდაბლამდე***. ვარნეთის ტყე თავდებოდა ***საყუდაბლის გადასახედთან***. ძირითადად ტყე არის ფოთლოვანი. ხარობს მუხა, რცხილა, ვერხვი, პანტა, ნეკერჩხალი. ვარნეთის ტყე ერქვა, რადგან იგი ეკუთვნოდა ვარნეთელებს, ვიდრე მათ გაასახლებდნენ.

ვარნეთული ჭალები, – ჭალა. მდებარეობს ჭურას ტერიტორიაზე, ნასოფლარ ჭურას აღმოსავლეთით, მისი მეორე სახელია ***შაფხასჭალები***. ერკოტელებსა და ვარნეოელებს გვერდიგვერდ ჰქონდათ ჭალები. ვარნეთული ჭალები (***შაფხასთავის ჭალები***) შუბლივით ტერიტორიაა და ნაწილია შაფხასთავისა, რომელიც ამაღლებული ადგილია, ხოლო ჭალები ძირია მისი. აქვეა ***აბრამასთავი, კურდღლისთავი*** (იგივე ***შაფხასთავი***) და ***ჭურასთავი***.

ვარძიის თავი, – იხ. აგარული ნაჩეხი.

ვაშთაყანები, – ყანები. ყანები მდებარეობს სოფლის თავში, ბაღდვიენთ შუაღელაბაზე, „დაწკეპილი ყანებია“.

ვერანა დადეშის ეკლესია, – იხ. ქალაჯვარა.

ზედა გვალტყე, – იხ. გვალიტყე.

ზედა გორა, – იხ. ჭალის ყანა.

ზედა მთა, — მთა. მთა ნიშნავს სახაფხულო საძოვარს, სადაც არის საზაფხულო საცხოვრებელიც. მთაში, როდესაც ბარში სიცხეა, საქონელი აჰყავთ და შემოდგომამდე ამყოფებენ. მთაში უკეთესად იწველება საქონელი, სუქდება და ემზადება გამოსაზამთრებლად.

სხვა მთას აღმოსავლეთით ესაზღვრება ***ქუნცის სანამქრე*** და ***დადეშის სანამქრე,*** დასავლეთით სვეტის ტერიტორია, კერძოდ — ***ცრაწყარო.*** მთად სხვა მთაში ადიოდნენ ერკოტელები და ყარნეთელები.

მართალია არ არსებობს ანტიპოდი ტოპონიმი ქვედა მთა, მაგრამ სხვა მთა სხვა იყო ***უნაგირასთან*** მიმართებაში, სადაც ერკოტელები და დადეშელები ადიოდნენ მთად პირველად, ხოლო იელისის ბილოს უნაგირადან მიდიოდნენ უფრო მაღლა ***ზედა მთაში.***

ზედა რგვალი ტყე ,— იხ. გვალიტყე.

ზედა უბანი, — იხ. ერკოტა.

ზედა წყარო, — იხ. ერკოტა.

ზველის გზა, — იხ. ბერიები.

ზველ-ჭობარეთის გზა, —იხ. ერკოტა.

ზიარეთი, — მთა. უნაგირას მთას აქვს მწვერვალი, რომელზეც დგას სამლოცველო, მას ***ამაღლებას*** ეძახიან. ამ მთას ერკოტელები უწოდებენ ზიარეთს და სალღესასწაულოდ ადიან ამაღლებას. ერკოტელებთან ერთად ზიარეთს დადიოდნენ დადეშელები და ყარნეთელი მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ანთებდნენ სანთელს და ქუიფობდნენ. ინყოორმატორთა ნაწილი ყარნეთელთა მონაწილეობას არ ადასტურებს.

ნასოფლარ როკეთის დასავლეთით არის მაღალი მთა, მის წვერსაც არის სალოცავი. ამ მთას სოფლელები ***ამაღლების მთასაც*** ეძახიან. ასე ეძახიან მთას მტკვრის მარცხენა ნაპირის სოფლელები, ხოლო გაღმული მარჯვენა ნაპირის სოფლები — ***ხიზაბავრა*** და ***სარო*** — საკვირიკეს ეტყვიან. ორივე ზიარეთზე სალოცავად ამაღლებას ადიოდნენ. როკეთელებთან ერთად ამაღლებას ზეიმობდნენ ***ქუნცელები*** და ***აწყვიტელები.***

გაკეთის დასავლეთით მთას ძველ რუსულ რუკებზე ***დიდი ზიარეთი*** ჰქვია. ის ერეშეთის ერთ-ერთი მწვერვალია.

ვალის საბაუთს ჩრდილო-დასავლეთით ნასოფლარ მარელიან და ხევანასთან არის ეკლესია, მთას ***ზიარეთი*** ჰქვია.

ერკოტა-დადეშის სიარეთზე, ციდრე წვერზე ავალთ, 50 მეტრით დაბლა არის წყარო, რომელსაც ***უნაგირას წყარო*** ჰქვია. ასევე არის წყარო როკეთის სიარეთ'ზე და მას ***სიარეთის წყაროს*** ეძახიან. სიარეთზე ერკოტის მხარეს არის ძველი გზა, რომელიც იწყება ***უნაგირას ჭალებიდან*** და ჩადის დადეშში ჩრდილოეთიდან. ამ გზას ***გზაგაიარა*** ჰქვია.

სიარეთის ყურდი, რომელიც დასცქერის ასპინძას, არის ***ტალაგვერდი***. ერკოტის მხარე – ***გზაგაიარა***, ხოლო ბერიების მხარე – ***უნაგირა***.

ერთმანეთისაგან გასარჩევად იხმარება ***ერკოტა-დადეშის სიარეთი*** და ***როკეთის სიარეთი***. ასევე შეიძლება ვთქვათ ***გაველთის დიდი სიარეთი***.

სიარეთი არაბული წარმოშობის სიტყვაა და წმინდა ადგილს, სალოცავს ნიშნავს. იგი შემოვიდა მესხურ დიალექტში და მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო –ეთ დაბოლოებამ და ზიარ – ყუძის ქართულად გააზრებამ, დაუკავშირდა სიარებას, ქაროულ საწყისს. სიარეთი შეიძლება ნებისმიერი რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ერკოტისა და როკეთის სიარეთებზე ამაღლებას ადიოდნენ სალოცავად, მას ამაღლებასაც ეძახიან. რადგან სარო–ხისაბაერა საკვირიკეს უწოდებს, ეს უკვე გვაფიქრებინებს, რომ სიარეთი ერთ რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს არ აღნიშნავდა. ამის მაჩვენებელია სიარეთების სიმრავლეც.

ზიარეთის მთა, – იხ. ზურგანა.

ზიარეთის წყარო, – იხ. სიარეთი.

ზოვრეთი, – იხ. ვარნეთი.

ზურგანა, – გორაკები. ერკოტის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის გორაკები, რომლებიც დაკავშირებულია ***ქეთქეთასთან***. თითქოს ***სიარეთის მთას*** მოსწყდა რაღაც დატალღური ნიადაგი სერის ფორმით. ეს ტალღოვანი გორაკები მაინცდამაინც სახნავ–სათესად არ გამოიყენებოდა (ა. ბერიძე). ***ქვაბისძირი*** მოვაკებულია, ხოლო ***ზურგანა*** და ***ქეთქეთა*** ამაღლებული, ერთმანეთზე მიბმული პატარა გორაკებია.

ზურგანაში არის ***ზურგანას წყარო***, რომელიც მუდმივად არ დის, გაზაფხულობით და წვიმების დროს გამოდის ხოლმე.

ინფორმატორთა აზრით სახელი ზურგის გამოა შერ-

ქმეული. „სურგანა“, როგორც ცხენის სურგი, ისეთი შემაღლებული ადგილია“.

სურგანას წყაროს *მარკოზას წყაროს* და *დამპალწყაროსაც* უწოდებენ.

ზურგანას ყანა, — იხ. კოპლიანთ ყანა.

ზურგანას წყარო, — იხ. სურგანა.

თავიკალო, — იხ. თაეკალო.

თავიჭალები, — მინდორი, ბაღები. ერკიტის დაბლა, *პატარა გორის* ქვემოთ გაგრძელებაა *გალმა ბაღებამდე*. ბაღების გაგრძელება იყო ჭალა, ყანა, საოიბი. ამ წყაროსე გადმოივლის *ფონას წყარო, დამპალწყაროს* წყალი და *ქვეშაწყაროს* წყალი. თავიჭალებს *თაფიჭალებსაც* უწოდებენ. თაფიჭალები თარგმანია თავიჭალებისა. თაეს მაჰმადიანები თაფას ეძახდნენ.

თავკალო, — ნაკალოარი. *თავკალო* ორ ადგილსეა, ერთი არის *საბადურის* ტერიტორიასე. პატარა მოეაკებული ადგილია, მეორე არის *საროყაფანის* ნასოფლარის ზედა ნაწილი, რომელიც თითქოს ხელოვნურადაა მოსწორებული. სმარობენ ორ ვარიანტს: *თავიკალო* და თავკალო. „სწორია თავიკალო ე.ი. ამაღლებული თავია და მოეაკებულია, გინდა თავკალო იყოს, სულ ერთია (ა. ბერიძე)“.

შესაბამისად არის *საბადურის თავკალო* და *საროყაფანის თავკალო*.

არის აგრეთვე ვარიანტებიც: *საბადურის თავიკალო* და *საროყაფანის თავიკალო*.

თავნები, — იხ. ვარნეთი.

თაეშავი, — ბორცვი, ნასახლარი. *ჭურას* ტერიტორია მოეაკებული ადგილია, სადაც რამდენიმე „თავია“, ამაღლებული ადგილია. *თავშავი აბრამას თავის* მიმდებარე ტერიტორიაა. თაეშავის ნაწილი ტყიანია. თაეშავსე ნასოფლარი არ არის, არის მხოლოდ ნაქოხრები. თაეშავსე ამოდის საურმე გზა *საკარიდან*.

აბრამას თავის დასაყლეთით ჩამოდის **ცხრაკენჭას წყალი,** მის ხელმარჯვნივე არის თაეშავი, **ხევიჭალების** საზრეთით.

აქ არის *სიდორას ყანა*, რომელიც მან ხეელელებისგან იყიდა. სახელი მიღებული უნდა იყოს ბალახის სახელიდან — **თავშავა.**

თაფიჭალები, — იხ. თავიჭალები.

თეთრას წყარო, — იხ. თეთრაწყარო.

თეთრაწყარო, — ***წყარო.*** თეთრაწყაროს ეტყვიან თეთრ, რძისფერ წყაროს, რომელსაც სილურჯე გადაჰკრავს. ასეთმა წყაროებმა გაზაფხულზე იცის გამოსვლა. თეთრაწყარო რამდენიმეა ერკოტის ფარგლებში. ***უნაგირას წყარო თეთრაწყაროა.*** ასეთივე თეთრაწყარო არის ***ხატმანაშენიდან*** ჭურაში მიმავალი გზის პირას, ვიდრე ჭურაში ავალთ. თეთრაწყარო თოვლის ნაყურია. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნაწერილი მაქვს ***თეთრას წყარო.*** თუ ამ შემთხვევაში გადააზრებასთან არა გვაქვს საქმე, თეთრა ადამიანის საკუთარი სახელი შეიძლება იყოს. თეთრა ქალის გავრცელებული სახელია მესხეთში. გვხვდება მეტსახელადაც (შდრ. გვარი თეთრაძე, თეთრაშვილი, თეთრაული). რაც უფრო მაღლა ავდივართ, მატულობს თეთრაწყაროთა რაოდენობა, რადგან არის ადგილები, სადაც სანამქრეებზე თოვლი გვიანობამდე დევს. ნასოფლარ ბუსმარეთში მე მიცხოვრია ძველ, მიწურ სახლში, რომლის დარბაზშიც მთელი წლის განმავლობაში გამოდიოდა ასეთი წყარო. ეს იყო მაჰმადიან ქართველთა საცხოვრებელი, ვიდრე ისინი გაასახლეს. ჩემს დროს კი აქ ასპინძის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმა იყო.

თორნეული, — ტყე. ***გვალტყის*** ჩრდილოეთით მისსაზე გაგრძელებაზე არის ეს ტყე. „აღგილს რო დახედო ზეციდან, თონის პურს ჰგავს. ისეთი ფორმა აქვს თითქოს თონეში ამოგიკრიაო. შუაში განიერია და ბოლი ამოშველილი აქვს. ალბათ ამიტომ ჰქვია თორნეული. ნამოსახლარი ახლომახლო არ არის, რომ თონესთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. სახნავი მიწა იყო, ახლა ტყით არის დაფარული“. მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ითესებოდა ყანაც, მერე სატყეო მეურნეობამ სანერგე გააკეთა და ფიჭვნარმა გადაფარა.

ზოგიერთი ინფორმატორის აზრით „სხალნარიდან სამხრეთ-დასავლეთით, ქვედა გვალტყის ქვემოდან არის ნასოფლარი (იოსებ ბერიძე 76 წლის)“.

თორნეულის გუბე//თორნეულების გუბე, — ***გუბურა.*** თორნეულის ტაფობზე ხელოვნურად გადაკეტავდნენ, აგუბებდნენ წყალს და შიგ ბანაობდნენ. ეს იყო დროებითი საბანაო.

თორნეულების გუბე, — იხ. თორნეულის გუბე.

თხილიყანები, — ***ყანები.*** ეს არის იგივე ***ნაქურთალი,*** რომელსაც ***გიგოლიენთ ყანასაც*** ეძახდნენ. სურებში თხილი იღება.

ივერია — იხ. ერკოტა, საქორიას თავები.

ინასათიბი, სახნავ-სათესი, საძოვარი. ტერიტორიულად უკავშირდება ***ბერბუკს*** ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ***მოდრეკილას,*** ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ***ნაგუთნებს.*** ერკოტიდან მომავალი გზა, რომელიც გაივლის ***საბადურის*** ქვეშ, აქა ***სხალნარის*** მიმართულებით, გადის ინასათიბის ზედა ნაწილში. ***სხალნარის გადასახედზე,*** სადაც სარწყავი არხი (რუ) მიდის, არის ***რუსთავი,*** ინასათიბში რუ იყოფა ორ ნაწილად. ერთი მიდის ***ვარნეთისკენ,*** მეორე – ***ერკოტაში.***

ინასათიბი ვაკეა არის და ბორცვიც. არის საძოვარიც, სათიბიც, თავის დროზე იხვნებოდა და ითესებოდა კიდეც. სათიბი მხოლოდ ჭალა არ არის. ითიბებოდა პურეული და სხვა კულტურები, ამიტომ სათიბში ისიც იგულისხმება. ინა კაცის სახელი უნდა იყოს (შდრ. ***ინაშვილი, ინაური***).

ინასათიბის გლეურდნარა, – იხ. გლეურღნარა.

ინასათიბის გლეურძნარა. – იხ. გლეურდნარა.

ინასათიბის ღელე. – იხ. ერკოტელა.

იოკას ჭალა, – ***ჭალა.*** ჭალა არის უნაგირას ჭერდობზე. სხვა ჭალებიდან იმით გამოირჩევა, რომ „შემოკრილი“ ჭალაა. რომელიც ცხრათლისა იყო (ცხრათლიანთ შუბის სათავის დამდები ბერიძეთა გვარში). რომელიც ვაჟკაცი კაცი ყოფილა, ჰყვარებია ქეიფი, სმა. თავის ჭალასთან ქეიფობდა, შემოლეწია სასმელი, უთქვამს დადუშული იოკა ივანიძისათვის, ორი ლიტრა არაყი მომიტანე და ეს ჭალა შენი იყოსო. იოკა დაერიალდა, ი'შოვა არაყი და ჭალა მიიღო. იოკა არის იოკიმეს შემოკლებული ფორმა.

ირმისრქა//ირმირქა, – ***მთა.*** ირმისრქა ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთი მწკრივალია. ამ მთის ჩრდილოეთი კალთა არის ჭობარეთის მხარე. ***ყომილეთი, ცხრაწყარო*** – ზვეულის ტერიტორიაა. ***ცხრაკენჭა*** – ერკოტისა, სადაც აწყვიტასაც აქვს ყარითობები. ისტორიულად აქ მთად ადიოდნენ: ***ერკოტელები, ვარნეთელები, ზველელები, ჭობარლები და დადეშელები.***

კოლექტივის დროს, კომუნისტების პერიოდში, ***ირმისრქის*** ტერიტორიები ჩამოართვეს სოფლებს და მას სახელმწიფო აქირავებდა, აძლევდა კახეთიდან ჩამოსულ მწყემსებს. ***ცხრაკენჭაზე*** მოსულიყვნენ ***წყნეთის, ტაბახმელის*** საქონელიც.

ირმისრქიდან სათავეს იღებს ჭობარეთისკენ მიმავალი

წყლები. ირმისრქიდან ერკოტისაკენ წყალი არ იღვრება, ჩადის ***ბუზმარეთის მხარეს, ყოინდარაში***. ირმისრქა ჰქვია მწყერვალს, შემდეგ სახელი მის დანარჩენ ფერდობებს და ტერიტორიებსაც ეწოდა, ამიტომ ირმის რქა'ხე ბევრი სხვა სახელიც არის: ობოლკლდე– სამხრეთ-აღმოსავლეთით, ***ციყიწყარო, პტენის მთა*** (პტენელები მოდიოდნენ მთად).

ირმირქა, – იხ. ირმისრქა.

კაკაველი, – ***ნასოფლარი***. ნასოფლარ ვარნეთის ტერიტორიაში შედის. ეს არის ვაკე ადგილი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ***ერკოტის ღელის*** (რომელიც ვარნეთის გავლის შემდეგ ***ვარნეთის ღელედ*** იწოდება) დაბოლოების ნაწილი. იყო ყანები და ბაღები, კოლექტივი'საციამდე აქ ექვსი კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. რადგან სოფელი პატარა იყო და კოლექტივს ვერ ჩამოაყალიბებდა, შეუერთეს ვარნეთს. მაჰმადიანთა გასახლების შემდეგ კაკაველი ასპინძის კოლმეურნეობაში შეიყვანა. აქ ძირითადად ხეხილის ბაღები და სიმინდის ყანები ითესებოდა კოლმეურნეობის დროს. (იხ.) ვარნეთი.

კალოები, – ***ნაკალოარი***. ინფორმატორთა ცნობით ახორტკის (იხ.) ძირში, ნაფუ'ხარში (იხ.) იყო კალო, სადაც სოფლის მარცვლეული ილეწებოდა. (იხ.) ნაფუ'სარი.

კაპანი, – გზა. რამდენიმე კლდიან ადგილ'ხეა გასასვლელი გზა, რომელსაც კაპანი ჰქვია. იხ. ***ბერბუკები, გზაგაიარა***.

კაცკალია, – იხ. ვარნეთი.

კეტალია, – იხ. ვარნეთი.

კერკედა, – იხ. კოწახურა.

კვარანათხევი, – იხ. ბერიები.

კვირაცხოველობა, – ***ეკლესია***. ნასოფლარ ***ვარნეთის*** ზედა ნაწილ'ში იდგა ეკლესია, რომლის ნანგრევებმა, ისევე, როგორც ციხის ნანგრევებმა, ღღევანდელობამდე მოაღწია. ვარნეთ'ში მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. კვირაცხოველობას ერკოტელები ჩამოდიოდნენ ამ ეკლესიაში. მე-19 საუკუნეში დადიოდნენ ვარნეთელებიც. ერკოტიდან კვირაცხოველობამდე ძველი ნაგ'საური ჩანს, იმდენად ვიწროა ***კვირაცხოველობის გზა***, რომ საურმეს ვერ ეტყვი, უფრო სამარხილე გზა უნდა იყოს, აღმართ-დაღმართიანი და ფერდობ'ზე გამავალი. ეს გზა გაივლის ღელე'ზე, სადაც არის ***ხარის საწოლიც (ხარისაწოლი//ხარის საწოლები)***. ღელე ჩამოდის ***ინასათიბიდან***, ჩადის ერკოტასა და ვარნეთს

შუა, ჩადის ვარნეთში და უერთდება *ერკოტის ღელეს* ვარნეთის ტერიტორიაზე და ერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

კვირაცხოველობის გზა, — იხ. კვირაცხოველობა.

კიბია, — იხ. ვარნეთი.

კლდეკარი, — გზა. კლდეკარი იყო *ერკოტისა* და *ვარნეთის* საზღვარი ერკოტელას ღელეში. კლდეკარს ისეთ ადგილს უწოდებენ, სადაც წყლისგან არის გაჭრილი კლდე, სადაც გადის გზა, კლდეკარი შეიძლება იყოს ხელოვნურად გაჭრილი კლდეც, ოღონდ გზა უნდა გადიოდეს.

კომუნის სახლები, — ნასახლარი. ჭურას თავსა და *კურდღლის თავს* შორის დაფერდებული ადგილია, სადაც ეტყობა ფუძეები, ნასახლარი. გადმოცემით 1926 წელს ერკოტაში შექმნეს კომუნა ოთხმა ოჯახმა. თავკაცობდა ერთ-ერთი ბერიძე. ეს ოჯახები, მაშინდელი აგიტაციის შედეგად, გამოეცალა სოფელს, ავიდნენ ჭურაში და იქ დასახლდნენ. მართალია, მათი კომუნა მხოლოდ 2 წელიწადს არსებობდა, შემდეგ დაიწყო კოლექტივიზაცია და კომუნებიც დაიშალა, მაგრამ ამბავი იმდენად უცნაური იყო, რომ ადგილს შემორჩა ეს სახელი. კომუნის წევრებს წისქვილში საერთო მინდი ჰქონდათ. საერთო იყო მათი ყანები, სათიბი, სათესი. აკეთებდნენ ერთიან საჭმელს, ერთად ჭამდნენ. ინფორმატორი მომსწრეა კომუნის ზოგიერთი წევრისა და მათგან იცის ეს ამბავი.

სახლი იყო მიწური, როგორც ყველა სახლი მაშინდელ მესხეთში. გააკეთეს დიდი საქვეები. საქვე იყო კედლის გასწვრივ მიშენებული ხის გრძელი საწოლი.

კოპლიანთ ყანა, — ყანა. ზურგანას ყანასთან იყო კოპლიანთ ყანა. კოპლიას ეძახდნენ ევგენია ბერიძეს. ყანა მას და მის შთამომავლებს ეკუთვნოდათ.

კორანთა ხევი, — იხ. ბერიები.

კორკოტაანთ ბაღები, — იხ. გალმა ბაღები.

კორკოტაანთ გალმა ბაღები, — იხ. გალმა ბაღები.

კორკოტაანთ უბანი, — იხ. ერკოტა.

კორკოტიენთ სახლები, — იხ. ოქროპონთ სახლები.

კორკოტიენთ ყანები, — იხ. ფონა.

კუდაშარიფას ჭალა, — იხ. კუდაშარიფა.

კურდღლის გორა, — იხ. საკურდღლე.

კოწახურა, — ყანები. *გალმა ყანებისა* და *ფხაკოს* მიმდებარე

ტერიტორიაზე არის ყანები, მოვაკებული ადგილია კოწახურა. ყანებს შორის ხლვრებში იცის კოწახური და სახელიც ამიტომ შეერქვა. ს. ჯიქიას დამოწმებული აქვს მე-19 საუკუნის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ***კოწახურა*** არის მთა, გორა და ის დასახელებილია ერკოტის რელიეფის დასასაბუთებლად: „Пона пуари (ფუარ თურქ. პიარ „წყარო"), на возв—ушенном месьте под подошною горы **Керкеда**, над оврагом **Уканхеви** и против горы ***Коцахура***.. (ს. ჯიქია, 1958, გვ.190)".

გაღმა და გამოღმა ბაღები განისაზღვრებოდა ფონას წყაროს მიხედვით. ფონას წყარო მიედინება ***ერკოტის ღელისაკენ, ვარნეთის*** მიმართულებით. ამ წყლის მიხედვით ***ერკოტის მხარის*** ბაღები არის ***გამოღმა ბაღები***, ხოლო წყლის გაღმა არის ***გაღმა ბაღები***. აშკარაა, რომ ერთი და იმავე ობიექტზეა საუბარი. ეტყობა, ყანების გარდა, გარშემო მთა-გორებსაც კოწახურა რქმევია მე-19 საუკუნეში.

კუდაშარიფაი, — ტყე, ჭალა. ეს იყო ***საკარის*** გაკრძელება და ***თავშავის*** დასავლეთი ნაწილი. ალაგ-ალაგ სათიბებიც არის, აქვე, ჭალასთან ახლოა ***ყაჩაღების ბუნაგი***. ***კუდაშარიფა*** კომპოზიტური მეტსახელი უნდა იყოს ადამიანისა. შარიფა იქნებოდა ადამიანის სახელი და მას რაღაც თვისებების გამო დაერქმეოდა კუდაშარიფა. კუდა მეტსახელად ბევრგან გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ეშმაკ კაცს ეტყვიან კუდას. სახელის კომპოზიტურობამ განაპირობა, რომ ადამიანის საკუთარ სახელს მაწარმოებელი არ დაერთო და ისე მოხდა ნომინაცია. კუდაშარიფას ***კუდაშარიფას ჭალასაც*** უძახიან.

კუდაშარიფას ჭალა, — იხ. კუდაშარიფას ჭალა.

ლამაზი წყარო, — წყარო. ეს არის ***ზედამთის*** წყარო, რომელსაც მაჰმადიანურ გარემოში შეეცვალა სახელი და ***გეზალე*** ეწოდა. მოხდა სახელის თარგმნა, თუმცა მესხურისათვის დამახასიათებელი ნახევარხმოვანი ხმოვანფუძიან სახელთან მაინც გაჩნდა.

ლაშკარა, — იხ. მელაჯვარა.

ლაშხევი, — იხ. საკურდღლე.

ლაშხევის ღელე, — იხ. საკურდღლე.

ლეკთა ხევი — იხ. ყანისი.

ლეკმიწა, — იხ. ლეკმიწები.

ლეკმიწები, — ნასოფლარ ერკოტის ჩრდილოეთით არის ***ლეკ-***

მიწა, რომელსაც *ლეკმიწებსაც* ეძახიან. აღგილობრივია მტკიცებით ლეკმიწის ეტიმოლოგია უკავშირდება ლეკებს: „ლეკები შემოსეულან, ის მიწა აუოხრებიათ და *ლეკმიწებს* ეძახიან“. იციან აგრეთვე, რომ ლეკი არის მცენარე. ლეკმიწებს დასავლეთით ესაზღვრება *ინასათიბი* და *ნაგუთნები*, ხოლო ქვევით, ჩრდილოეთით – *გვალა//გვალაი*.

ალექსი ბერიძის აზრით (ალექსი ბერიძე პროფესიით გეოლოგია) ლეკმიწა კი არა და უნდა იყოს *ლექმიწა*. „მთლიანად ეს ტერიტორია არის დანალექი მასალა, სადანაც არის მოტანილი სილა, თითქოს გადმოსროლილი მასალაა. ასეთი მიწა დადეშშიც არის. ეს დალექილი მასალა ზოგიერთ ადგილში 50 მ. სისქის ფენაა, ზოგან ჩარეცხილია. ამ დანალექ მასალაში არის ოფსიდიანის ქვარგვალები. ერთხელ ვნახე ირმის რქაც, ნახევარი რქა იყო. ამ მიწაზე იყო წყარო, რომელიც ნიაღვარმა წაიღო და დაიკარგა. ვთხარეთ მიწა, ვეძებეთ წყარო და ვნახეთ. თხრის დროს რაღაცას მოვედო კირკა, გამოვიღეთ რქა 10 მეტრი სისქის ქვემოდან, დავჭერით და დანის ტარი გავაკეთეთ. ლეკმიწებში წყლები გამოდის. იქიდან გამოსულ წყლებს თავს უფრიდნენ და იმით რწყავდნენ. როგორც ჩუნჩხა-პრუნის ქვემ ნიაღაგის ერთ სისტემაში ჩამოდის წყალი. ასეა ერკოტაში, როკეთში, დადეშში, ზედში. ეტყობა ვულკანური განფენია. ზოგან ამაღლებული მთა აწევს სემოდან. ესენი ნაგვიანები ვულკანებია“.

ლეკთან დაკავშირებით და მისგან წარმოქმნილ ტოპონიმებზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგჯერ შეიძლება ეთნოტერმინი იგულისხმებოდეს ჯავახეთში *ლეკიანთ ბაღებისა* და *ლეკინაჩეხის* შემთხვევაში, ხოლო ლეკის ხეების (რუსთავი) და ლეკმიწების (ერკოტა), შემთხვევაში ლეკი მცენარეს უნდა გულისხმობდეს: „ლეკი ხე თეთრი ხეა. ამ ხისგან ჭურჭელს ამზადებენ. ლეკიხეს ლეკაც ჰქვია“ (ბეთქე, 2008წ:131). შესაძლებელია არც ლეკინაჩეხში იყოს ეთნოტერმინი ლეკი, რადგან მოსალოდნელია, ამ დროს მსახლველ-სახლვრულის პოსტპოზიციურ ფორმასთან გვქონდეს საქმე. ლეკინაჩეხი ნიშნავდეს არა *ლეკის ნაჩეხს*, არამედ *ნაჩეხ ლეკს*.

ლეკმიწებში გამოდიოდა ოცამდე წყარო სხვადასხვა ადგილზე, სამწუხაროდ, ცალცალკე სახელები არ ახსოვთ. ყველას ერთად კი *ლეკმიწის წყაროს* ეძახდნენ.

ლეკმიწის წყარო, — იხ. ერკოტულა.

ლენინის თავი, — გორა. ვარნეთის თავზე საროყაფანს აქვს თავი, რომელსაც *თავკალო* ჰქვია. მოშიშველებული თავი ასპინძიდან კარგად ჩანს. ამ მოშიშველებულობის გამო, ირონიით, სულ ბოლო დროს (მე-20 საუკუნის 80-იან წლებში) შეარქვეს ის სახელი.

ლეკმიწა, — იხ. ლეკმიწები.

ლოდის ყანები, — იხ. ბერიები.

ლომიასეული, — ყანები. სოფლის ძირში, ჩრდილოეთით, რამდენიმე ჰექტრიანი ყანა იყო. დღეს გაკორდებული ადგილია. სამცხე-ჯავახეთში -ეულ დაბოლოებიანი ტოპონიმები გვხვდება, მაგრამ დღეისათვის დიალექტს აღარ ახასიათებს მსგავსი წარმოება. ლომიასეულთანაცაა *ღვდლიყანა.* რომელი მღვდლისა იყო არ იციან.

მაკენას ოქრო, — ხევი. კვარანთის ხევის, ერთ-ერთ ადგილს სულ ბოლო დროს შეერქვა ეს სახელი კიროფილმში გადაღებული ადგილების მიმსგავსებით და ანალოგიით.

მანასასეული, — ყანა. სკოლიყანების ბოლოში არის *ბაღდვიენთ* (ხატიძეები) *ყანა* 90 მეასედამდე, რომელსაც ასე მოიხსენიებენ. ვინ იყო მანასა არ იციან.

მარკოზას წყარო, — იხ. სურგანა.

მალაზიის კარები, — მოედანი. ჭიტელიენთ (სოფ. ოთაში გადასული ბერიძეების შტო) *კარმიდამო* იქცა მაღაზიის წინ მდებარე ტერიტორიად, რის გამოც შეერქვა სახელი.

მალარიები//ქვაბები, — გამოქვაბულები. ამ სახელებით ცნობილია გამოქვაბულები, დადეშიდან ერკოტისაკენ მიმავალი გზის, *გზაგაიარას* თავზე. გამოქვაბულების ქვეშ არის *ქვაბიძირი.* მაღარიების ერთ გამოქვაბულს *სათხე* ჰქვია (იხ.). მაღაროები და გამოქვაბულები (ქვაბები) მესხეთში პარალელურად იხმარება, ოღონდ გვაქვს *მალარა* და არა მაღარო, რის გამოც არის, რომ ველებულობთ ფორმას მაღარიები მაღარაები. მაღარიებს ქვაბების გარდა *ერკოტის ქვაბებსაც* ეძახიან.

მალარიძირები, — იხ. ქვაბისძირი.

მალარისძირები, — იხ. ქვაბისძირი.

მეისი, — იხ. ვარნეთი.

მელაჯვარა, — საძოვარი, გზა. ორი გზა მოდიოდა დადეშიდან ერკოტამდე. ერთი გადმოიქცეოდა *გადაკვეთილაზე,* მეორე გამოდიოდა *ძველი დადეშიდან,* გამოიცლებოდა *მელაჯვარას,* მერე *ქვაბისძირს* და შემოვიდოდა სოფელში. მე-

ლაჯვარაში არის ბორცვი, რომელსაც ***მელაჯვარას გოლგოთი*** ჰქვია. შეიძლება იქ სასაფლაოც იყოს. ის მოშორებული ადგილია დასახლებული პუნქტებიდან, ძველი დადეშიდან და ერკოტიდან. ამიტომ თუ აქ სასაფლაო იყო, ნასოფლარიც უნდა ყოფილიყო ახლო-მახლო, რომელიც გამქრალია.

გაღმოცემით მელაჯვარას გოლგოთაზე ქვის ჯვარი იდგა.

ინფორმატორთა მტკიცებით სახელი ცხოველს, მელას, არ უნდა დაუკავშირდეს, რადგან ჯვარია და წმინდა ადგილია. უფრო ქალის სახელს მელანოს, მელანას უკავშირებენ. ერკოტაში იცნენ ამ სახელის მატარებელი ქალები, რომელთაც მოფერებით ***მელოს*** ეტყოდნენ. თუ მელოა, შეიძლება მელაც იყოს მოფერებით.

ჯვარი ბევრი სოფლის ტოპონიმიაში დომინირებს და ეს ბუნებრივიცაა, ბევრი მათგანი გზასთან არის დაკავშირებული, თუმცა არის სხვა კომპონენტებიც. მაგალითად მოვიყვან დრელ-საფარას შორის არსებულ ტოპონიმს: *„**საფარივაკის** ქვემოთ, ჩრდილოეთით არის **უბნის წყარო**. ხოლო მის აღმოსავლეთით, ვიდრე საფარას გადავხვევთ, ამოდიოდა **ლაშკარადან** გზა, გზაჯვარედინი იქმნება და ამ ადგილს **საჯვარე** ჰქვია. საჯვარიდან 200-ოდე მეტრია იმ ადგილებამდე, სადაც პირველად გამოჩნდა საფარა. საჯვარე ჰქვია გზას ლაშკარას შესაყართან (მინაძიდან ამოდის). **საჯვარეს საფარის გზა** ჰყოფს ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ნაწილად. გზიდან მის ქვედა მხარეს დგას მუხა, მიმდებარე ტერიტორია არის ტაფობი. ბორცვზე, რომელზეც მუხა დგას, ნასახლარი ეტყობა. **საჯვარის** ცენტრად აღიქმება ბორცვი მუხით (მ. ბერიძე, ლრელის საყარის და ლაშიხევის ტოპონიმია, ახალციხის ინსტიტუტის შრომები, I, 2008წ. გვ31)“.

სოფ. ქუნცის შესასვლელში არის ბორცვი, რომელსაც ***ჯვარი*** ჰქვია და ბაღები სახელით – ***ჯვართუკანები***. ამ ადგილზე ქვის ჯვარს მიუთითებენ.

მელაჯვარას გოლგოთი, – იხ. გოლგოთი.

მიხვეილა, – იხ ფხაკო.

მოდრეკილა//მოდრეკილაჲ, ფერდობი, ნაყანარი. მოდრეკილა იწყება სოფლის ზედა დასახლებიდან ზემოთ, ***საბადურსა*** და ***ინასათიბს*** შორის. ***ქვედა ყანები*** ბევრი იყო, 7-8 ყანა, ყართობითაც მეტი და გაშლილი. ეს ყანები შუაში

მოხრილი და ბოლოებში ვიწროა. ფერდობში არის ისეთი, რომ შუაში შეწოლილია შიგნით და ყანის ფერდები ჭრთებიით არის. ნახევარმთვარის, ნალის ჭორმისაა, მოდრეკილია. ზოგი ინფორმციით მოდრეკილას *ბრუდეყანასაც* ეძახიან.

მოდრეკილაი – იხ. მოდრეკილა.

მოდრეკილას დასაქანი – იხ. დასაქანი.

მოკრილჭალა, – ჭალა. მოკრილი მესხურ დიალექტში შეღობილს, ყორეშემოვლებულს ნიშნავს. ჭალა, რომელიც შემოსღუდულია ყორით არის მოკრილჭალა. იხ. გორაი, ჭალის ყანა.

მოსისხლე ხევი, – იხ. ყანნისი.

მოხვეილა, – იხ. ფხაკო.

ნაგუთნები, ყანები. ბასტიას კლდის თავზე მოყაკებული ადგილია, მას *გიგოლას ყანა* ჰქვია, რომლის გაგრძელებაც *ლეკმიწების* დასავლეთით არის *ნაგუთნების ყანა.* მას ნაგუთნებიც ჰქვია. ნაგუთნებში იყო *ეგენას ყანა* (ბერიძე).

ნაგუთნების ყანა – იხ. ნაგუთნები.

ნალეკი, – იხ. ვარნეთი.

ნაორები, – იხ. გვირგვინი.

ნაფუზარი, – *ვაკე. ახორტყის* დაბლა, დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით მოვაკებული ადგილია, რომელსაც *ნაფუზარი* ჰქვია, მაგრამ *კალოებსაც* ეძახიან, რადგან აქ ყველა გვარს თავისი კალო აქონდა. „მახსოვს ექვსი კალო რომ იყო ამ ადგილზე და ილეწებოდა“. ამ კალოს ხარი აჰყავდათ ახორტყეში საძოვრად და ღამის გასათევად. ნაფუზრებში იყო შემდეგი კალოები: *გიგოლაანთ კალო* (ბერიძეები), *სოსანაანთ კალო* (ბერიძეები), *ქუჩიანთ კალო* (ტიეაძეები), *ქუჩეჩაანთ კალო* (ცალქალამანაძეები), *ჯრათლიენთ კალო* (ბერიძეები), *ჰალაჯიანთ კალო* (ბერიძეები).

ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით „ნაფუზარი იგივე *ქვაბიძირია,* იგივე *გრძელი ყანებია* და იგივე *დიდი ყანებია*“.

ნაფუზარის ყანა, – იხ. საკირე.

ნაქურთალი, – იხ. განიგზა, თხილიყანები.

ნალება, – იხ. სანამქრე.

ნიალის ველი, – იხ. აგარული ნაცხი.

ნიალის სანამქრეები, – იხ. სანამქრე.

ნუსხაყანა, – *ყანა.* მაღაროების ძირზე. სამკუთხედის ფორმის

ყანა იყო და იმიტომაც შეარქვეს სახელი.

ორგორა, — იხ. ბერიები.

ორთახევი, — ხევი. ყანნირის წყლისა და ***ბერიების წყლის*** შესართავს ჰქვია ***ორთახევი,*** რომელიც შემდეგ შედის ორგორა-სახუდაბელს შორის.

ელგუჯა ბერიძის (დაბ. 1934წ.) თქმით, ორთახევს ***ორხევიც*** ჰქვია: „***ცხრაკენჭას*** წყალი ჩამოდის ჭურახე, ჩამოიყლის ჭურას და ***ორხევში*** უერთდება ***ბერიების წყალს***“.

ორხევი, — იხ. ორთახევი.

ოსკერია, — იხ. ერკოტა, საქორის თავები.

ოსმანასეული, — იხ. ბრუდეყანა.

ოსმანასეული ყანა, — ყანა. ეს ყანა ***სკოლიყანებთან*** არის ახლოს, ერთიმეორეს მოკიდებულია სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ ყანებს ფლობდნენ ბერიძეები, რომელთაც გვარში ოსმანა არ ახსოვთ. ეტყობა ვინმე ოსმანასგან არის შეძენილი. ყანა დაგრეხილია, ამიტომ ***ბრუდეყანასაც*** ეძახიან.

ოქოონთ სახლები//ოქრუანთ სახლები, — ნასახლარი. ოქოონი იგივე კორკოტიენი იყვნენ, ამიტომ ***კორკოტიენთ სახლებსაც*** უწოდებდნენ ამ ადგილს.

ოქრუანთ სახლები, — იხ. ოქოონთ სახლები.

ოლიაური, — იხ. ყარნეთი.

პაკოსები, — კლდე. ზედა მთაზე ბებრის კლდის ჩაყოლებაზე ბებრის კლდისაგე ნაწილია ფრიალო, მაღალი კლდე, რომელსაც ***პაკოსები*** ჰქვია. იგი თითქოს სოლივით არის ამოსული მიწიდან. გეოლოგი ინფორმატორის ა. ბერიძის თქმით — „კლდის მასალა მკვრივია, უფრო ბაზალტია, ეტყობა კლდე დაიშალა, ნაწილი გადაფარა მიწის ფენამ, ნაწილი ისევ დარჩა“. ***პაკოსების კლდის ძირში*** მუდრო ადგილია, ამიტომ ერკოტელები მთად რომ ადიოდნენ პაკოსების კლდის ძირში ჰქონდათ ბინა, საქონლისა და ცხვრის სადგომები იყო გაკეთებული. ***პაკოსების*** დასავლეთი მხარე არის ფერდა, რომლის სიმაღლე ზოგან 16 მეტრია, აღმოსავლეთით ჩამოჭრილია. ამ ტერიტორიაზე ქარი მთელი წლის განმავლობაში დასავლეიდან აღმოსავლეთისაკენ უბერავს, ამიტომ პაკოსები არის ბუნებრივი საფარი.

პაკოსების კლდის ძირი, — იხ. პაკოსები.

პანტები, — იხ. გვალიტყე.

პატარა გორა, — სასაფლაო ჭურაში.

პირდაპირაი, — ***ფერდობი.*** სოფლის მოპირდაპირე მხარე აღმოსავლეთით, ჭხაკოს ხევიდან.

პორფილას წყარო, — იხ. ერკოტულა.

პტენის მთა, — იხ. ირმისრქა.

რგვალი ტყე, — იხ. გვალიტყე.

როკეთი, — იხ. ბერიები.

როკეთის ზიარეთი — იხ. ზიარეთი.

როსტომიენთ კალო, — ***ნაკალოარი.*** სოფლის ტერიტორიაზეც იყო კალო, რომელიც ჰალაჯიენთ (ბერიძეებს) ეკუთვნოდა. მათ ერთ ნაწილს როსტომიენთაც ეძახდნენ.

რუსთავი, — ***სათავე.*** იოსებ (სოსო) ბერიძის მტკიცებით ***რუსთავი*** არის ერკოტაში, ოღონდ ის არ არის მნიშვნელოვანი პუნქტი. ***რუსთავი*** ერქვა ***ბერიებსა*** და ***უნაგირას*** შორის, უნაგირადან დასავლეთით, სადაც იყოფოდა არხის წყალი ***ვარნეთისა*** და ***ერკოტის*** მიმართულებით.. ვარნეთი ნასოფლარია, იქ მაქმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. დღეს ერკოტაც ნასოფლარია, იქაურები მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ასპინძაში ჩამოასახლეს.

ეს არხი იწყება ბერიებიდან, მოჰყვება ტყეს უნაგირას გადაღმა, ***ბერიების ტყეს*** სჭრის შუაზე, გადმოივლის ***სხალნარის თავზე*** და გადმოდის ნასოფლარ უნაგირასე. არხში ღის გრძელი ჭალის წყალი, საიც ბერიებიდან ჩამოდის ნაწური წყალი და ავსებს არხს. ***ცხრაკენჭას*** წყალი აქ არ ჩამოდის, ის ჩადის ***ხევიჭალებზე.***

ამ ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი არხია. ერთი მოდიოდა ბერიებისკენ ***გრძელიჭალიდან,*** მეორე ჩადიოდა ***დადეშში*** და როკეთის მხარესე, ხოლო, ვარნეთისა და ერკოტას სახიარო არხი ჰქონდათ. არხი ახალი ტერმინია, ის შემოვიდა კოლმეურნეობის დროს და ძირითადად ადმინისტრაცია ხმარობდა. არხს ხალხი რუს ეძახდა. არხი ანუ რუ ხელოვნურია. მას გარშემო ქვა ჰქონდა ჩარიგებული და ამ ქვებს შორის მიდიოდა წყალი. ამ ყვცლა რუთაგან გამორჩეულად ***რუსთავი*** ერკოტა-ვარნეთისკენ მიმავალ რუს ჰქონდა.

რუსპირი, — ***მინდორი. რუსთავის*** შემდეგ, ***ინასათიბის*** მიმდებარე ტერიტორია, სადაც იყოფა რუ. შეიძლება შეგვეხვდეს ***რუპპირი*** ფორმითაც. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნაწერილი მაქვს ამაეე ადგილებში ***რუჰყანა.***

რუპპირი, — იხ. რუსპირი.

რუჰყანა, — იხ. რუსპირი.

რძიანა, — გორა. დღევანდელი სოფ. ***ივერიის თავზე,*** მის გარშემო იყო სახნავ-სათესი ფართობები. ასპინძიდან მიმავალი გ'ზით, ივერიის შემდეგ, ავდივართ ***რძიანაში.*** სახელს ეძახიან იმიტომ, რომ ამ მიდამოში რძიანა ბალახი იცის. ეს ბალახი პრასივით ისრდება, გადატეხვისას თეთრი სითხე რძესავით გამოსდის.

საბადური, — ტყე. ნასოფლარ ერკოტის სამხრეთით ***ჩიტიწყაროს*** გვერდით არის ტყე, რომელსაც ***საბადურს*** უწოდებენ. ერკოტელი იოსებ ბერიძის(70 წლის) თქმით სოფელში ჰყვებოდნენ ერთ ამბავს: „ერკოტელი ქიტესა ბერიძე იყო, ვაჟკაცი კაცი, გააფრთხილეს, თათრები მოდიანო. დიეცემიან ***მოდრეკილას*** (ნასოფლარია დღეს). ამბავი მოხუც ქალმა მოუტანათ, ქალი შეუსყიდიათ, რომ შენ გამოიყვან გოგოს ***ჩიტიწყაროზე, საბადურიდან*** დახურულია და არ ჩანს დამალულები. ქიტესა გაათხრევინებს იამას, თოფებს ჩააწყობს, ესვრის და ნახოცავს თათრებს". საბადური ტყიანი, „დახურული" ადგილია, ჩიტიწყარო კი როცა წვიმიანია მაშინ გამოდის. მოდრეკილას აღმოსავლეთით არის ჩიტიწყაროც და საბადურიც. ჩიტიწყაროზე ხშირად ფრინველები იკრიბებოდნენ, წყალს სვამდნენ. საბადურში შაშვი, გნოლი, კაკაბი იყო სავსე.

საბადურის შესახებ ალექსი ბერიძისგან ჩავიწერე შემდეგი: „საბადური არის ერკოტის სამხრეთით ფერდობიანი, ტყიანი ადგილი. ტყის სოფლის მხარის ნაწილი არის პანტიანი და მუხიანი, ზედა ნაწილზე ვიდრე ფერდობის თავამდე ავიდოდეთ, სადაც სერის დაბოლოებაა, ხარობს რცხილა, ნეკერჩხალი, ვერხვი. ***საბადური*** არის ქედის აღმოსაველეთი ნაწილი, ხოლო დასაველეთის მხარეს ჰქვია ***საკურდღლე.*** ქედის გასწვრივ ტერიტორიას კი ჰქვია უნაგირა. ***ჩიტიწყარო*** არის საბადურის ბოლოზე, ერკოტიდან მიმავალ გ'ზაზე. ეს წყარო მუდმივი წყარო იყო, დაკმისობოდით ბავშვობაში და გაეგრილდებოდით ხოლმე. დაიკარგა, აღარ დის, მხოლოდ გაზაფხულობით ნაკურის სახით გამოდის". ასევე არის საბადური ახალციხის რაიონის სოფ. ტყემლანის თავზე, იქაც ტყეა, გამოდის წყარო და მასაც ჩიტიწყარო ჰქვია.

საბადური სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ბადის მისადგამი ადგილი (ორბელიანი, 1966: 21)". ბადის „მიმდგმელს" მებადური ჰქვია. მებადური, როგორც წესი, მეთევზის სინონიმია, ამიტომ ბადეობა, ბადით ნა-

დირობა, თევზის ჭერას ნიშნავს, მაგრამ ბადე იყო სხვადასხვა სახისა. „ბადე არის თევზთ შესაპყრობელი“ და აგრთვე არის შესაპყრობელი **ფრინველთა**: აშრიალი,ოჯიჯი, სასირე, ჩიტბადე, ტრედბადე; მრავალრიგნი არიან (ორბელიანი, 1965: 93)“. ***საბადური,*** როგორც ერკოტაში, ისე ტყემლანაში, თევზის ჭერასთან არ არის დაკავშირებული. იგი ფრინველზე სანადირო ადგილი იყო, რასაც ***ჩიტიწყაროც*** ადასტურებს.

ჩიტიწყაროს ფრინველთა სიმრავლის გამო შეერქვა სახელი. ამ სიმრავლის გამო ნადირობდნენ კიდეც ბადით.

საბადურის თავკალო, – იხ. თავკალო.

საბანიებელი, – იხ. ვარნეთი.

საბიე, – იხ. ვარნეთი.

საგაროვი, – იხ. ვარნეთი.

სათუთას წყარო, – იხ. ბერიები.

სათხე, – გამოქვაბული – დადეშიდან ერკოტისკენ მიმავალი გზის თავზე ერკოტის მხარეს არის გამოქვაბულები. სულ არის სამი გამოქვაბული. დადეშიდან ერკოტის მიმართულებით, პირველ გამოქვაბულში ერთი ქვაბია, მეორეში არის სამი ქვაბი, ხოლო მესამეში – ორი ქვაბი. ჩამოტანილი მიწით სავსეა მეორე და მესამე გამოქვაბულები, პირველი უკეთესად ჩანს. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სამიეე კარგად ჩანდა, პირველი გამოქვაბული, რომელიც დღესაც კარგად ემჩნევა ყველს, შედარებით უხეშად, „უკულტუროდ“ არის ნაკაფი. ***სათხე*** ჰქვია მესამე ჯგუფს ქვაბებისა, ეტყობა ვიღაცა თხებს რეკავდა შიგ. ***ქვაბებს*** საერთო სახელადაც მოიხსენიებენ. შეიძლება ***ერკოტის ქვაბებიც*** ოქვან.

ჯავახეთში გეხვდება სოფლის სახელად ***სათხე,*** რომელიც ცნობილია თავისი ძველი კულტურის ძეგლებითა და ისტორიით (იხ. ბერიძე, 2010: 44-56).

სათიხე, – ფერდობი – სოფლის აყოლება ტერიტორია, ვიდრე ჩიტიწყარომდე მივალთ, გზის ნაპირია. თიხიანი ადგილია და ამიტომ შეერქვა სახელი.

საკარე, – ტყე. სხალნარში არის ***ზედა გვალტყე*** და ***ქვედა გვალტყე.*** ამ ***გვალტყეების*** დასავლეთით არის დაბურული ტყე, რომელსაც ჰქვია ***საკარე.*** სხალნარიდან დასავლეთით, ***საკარის ტყის*** გაგრძელება მთავრდება ***თავშავით.*** საკარიდან არის ***ძველი საურმე გზა*** თავშავაზე. სა-

კარეს ***საკარის ტყესაც*** უწოდებენ. ეს ტყე გამორჩეულია დიდი ხეებით. ძირითადად მუხნარია. შეიძლება ერთ დროს იყო წიწვნარიც. ტყეს ხშირად იმის მიხედვით ახასიათებდნენ, თუ რისთვის შეიძლება გამომდგარიყო იქ მოჭრილი ხე მასალად. ასეთი ადგილები იყო ტყეში ***საყავრე***, სადაც ქავარისთვის საჭირო მასალა მოიპოვებოდა, ან გამოიხდებოდა ქავარი. ასევე მიუთითებდნენ ***საკეერე*** მასალას ან საკეერე ადგილს ტყეში. კეერი რომ გამოეცნანათ ფართო ფიცარი იყო საჭირო და შესაბამისი დიამეტრის ხე. ზოგიერთი კეერი ორი ფიცრისგან იკერებოდა, უკეთესი იყო, ერთი ფიცრით გაკეთებული კეერი. ტყეში ხეების შერჩევა ხდებოდა. სპეციალურად ეძებდნენ ხეს თაფლორი ურმისათვის. თაფლორი თივის მოსატანი დიდი ურემია, რომელსაც შუა წელში უკენია გოგორები და სპეციალური ხისგან გამოთლილი საცერავი. ამ ნაწილისათვის ეძებდნენ ისეთ ხეს, რომელიც ფერდობზე ხარობდა და ძირითადი ფესვი ხის ვერტიკალურად შედიოდა ფერდობში. ასეთ ნაწილს კუთხის გადაბმა არ დასჭირდებოდა. ***საკარის ტყე***, ინფორმატორთა აზრით, ისეთი ტყეა, სადაც კარისთვის საჭირო ფიცარს რომ გამოიღებდნენ, ისეთი ხეები ხარობს.

ადამიანისა და ტყის ურთიერთობისათვის საინტერესოა ინფორმატორის შემდეგი მონათხრობი: „ერთი ბერიძე ნიკოლოზა იყო, ტყეში რომ შეეიდოდა, ნახავდა ტოტისგან ან ხისგან, ვთქვათ, კარგი ფიცხის, ბარის სატარე ან საულელე გამოვიდოდა, არ მოჭრიდა. სიცოცხლეშივე ფორმას აძლევდა, ზედმეტს შეაჭრიდა, მისთვის საინტერესო მიმართულებას მისცემდა, რომ მომაყლისათვის მისგან საჭირო იარაღი გამოეთალა. იგი ამარაგებდა არამარტო სოფელს საჭირო იარაღებით, ჯავახეთშიც მიჰქონდა გასაყიდად. განსაკუთრებით ფასობდა ურმის ნაწილები (შდრ. საძელი (მ. ბერიძე. საძელი, „გ'ულანი" №3(7), 2009წვ. 17-21)".

საკარის ტყე, – იხ. საკარე.

საკერე, – ნიადაგი – ნაფუზართან, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ***ნაფუზრის ყანის*** დაბოლოებაზე არის თეთრი ფერის კირიყანი ნიადაგი, საიდანაც კირს იღებდნენ და გადმოწვავდნენ ხოლმე ფურნეში, ცეცხლში. კირი ძირითადად გამოიყენებოდა ქვით ამოშენებული ორმოების ამოსალესად და სამშენებლოდ. ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს საკირე.

კირის ადგილები იყო ***წყორძასა*** და ***შურდოში,*** მაგრამ კირის გამოსაწველი მასშტაბური საკირეები არ შეიმოგვრნენია. ბოლო დროს დიდი ეკლესიები აღარ შენდებოდა, ასევე ვეღარ პატრონობდნენ ციხე-სიმაგრეებს, რომ იქ სამშენებლო სამუშაოები ჩაეტარებინათ, ხოლო საცხოვრებელი სახლებისათვის კირს არ იყენებდნენ. საცხოვრებელი ძირითადად მიწური ტიპის სახლები იყო დიდი ქვებითა და თიხატალახით ნაშენი. იყო შემთხვევები, როდესაც სახლებს ნაკელითაც კი ლესავდნენ. მთავარი იყო სითბოს შენარჩუნება.

საკირის თავი, — ტყე. ***საკირის ტყის*** თავია, ***აბრამას თავის*** გაგრძელება..

საკურდღლე, ტყე, — მინდორი. კურდღელი ბევრი იცოდა ერკოტაში. საერთოდ არ იყო ამ მხარეში ტყურა, მაგრამ მომრავლდა მე-20 საუკუნის ბოლოს. ტყურამ თანდათან გაწყვიტა კურდღელი. საკურდღლე ეწოდება ***საბადურის*** დასავლეთ მხარეს. მენხერი, ფოთლოვანი ტყეა. კურდღლის სიმრავლეზე მიუთითებს სხვა ადგილებიც, მაგალითად, ***კურდღლის გორას*** ეძახიან მომაღლებულ ადგილს. იგი მდებარეობს ერკოტასა და დადეშს შუა ჩამავალი ღელის, რომელსაც ***ლაშხევს*** (***ლაშხევის ღელეს***) ეძახიან, მარცხენა მხარეს. აქ ისეთი ადგილია, „არსად რომ კურდღელი არ ყოფილა, აქ არ ასცდებოდა“. ეტყობა ან ბალახია ისეთი, ან თავს კარგად აფარებს კურდღელი და იმალება. არის აგრეთვე ***კურდღლის თავი,*** ნასოფლარ ჭურას ტერიტორიაზე, ბერიების მხარეს. კურდღლის თავი ეწოდება არა კურდღლის „თავის“ გამო, არამედ ადგილის ამაღლებულობის გამო, რომ აქ არის „თავი“, გორა, რომელსაც მრავლად იცოდა კურდღელი. იხ. საბადური.

სალაჰკორდები, — სათიბი. ვარნეთის ტყეში, მის სამხრეთ მხარეს იყო ნაყანარები. სალა ადამიანის სახელი უნდა იყოს.

სანამქრე, — მთის ნაწილი. უნაგირას მთაზე ***დადეშულ ქოხებთან*** იყო სანამქრე. ქოხები დადეშულების — დადეშის მხარეს იყო, ერკოტელებისა — ერკოტის მხარეს. როდესაც მთას აქვს სწორი ზედაპირი, ზამთარში ქარი თოვლს ნაკლებად ტოვებს, მიაქვს ***სანამქრეებში,*** სადაც გროვდება დიდი რაოდენობით თოვლი. ნამქერი ხშირად 20 მეტრი სისქის ფენა იქნება. ასეთი თოვლის ბუნებრიცი

საცავი ბეერია ერუშეთის მთიანეთში. დიდი სანამქრეებია მუსხის ტერიტორიაზე, ვიდრე ***გუმბათამდე ავალთ,*** ირმის რქის დაბლა ჭობარეთის მხარეს, ***ყიმილეთში, ნიალის*** ზემოდან რამდენიმე სანამქრეა, აწყურს აქვს ურავლის ხეობაში ***მთა ნალება*** სანამქრიო, წყორძის ტერიტორიაზე ***შუაკარავში*** არის სანამქრე. იმის მიხედვით, თუ რომელ მთაზეა, სანამქრეც შესაბამისად არის სახელდებული: ***გუმბათის სანამქრე, ყიმილეთის სანამქრე, ნიალის სანამქრეები, შუაკარავის სანამქრეები*** და სხვა. სანამქრეში თოვლი დიდხანს რჩება, გვიან ჰაფხულამდე. სანამქრეები კეცბავს ხშირად წყაროებს. მის გარშემო თავისებური ალპური მცენარეულობა ხარობს.

გვირგვინზე არის ***დადეშელების სანამქრე*** და ***ქუნცელების სანამქრე.*** ზოგჯერ ორივეს ერთად მოიხსენიებენ ***სანამქრეებად.*** ქარი ნამღვილი შემოქმედია ამ დროს. ***გვირგვინის სანამქრეები*** მთას ამშვენებს, როგორც შუბლი, თვალები და წარბები.

სანამქრეები, — იხ. გვირგვინი, სანამქრე.

სართუმალაი, — ***ყანა.*** სხალნარში ვალოდიენთ (ბერიძეები) აქონდათ ყანები.

სარიჭალა, — იხ. ჭურას ჭალა.

სარიჭალები, — ***ჭალები.*** ჭურაში ყვითელბალახიანი ჭალაა და სახელი იმიტომ შეერქვა.

საროსყაფანი, — ***ნასოფლარი*** — ერკოტასა და ყარნეთს შორისაა ეს ნასოფლარი. ნასახლარი რომ ყოფილა, კარგად ეტყობა „სულ 7 ოჯახს უნდა ეცხოვრა". ***ყარნეთის ტყის*** მიმდებარე ტერიტორიიდან ამ ადგილამდე გამოდის რუ, რომელიც რუსთავიდან იყოფოდა. რუ ჩაუვლიდა ნასოფლარს. თავდაპირველად, როცა სოფელი იყო აქ, უფრო ადრე და პირველი იყენებდა ამ რუს, ვიდრე ყარნეთელები. გადმოცემით აქ, მაღალტანიან მუომარ ხალხს უცხოვრია. „მესხურ გადმოცემაში საროსტანიანი მაღალ კაცს ჰქვია, სარო იმიტო ჰქვია, საროს ტანისააო, მაღალი ხალხიაო. ამ ნასოფლარში მინახავს თონე ნაცრით სავსე და ყურნეც. აქვე ვნახე ხორბლის საჭყლეტი მოწყობილობა. ასეთი რამ ძალიან იშვიათია. ხორბლის საჭყლეტი ორნავ გულამოღებული ქვა არის, შიგნიდან ამოსუფთავებული. მას ახლავს ელიფსისებრი, კვერცხის ფორმის ქვა, რომლითაც იჭყლიტებოდა (ასეა!) ხორბალი. ხორბალს შეახმობ და მერე იჭყლიტება. ვლებულობთ

ჰერკულესის მსგავს პროდუქტს. ამ სოფელს წისქვილი შორს ჰქონდა, შეიძლება ასეთი ნახევარფაბრიკატს ამზადებდნენ. ასეთი ხორბლის საჭყლეტი მინახავს *ძველ როკეთში* (ა. ბერიძე)". ნასოფლარის ტერიტორიაზე ბევრი თიხის ნამტვრევია. ინფორმატორის თქმით *ყაფა* თურქული სიტყვაა და ნიშნავს *თავს*. სახელი კი მისივე თქმით უნდა გავიგოთ საროსთავი, ე.ი. მაღალი ხალხის თავები, რაც საეჭვოდ მეჩვენება.

მართლაც ბევრი „თაღი" ითარგმნა მესხეთში და იქცა „ყაფანად" ან „თაფად", მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს არა მაღალი თავის ხალხი, არამედ სარო იყო მცენარე, ასე ერქვა ადგილს და თავი, არის გეოგრაფიული ტერმინი. შდრ. *კურდღლისთავი, ჭურასთავი, აბრამასთავი* და ა. შ. ინფორმატორი წიგნიერი კაცია, ამიტომ, როდესაც მაღალი ტანის ხალხზე აკეთებს აქცენტს, ეს შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის" გაელენა იყოს.

„საროსყაფანს" ჰქონდა თავისი სასაფლაო ქვაყუთებისა. 90-იან წლებში ვიღაცეებმა გათხარეს, ძვირფასეულობას ეძებდნენ. ზოგი ინფორმატორის ცნობით – „საროყაფანის თაღზე არის კალო, სადაც ქართველთა კალო ულეწიათ ლეკებს (ო. ინასარიძე, გ. ბერიძე)".

საროყაფანის თავიკალო, – იხ. თაღკალო.

სატალაო, – იხ. ტალაგეერდი.

სატიკნე, – იხ. ჭურა

საფარის გზა, – იხ. მელაჯვარა.

საფარივაკე, – იხ. მელაჯვარა.

საქორის თავები, – საძოვარი. რძიანას ზევითა ფერდობებს ერკოტა-დადეშის მიმართულებით ჰქვია ***საქორის თავები***. გზის პირას უცებ ამაღლებული ბორცვიანი ადგილია. ამ ადგილზე ძირითადად ***ოსკერიის*** მხრიდან (დღევანდელი ***ივერია***) ქრის ქარი. ქორმა იცის ქარის საპირისპიროდ დგომა ჰაერში. არ ფრენს, თითქოს არაფერს აკეთებს, ამ დროს 100 მეტრზე ათვალიერებს კურდღელს, კაკაბს ან მწყერს, კარგად ხედავს ბუჩქებში, სად გაქრება თაგვი ან შაშვი, რომ დაეცეს და დაიჭიროს (ა. ბერიძე).

როგორც ეტყობა, ადგილს ***საქორე*** ან ***საქორია*** ერქვა. ხოლო „თავები" ბორცვების გამო ეწოდა ისევე, როგორც ბევრი „თაღი" ერკოტაში.

საყარაულო, – გზა. გზა გადის ერკოტიდან ზევლის მიმართუ-

ლებით. საყარაულო ჰქონია ***თორნეულსა*** და საკარეს შორის, ვიდრე მიჰყალთ ***ყანისის ღელემდე***.

„თაორის შემოსევის დროა ერკოტიდან ზველში გადაიოდა გზა. ვარნეთელები (მაჭმადიანები) ადიოდნენ, ჩასაფრდებოდნენ და ძარცვავდნენ ხალხს. ბევრი ერკოტელი ჩამოსულა სოფელში ნიჭხავ-პერანგის ამარა. სადამდე უნდა ვიყოთ ასეო, –უთქვამს ბიძანემს, შეუკრებია რამდენიმე კაცი, აუღიათ თოფ-იარაღი, ასწელან და უკარაულიათ. ორი კაცი მოუკლიათ, ისინი იქვე დაუმარხიათ, ბიძანემი დაიჭრა ამ ბრძოლაში და დაკოჭლდა. ამიტო ჰქვია ***საყარაულო*** (ელგუჯა ბერიძე დაბ. 1934წ.)“.

საყდარი, – იხ. სუდრიყანები.

საყდრიყანები, – ***ყანები. თეთრაწყაროსთან*** ტყეში არის ნაეკლესიარი, რომლის გარშემო ყანებსაც საყდრიყანები ჰქვია, ხოლო ადგილს – ***საყდარი.***

საყუდაბლის გადასახედი, – იხ. ვარნეთიტყე.

საჯვარე, – ***გზა, ყანები. რუზე*** გასასვლელი, ვიდრე ***ბერბუკში*** და ***სხალნარში*** გადავიდეთ, არის ყანები, რომელსაც საჯვარე ჰქვია. ამ ადგილზე იყოფა გზა. ერთი მიდის ***ჭურაში,*** მეორე – ***ბუზმარეთისკენ.*** ეს არის გზაგასაყარი.

ელგუჯა ბერიძის მტკიცებით (დაბ. 1934წ.) – საჯვარეზე „ქვა ყოფილა, ჯვარი ჰქონია ქვას და იმიტომ ეძახიან საჯვარეს“. მართალია ინფორმატორი თავად არ მოსწრებია ამ ქვას, მაგრამ გადმოცემა მისი არსებობის შესახებ არაერთხელ სმენია. იხ. მელაჯვარა.

სახუდაბელი, – იხ. ბერიები.

სერგინეს ყანა, – იხ. ყაყიენთ ყანა.

სიდორას ყანა, – იხ. თავშავი.

სიდორას წისქვილი, – *იხ. ერკოტულა.*

სიმინდის ყანები, – ***ნაყანარი. ერკოტა-ასპინძის გზაზე, რძიანას*** დასაწყისით, ერკოტისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ყანები, სადაც ითესებოდა სიმინდი. კოლექტივის დროს სიმინდი ბევრგან ითესებოდა, მაგრამ ***სიმინდის ყანები*** ამ ადგილს ერქვა, ეტყობა სიმინდი რომ შემოიტანეს, პირველად აქ დათესეს.

სისხლიანი ღელე, – იხ. ყანისი.

სკოლიყანები, – ***ყანები.*** ამ ადგილზე ვიდრე სკოლა გაშენდებოდა ყანებს ***დარბუკებს*** ეძახდნენ. სკოლის გაშენების შემდეგ შეერქვა ***სკოლიყანები.***

დარბუკები ჩაწერილი მაქვს ***დარბუკეი*** ფორმითაც. როგორც

ნანს. გვქონდა მრავალობითი რიცხვის გარეშეც. სახელი *დარბუკაი*, რომელმაც ბოლო ხმოვნით ნაწილში ნაწილობრივი ასიმილაციით მოგვცა *-ეი*.

სოსანაანთ ბაღები, – იხ. გაღმა ბაღები.

სოსანაანთ ბაღი, – იხ. გამოღმა ბაღები.

სოსანაანთ გამოღმა ბაღი, – იხ. გამოღმა ბაღები.

სოსანაანთ გაღმა ბაღები, – იხ. გაღმა ბაღები.

სოსანაანთ კალო, – იხ. ნაფუსრები.

სოსანაანთ უბანი, – იხ. ერკოტა.

სოსანაანთ ყანები, – იხ. ფონა.

სოსანიენთ ლარები, – ყანები. მალაროების ძირზე არის ყანები, რომელსაც სოსანიენი (ბერიძეები) ფლობდნენ.

სოსანიენთ წისქვილი, – იხ. ერკოტულა.

სხალნარი, – იხ. გვალიტყე.

სხალნარის გადასახედი, – იხ. ინასაოიბი.

სხალნარის თავი, – იხ. რუსთავი.

სხალნარის ხევი, – იხ. ვარნეთიტყე.

ტაბახმელა, – იხ. ირმირქა.

ტალაგვერდი, – ფერდობი – ზიარეთის მთის ერთ-ერთი ფერდი არის ***ტალაგვერდი.*** „ძველი დადუშიდან უნაგირამდე, დასავლეთით დიდი ფერდობია, ალაგ-ალაგ ემჩნევა ნაყანარი“. ზიარეთის ფერდობებს სხვა სახელებიც აქვს. ერკოტის მხარეს ჰქვია ***გზაგაიარა,*** ბერიების მხარეს – ***უნაგირა*** და ასპინძის მხარეს ***ტალაგვერდი.*** ტალაგვერდი საერთოა ერკოტა-დადეშისათვის. იგი გვხვდება ***ტალაგვერდი*** ფორმითაც. ამოსავალია ფუძე ***ტალა,*** რომელიც გვაქვს სახელში ***სატალაო*** მთის სახელი ***ტოლოშსა*** და ***გოგაშენში.*** ტალა დარაჯს, ყარაულს ნიშნავდა (ბერიძე, 2008: 136-137).

სხვა მოსაზრებით თითქოს მარილის საბადო იყო აქ. „ტალა ადგილია, საქონელი მიდიოდა და ლოკავდა ამ ადგილებში. ქვამარილის მოყვითალო მუქ ადგილებს ტალა ჰქვია (ელგუჯა ბერიძე, დაბ. 1934)“.

ტალაჰგვერდი – იხ. ტალაგვერდი.

ტვიტელი – იხ. ვარნეთი.

ტიბეთი – იხ. ვარნეთი.

უბნისის წყარო – იხ. მელაჯვარა.

უკანხევი, ხევი – ***ზედაწყაროსა*** და ***ქართლელას წყაროს*** შეერთების ადგილს ეწოდება უკანხევი. ხევი სოფლის უკანაა.(იხ. კოწახურა)

უნაგირა – გზა ხიარეთის მთის ერთ-ერთი ფერდობი არის ***უნაგირა***. იგი დასცქერის ბერიებს. ხიარეთს ***უნაგირას მთასაც*** ეძახიან. უნაგირას იყენებდნენ მთად ერკოტელები და დადეშელები. აქ რჩებოდნენ იელისის ბოლომდე, ხოლო შემდეგ გადადიოდნენ ***ზედა მთაში***. სახელი ფორმის გამო შერქმეულია. უნაგირა გზისა და გადასასვლელის სახელად სხვაგან გვხვდება მესხეთში. უნაგირაზე გადის ***გზაგაიარას*** გზა. უნაგირაში არის ***უნაგირას ჭალა*** და ***უნაგირას წყარო***, ხოლო ერკოტელებისა და დადეშელების საპატიჟულო ბინებს ერქვა ***ერკოტული ქონები*** და ***დადეშური ქონები***.

უნაგირას წყაროზე, რომელსაც ***უნაგირას წყალსაც*** ეძახიან, არის შემდეგი გადმოცემა. „ვილაცა ქალმა მატყლი გარეცხა უნაგირას წყალზე. მატყლი წყლის დინების ადგილებში გაიტყდა, წყალი უნაგირაზე გაქრა და გამოვიდა ერკოტაში ***ქართლელას წყაროზე***".

უნაგირას მთა, – იხ. უნაგირა.

უნაგირას წყალი, – იხ. ინაგირა.

უნაგირას წყარო, – იხ. ხიარეთი.

უნაგირას ჭალა, – იხ. გზაგაიარა.

უნაგირას ჭალები, – იხ. ხიარეთი.

ფერისცვალების ეკლესია, – ეკლესია – ეკლესია დგას ნახოფლარის ცენტრში. ის იყო ფერისცვალების სახელობისა. მას უბრალოდ ***ეკლესიასაც*** ეძახდნენ, ***ერკოტის ეკლესიასაც*** და ***ფერისცვალების ეკლესიასაც***. ეკლესიას ეტყობა ადრე შეკეთების კვალი. სამრეკლო მე-19 საუკუნეშია აღდგენილი. გალავანის შიგნით არის ძველი საფლავები. ეკლესიის გარშემო ცხოვრობდნენ სოფლის ძველი გვარები: ბერიძე, ჩიქაძე, ცაღლაშანიძე.

ფერსათ ხევი, – იხ. ვარნეთი.

ფიქლაური, – იხ. ყანნისი.

ფონა, – ყანები. ერკოტის ჩრდილოეთით. ფონაში გამოდის წყარო, რომელსაც ***ფონას წყარო*** ჰქვია, იგი უერთდება ***ერკოტის ღელეს***. ფონას წყარო დადასტურებულია მე-19 საუკუნეში (ჯიქია, 1958: 190). ფონასთან დაკავშირებით ინფორმატორები განმარტავენ, რომ „ფონი ადგილია, დაბე". ფონას ვარიანტებად გვხვდება ***ფონა*** და ***ფონიები***. ფონას ტერიტორიების, ყანების სახელად. ფონაში ძირითადად ბერიძეებს ჰქონდათ ყანები: ***ჭრათლიენთ ყანები, კორკოტიენთ ყანები, ჭურჩიენთ ყანები, გოგოლიენთ ყანები, სოსანიენთ ყანები***.

ფონად, — იხ. ფონა.

ფონას წყარო, — იხ. ფონა, გამოლმა ბაღები.

ფონიები, — იხ. ფონა.

ფხაკო, — **სასაფლაო**. ასპინძიდან შესასვლელი გზის მარჯვენა მხაეს 80 მეტრში არის ნაკლებმოსაწესიანი ადგილი, ღარიბი მიწაა, „გაფხეკილი ადგილია“ და ამიტომ აურჩევიათ საფლავების ადგილად. ძირითადად მე-19 — მე-20 საუკუნის საფლავებია. არის ქვის საფლავებიც და რკინით შეღობილიც. ცნობილი წყეესლაა„შენ გაგიტანე ფხაკოში“. სოფლის ტერიტორიაზე მიუთითებენ სხვა სასაფლაოებსაც. სოფლის ქვემოთ ***პატარა გორაზე*** არის ქვაყუთის ტიპის საფლავები. ამ ადგილზე ბერიძეთა ერთ-ერთი შტო ცხოვრობდა მე-19 საუკუნის ბოლოს. არის ქრისტიანული სასაფლაო, აგრეთვე, უშუალოდ სოფლის ნაპირშივე, დადეშიდან მისასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ძველი საფლავის ქვებით. ინფორმატორთა თქმით, ამ სასაფლაოზე იტყოდნენ უპატრონოთა საფლავებიაო. ხშირად გზად მიმავალნი ერთ ჭიქას წააქცევდნენ ამ გზაზე და უპატრონოთა შესანდობარს ამბობდნენ. იგულისხმებოდა უპატრონოდ დამარხულები, თორემ უპატრონოდ დარჩენილებზე რომ ყოფილიყო საუბარი, ვინმეს მაინც ეყოლებოდა შთამომავალი, მომვლონებელი. ამ ადგილას ***მიხვეილას*** ან ***მოხვეილას*** უწოდებენ.

„ერთი სამსონე იყო, ენაკვიმატი კაცი, ცოლს ეხუმრებოდა და ცოლი ეუბნებოდა, შენ გაგიყვანე მიხვეილაშიო“. აქ გადის გზაც.

სახელი მოხეულადან უნდა მოდიოდეს. შემდეგ ხდება მისი სემანტიკური გადაბრება და უკავშირდება საკუთარ სახელს მიხეილას, მაგრამ თავდაპირველი ვ, რომელიც ***მოხვეულაში*** გვაქვს, არ იკარგება.

კიდევ ერთი სასაფლაო იყო, რომელსაც ***ეკლესიის საფლავები*** ერქვა, ეს იყო სასაფლაო ყურისცქალების ეკლესიის გალავნის შიგნით. თანამედროვეთა მეხსიერებაში იქ არავინ არ დამარხულა. როდესაც ბავშვები ამ საფლავებზე თამაშობდნენ, ან საფლავის ქვებს გადაადგილებდნენ ხოლმე, უფროსები ეტყოდნენ: „ჩამოდით, იცით, რა ვაკაცების საფლავებია ეგენი?!“.

ერკოტის სასაფლაო 1942 წელს ასეთია: „ხოლო საფლავებიდან მოშორებით არის ძველიც, ვინ იცის როდინდელი, ცხვრის და ვერძის გამოსახულებანი საფლავის

ქვებით. ზოგიერთი მათგანი სანახევროდ მიწაშია ჩაფლული, ზოგ ვერძს მხოლოდ თავი უჩანს; არის სწორი ქვასამარხი. რომელზეც ჩემთვის გაუგებარ ენაზე რაღაც აწერია. ზოგი საფლავის ქვის წარწერა თითქმის გადაშლილია. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე არის ჯვრის გამოსახულება და წარწერა (ჯ. რუხაძე, დღიური, ჩანაწერი თუ Varia, კრებული „ჯავახეთი“, 2002წ. გვ. 219-220)“.

ქალაჯვარა, – ყანები. სკოლის ყანების დაბოლოება, ***მალარის ძირების*** გასწვრივ, ტალაგვერდის დაბლა იყო ეკლესია, რომელსაც ქრკოლელები ***ეერანა დადეშის ეკლესიას*** ეძახდნენ. ეკლესიის სვეით არის ***ქალაჯვარა***, ქანები, რომელსაც ***ქალაჯვარას ყანებსაც*** ეძახიან.

ქალაჯვარას ყანები, – იხ. ქალაჯვარა.

ქართლელა, – წყაროს სახელია. მსხვილი მილით გამოდის ნასოფლარ ერკოტის თაქში, ჩამოიქცევის ***უკანხევს, ლომიასეულს, ჭალის ყანას.*** ჭალის ქანაში და ***გვალას*** შორის ჩაიქცევის და თავდება ***წისქვილების ბალით.*** ქართლელას ერქვა აგრეთვე ***ქართლელას წყარო*** და ***ქართლელას ღელე.*** აქ იმხელა წყალი მოდიოდა, რომ ექვს წისქვილს აბრუნებდა. ინფორმატორი მოგვითხრობს: „ბოლო წისქვილი იყო ჩვენი, პაპაჩემის ნაქონი წისქვილით თაქდებოდა ერკოტის ტერიტორია და იწყებოდა ვარნეთის მიწები. ერთი ექვს მეტრიანი ჩანჩქერია იქა, ბავშვები ცბანაობდით, ისეთი სიმძიმით ეცემა, გვარტენდა, წაგვაქცევდა ხოლმე. სანამ ერკოტა დაიშლებოდა და ასპინძაში ჩავიდოდა, ერთი წისქვილი კიდევ მუშაობდა, მამაჩემის ბიძაშვილი იყო, პეტრე, რომელიც მუშაობდა მეწისქვილედ, მეორეში კოჭლი მარკოზა იყო. კოჭლი მარკოზა ცნობილი მეცხვარეც იყო. 500 ცხვარ-ბატკანს გაარჩევდა და დაბნეულ ბატკანს დედას უპოვიდა. იუ რაიმე დაავადება არსებობდა ცხვრისა, ქველა იცოდა და ქველას მკურნალობდა (ა. ბერიძე)“.

ქართლელას უერთდება პატარ-პატარა წყაროები. მაგალითად: სოფლის ბოლოს ერთვოდა ***ფონას წყარო*** მარჯვნიდან. ***დამბალწყარო*** ჭაობიან ადგილებში გამოდიოდა სოფლის ბოლოს და იქვე ერთვოდა ქართლელას. სოფლის ქვედა უბანს – ქვეშა წყარო, რომელიც აგრეთვე ქართლელას ერთვოდა. „ამ ქვეშა წყაროში დარანი გამოდიოდა, დიდი ლოდებით იყო გადაფარული. კორკოტას დარანიაო იტყოდნენ. დარანი მაღლა ადიოდა სოფლისკენ.

ერთი უშუალოდ კორკოტას სახლში ადიოდა (კორკოჭა ბერიძე იყო), მეორე შტო მიდიოდა ეკლესიისკენ. დარანი ჩამოდიოდა შიგ წყაროში. წყლის წამღებთ დარნით მიჰქონდათ წყალი სახლში. მე შევსულვარ დარანში დაახლოებით 5 მეტრზე. როცა ხალხი ცხოვრობდა, ხალხი ჩადიოდა დარნით წყაროსე. სოსო ბერიძე რუსთაფში ცხოვრობს დღეს. იმის სახლიდან პირდაპირ წყაროსე ჩაიდოდნენ ხოლმე (ა. ბერიძე)".

ქართელელა, ერკოტის დაბლა ჩამოსახლების შემდეგ, ორმა სოფელმა, იერიამ (ოსკერია) და საყუდაბელმა, გაინაწილა.

სახელი გამჭვირვალეა. ქართელელა ქართლიდან მოსულ კაცს ან რძალს შეერქმეოდა მეტსახელად და მისი სახელია გადასული შემდეგ წყაროსე.

ქართელელას ღელე, – იხ. ქართლელა.

ქართელელას წყარო, – იხ. უკანხევი, ქართლელა.

ქარნიოტას ღელე, – იხ. ბერიები.

ქეთქეთაი, – გორაკები. ქვაბისძირის მიმდებარე ტერიტორია, ***ფონადან*** დასაველეთით. „ქედი და ქედი" აღგილია. თითქოს ***ზიარეთის მთას*** მოსწყვეტიაო გორაკების მასა, ისეი შთაბეჭდილებას ტოვებს. ქეთქეთა უნდა იყოს მე-19 საუკუნის დოკუმენტის კერკედა (იხ. კოწახურა).

ქეთქეთას გლერდნარა, – იხ. გლერდნარა.

ქეთქეთას გლერძნარა, – იხ. გლერდნარა.

ქეთქეთას გოლგოთი, – იხ. გოლგოთი.

ქეთქეთას გორა, – გორა. ქეთქეთაი (იხ.) არის გორაკები, ხოლო მისი ერთ-ერთი ნაწილი არის ***ქეთქეთას გორა***, თუმცა შეიძლება მთელი ქეთქეთაიც მოიაზრებოდეს მასში.

ქვაბები, – იხ. მაღარიები.

ქვაბისძირი//ქვაბიძირი, – ყანები – დღეს ყანები აღარ არის. ამ აღგილის ზემოდან გადის ***გზაგაიარას*** გზა, ხოლო სახელი მიღებულია იმ ქვაბების გამო, რომლებიც თავს დასცქერის ქვაბიძირს. მათ ***ქვაბები*** ან ***ერკოტის ქვაბები*** ჰქვია. ერთ-ერთი მათგანის სახელი არის ***სათხე***. ქვაბისძირს, ***ქვაბისძირები*** და ***მალარისძირებიც//მალარიძირები*** ჰქვია.

ზოგი ინფორმატორის აზრით, ქვაბისძირი არის ნაფუზარის გაგრძელება დაღუშის მხარეს და მას ***გრძელი ყანებიც*** ჰქვია.

ქვაბიძირი, – იხ. ქვაბისძირი, გადაკეთილა.

ქვაბიძირიყანები, – იხ. გადაკეთილა.

ქვედა გვალიტყე, – იხ. გვალიტყე.
ქვედა გვალტყე, – იხ. გვალტყე.
ქვედა უბანი, – იხ. ვარნეთი, ერკოტა.
ქვედა წყარო, – იხ. ერკოტა, დამპალიჭალა.
ქვედა ყანები, – იხ. მოდრეკილა.
ქვეშა ჩრდილი, – ტყე. საკარის ტყესთან არის *ქვეშა ჩრდილი.* „ჩრდილი აღგილია მუქმიეად. ზედა ჩრდილი არ არის".
ქვეშა წყარო, – იხ. თაეიჭალები, ქართლელა.
ქიტესას წისქვილი, – ნაწისქვილარი. „ქიტესაანი ჭ'ულ'უკიენია. *უკანხევში* პირველი წისქვილი მაგათია".
ქორეთი, – იხ. ბერიები.
ქუნცა, – იხ. ბერიები.
ქუნცელების სანამქრე, – იხ. სანამქრე.
ქუნცის სანამქრე, – იხ. ზედა მთა.
ქურჩიენთ მოკრილი, – ბაღი. ბაღი სოფელ'მიეეა. მოკრილი ჰქვია, რადგან შემოღობილია. ქურჩიენი არიან ტივაძეები.
ქურჩიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.
ქურჩიენთ ყანები, – იხ. ყორნა.
ქურხნები, – ფერდობი. სიდორას წისქვილის თავ'ზე, სოფლის დაბლა ყკრლობი, ზღვარი აღგილია.
ქუჩეჩაანთ კალო, – იხ. ნაფყ'ერები.
ქუჩეჩაანთ უბანი, – იხ. ერკოტა.
ქუჩიანთ კალო, – იხ. ნაფყ'ერები.
ღელეუნაგირა, – ღელე, ყანები. ღელე, რომელიც ჩადის *ჩიტიწყაროსა* და *ახორტყეს* შორის *უნაგირამდე.* „ღელე არ არის, მაგრამ არის ტაფობი და ყანები, რომელსაც *ღელიჭყანებიც* ჰქვია". ღელეუნაგირას *ღელეუნაგირაიც* ჰქვია.
ღელეუნაგირაი, – იხ. ღელეუნაგირა.
ღელიჭყანები, – იხ. ღელეუნაგირა.
ღვდლიყანა, – იხ. ლომიასეული.
ყადრაულა//ყადრაული, – ბორცვი, გზა. ვიღრე *ხატმანაშენამდე* აგალთ, *სხალნარის* ტერიტორიაზე არის გ'ხის გამყოფი აღგილი. ინყორმატორთა თქმით გაუგალი გ'ხის გამო შეერქვა სახელი „ურემი გადაბრ'უნებ'ული". ზოგის მოსაზრებით მხოლოდ გ'ხის სახელია.
ყადრაული, – იხ. ყადრაულა.
ყანნი დარა, – იხ. ყანნისი.
ყანნი წყალი, – იხ. ყანნისი.
ყანნი ხევი, – იხ. ყანნისი.
ყანნისი, ყანისი, ხევი – ყანნისი იწყება *ცხრაკენჭადან.* ძირი-

თადი წყალი იქიდან მოდის, ჩამოიცლის ***ხევიჭალებს, ჭურას ჭალებს***. ასევე ჩაუცლის მეორე ჭურას, რომელიც არის ზველისა, იქაც არის ***ხევიჭალები***. ამ ადგილებიდან უკვე ერქმევა ყანნისი. „***ყანნის ხევი***. აქ იკვეთება ხევი, ერკოტიდან ზველის მიმართულებით მიმავალი გზით (რომელსაც ჭობარლები ***დადეშიგ ზიებს*** უწოდებენ). შემდეგ გაიცლის ხევი ***საყარაულოს,*** რომლის შემდეგაც არის ტყიანი ჭალა, რომელსაც ***ყანისის//ყანნისის ჭალა*** ჰქვია. ***ყანნისის წყალი***, რომელსაც ემატება წყლები ბერიებიდან, ჩადის შემდეგ ორგორა-საყუდაბელს შორის ***ორთახევის სახით***. „სანამ ზველისკენ გაღავიხედავთ, ჭალა აქეთ არის გადმოხრილი, ამიტომ ყანნისი არ შედის ზველ-ჭობარეთის ტერიტორიაზე. ამ მიდამოში ***ფიქლურში*** გამოდის წყარო, რომელიც მიდის ნაკადულის სახით, ჩაიცლის ჩარდახს და მიდის ჭობარეთისკენ.

ამრიგად ეს ხევი გვხვდება შემდეგი პარალელური ფორმებით: ***ყანნი დარა, ყანნი ხევი, ყანნი წყალი, ყანნისი*** და ***ყანისი***. ამ ტოპონიმის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: ***ყანნისი*** ნაწილია გენეტიურმსაზღვრელიანი კომპოზიტისა.... სახელი ასე დაიშლება: ***ყანნ-ის-ი***. ყან (კან) თურქულად – სისხლი. ყანნისი – სისხლობი, სისხლიანი. ეს ხევი ერკოტიდან ჭობარეთის საზღვარში რომ შედის, მას პარალელურად ***მოსისხლე ხევს, სისხლიან ღელეს*** უწოდებენ (მ. ბერიძე, 2008წ.: 284-285).

საყაჩაღო ადგილები სხვაც იყო მესხეთში. „მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ***რუსთავამდე*** (ახალციხიდან), სადაც ასპინძის რაიონის ტრაფარეტი დგას, ჩამოდის მცირე მშრალი ღელე, რომლის ახლო-მახლო მოხაკვეთს მტკვრისას ჰქვია ***ყაჩაღების ღელე***. მეთექვსეთა თქმით „ფაიტონებს ცარცვავდნენ ამ ადგილებში და ამიტომ შეერქვა ეს სახელი (მ. ბერიძე, მებადურობა, თექვსები, სახელები, 2005წ. გვ.58)“. ყაჩაღების ღელეს ***ლეკთა ხევსაც*** უწოდებენ (მ. ბერიძე, 2005წ. გვ.58). შდრ. აგრეთვე ***ყაჩაღების ბუნაგი*** ერკოტაში.

უდავოა, რომ ყანნისი ასახავს მესხეთის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ყაჩაღობა, „გზაზე დასხდომა გზირისა“ ჩვეულებრივი ამბავია. ეს სახელი მნიშვნელოვანია თავისი ფორმითაც. თურქულ ფუძეზე დართულია ქართული სუფიქსი –ის. ორი ნ (ყანნ) თურქულსაც ნიადაგზე მიღებულად არის მიჩნეული (კანლი– სისხლიანი). რაც

შეეხება *ყანისის* ყარიანტს, რომელსაც დაკარგულია ერთი ნ, ამ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული როლი ითამაშა სახელის მნიშვნელობის გადაარსებამ, მნიშვნელობა დაუკავშირდა *ყანა* სიტყვას.

ყანნისის წყალი, — იხ. ორთახევი.

ყანისის ჭალა, — იხ. ყანნისი.

ყანნისის ჭალა, — იხ. ყანნისი.

ყაყვიენთ ყანა, — ყანა. ყანა იყო *ბერბუკში,* მას *სერგინეს ყანაც* ჰქვია. ყაყვიენი ბერიძეები იყვნენ.

ყაყუნაჩეხი, — ტყე. ჭურას გზის პირის ტყეა. „ყაყუი იყო ბერიძე და იმისი ნაჩეხია“ ეს ყაყო ალბათ ყაყვიენთ შტოს სათავის დამდებია.

ყაყოონთ ბაღები, — იხ. გაღმა ბაღები.

ყაყოონთ ბაღი, — იხ. გამოღმა ბაღები.

ყაყოონთ გამოღმა ბაღი, — იხ. გამოღმა ბაღები.

ყაყოონთ გაღმა ბაღები, — იხ. გაღმა ბაღები.

ყაყოონთ უბანი, — იხ. ერკოტა.

ყაჩაღების უბანი, — იხ. კუდაშარიფაი.

ყაჩაღების ღელე, — იხ. ყანნისი.

ყაჩაღების ბუნაგი, — გამოქვაბული. ყანნისის ღელის ზეით, ***ხევიჭალის*** აყოლებაზე, ღელის მარჯვენა მხარეს, ციცაბო ფერდობზე, ერთ მოზრდილ კლდის ღოდზე იყო სამი დიდი ფიჭვი. ერკოტელთა მტკიცებით, ეს ფიჭვი ძველი ტყის ნარჩენი იყო და ხანძარს გადაურჩა. კლდის ძირში ბუნებრივ გამოქვაბულში ცხოვრობდნენ ყაჩაღები, რომლებიც 1904-1906 წლებში დახოცეს და იქვე არიან დასაფლაებული. ამ ადგილს ***საყარაულოს*** ეძახიან. ზოგის თქმით, საყარაულო უფრო ძველი სახელია, ყაჩაღების ბუნაგი გვიან შეერქვა. ძველი ფიჭვების კვალი (ძველი ერკოტის ტყე, ვიღრე სატყეო მეურნეობა ფიჭვს გააშენებდა, ფოთლოვანი იყო), ***ყანნისის ჭალაშიც*** უნახავთ. ფიჭვის ფესვები იყო გადარჩენილი, რაღგან კვარიანია.

ყიმილეთი, — იხ.ირმისრქა, სანამქრე.

ყიმილეთის სანამქრე, — იხ.სანამქრე.

ყოინდარა, — იხ. ირმისრქა.

ყორნარა, — იხ. ყორნარაი, განიგზა.

ყორნარაი, — ყანა. გადაკვეთილასთან დაღეშისა და ერკოტის დამაკავშირებელი გზის სამხრეთით, ვიღრე ***გადაკვეთილამდე*** მიეალთ, ყორებიანი ყანაა.

ყორნარიები, — იხ. ყორნარაი, განიგზა.

ჯრათლიენთ ბალები, – იხ. გალმა ბალები.
ჯრათლიენთ გალმა ბალები, – იხ. გალმა ბალები.
ჯრათლიენთ კალო, – იხ. ნაფუსრები.
ჯრათლიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.
ჯრათლიენთ ყანები, – იხ. ფონა.
ჯრათლიენთ წისქვილი, – იხ. ერკოტული.
ყრუჰყანა, – ყანა. დღეს სოფლის ტერიტორიაზე გაკორდებული ადგილია. ეტყობა ყრუ მეტსახელი იყო ადამიანისა. შდრ. გვარი ყრუაშვილი.
შაფხა, – ყანები.
შაფხასთავი, – გორა. ბერიების ნასოფლარის გვერდზეცე „მთას წამოხურული თავი აქვს შაფხასავით". არის ყანები. ძირითადად ითესებოდა შემოდგომის ხორბალი. ხოლო სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება ხორბლის ჯიშს. (იხ. ბერიძე, 2008: 49)
შაფხასთავის ჭალები, – იხ. ვარნეთული ჭალები.
შაფხასჭალები, – იხ. ვარნეთული ჭალები.
შაქარპანტიძირი, – პანტა. ნიტიწყაროს ტერიტორიაზე არის პანტის ხე, რომელიც ტკბილ პანტას ისხამს.
შორას ტბა – ტბა. უნაგირას ტერიტორიაზე ***ბერიმზიგულსა*** და ***უნაგირას ჭალას*** შორის არის პატარა ტბა, რომელიც ზაფხულობით არ შრება.
შუაკარავის სანამქრეები, – იხ. სანამქრე.
ჩათალყანები, – ყანები. ერკოტის დაბლა, „ქვეშელა ყანებია". „ჩათალ" თურქულად ნიშნავს ყეჯულას, „რაგატკის მაგვარს".
ჩიტიწყარო, – წყარო. გამოდის საბადურის დაბლა, ბოლოზე გამაყალი გზის, ერკოტიდან და დადეშიდან მომავალი გზების გადაკვეთაზე. ***მელაჯვარაზე*** მომავალი გზა გამოიყვლის ***ქვაბისძირს, საბადურს*** და უერთდება ერკოტიდან ***ინასათიბისაკენ*** მიმავალ გზას. სწორედ ამ ორი გზის შეერთების ადგილზე არის ეს წყარო, რომელიც მუდმივი წყარო იყო, აღარ არის მუდმივი, მხოლოდ ზაფხულში ნაკური წყლებიდა გამოდის. ერკოტაში წყარო ბევრია, მაგრამ ჩიტისა ამ წყაროს შეერქვა, ფრინველის გამორჩეული სიმრავლის გამო.
ჩიტიწყაროს დასაქანი, – იხ. დასაქანი.
ჩოლალიენთ ლარები, – ნაყანარი. აბრამას თავზე იყო ყანები, რომელიც დღეს გაკორდებულია. ჩოლალიენი იყვნენ ბერიძეები, რომელთაც ლალაანთაც ეძახდნენ და ჭიტელი-

ენისაც. ლარები გრძელი პარალელური ყანების სახელია.

ჩუნჩხა-პტენა, — იხ. გვალა.

ჩხრიალო, — ხევის მონაკვეთი. ქართლელას ღელეში არის წყალვარდნილი, ჩანჩქერი წყალი.

ცივიწყარო, — იხ. ირმისრქა.

ციყწყარო, — იხ. ცხრაკენჭა.

ცხრაკენჭა, — წყარო. ზედა მთის სამხრეთით არის ***ცხრაკენჭა.*** ამ სახელით ცნობილია გარშემო ტერიტორიებიც. წყარო არის კარგი დებეტის, ბარაქიანი ციცი წყარო, რომელიც დის მცენარეულობრივნი ხსნიან შემდეგნაირად: წყაროში უნდა ჩაყო ხელი, სათითაოდ ამოთვალო ცხრა კენჭი ისე, რომ წყლიდან ხელი არ ამოიღო, ხოლო შემდეგ, ასევე სათითაოდ ჩათვალო. თუ ამას გაუძლებს ადამიანი, ძლიერია, გამარჯვებულია. წყალი იმდენად ციცია, რომ ხშირად ვინც პროცესს გაუძლებს, მაჯა უსიცივდება. მის გარშემოა საძოვრები, ***ბებრიკლდე, გვირგვინები, ციყწყარო.*** ზედა მთაზე ადიოდნენ მთად კოლმეურნეობის დროს, ხოლო ცხრაკენჭაზე იდგა მშრალი საქონელი და ცხვარი.

ცხრაკენჭას წყალი, — იხ. თაგშაყი.

ცხრაკენჭას წყარო, — იხ. *ცხრაკენჭა, გვირგვინი.*

ცხრაწყარო, — იხ. ირმისრქა.

ძველი დადეში, — ნასოფლარი დადეშის ტერიტორიაზე. იხ. გადაკვეთილა.

ძველი საურმე გზა, — იხ. საკარე.

ძირიყანები, — ყანები. დადეშიდან ამომავალი გზით გადმოიელი ***გადაკვეთილას*** და იქვე ხელმარცხნივ არის ძირის ყანები (ძირიყანები). აქვეა ფიჩხას წყაროც.

ძირის ყანები, — იხ. ძირიყანები.

წვრილი წყაროები, — იხ. ერკოტულა.

წისქვილების ბალი, — იხ. ქართლელა.

წისქვილის ბალი, — იხ. ერკოტა.

წყნეთი, — იხ. ირმისრქა.

ჯაგირულების ტყე, — იხ. ჯაგირულები.

ჯვარი, — იხ. მელაჯვარა.

ჯვართუკანები, — იხ. მელაჯვარა.

ჯოყოფი, — იხ. ვარნეთი.

ჭალის ყანა, — ყანა. ამ სახელით ორი ყანაა, ერთი შიგ ერკოტაში, მეორე — ***ჭურას*** ტერიტორიაზე. ყანას რამდენიმე წელიწადს არ დათესდნენ, ჭალად იყენებდნენ. ***ზედა გო-***

რასთან ახლოს იყო ***მოკრილი ჭალა***. ეს იყო ყორით შემოღობილი ჭალა, რომელსაც ერთი კარი ჰქონდა შესასვლელი. როდესაც ასვენებდნენ, საფხულში შერეკავდნენ საქონელს, რომელიც ანიავებდა ჭალას. ასე ერქმეოდა ერთი შეხედვით უცნაური სახელი, რომ თუ ჭალაა, ყანა როგორღა იქნებოდა. ***მოკრილი ჭალის*** შემთხვევაში მოკრილი შეღობილს, დაცულს ნიშნავს. „მოკრილი – მოკრული, შემოღობილი ბაკი ქვებით საქონლის ან ცხვრისათვის (ბერიძე, 981, 89)“. იხ. ერკოტა.

ჭანჭურაყანა, – იხ. ყარნეთი.

ჭაროსეული ყანები – ამ ყანებს დღეს ***ალიკვიენთ ყანები*** (იხ.) ჰქვია. ჭარო ადამიანის სახელია.

ჭაობი, – იხ. დამპალი ჭალა.

ჭაჭნაკა, – იხ. ჭაჭნაქა.

ჭაჭნაქა//ჭაჭნაკას თავი, – გორა. ჭურაში, ***შაფხას თავსა*** და ***აბრამას თავს*** შუა, ***ჭურას ტბის*** გაგრძელებაზე, კომუნის სახლებთან არის ეს გორა, რომელსაც მხოლოდ ჭაჭნაკალი ჰქვია.

ჭიტვლიენთ კარმიდამო, – იხ. მაღაზიის კარები.

ჭობარეთის გზა, – იხ. ბერიები.

ჭორტის თავი, – გორა. ვარნეთის ტყის ასწვრივ არის გორა, რომელზეც ჭორტია დასმული. ჭორტს მესხეთში ეძახიან ერთმანეთზე დაწყობილ ქვებს, რომელიც საზღვარს ან რაიმე სხვა ნიშანს აღნიშნავს

ჭულუკიენთ წისქვილი, – იხ. ერკოტული.

ჭურას გზა, – იხ. ბერიები. ერკოტა.

ჭურას ეკლესია, – იხ. ჭურა.

ჭურას თავი, – იხ. კომუნის სახლები.

ჭურას ტბა, – ტბა. მდებარეობს ნასოფლარ ჭურაში (იხ.). ერკოტელები ასე ეძახიან და ეძახდნენ, მაგრამ როდესაც ერკოტაც ნასოფლარად იქცა და ჭურამ დაკარგა ერკოტის კუთვნილი ტერიტორიის ფუნქცია, ჭურას ტბას ***ერკოტის ტბა*** ეწოდება.

ჭურას ტბის წყალი, – იხ. დადეშიჭალები.

ჭურას ყანები, – იხ. ჭურა.

ჭურას ჭალები, – იხ. ჭურა.

ჭურა – ნასოფლარი. ჭურა არის ნასოფლარი ასპინძის რაიონში, ნასოფლარ ერკოტიდან სამხრეთით, დაახლოებით 4 კმ. მანძილზე, ნასოფლარ ბერიებიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ნასახლარების კვალი დღესაც ეტ-

ყობა. ეს არის ერკოტელების ჭურა, არის მეორე ჭურაც, ოღონდ ის იყო სველელების ტერიტორიაზე. ძირითადი მაინც ერკოტისა ჩანს, რადგან აქ არის ნაეკლესიარიც. ერკოტელები მას ***ჭურას ეკლესიას*** ეძახიან. ის იყო წმინდა ელიას სახელობისა, რადგან აქ ტრადიციულად ელიობას 2 აგვისტოს გადიოდნენ და კლავდნენ საკლაკს. ალბათ ამის გამო იყო, რომ ეკლესიას ***სატიკნესაც*** ეძახდნენ. ჭურა ნასოფლარის გარდა ჰქვია ერცელ ტერიტორიას. მთაყარი ამ მიდამოებში არის ***ჭურას ტბა***, რომელიც 5000 მ^2 ფართობისა იქნება. ტბა დაჭაობებულია, ალაგ-ალაგ ბელტებივით ამოსულია ჭილი, ტბის მცენარე. ტბაში თევზი არ იცის, ზამთარ-საფხულს ბუდობს იხვი. ჭურას ტბას, მას შემდეგ, რაც ერკოტა ასპინძაში ჩამოსახლდა, ***ერკოტის ტბასაც*** ეძახიან. ბოლო დროს ტბაში გაეშვეს და მოამრავლეს თევზი კარასი. ნასოფლარები, ერკოტისა და ზველისა ჭურას ტბის გარშემოა. აქეთა ***ჭურას ჭალები, ჭურას ყანები*** და სხვა. სანამ ერკოტიდან ჭურაში ახალთ არის ***სხალნარი*** და ***პანტები,*** აქეთა ***გვალტყე*** „ზედაი და ქვედაი“. გვალტეს ***რგვალტყესაც*** ეძახიან. ზედა გვალტეესა და ქვედა გვალტეეს შორის, შუაში, ვაღის გზა, რომელიც ზველ-ჭობარეთისაკენ მიდის. ეს ტეე თითქოს ხელით არის ნაშენები, სინამდვილეში ის ბუნებრივი ტეეა. ჭურას ტბის დასავლეთით არის ნასოფლარი ***აბრამას თავი***. ჭურასკენ მიდის ერთი საერმე გზა ***ბერიებიდან,*** მეორე ადის ***სხალნარიდან,*** სადაც გამოქვაბულებიც არის.

ჭურას ტბა ხელოვნურია, დაბეჯითებით ამტკიცებს ალექსი ბერიძე, 71 წლისა. თან ეს ტბა არ იყო ერთი სოფლისა. ის იყო ***ერკოტის, დადეშისა*** და ***ვარნეთისა***. ზველელებსაც ამოჭაედათ საქონელი წყლის სასმელად. მისიცე აზრით, ტბაში არხით შემოდიოდა წყალი, რომელსაც სათავე ჰქონდა ***ცხრაკენჭას*** წყაროზე, გამოიეღიდა ***ხევიჭალას,*** შეიერთებდა წერილ-წერილ წყაროებს (ერთი მათ შორის ***იყო გეჯას წყარო***) და შემოდიოდა ტბაში. ტბას ორი მეტრის სიღრმე აქვს. საგუბარისთვის გაკეთებულია ორმხრივი ყორე. შუაში ნაყრილია მიწა და ასეა დაგუბებული წყალი. ტბას იყენებდნენ საფხულობით საქონლის დასაწყურვებლად დადეშელები, ერკოტელები, ვარნეთელები და ზველელები. ა. ბერიძე შემსწრეა დადეშელი ივანიძისა და ერკოტელი ბერიძის დია-

ლოგს, როდესაც ბერიძე საყვედურობდა ივანიძეს, რატომ მოუყვას საქონელი წყლის სასმელადო. ივანიძემ კი უთხრა: შენი კი არ არის ეს ტბა, პაპანემის გაკეთებულიაო. მასვე ახსოვს, დაახლოებით 1957-1958 წლებში, როგორ აიყვანეს ტრაქტორი ერკოტიდან ჭურაში. ტრაქტორი მეტრზე ხნავდა მიწას. ***ჭურას ტბის*** დასავლეთით იყო ნაყანევი ადგილი, ყორე-ქვით შემოსაზღვრული. ტრაქტორმა რომ მიწა გადააბრუნა, ამოყარა ქვევრები და თონეები თიხისგან დამზადებული. ქვევრებსა და თონეს ორნამენტები ჰქონია. ნატეხები თავადაც წამოუღია ინფორმატორს, ამიტომაც აცხადებენ ადგილობრივები, რომ „რატომ ჰქვია ჭურა, არ ვიცით, მაგრამ ჭურები რომ ამოყარეს, ვიცით“. „ჭურაში ერთგვარი ყაყანი ხარობს, რომელსაც ჭურას ყაყანოს ეძახიან, მსხვილი ღერო აქვს. ბავშვობაში, რომ შევჭამდით, გამოტკბილებული დავლიდით“.

ჭურას ჭალას სარიჭალასაც ეძახდნენ ყვითელი ყაყაჩოს გამო, რომელიც აქ ხარობს.

ჭურას თავი, — გორა. ***ჭურაში, ჭურას*** ტბის ასასვლელთან, სამხრეთით აბრამას თავის სიმაღლის გორაა, ჭურას თავი ჰქვია იმიტომ, რომ გადმოსცქერის ერკოტა-ასპინძის მხარეს. მართალია ***ჭურას თავიდან*** ჭურაც ჩანს, მაგრამ ასპინძის მხარე უფრო მასშტაბურად აღიქმება. ეს თავი ერკოტელებისთვის არის ჭურას თავი და ჭურაში მყოფთათვისაც.

ხანუმყანები, — კორკოტიენთ (ბერიძეები) ქანების გასწვრივ ეძახდნენ ასე.

ხარგაული, — *ტყე, გზა.* ***ხარგაული*** ორია. ერთი ***საყარაულოსთან*** და მეორე ***თორნეულის*** დაბლა, ამიტომ ***საყარაულოს ხარგაული*** და ***თორნეულის ხარგაული*** ჰქვია. ხარგაულს გზის ზემოდან აკეთებდნენ, ქვეშ გზა გადიოდა, რომ ადვილად დაეტვირთათ ტრანსპორტი.

დახარგავება ნიშნავს ტყიდან გამოტანილი შეშის დაგროვებას ერთად, რომ ტრანსპორტი დატვირთონ. ***ხარგაული*** არის ის ადგილი, სადაც გროვდება შეშა. რიგორც წესი ადგილი შემაღლებული და გზის პირი უნდა იყოს. შდრ. ***ხარაგაული.***

ხარისაწოლი, — ხევი, ტაფობი. ერკოტასა და ვარნეოს შორის არის პატარა ადგილი კვირაცხოველობის ეკლესიის გზაზე, აქეცა ღელე, რომელიც სათაეს იღებს ინასათიბი-

დან, ამიტომ მას ***ინასათიბის ღელესაც*** ეტყვიან, რომელიც ვარნეთ'ში უერთდება ***ერკოტის ღელეს***. ზოგიერთი ინფორმატორის ა'სრით, ხარისაწოლ'ში ნასოფლარიც იყო: „ხარისაწოლ'ში ჩემს ბაბ'შობა'ში შემიმჩნევია, რომ ნასოფლარიც იყო, ჩემმა მეგობარმა ორი მონეტა ნახა ამ ადგილ'ს (ა. ბერიძე)". იხ კვირაცხოველობა.

ხარის საწოლი, – იხ. კვირაცხოველობა.

ხატმანაშენი, – იხ. ბერიები.

ხევიჭალები, – იხ. თაშაები.

ხუცური, – იხ. ვარნეთი.

ჯაგირულები, – *ტყე. სხალნარის ტყის* შესასვლელ'შივე ***საკარესა*** და ***ხატმანაშენს*** შორის იყო დაბალი ბუჩქნარი ტყე, ერკოტა'ში იტყოლნენ ჯაგირულიაო. „ალბათ ჯაგს 'უკავ'შირდება". ალრე მაღალი ხე ჯაგირულ'ში არ იყო. მერე თანდათან შეერია, ბოლოს მომრავლდა მუხაც. ***ჯაგირულების ტყესაც*** ეძახიან ჯაგირულებს.

ჰალაჯიენთ ბაღები, – იხ. გაღმა ბაღები.

ჰალაჯიენთ გაღმა ბაღები, – იხ. გაღმა ბაღები.

ჰალაჯიენთ კალო, – იხ. ნაფუ'ხრები.

ჰალაჯიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.

ჰასანაჭალა, – იხ. ჰასანას ჭალა.

ჰუშუტაანთ ბალი, – იხ. გამოღმა ბაღები.

ჰუშუტაანთ გამოღმა ბალი, – იხ. გამოღმა ბაღები.

ჰუშუტიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.

ჰასანას ჭალა, – ჭალა. ყანნისთან საყარაულომდე, ჭურას გზის მარჯვენა ნაპირზე არის პატარა ჭალა, სადაც ზოგიერთი ინფორმატორი ნასოფლარსაც მიუთითებს. ***ჰასანას ჭალის*** აღმოსავლეთით არის ***დიდი ლოდი***. ჰასანას ჭალა'ში დღეს ძირითადად ტყეა.

1966 წელს „ლელოში" გამოქვეყნდა ა. ციბაძის წერილი „ქართული ოლიმპიური თამაშები?", რომელშიც ლაპარაკი იყო „ვინმე მესხის" (ივანე გვარამაძის) 1882 წლის კორესპოდენციაზე. კორესპოდენციის ავტორი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ საქართველოში ტარდება ბერძნულის მსგავსი ოლიმპიური თამაშები, რომ მზადება სამ წელიწადს გრძელდებოდა და მეოთხე წელს ერთად იერიდნენ თავს „თავ-თავიანთი ვაჟკაცობის გამოსაჩენად".

ა. ციბაძე აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს არც ერთ წყაროს, საიდანაც ეს ცნობები აიღო, არც იმას ამბობს, სარგებლობდა თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა ზეპირი გადმოცემებით".

მსგავსი წერილი დაბეჭდა ასპინძის რაიონის გაზეთმა "ასპინძამ". მას შემდეგ ყურადღებით ვათვალიერებდი პრესას და ამ წერილს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მინდა რამდენიმე მსგავს თამაშზე მივუთითო და მკითხველს მივაწოდო ცნობა იმ ადგილის შესახებაც, სადაც ეს შეჯიბრებები ტარდებოდა.

„ვინმე მესხს" ზოგი თამაში დაწერილებით აქვს აღწერილი, ზოგი კი მხოლოდ დაუსახელებია.

1. **„ქოფს"**იგი ასე აღწერს: "..... აქაც წრეში შესულთ მხარესა, ერთი წრეს შუა ამოთხრილ ფოსოში ჩასდგამდა ფეხს. გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითონ ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა".

ქოფი ბევრჯერ მინახავს და მითამაშნია: ორად გაიყოფიან, ერთი ჯგუფი წრის შიგნით არის, მეორე – გარეთ. წრის შუაგულში ქვა დევს და მას დარაჯობენ შიგნით მყოფნი. გარეთ მყოფებმა ისე, რომ არ დაიჭრან, ფეხი უნდა დაადგან ქვაზე და ასეჯე დაუჭრელად გავიდნენ გარეთ. თამაშია დაჭრამდე და ის იმარჯვებს, რომელიც მეტჯერ მოახერხებს ქვაზე ფეხის დადგმას.

აშკარაა, რომ აქ ერთი და იგივე თამაშია, ოღონდ მეორე შემთხვევაში იგი გამარტივებულია და იოლად შესასრულებელია მეტი ხალხისათვის.

2. **ქალის გაქცევანი.** „ჩუმად აქეთა მხარი რაღაცა ნიშნიან მჩქარს დამალაებდნენ ერთი-ერთში და რომელიც გაქცევაში ერთი დინიდან მეორე დინეზე გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა".

ეს შეჯიბრებაც დღეს საბავშვო თამაშად არის ქცეული,

რომელსაც „ალმის მოტაცებას" ეძახიან. „ალმის მოტაცებას" ზუსტად ისე თამაშობენ, როგორც „ყინმე მესხს" აქვს აღწერილი. საინტერესოა სახელწოდება – „ქალის გაქცევანი". ეს ალბათ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ შეჯიბრში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

3. **თოლუწრე.** ეს თამაში ავტორს აღწერილი არა აქვს. მნახველთაგან ვიცი, რომ ესეც ქალთა თამაში იყო. მოთამაშენი ორად იყოფოდნენ. ერთი ნაწილი წრეს ჩააბამდა და ისე ხელიხელჩაკიდებული ტრიალებდა. გარეთ მდგარნი ცდილობდნენ, მოეტაცათ ერთი წევრი ისე, რომ „დედას" არ დაეჭრა. თან ნაჭრებს ურტყამდნენ წრეში მდგართ. ასე გრძელდებოდა დაჭრამდე.

4. **ჯორებუნა.** არც ეს თამაშია აღწერილი, მაგრამ სახელწოდებიდან შეიძლება დაეასკვნათ, რომ იგი დღევანდელი „მრგვალი ვირია", რომელსაც იგივე სახელი შერჩა ხოგ სოფელში. თამაშობდნენ ასე: მონაწილენი ორად იყოფიან. ერთი ნაწილი წრეს ჩააბამს, სხვები ცდილობენ ზურგზე შეახტნენ მათ ისე, რომ „დედამ" არ დაჭრას. დაჭრის შემთხვევაში მეორე ჯგუფი ნადგება წრეში. არავითარი მოგება-წაგება აქ არ არის, მთავარია „ჯაჯორება".

5. **მძიმე საგნების აწევა.** ამ შეჯიბრის მომსწრენი დღესაც არიან. როცა ჭაბუკი 16-17 წლისა გახდებოდა, ვაჟკაცობის გამოსაცდელად სოფელში (მაგალითად დადეშში) საგანგებოდ შერჩეული სიმძიმე ქვა უნდა აეწია და თუ ასწევდა „საყდრი წინ მეიდანზე", ვაჟკაცად ითვლებოდა.

6. **კუნძის თრევა.** სასიძოს კუნძს მისცემდნენ დასაპობად. თუ დააპობდა, მხოლოდ მაშინ გაატანდნენ ქალს.

ჭიდაობა, ხტომა, ცხენებით შეჯიბრება და სხვა ასპარეზობანი ისე მასობრივადაა გავრცელებული, რომ მათზე დაწვრილებით ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია.

ძველი თამაშების უმრავლესობა გაქრა, დაიკარგა, დანარჩენი კი მხოლოდ ბავშვთა გასართობი გახდა. რა იყო ამის მიზეზი?

„სახელმწიფო გადასახადი, უსინდისო მოხელე, მეზობლის ნაგვრა, მოსამართლის ქრთამი, ბატონის სამსახური, მღვდლის სამლოცველო და მისთანები ათას სულ ვლეხობის ზურგის ტვირთად არის გამხდარი. ამათ ზიდვას ვეღარ ასულია და სათამაშოდ სადღა სცალია? ..."–ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნავდა „ყინმე მესხი".

რა მდგომარეობაა დღეს? დღევანდელ მესხ ახალგაზრდო-

ბას უყვარს ფეხბურთი, ჭრენბურთი და სხვა თანამედროვე სპორტული თამაშები. ძველი ეროვნული თამაშები დავიწყებული აქვთ. მაგრამ სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ წარსულის ამ ლამაზი ტრადიციის აღდგენისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ: თუ მართლა იმართებოდა ასეთი დიდი ასპარეზობა – **ოლიმპიური თამაშები,** იგი უეჭველად დატოვებდა კვალს. მე ერკოტის მკვიდრის დევანოს ბერიძისაგან ნაწერილი მაქვს გადმოცემა.:

„დაარსებიდან ერკოტა ყოფილა ცენტრი საქართველოსი. მტრის შემოსევით სოფელი განადგურებულა. ერკოტას ეწოდებენ იმიტომ, რომ ერობა იცოდნენ აქ. ხალხი იკრიბებოდა, დადგებოდა ერთა კოტაობა (ჭიდაობა)", ... „ვინმე მესხი" წერს: "მთელი საათალ-ხეობისა და მუსხის სარბიელი (ასპარეზი) ეს ველის მინდორ-ვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯიშოდ, ვაჟკაცობის გამოსაცდელად და სხვა. აარჩევდნენ თავგმირებს და მეოთხე წელიწადს გავიდოდნენ ვანის მთისკენ ცხრა წყაროს ველობაზედ და იქ შესრულდებოდა საქეციო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯიში.

ველიდამ მეორე გზა გადმოვა სოფელ ერკოტას. სახელი ნიშნავს ერის კოტაობას (ვარჯიშს თუ კეჭნაობას). ხერთვისის ხეობასაც აქ სცოდნია თავმოყრა და დახელოვნება ყოველ წლივ საგმირო ხნეობაში და მეოთხე წელს თურმე ესენიც გარდადიოდნენ ცხრაწყაროს საქეციო ერიალობაში".

ესე იგი, მოსამზადებელი ვარჯიში ორგან – „ველის მინდორ-ვაკეზე" და ერკოტას ტარდებოდა.

დავუბრუნდეთ ღ. ბერიძის გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ერკოტა „დაარსებიდან საქართველოს ცენტრი" ყოფილა. თუ ტარდებოდა, რომელ ეპოქაში უნდა ჩატარებულიყო ნვენში ოლიმპიური თამაშები? ამ კითხვას, მხოლოდ ისტორიული წყაროების შესწავლის შემდეგ, გავცემთ პასუხს. დაახლოებით კი XI-XII საუკუნეები შეგვიძლია ვიყარაულოთ. შესაძლებელია, შეჯიბრებები ტარდებოდა საქართველოს მთელი მაშტაბით. მზადება სამ წელიწადს გრძელდებოდა და მეოთხე წელიწადს „ცხრაწყაროს მინდორზე" დასრულდებოდა. შეიძლება ამან გამოიწვია ერკოტის საქართველოს ცენტრად მონათვლაც. ეს სოფელი ხომ საფინალო ტერიტორიასთან ყველაზე ახლო დასახლებული პუნქტია.

უფრო გვიან შეჯიბრებები რელიგიურ დღესასწაულებს დაუკავშირეს და არაორგანიზებული ხასიათი მიიღო. „ვინმე

მესხის" ცნობით, ეს „ყველიერებში" ხდებოდა. მე ხელთ მაქვს ცნობები ამაღლების დღესასწაულის შესახებ:

„ამაღლება ტარდებოდა საროს ეკლესიაში. საროს ეკლესია ადგილმდებარეობის სახელია (ბუნებრივი მაღლობის თავზე მრგვალი ადგილი 30 მეასედი). დაბლა ვაკეა. აქ იმართებოდა ამაღლება, აქ იმართებოდა ჭიდაობაც, ეკვათ მხოლოდ შარავალი და ზემოდან ტანშიშველი საჯირითოდ მიდიოდნენ ცხრაკენჭაზე, გამოცდიდნენ ხელის ჩაყოფას, ჯირითებდნენ, ფარიკაობდნენ, შემდეგ ბრუნდებოდნენ ერკოტას (საროს ეკლესიაზე) და აგრძელებდნენ ღრეობას". ტრადიცია დაცული ყოფილა. ჯირითი, ხელის ჩაყოფა, ფარიკაობა ძველი „ერობის" ადგილას ტარდებოდა.

დასადასტურებელია ერთი ცნობაც: „ეინმე მესხი" ამბობს, რომ ფინალური ასპარეზობანი ტარდებოდა „ცხრაწყაროზე". ვფიქრობთ, აქ შეცდომა უნდა იყოს. ავტორის მიერ მინიშნებული ადგილზე არის წყარო, რომელსაც ცხრაკენჭას ეძახიან (იგი იმდენად ცივია, რომ ხელის ჩაყოფით ცხრაკენჭის ამოთვლა და ჩათვლა შეუძლებელია, ამიტომ ეძახიან ცხრაკენჭას).

თვითონ ის ფაქტიც, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე ასეთი დიდი შეჯიბრებები ტარდებოდა და ისიც სალმე ეკლესიის ეზოში კი არა, არამედ ერთხელვე დადგენილ ადგილზე – ცხრაკენჭაზე, მიუთითებს თუ რაოდენ ძლიერი იყო ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში უძველესი თამაშების ხსოვნა და ცოდნა.

ამრიგად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მესხეთში ოლიმპიური თამაშები თუ არა, მისი ნაშთები დღესაც შემონახულია. წარსულის კარგი ტრადიცია დღესაც ყურადღებასა და პატრონობას მოითხოვს.

1969 წელი

ნასოფლის ეჰოტის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

„ვაჰანის ქვაბთა განგების" XV საუკუნის მინაწერი მოგვითხრობს: "სახელითა საყოფელსა წმიდასა მონასტერსა; ვანის ქუაბთა: წმიდისა მთავარმოწამისა, გიორგისათა:. და სასოსა და მფარველისა ჩუენისაჲ მაცხოვრისა. ხატისათა:. შევსწირეთ და მოვაჴსენეთ: წმიდასა მონასტერსა **ვანის ქუაბთა**:. ჩუენსა ეკუდარსა: სამნათეოთ: და სულისა ჩუენისა მოსახსენებლად: შევსწირეთ და მოვაჴსენეთ: ჩუენ მირძამან და ხაზამან. მკუდრი. ჩუენი მამული: მის სულკურთხეულისა მამის ჩუენის საგიასაგან. ნასყიდი:. **ერკუატას** ორნიე **კურიკას** ძენი ორმოცდა ექუს თავ ჩაფს ღუნოს მოახსენებდენ მნათესა: სატრაპეზოთა თავჩაფითა: და ორს გრივს პურს წმიდასა სატრაპეზოთა კაბიწითა: მუნვე. **ერკუატას** ქვატას ძე უამერაი თოთხმეტსა თავჩაფსა ღუნოსა მოახსენებდეს. მნათესა სატრაპეზოთა თავჩაფითა:. და შუდს კაბიწს პურს წმიდასა: სატრაპეზოთა კაბიწითა:. **აგარას** ორკალოსძისა მამული. სამი გრივი პური ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი: და შევსწირეთ თხუთმეტი. ლიტრა ზეთი **არდაჭით** მოხლებოდეს მნათესა:. (ჟორდანია, 1896:46).

ციტატაში მოხსენიებული **ერკუატა** ღღევანდელი **ერკოტაა,** ეს ცნობილი ფაქტია და ამის შესახებ არა ერთგზის თქმულა. მინაწერში საუბარია შეწირულობებზე ვანის ქვაბებისათვის. მირძამ და ხაზამ მონასტერს შესწირეს მამის მიერ ნაყიდი „მკუდრი მამული" მოსავლით. საინტერესოა მაშინდელი წონის საზომი ერთეულები და საწყაოები: **ჩაფი, გრივი** და **კაბიწი.** სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ჩაფი არის „კოკის ნაოთხალი," „საწყაი კოკისა არს ათი ახალი **ლიტრა** (სულხან-საბა ორბელიანი,1965,383)". ხომა-წონის საზომი ერთეულები ხშირად განსხვავდებოდა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც კი. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ფეოდალური ხანის საქართველოში არსებობდა როგორც „ჩეულებრივი", ასევე "ქალაქური", „შამახური", „გორული" ლიტრი და „ლიტრის მესამედიც". ლიტრი ქართულ საისტორიო წყაროებში და ლიტერატურაში XI საუკუნიდან იხსენიება, XVIII საუკუნეში არამცთუ ეველაფრის ასაწონ-საზომად ითვლება, არამედ სხვა საზომ საწყაოებისთვისაც საფუძვლად იყო მიღებული (ჯავახიშვილი,

20002:418). ამგვარად,რადგან ჩაფი კოკის „ნაოთხალია", ე. ი. კოკის მეოთხედია, ხოლო კოკა იტევს ათ ლიტრას, ჩაფი დაახლოებით 2,5 ლიტრა უნდა იყოს. ერკოობა განსხვავება იყო ჩაფებშიც, ჩვეულებრივი ჩაფისაგან განსხვავდებოდა თავჩაფი. ერკოტიდან სწირავდნენ სატრაპეზოდ 46 და 14 თავჩაფ ღვინოს, რაც დაახლოებით, მაშინდელი ს'ხომით 150 ლიტრა უნდა ყოფილიყო.

ღვინო, „ნოტიო" თუ ჩაფით აიწყვის, მარცვალი იზომება **გრივით.** გრივის შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი განმარტება აქვს მოყვანილი სულხან-საბას: „ესიკას თარგმანში ეწერა: ოცდაორი ქსესტი ერთი გრივიაო, ხრონოლეროფში ეწერა: ოცდაათი მოდი ერთი გრივიაო. საწყეო თემითი-თემად უდიდესიც არის და უმცირეცა, მაგრამ ოცდაორი ქსესტი უფრო სწორეს ჰგავს (ორბელიანი, 1965:173)". სხვა რედაქციების მიხედვით ერცელი სტატია ეძღვნება გრივს. ბოლოს აღმოხდება დიდ ლექსიკოგრაფს: „გამამშერა." ვფიქრობ, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო უნდა იყოს სულხან-საბას განმარტება, რომ **„მესხნი ათს საწყავს ერთს გრივს უხმობენ.** „საწყაო ანუ საწყაული იმ ჭურჭლის სახელია, რითაც აიწყვის ხორბალი, ეს არის **კოდი** ან **მოდი.** იქ. ჯავახიშვილის მიხედვით გრივი მასის საზომ ერთეულად გამოყენებულია უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, მათ შორის „ვახანის ქვაბთა განგების" ძირითად ტექსტში. XV საუკუნიდან მოყოლებული გრივი უკვე აღარ გვხვდება. საბუთებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამქრალი უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 2002,242). ამიტომაც არის, რომ ტიპიკონის ტექსტში მხოლოდ გრივი გვაქვს, ხოლო მინაწერში, რომელიც XV საუკუნეს ეკუთვნის და, რომელშიც, ჩვენთვის საინტერესო, ერკოტია არის მოხსენებული, გრივთან ერთად მისი კონკურენტი სიტყვა იხმარება **კაბიწის** სახით. „კაბიწი სამი კოდი გინა სამი გრივი,სადამე ათის კოლს იტევიან (ორბელიანი, 1965:349)". ერთ შემთხვევაში კაბიწი ჭურჭელია: „ორნივე კურიკას ძენი ორმოცდა ექუს თავ ჩაფს ღუნოს მოახსენებდენ მნათესა: საბრაპეზოთა თავჩაფითა: და **ორს გრივს პურს** წმიდასა საბრაპეზოთა **კაბიწითა."** ორი გრივი პური კაბიწით მოუტანიათ. ასევე მოართმევდნენ ვანის ქვაბებს ერკოტიდან შვიდ კაბიწ პურს. სულ ერკოტიდან ვანის ქვაბებში მიჰქონდათ და სწირავდნენ 9 გრივსა თუ კაბიწ პურს, რაც დაახლოებით 90კოდი იყო. პური უნდა ყოფილიყო წმინდა. მოსავლის აღების შემდეგ კალოზე იღეწებოდა თავთავი, ნიაღდებოდა და იწმინდებოდა, მზადდებოდა დასაფქვავად.

სამივე საწყაოს სახელი, როგორც იქ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, საქართველოში შემოსული იყო. მაგალითად, გრიკი, მთელ აღმოსავლეთში იხმარებოდა, საქართველოში კი V–XIV საუკუნეებში გვხვდება. ქართულში იგი სპარსულიდან არის შემოსულად მიჩნეული, სადაც სახით ერთეულს აღნიშნავს (ანდრონიკაშვილი, 1966:185). ასევე იყო კაბიწი. ეს ტერმინი დაბადების ქართული თარგმანის გარდა, ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელშიც გვხვდება და გავრცელებული საწყაოს სახელი იყო სპარსულში, ებრაულში, ასურულში, არაბულში და სომხურში (ჯავახიშვილი, 2002:378-379). რაც შეეხება ჩაფს, იგი შედარებით გვიან ჩნდება სახით ერთეულად, კერძოდ, XVI საუკუნეში.

მინაწერიდან ვებულობთ, რომ მე-15 საუკუნეში ერკოტაში **უცხოვრიათ კვირიკას** ძეთა და **ევიტას** ძეს **ჟამიერას**, რომელთაც უნდა გადაეხადათ მონასტრისათვის გადასახადი, რადგან ისინი ცხოვრობდნენ იმ მიწაზე, რომელიც ჰქონდა ნაყიდი **მირძასა** და **ზაზას** მამას **კვირიკას**. საფიქრებელია, რომ ისინი ისევე იყვნენ მონასტრის კუთვნილება, როგორც მიწა. სწორედ ეს გლეხები არიან ამიტომაც საეკლესიო გლეხები (ტალახაძე, 2009:107). ალბათ, აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ სოფელში იყო ყველაზე დიდი გვარი **ბერიძე** და ერკოტაში ცხოვრობდა ისეთი ლოკალური გვარი, როგორიცაა **ხატიძე**. მე-16 საუკუნეში ერკოტაში **პაპუნა ბერისძე** არის ოჯახის უფროსი (ჯიქია, 1941:138) და ამ სოფელში ბერიძეთა გვარის სათავის დამდები. მიწების ყიდვა-გაყიდვაში ჩაბმული სოფელი XV საუკუნეში ლინიერი იქნებოდა. რთული იყო XVI საუკუნე მესხეთისათვის. ოსმალეთის მომძლავრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1595 წელს, როდესაც, საკუთარი საგადასახადო საქმის მოგვარების მიზნით, ოსმალეთის ხელისუფლებამ აღწერა სოფელი, იქ მხოლოდ შვიდი კომლი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ერკოტის შესახებ არაფერია ნათქვამი, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. სამცხე-საათაბაგოს სასინო ადგილთა აღწერისას. ასევე, გვერდს უვლის მას „მესხური დავითნის მატიანე.“ ვახუშტისთანაც და „მატიანეშიც“ დაფიქსირებულია ერკოტის გარშემო მდებარე მრავალი გეოგრაფიული პუნქტი. ამას შეიძლება მოვუძებნოთ ერთგვარი ახსნა. ერკოტა არ გამოირჩეოდა თავდაცვითი ნაგებობით, არც გამორჩეული ტაძარი იდგა ამ სოფელში, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა ინტერესი მის მიმართ. სოფელთან ახლოს იყო ვარნეთისა და ასპინძის ციხეები, რომელთა შესახებ არა ერთ ცნობას ვხვდებით აღნიშნულ მატიანეებში.

XIX საუკუნეში, 1882 წელს, 15 კომლი იყო ერკოტაში. ამის შესახებ მოგვითხრობს ივანე გვარამაძე. იგი ამ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **ხიზაბავრაში,** საიდანაც წამოვიდა, სოფელ **ბნელასთან** გადალახა მტკვარი (ბნელა დღეს ნასოფლარია), გაიარა **საყუდაბელი,** რომელსაც **სახუდაველს** უწოდებს რატომღაც მოგზაური, შემდეგ – **ორგორა,** მას **ონდორად** გვაცნობს და **ზველის** გავლით მიდის **ჭობარეთში.** ივ. გვარამაძე **ერკოტის** შესახებ მიუთითებს, რომ იქ 14 კომლი მართლმადიდებელი ქართველი და ერთი ოჯახი მაჰმადიანი ცხოვრობს (გვარამაძე, 1882). სამწუხაროდ არაფერს გვეუბნება ივ. გვარამაძე მცხოვრებთა გვარების შესახებ. სოფელი შედარებით გაიზარდა XX საუკუნის პირველ ნახევარში. სამოციან წლებში ერკოტა დაცარიელდა, მოსახლეობა ჩაასახლეს რაიონულ ცენტრში, ასპინძაში, რომლის ერთ უბნადაც აქციეს.

ერკოტის ეტიმოლოგიისათვის საჭიროა სახელის ისტორიის გათვალისწინება. როგორც უკვე ვნახეთ, მისი ძველი ფორმა არის **ერკუატა,** ხოლო შემდეგი – **ერკოტა.** ისინი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. მათ შორის სავარაუდებელია **ვა** კომპლექსიანი ფორმაც – **ერკვატა.** ერკუატაში **უ** არის უმარცვლო. ორივე ფორმა – ერკუატა და ერკოტა ისტორიულად დრო'ში ახლო-ახლოს არის ჩვენამდე მოღწეული. მინაწერი XV საუკუნისაა, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", სადაც დაფიქსირებულია ერკოტა. XVI საუკუნეშია შეჩნილი, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ფორმები ჯერ კიდევ პარალელურად არსებობდა. ამის კარგი მაგალითია ცნობილი საეპისკოპოსო ცენტრის და ისტორიული ქალაქის სახელი **აწყური,** რომელიც ლიტერატურული წყაროების მიხედვით VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული ფონეტიკურ ვარიანტებად არის დადასტურებული, კერძოდ, **აწყურის** გარდა გვხვდება შემდეგი ფორმები: **აწყუერი, აწყვერი** და ა'წყრი (ბერიძე, 2010:34). „ეჰანის ქვაბთა განგების" მინაწერებში ცნობილი ისტორიული პუნქტი **ვარძია** მოხსენებულია **ვარძას** სახით. როგორც ჩანს, საკუთარ სახელთა ფონეტიკური ვარიანტულობა დამახასიათებელი იყო ძველი საქართველოსათვის. მოყვანილი მაგალითები იძენენ განსაკუთრებულ დამაჯერებლობას იმიტომაც, რომ ტექსტის ავტორები ძირითადად ადგილობრივი შესხები არიან. XIX საუკუნეში ივ. გვარამაძეს ეკუთვნის პირველი ცდა ერკოტის ეტიმოლოგიისა. მისი აზრით, **„ერკოტა სახელი ნიშნავს ერის კოტაობას** (ვარჯიშს თუ კეჭნაობას) (გვარამაძე, 1882)". ეს აზრი გარკვეულ ტრადიციას ემყარება. **კოტ-**

ვა II კოტაობა არის „ყარჯისი საომრად ან საჭიდრად (გვარამაძე, 1907:124), „ხოლო კვნაობა არის ფარიკაობა (ქეცხლ. 1955:1155). ყველიერი შეჯიბრებებითა და გაროიობებით გამორჩეული დრო იყო მესხეთში, რომლის სხვადასხვა ხეობა, სხვადასხვა თემი ამორჩეულ ადგილას ეჯიბრებოდა ერთმანეთს ისე. როგორც ზველის მინდორ-ვაკეზე იმართებოდა შეჯიბრებანი ახლო-მახლო სოფლებისა (გვარამაძე, 1882). აქ იკრიბებოდნენ: **ჭობარეთის, მუსხის, ორგორის, საყუდაბლის, ვარნეთის, ერკოტის, ქორეთის, ღობიეთის.** თვით **ზველის** და სხვა სოფლელთა მოსახლეობა ყოველწლიურად, სამი წლის განმავლობაში, „სავარჯიშოდ, ვაჟკაცობის გამოსაცდელად და სხვა დახელოვნებულ სამამულო სნეობაში (გვარამაძე, 1882)". მეოთხე წელს კი ერთმანეთს ხვდებოდნენ **ვანის მთის** მიდამოებში, **„ცხრა წყაროს** ველობაზედ", როგორც ივანე გვარამაძე ბრძანებს და იმართებოდა „საქეყნო ოლიმპიური თავ-გამოსენილი თამაში". დასაზუსტებელია სოგიერთი სახელის ადგილმდებარეობა. სოფელი **ვანი,** რომელიც დღეს ნასოფლარია, მდებარეობს ერუშეთის მთებში. ამ სოფლის სიახლოვეს მართალია არის ვაკე ადგილები შეჯიბრებათა გასამართავად, მაგრამ აქ ახლო-მახლო არ არის „ცხრაწყაროს ველობა." **ცხრაწყარო** მესხეთში რამდენიმე ადგილსაა, ერთი, მათ შორის, არის **დედეშის გზიებზე** ზველსა და ერკოტას შორის. შეიძლება ყოფილიყო **ცხრაკენჭა,** ცნობილი წყარო ამ მხარეში, რომელიც განიკ[illegible]ელია დებეტით და ცივი წყლით. თვითონ ამ წყაროზე არაერთხელ შეჯიბრებიან აქაურები ერთმანეთს სიცივის გაძლებაში. პირობა ასეთია: წყალში ჩაყოფ ხელს, ისე, რომ არ ამოიღებ წყლიდან, ამოთელი ცხრა კენჭს მუჭში და შემდეგ სათითაოდ ჩათელი უკან. გამარჯვებულია ის, ვინც ბოლომდე გაუძლებს ციე წყალს. ერთხელ მე თვითონ ვცადე, მართალია, გაუძელი ბოლომდე, მაგრამ ხელის მტევანი და მაჯა გამისივდა და შეგრძნება დამეკარგა კარგა ხანს. ივ. გვარამაძე ჩამოთვლის სპორტის ისეთ სახეებს, როგორიცაა: **ჭიდაობა, მჯიღით ბრძოლა (კრივი), მხარდავედრა, ქოფი, ქალის გაქცევანი, ბურთობანი, „რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით," თულო წრე, „ქვის სროლა ფიქალისა ორის ხელით თუ ლოდების აწევ-დაწევა. ამათ რიცხვში ისრის სროლა და ჯირითი".** ჩამოთვლილთაგან ზოგი რამ დღესაც ცოცხლობს და საკაკაცო საქმედ ითვლება. მაგალითად, გამოდგება შოთაობაზე და სხვა სახალხო დღესასწაულებზე საჯილდაო ქვის აწევა.

ივ. გვარამაძის მიერ დასმულ პრობლემას სამწუხაროდ არავინ გამოეხმაურა დიდხანს. 1966 წლის 5 ივნისის გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა ა. ციბაძის სტატია სათაურით „ქართული ოლიმპიური თამაშები?" რომელშიც ავტორი განიხილავს ივ. გვარამაძის ხელთნაწერს და წერს: „საქმე გვაქვს მეტად საგულისხმო ცნობასთან. მართალია, ავტორს ზოგიერთი უსუსტობა დაუშვია და ძნელია ამ ცნობის უსუსტობაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი კი ცხადია: ჩვენმა ისტორიკოსებმა მასში შეიძლება ღრო-ჟამისაგან შეკრული კვანძები მონახონ, რომელთა გახსნა კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს ჩვენი ერის კულტურულ წარსულს." ა. ციბაძის წერილზე გამოვაჭვეცნე გამოხმაურება იმავე გაზეთის 1969წლის 30 ნოემბრის ნომერში, რომელშიც შეეცადე მეოცე საუკუნის სამოციანი წლებისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი სპორტის ზოგიერთი სახეობის დაფიქსირება. 1979 წელს გამოვიდა ბროშურა „ოლიმპიური საქართველო", რომლის ავტორებიც ა. ციბაძე და გ. ხაჩიძე აგრძელებენ ოლიმპიური თამაშების თემას და ასკვნიან, რომ ივ. გვარამაძის კორესპონდენციისა და ძველი ბერძნული თამაშების სახეობათა და პრინციპების შედარების საფუძველზე შეიძლება „გაბედულად ვილაპარაკოთ ბერძენ-ქართველთა ფიზიკური აღზრდის სისტემათა ნათესაობაზე (ციბაძე, ხაჩიძე, 1979:9)"

ივ. გვარამაძე, როდესაც ერკოტის ეტიმოლოგიას **კოტაობას**, კეკნაობას, შერკინებას უკავშირებს, სწორედ ზემოთ აღნიშნული სპორტული ტრადიციები აქვს მხედველობაში. ტოპონიმიაში ხშირად ხდება, როდესაც ესა თუ ის სახელი ედება საფუძვლად ტოპონიმის ხალხურ ცრუ ეტიმოლოგიას. მაგალითად, სოფლის სახელი დამალა დაუკავშირდა თამარის ცხენის დამალვას; ვარძია თამარის მიერ წამოძახებულ „აქ ვარ ძიას" და სხვა. ხალხში გაერცელებული სპორტული ტრადიცია უკავშირდება სოფლის სახელს. ხალხური, გეოგრაფიული და ისტორიული ტრადიცია ამ ეტიმოლოგიის მხარესაა. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ერკოტის უხუცესი მკვიდრისაგან, დეკანოზ ბერიძისაგან, რომელმაც არც ივ. გვარამაძის არსებობა იცოდა და არც ა. ციბაძის წერილი წაეკითხა, ერკოტის შესახებ შემდეგი ჩამაწერინა: „დაარსებიდან **ერკოტა** ყოფილა ცენტრი საქართველოსი. მტრის შემოსევით სოფელი განადგურებულა. **ერკოტას უწოდებენ იმიტომ, რომ ერობა იცოდნენ აქ. ხალხი იკრიბებოდა და დგებოდა ერთა კოტაობა (ჭიდაობა)** (ბერიძე, 1969)." თუ ჩვენ მიეყრდნობით ივ. გვარამაძისეულ ეტიმო-

ლოგიას, საჭიროა, ერკოტა განვიხილოთ, როგორც კომპოზიტი და ცალკე გამოვყოთ **ერ** კომპონენტი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოსულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილია ერის ი. სტალინისეული განმარტება, რომ „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა (ქეგლ, 1953:1391)". მაგალითები ძირითადად მოხმობილია კომუნისტური იდეოლოგიით განმსჭვალული ლიტერატურიდან, მოყვანილია ციტატა ივ. ჯავახიშვილიდან და მითითებულია ერის მნიშვნელობა ძველ ქართულში. სულხა-საბას მიხედვით ერი არის „მსოფლიო კაცი, ჯარი (ორბელიანი, 1965: 245)." ერისთავი ნიშნავდა ჯარის თავს (ორბელიანი, 1965:245). ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის" მიხედვით, ძველ ქართულში ერს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, ნიშნავდა **გუნდს, შესაკრებელს, ნათესავს, ბანაკს, მხედრობას, ჯარს, ხალხს**. ერისაგან მრავალი კომპოზიტია ნაწარმოები და მნიშვნელობით ძველგან საერო კრებულს აღნიშნავს. პირველ რიგში აღსანიშნავია ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელის სახით წარმოდგენილი ფორმა შემდეგ სიტყვებში: **ერისთავი, ერის-კრება, ერის-მთავარი, ერისმთავრობა, ერმრაველობა** და სხვა. **-გან** თანდებულით არის წარმოქმნილი სახელი: **ერისაგანი II ერისგანი,** რომელიც ერისკაცს, ჯარისკაცს აღნიშნავს, ხოლო **ერობა** არის ტომი, გუნდი, ჯარი (აბულაძე, 1973:150). ივ.ჯავახიშვილის მიხედვით „ერი "ხალხსაც ჰნიშნავდა და ჯარსაც." ერი თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდება. ჯარისთვის კი სამწერლო ენაში ჯერ ერთი სპარსული სიტყვა – „სპა" შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა – „ლაშქარი"-ც ემატება (ჯავახიშვილი, 2002:299)."

არის თუ არა **ერი** ტოპონიმიაში იმ მნიშვნელობით, რომელი მნიშვნელობითაც ძველ ქართულში გვაქვს? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. კასპის რაიონში გვაქვს სოფელი **ერთაწმინდა,** რომლის პირველი ნაწილი **ერს** უნდა უკავშირდებოდეს. მართალია, ერი კრებითი სიტყვაა, მაგრამ შეიძლება შეეხებოდეს მრავალობით რიცხვში. მაგალითებს მოვიყვან „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონიდან": სხუად სიმრავლე ერთად გამოვიდა. აღივსნეს მთანი ოგი სიმრავლითა ერთადთა. წარემართნეს სიმრავლენი **ერთანი.** დაცალიერებულნი

ადგილნი იხილნა **ერთაგან** ში'შისაგან აგარიანთა (ქაძსლ, 2005:321). სხვა მაგალითები: „თაყუანის სცემდა ყოველთა **ერთა** ცისათა"; „ოქუენ გეტყ **ერთა** ტომთა და ენათა"; და სხვა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპოზიტური სიტყვის ერთაწმინდის პირველი კომპონენტი არის **ერი** მრავლობით რიცხვში. ქართლში გვაქვს აგრეთვე **ერთაწმინდის ხევი** (საქართველოს ტოპონიმია, 1999:38). რაჭაში სოფელ ახალსოფელში არის წყარო და სამოვარი, რომელსაც **ერუბანი** ჰქვია. სოფლელები განმარტავენ, რომ „იყო **ერის უბანი**, ე.ი. **ხალხის უბანი** (ცხადაია, ჯოჯუა, 2010:127)". სამეგრელოში ალ. ღლონტს დადასტურებული აქვს **ერიში ნოხორი**, რომელიც განმარტებულია, როგორც **ერის ნასახლარი** (ღლონტი, 1971:61). ქვემო იმერეთში წყაროს სახელად გვაქვს **ერწყარო** (საქართველოს ტოპონიმია, 2003:102). შეიძლება, ვიფარაუდოთ, რომ აქაც ამოსავალი, კომპოზიტის პირველი ნაწილი, არის **ერი**. ერი არის ამოსავალი თავისი ძველი მნიშვნელობით რაჭის გეოგრაფიულ სახელში – **საერო**. იგი საძოვარია პოლენასა და საგურაბანიძეის შორის. იქვე გამოდის წყარო და მას **საეროს წყარო** ჰქვია (ცხადაია, ჯოჯუა, 2010:248).

ერკოტის მეორე ნაწილი, ივ. გვარამაძის მიხედვით, უკავშირდება **კოტაობას**, რომელსაც აქვს პარალელური ფორმა **კოტვა** (იხ. სემოთ). ეს ორივე სიტყვა ერთი და იმავე ფუძიდან მოდის, ორივე არის საწყისი, გაფორმებული სხვადასხვა სუფიქსით. კოტაობა მიღებულია კოტაობს ზმნისაგან, ხოლო კოტვა – კოტავს ზმნისაგან. აქედან დადასტურებულია დღევანდელ მესხურ დიალექტში პირველი ვარიანტი. ილია მაისურაძის მიხედვით, **კოტაობა** არის „**ტყუილი ჭიდაობა, ძიძგილაობა** (ღლონტი, 1984:305)." მართალია, ეს განმარტება განსხვავდება ივ. გვარამაძის განმარტებისაგან, მაგრამ სემანტიკურად მაინც ახლოს დგას მასთან და განპირობებულია სპორტული თამაშების რეალური მდგომარეობით მესხეთში. XIX საუკუნეში ნიშნავდა **ვარჯიშს საომრად და საჭიდრად (საჭიდაოდ)**, როგორც თავის ხელნაწერ ლექსიკონში მიუთითებს ივ. გვარამაძე. ამგვარად, ერკოტის ეტიმოლოგია შეიძლება დავუკავშიროთ მის სპორტულ შინაარსს.

მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება ისეთი სახელები, რომელთაც მეტი სიახლოვე აქვთ დიალექტთან, ვიდრე სალიტერატურო ქართულთან, რაც განპირობებულია მათი არქაულობით.

ავაზანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით არის „ჭერმეტულად დახურული ჭურჭელი სითხეების სადღებლად ან გამოსახდელად, – სარფყუში“ (ქ ე გ ლ, 1950:145). იგივე განმარტებაა დატოვებული პროფ. ა. არაბულის რედაქტორობით გამოცემულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, ოღონდ მოხსენიებულია ზარფყუშის მნიშვნელობა (ქ ე გ ლ, 2008:227). **ავაზანი** ძველ ქართულში გვხვდება და უძველეს ძეგლებშია დამოწმებული. მისი მნიშვნელობაა: „სიაე“, ქვაბი, აუზი, ემბაზი: „მოაბ ავაზანი სასოებისა ჩემისად“; „ავაზანი, რომელი სხუათა რწყავს და რცხის“ (აბულაძე, 1973:2). სულხან-საბა ორბელიანი ავაზანს განმარტავს შემდეგნაირად: „წყლის სადგომი“. ვარიანტებში კი გვაქვს: „წყლის (წყალთ) საგუბარი“; „გობი პირუტყვის საჭმელი“ (ორბელიანი, 1965:44). ავაზანს აქვს სინონიმები **ავზი** და **ისარნა** (ისარნები): „წყალთ შთასასხმელია ხვასტაგთ სასმელად და მისთანათა“; „წყლის სადგმელია ხვასტაგთ სასმელად“ (ორბელიანი, 1965:340). ავაზანში შეიძლება ბანაობა, ამიტომაც **საბანელი** არის „აბანო, გინა ავაზანი, გინა ემბაზი“ (ორბელიანი, 1966:21).

დიალექტებიდან ავაზანი გვხვდება მესხურში, იმერხეულსა და აჭარულში. მისი მნიშვნელობა არის: „დიდი გეჯა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად“ (ღლონტი, 1984:24). მოცემული განმარტებები არ ასუსტებს, ავაზანი შეიძლება იყოს ცალკე თუ წყაროსთან აუცილებლად. ამ მხრივ საყურადღებოა არ. მარტიროსოვის განმარტება: „წყაროსთან დადგმული ხისაგან გამოთლილი ან ქვითკირით ამოშენებული ნაგი, რომელშიც პირუტყვის სასმელი წყალი გროვდება“ (მარტიროსოვი, 1984:222). ეს განმარტება შედარებით ასუსტებს ავაზნის მნიშვნელობას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ ქვითკირის ავაზანი შედარებით გვიანდელი მოვლენაა და საბჭოთა პერიოდს განეკუთვნება. ავაზანი კეთდებოდა **ხისგან** ან **ქვისგან**.

ავაზნის ეტიმოლოგია ეკუთვნის მ. ანდრონიკაშვილს. მისი აზრით „ქართული **ავაზან**-ი და სომხ. avazan, როგორც ამას

გვიჩვენებს ფონეტიკა, მომდინარეობს არა სასანურ-ახალი სპარსულიდან, არამედ ჩრდილო-ირანული დიალექტური წრიდან (ან სოღდურ-პართულიდან ან სკვითურ-ალანურიდან)“ (ანდრონიკაშვილი, 1966:218). სომხურში ავაზანს აქვს **ტბის, გუბის** მნიშვნელობა. ასევე **წყალს, გუბეს, დენას, დაგუბებას, წყალსაცავს, სადინარს** უკავშირდება სხვა ენებშიც ამ სიტყვის სემანტიკა (ანდრონიკაშვილი, 1966:218).

მესხეთში ავაზანს აქვს კონკრეტული დანიშნულება. ის აუცილებლად უნდა იდგეს გამომდინარე წყაროს წინ, უნდა იყოს გათლილი ხისგან ან ქვისგან. როგორც წესი, ხის ავაზნები დროთა განმავლობაში ლპება, ფუჭდება და კვალიც იშლება. ხშირად ხდება, რომ ასე გამქრალი ავაზნის ადგილას მხოლოდ წყარო დის, აღარ არის ავაზანი, მაგრამ ხალხი მას მაინც ავაზანს უწოდებს. ბოლოს და ბოლოს შრება წყაროც.

სოფ. ტატანისის მიკროტოპონიმიაში მთის და საძოვრის სახელად გვხვდება **ავაზანა**. სიტყვის ბოლოში -ა მატოპონიმებელი ფუნქციისაა, ხოლო **ავაზანი** ახლომახლო არსად ჩანს, არ მოქმედება არც წყარო. სამცხეში შედარებით ნაკლებად, მაგრამ ვისაც ჯავახეთის ან ჩვენს ფარგლებში მყოფი ერუშეთის სოფლები ან ნასოფლარები უნახავს, რომელთაც გარს ალპური საძოვრები აკრავს, გაიხსენებს ხის ან ქვის ავაზნებს. ასეთი ავაზნები სოფელთა შუაგულში სოფლის წყაროების წინ არის ჩარიგებული, რომ შიგ საქონელმა წყალი დალიოს. სოფლის გარდა, საძოვრებსაც იყო ავაზნები, შუა დღით წყლის სასმელად. ქვის ლამაზი ავაზნები ბოლო დრომდე დგას ხიხაბავრისა და ოქმის ცენტრში. კოლმეურნეობის დროს ლითონის ავაზნებიც გააკეთეს. რკინის მსხვილდიამეტრიან მილებს შუაზე ჭრიდნენ და იქმნებოდა თანამედროვე ავაზნები. ტატანისშიც სწორედ ამ ადგილზე მდგარა ერთ დროს ავაზანი, რომლის ხსოვნაც ტოპონიმიამ შემოგვინახა.

ავაზანი ტატანისში კიდევ ერთ კომპოზიტურ სახელში გვხვდება, ეს არის **ოთხავაზნები**. ასე ჰქვია წყაროსა და მის გარშემო ყანებს. შინაარსი ასე უნდა აიხსნას: რადგან რიცხვითი სახელი ურევია, ოთხი გეჯა ყოფილა. ეს აშკარაა, მაგრამ მაშინ ქართულისთვის უცნაური ფორმა იქმნება. რიცხვითი სახელი დგას მრავლობით რიცხვში. ოთხავაზნებში ეს –ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანი ავაზნების რაოდენობას, მის სიმრავლეს არ ასახავს. სახელის ისტორია ასე უნდა განიმარტოს: თავიდან წყაროსთან იდგა ოთხი ავაზანი, ალბათ ხისა, რადგან ქვისა რომ ყოფილიყო, დღევანდლემდე მოაღ-

წყდა. ამიტომ ოთხი ავაზანი ან **ოთხავაზანი** დაერქვა წაყროს. რომლის სახელიც ყანების ფონზე აღმოჩნდა მთავარი ორიენტირი. მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმია, როდესაც წყაროს სახელი გადავიდა ყანაზე. ოთხავაზანი ეწოდა ყანას, მაგრამ ყანა ერთი არ იყო, ამიტომ ყანების სიმრავლე გამოიხატა -ების საშუალებით (ბერიძე, 2010:182).

ავაზნები რადგან კეთდებოდა წყაროს წინ, მასში ჩამდინარე უნდა ყოფილიყო წყაროს წყალი. შეიქმნა წყაროს ერთგვარი სახეობა, კულტურის ფორმა. ავაზნის წყარო უპირისპირდებოდა, მაგალითად, **სამხობელას**, რომელიც მისგან განსხვავებულობდა როგორც ფუნქციით, ისე ფორმით. სამხობელები მხოლოდ ადამიანის სასმელად გამოიყენებოდა. ის არის რეზერვუარი, რომელშიც იკეტება მილი, გროვდება წყალი და მხოლოდ დილით აღრე იხსნება მოსახლეობისათვის. ავაზნები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავებულიყო რაღაც ნიშნით. პირველ რიგში ასხვავებდნენ ავაზნების რაოდენობის მიხედვით: **ერთავაზნიანი, ორავაზნიანი** და ა. შ. ცალკეული სოფელი ამაყობდა თავისი ავაზნებით, რადგან წყაროთა და ავაზანთა სიმრავლე სოფლის ძლიერების მაჩვენებელი იყო. ყოველივე ეს კი აისახებოდა ტოპონიმიაში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ჰიდრონიმია წარმოადგენს.

ასპინძის რაიონის სოფ. ჭობარეთის ინფორმატორები მოგვითხრობენ: ჭობარეთის წყაროები არის ოთხი: სამი ქვისა და ერთი ხისა. ავაზნებიდან ორიღა დარჩა ქვისა (თითო ოთხიანია). ორი დაამტვრიეს, სამშენებლოდ წაიღეს. პირველ ავაზანს **თულუნჯიენთ ავაზანს** ეძახდნენ (თულუნჯიენი ხმალაძეები იყვნენ, რომლებიც თულებს, გუდასტვირს აკეთებდნენ, მერე მჭედლები იყვნენ, მათი გაკეთებულია, ამიტომ ჰქვია თულუნჯიენთი). მათ **თულუნჯიენთ ავაზნებსაც** ეტყვიან, რადგან ოთხი ქვის ავაზანი დგას წინ, სოფლის ბოლოს, ზყელის გზაზე, მარცხენა მხარეს. მეორეს **ხის ავაზანი (ავაზნები)** ერქვა, ის მდებარეობს თულუნჯიენთ ავაზნების ზევიდან. ამ წყაროსთან ახლოს დასახლება არ არის. მას საქონლის დასაწყურვებლად იყენებენ. სახელი მასალის გამო შეერქვა. ხე რომ ლპებოდა, ცვლიდნენ ხოლმე. მესამეს ერქვა **დანგრეული ავაზნები**, სოფლის აღმოსავლეთით იყო უსარმასარ ლოდებში ამოკვეთილი ოთხი ავაზანი. რადგან წყალი აღარ მოდიოდა, აქედან ამოთხარეს, წაიღეს ქვები მანგალას გალმა და სახელიც დანგრეული იმიტომ უწოდეს. მეოთხე – **ბაღის ავაზნები. ვერანა ჭობარეთის** ბაღები იყო, ღღეს ახალი დასახლებაა,

ავაზნები კი ძველია და სახელი იქიდან მოდის. ბაღის ავაზნებს **ბაღების ავაზანსაც** ეტყვიან, წყარო გამოდის სოფლის აღმოსავლეთით, ზველის საზღვართან ახლოს. **ვერანა ჭობარეთსა** და **მანგალას** შორის არის **თომიენთ ბაღები** (თომიენი ზედგინიძეები არიან), რომლის ჩრდილოეთით არის ქვის ოთხი ავაზანი, **ბაღის ავაზნები**, რომლის წყალიც უკეთესია დებეტით და სასმელადაც შემრგოა. ჭობარეთის ავაზნები გაკეთებული უნდა იყოს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. კომუნისტებამდე, ზოგი, შეიძლება, ბევრად უფრო ადრეც (ბერიძე, 2011:189-190).

სოფელ ზველში რამდენიმე ადგილს ჰქვია **ავაზნები**: 1. სოფლის ჩრდილოეთით, ორასიოდე მეტრის დაშორებით, **ქარაფის ძირში**, რომელიც დასცქერის **ღობიეთს**, გამოდის ხუთი წყარო. თითოეულ წყაროს ცალ-ცალკე ავაზნები აქვს მიდგმული. ერთ წყაროს უდგას ხუთი ავაზანი, ერთს –ოთხი, ერთს –სამი, ორი და ერთსაც – ერთი. ეს წყაროები გვერდი-გვერდ არის და ყველას ერთად ჰქვია **ავაზნები**. წყაროს წინ ყველა ავაზანი ქვისაა. ავაზნები არის მათი საერთო სახელი, მაგრამ ცალ-ცალკეც ასახელებენ, როდესაც გარჩევა უნდათ. ოთხავაზნიან წყაროს **პეტრიენთ ავაზნებს** ეძახიან. პეტრიენი დიასამიძეები იყვნენ. სამავაზნიან წყაროს **ანაქალოს ავაზნები** ჰქვია. ანაქალო ზველელი ქალბატონი ყოფილა, ფული გადაუხდია, გაუკეთებინებია ავაზნები, რომ მისი სახელი დარჩენილიყო (ბერიძე, 2012:39).

მესხეთში სახელის დატოვება სხვადასხვა ფორმით ხდებოდა. ერთ-ერთი სწორედ წყაროს კეთება იყო. მაგალითად, ერაელის ხეობაში არის **ოქრომელიძე სიმონას წყარო**. როგორც ამბობენ, ამ წყაროს გაკეთებაში ოქრომელიძე სიმონამ საქონელი გადაიხადა და გააკეთებინა, ამიტომ მას **სიმონას წყაროს** ეძახიან.

ზველის მესამე ერთავაზნიან წყაროს სახელი არა აქვს, მას **ავაზნის წყაროს** ეტყვიან და ასე გაირჩევა სხვებისაგან. ეს არის ავაზნების ერთი ჯგუფი. 2. არის კიდევ ერთი წყარო, რომელსაც **ავაზნებს** ეძახიან, რადგან წყაროს წინ იქაც ავაზნები დგას. მათ **გლავიენთ წყაროც** ჰქვია. იგი გამოდის ჭობარეთის მხარეს და როცა იკითხავენ, რომელ ავაზნებზე მიდიხარო, **ჭობარეთის მხარეს** ან **ჭობარეთის მხარის ავაზნებზე**, – არის პასუხი. ეს ავაზნებიც გადასცქერის ღობიეთს. 3. ავაზნები უდგას და მას ყოველგვარი მსახლვრელის გარეშე, **ავაზნებად** მოიხსენიებენ სოფლის ცენტრში მომდინარე წყაროს. ამ

წყაროს სათავე აქვს მთაში, საიდანაც რკინის მილებით მოჰყავთ. ამიტომ **თის წყაროს** ეტყვიან მას. ავაზნები წყაროს სინონიმად იქცა. მას დაუკავშირდა მრავალი რიტუალი. სოფლიდან მტკვარი შორს არის, ამიტომ წყალკურთხეის ღღესაწაული ავაზნებზე ტარდებოდა. ასევე ულოცავდნენ წყაროს (ავაზანს) ახალ წელს. ინფორმატორთა ცნობით, „დილით, უთენია, ოჯახის ახალგაზრდა წევრი გადიოდა წყაროზე უბარი წყლის მოსატანად და ახალი წლის მისალოცად. შიგ ყრიდა სახლიდან წაღებულ ქერს, ხორბალს ან სიმინდს. თუ წყაროზე მისულს მარცვლეული ჩაყრილი დახვდებოდა, იგი ამოიღებდა წყაროდან მარცვლებს, რაც იყო ჩაყრილი და თავისას ჩაყრიდა. თუ წყაროზე მისულს ხორბალი არ დახვდებოდა, ქვიშა უნდა წამოეღო, თავისი მარცვალი კი უნდა ჩაეყარა, წყაროზე მიჰქონდათ ასევე ლობიო ან სიმინდი. ჰყრიდნენ წყაროში და თან ამბობდნენ: „როგორც შენი წყალობა არ დაიღევა, ისე ჩვენც ნუ გამოგვილიოს დოყლათბარაქა". წყაროდან წამოღებულ მარცვლეულს ან ქვიშას ქათმებს უყრიდნენ". არის სხვა ვარიანტიც: ოჯახის უფროსი მამაკაცი ახალ წელს დილით ადრე ბეღლიდან ამოიღებდა ხორბალს, ვედროში ჩაყრიდა, წყაროზე გაიტანდა და იტყოდა: „წყალო და წყლის დედაო, ბრძენმა შემოგვითვალაო, როგორც შენ ხარ ულეველი, ისე ჩვენი ოჯახი იყოს ულეველიო".

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესვენება ავაზნის ამ მიზნით გამოყენება. ის, რომ ავაზანი ემბაზის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ეტყობა, არ იყო შემთხვევითი და მას სარიტუალო დანიშნულება ქრისტიანობამდეც ჰქონდა. მოვიყვან აპოკრიფული ლიტერატურიდან ციტატას, რომელიც დამოწმებული აქვს მ. ანდრონიკაშვილს: „ელგა თორნესა **ავაზანი დიდი**; და **მას ზედა დაკლიან კაცნი და შთადინ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა** და აღმოიღებენ მას სისხლისაგანსა და სუმმედ და მიიხუნედ კაცნი იგი და მომწყდარნი დასხნეს მას ავაზანსა" (ანდრონიკაშვილი, 1966:218). ავაზნები იქცევა ხოლმე ერთ-ერთ ცენტრალურ ორიენტირად სოფლელთა მიკროტოპონიმიაში, მასთან არის დაკავშირებული მისსავე ეტიმორში მოქცეული სხვა ონიმები, რომლებშიც ავაზანის მართული მსახლეველის ფუნქცია აკისრია. ასეა, მაგალითად, სოფელ ზეელის ტოპონიმიაში: **ავაზნების ყანები; ავაზნითავი, – ყანები.** ავაზნითავს ეძახიან **გლავიენთ ავაზნითავსაც.** ყანები არის გლავიენთ ავაზნის თავსე და არა სხვა ავაზნებისა. ავაზნებს სვევით არის **ავაზნითავი,** ყანებთან შედარებით ამაღ-

ლებული ადგილია. ავაზნითავებში არის **გლავიენთ ყანა, იორდანიენთ ყანა** და **ქუმელიენთ ყანა**. გლავიენი და იორდანიენი სუდგინიძეებია, ქუმელიენი – ივანიძეები. ავაზნითავს **ავაზნითავებსაც** უწოდებენ და იქ მდებარე ყანები იგულისხმება; **ავაზნის ყანების თავი; ავაზნიყანები; ავაზნის წყარო** და სხვა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო ირანულიდან დილექტსა და სალიტერატურო ენაში შემოსულ ავაზანთან დაკავშირებული ლექსიკა ტოპონიმთა ძველ ფენას მიეკუთვნება.

მცენარეული ნაჰომავლობის სახელი სამატიტლო

სამატიტლო გორების სახელია სოფელ ფიაში, მის სამხრეთ მხარეს. ადგილობრივთა მტკიცებით, სახელი შერქმეულია სიშიშვლის გამო. ტიტველი გორებია და იმიტომ დაერქვათ სახელი. სულსართავი სახელი ტიტველის განმარტება ცნობილია. მას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა; „1. ვისაც არაფერი აცვია"; 2. გადატ. ვისაც ტანსაცმელი არა აქვს – ცუდად ღარიბულად ჩაცმული"; 3. თმით (ბუმბულით, ბალნით) შეუმოსავი"; 4. **რაც დაფარული არ არის მცენარეული საფარით**"; 5. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი. პირტიტველა. (ქ.ე.გ-ლ.ტ.VI., 1960:1299-1300) მართლაც ამ განმარტებათაგან მე-4 შეიძლება დაედოს ნომინაციის საფუძვლად, მაგრამ ხალხურ ეტიმოლოგიას გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს. პირველ რიგში, თუ ამოსავალია **ტიტველ-** სულსართავი სახელი, **-ვ** ფუძისეული ელემენტი შენარჩუნებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვა მნიშვნელობას კარგავს. მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ამ სიტყვაში **ვ** ბგერა იცვლის ადგილს, მაგრამ არ იკარგება. ასეთია ნასოფლარ ვარნეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული **ტვიტელი** (ბერიძე, 2011:133). ასევე არავითარი კავშირი ტიტველთან არ აქვს **მ-ს**, რომელიც ფუძისეული ბგერა ჩანს. ვფიქრობ, ამოსავალი უნდა იყოს **მა-ტიტელა**, მცენარეული სახელი, რომელიც ნაწარმოებია სა – ო დანიშნულების აფიქსებით. „**სა – ო** იგივეა მნიშვნელობით, რაც **სა – ე**, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს, რომ-

ლებიც უმეტესად ზედსართავი სახელებია (შანიძე, 1973:132)". ეს აფიქსები ზედსართავად აქცევს ძირითადად არსებით სახელებს და ასეთი წარმოება გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელებში, დაერთვის სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავს მცენარეულობას, მაგალითად სა-**ღანძილ**-ე (შანიძე, 1973:137). დანიშნულების აფიქსების გამოყენება ისეთ ფუძეებთან, რომლებიც მცენარეებს აღნიშნავენ, გვხვდება საქართველოს სოფლების სახელებში. **ქერი** არის ძირეული სიტყვა სოფლის სახელში სა-**ქერ**-ე (დუშეთის რ.), **ბოლოკი** არის ამოსავალი სოფლის სახელში სა-**ბოლოკ**-ე (ცხინვალის რ.), ასევე ცხინვალის რაიონშია სოფელი, რომელსაც სა-**კანაფ**-ო ჰქვია. სახელი მიღებულია **კანაფისაგან,** რომელიც არის „ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო, თათისებრი ფოთლები და ორსახლიანი წვნიანი ყვავილები; მისი ღეროსაგან ამზადებენ სართავ ბოჭკოს – ქერელს (ქ.ე.გ.ლ, 1955:1046)". **ჩალა** არის ძირეული სიტყვა სოფლის სახელში სა-**ჩალ**-ე (ახმეტის რაიონი) და სხვა. **მატიტელა** ერთწლოვანი ბალახია. „აქვს დატოტვილი ღერო, მეტწილად გართხმული, ფოთლების იღლიებში განლაგებული პატარა ყვავილები და სამწახნაგოვანი ნაყოფი; გავრცელებულია უფრო გზისპირებზე; ეზოებში, იხმარება შინაური ფრინველის საკვებად (ქ.ე.გ.ლ, 1958:89)". მართალია, სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვაში არ ხდება ფონეტიკური პროცესები, კუმშვა-კვეცა, არა გვაქვს მატიტლის ფორმა, მაგრამ სა – ო აფიქსებმა, როგორც ჩანს, დიალექტში ასეთი რამ გამოიწვია, რამაც განაპირობა მნიშვნელობის გაბუნდოვანება. მაგალითად, მესხურ დიალექტში ხდება ზედსართავი სახელის **პატარას** კუმშვა და კვეცა, ვღებულობთ **პატრის** ფორმას ნათესაობით ბრუნვაში. იკუმშება -კარ კომპონენტი კომპოზიციის დროს და გვაქვს **პინტკრის** და სხვა (ბერიძე, 2008:102-103). ის, რომ მატიტელა გვხვდება გზის პირებსა და ეზოებში ძირითადად, ვფიქრობ, დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან გზა მთა-გორებსაც გადის და შესაძლებელია, სახელის დენოტატის სიახლოვეს შექმნა და შემდეგ მეტონიმია, მისი გადატანა მეზობელ ობიექტზე, რასაც ხელი შეუწყო მისმა სხვაგვარად გაშინაარსიანებამ, ტიტველთან დაკავშირებამ.

მეხაბ ბეხიძე, ხოზეტა გუჯეჯიანი

„ზიახეთობის“ ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

ტრადიციული ქართული კულტურის ბევრი მახასიათებელი დღემდეა შემონახული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში, თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეულ ტაო-კლარჯეთში. ცნობილია, ამ მხარის ეთნიკური ქართველების ყოფა და კულტურა დღესაც ძველი ქართული ტრადიციული ყოფის მრავალ ნიშანსს ინახავს.

მკვლევართა დაკვირვებით, ტაო-კლარჯეთში თვით XX საუკუნის დასაწყისშიც კი, შემონახული იყო ქართული ქრისტიანული კულტურის ზოგიერთი ელემენტი. ქართული ტრადიციული კულტურის გამოძახილია ტაოს, კლარჯეთისა (შავშეთი, იმერკვეში, ხემო მაჭახელი, ნიგალეთის ხეობა) და ჭანეთში არსებული შემდეგი ტოპონიმები: ჯუართა, ჯვარიენთი, ჯვარქედა, ჯვარისხევი, ნაჯვარევი, სამაცხოვრე, საყდარისერი, საყდრიყელი, კოხიჯვარი, სამებათი//სანებათი, მარიამწმინდა, ანდრიაწმინდა, ელიაწმინდა, ელიასუბანი, ინეწმიდა, ბერიენთი, ბერთა, ტბეთი, ხანძთა, ნაქილისარი, ზიარეთი და სხვა (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ., I. ბათუმი, I. 1958; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წ. I, ბათუმი, 1993; ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუხის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004; ტ. ფუტკარაძე, იმერკვეის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007).

ტრადიციული ქართული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც შემონახული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე არსებული, აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში. ტრადიციულ ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული ყოფაში ფიქსირებული **„ზიარეთობის“** ტრადიციაც.

ტოპონიმი „ზიარეთი“ და „ზიარეთობის“ ტრადიცია შემონახულია თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალ სოფელში.

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევართა ნაშრომებში ტოპონიმ „ზიარეთთან“ ერთად იხსენიება „ზიარეთობის“ ტრადიციაც. განსაკუთრებით დაწვრი-

ლებით ეს ჩვეულება ნ. მარს აქვს აღწერილი: „თეთრაქ-დულები, ცხადია, მუსლიმები, მოყვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (სიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული: სიარეთ'ში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყოფთ და ამეკიდებით, წავიღებთ, სიარეთათ ფორტას წავალთ და მერის, აჭარას. ფორტის ზემოთ არის ჩვენი სიარეთი, ერთ საათს გოუწევს. სიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაც მოშემებული, ყულანდელი, მაშინდელი. სიარეთ'ში დაწყებიან. სიზმარ'ში ნახვენ. ეტყვის სიზმარ'ში, ეს დაკალიო და ფული აზუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო, რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლაეს, ყოს (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ხარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ხიტი არ გაგვიგონია" (Марр. Н. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნ'ში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. – Тексты и разыскания по армиано-грузинской филологии, кн. VII С., Петербург, გვ., 79).

ადგილობრივმა ქართველებმა ნ. მარს სა'სიარეთოდ სიარულის მისე'სიც აუხსნეს: „სიარეთ'ში მიდიან ფორტის, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის. კარი არა აქ, შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვერცხლი არ იქნება. მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი), მომ აანთებს, სამ, შვილ, ხუთ ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დაწყება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარ'ში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდიო)". სანთლებს ქვაზე აკრავენ. მლოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მისულები კი უფრო ხანგრძლივი დროითაც. სა'სიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნის'ში, მიდიან ფეხით (Марр Н. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნ'ში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. – Тексти и разыскания по армиано-грузинской филологии, кн. VII, С. - Петербург. пм., 80).

ნ. მარი თვითონაც შეესწრო სალოცავად მიმავალთა პროცესიას იქვე, იმერხევის სოფელ იმყრხეველ'ში. „სასიარეთოდ" მიმავალი მლოცველთა ჯგ'უფი საკმაოდ დიდი ყოფილა. ადგილობრივმა მცხოვრებმა მოსიძემ მკვლევარს აუხსნა, რომ ეს ქალები და მათი ქმრები 3 დღე დარჩებოდნენ მთაში სალოცავად, ხოჯები ძალიან ებრძვიან ამ ჩვეულებას და ამბობენ, რომ მთებ'ში არავითარი სიარეთი არ არისო, მაგრამ

მოსახლეობა ეწინააღმდეგება მოლებს, არ უჯერებს მათ და აგრძელებს თავისი ძველი წეს-ჩვეულების შესრულებასო (Марр Н. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. – Тексти и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С. - Петербург. пм., 45).

ე. თაყაიშვილის მახალით, იგი, ამავე დროს, იმოწმებს ნ. მარის ნაშრომსაც, „სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარებაში წასვლა. **ეს უდრის ჩვენებურ ხატობას**. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიების ნანგრევებია, ან ყოფილი სავჯარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან. ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და მათ უნდა დაესიზმროთ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლაუნ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასეთი **ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც** მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიების ნანგრევებია დაცული“ (ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, მრავალტომეული, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, 220).

ტოპონიმები „ზიარეთი“ და „ზიარეთობის“ ტრადიცია ახსოვთ დღევანდელ იმერხეველებს, მაჭახლელებს, მურღულელებს, დეხსქელის ხეობელებს, ქლასკურელებს, ხებელებს, აგრეთვე, ტაოელებსაც (ხევაი, ბალხი, ქობაი).

შ. ფუტკარაძის მახალით, ტაო-კლარჯეთში „ზიარეთი“ წმიდა, სალოცავ ადგილს აღნიშნავს (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ., 459).

ტოპონიმი „ზიარეთი“ და სახიარეთოდ წასვლის ტრადიცია ხშირ შემთხვევაში უკავშირდება თამარ მეფის ხსოვნასაც. იმერხევის, ტაოსა და ნიგალის ხეობელთა წარმოდგენით, ხოგიერთ „ხიარეთთან“ თამარ დედოფლის საყვლავის არსებობაც იყარაულება. ცნობილია, ტაო-კლარჯეთშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, შემონახულია დიდი და წმიდა მეფის – თამარის სახელი. „თამარაი სხლობანში ყოფილა, შავშათის ყალე (სათლელის ციხე) მას უკეთებია, უსტამისი მას აუგია, მთაში ასულა, მომკვდარა, იქ ახლა ზიარეთია“. არსებობს

თამარ დედოფლის წყარო ბიძვირეთის მთაში – „ჯანჯირთან ახლოს არის ქილისუები, თამარას წყაროს უკან, იქ დედოფლის ალა'სანია/აჯა'სანია. იქ იყო თამარ დედოფალი და იქ მოკვდა. მე'ხერი არი, იქ'სე 'სიარეთია“ და სხვ.

მურღულის ხეობის ერთ-ერთი 'სიარეთიც, ასევე, თამარ დედოფლის სახელს უკავშირდება. „'სიარეთ თეფსეა, იქ თამარ დედოფალი მოს'ულა, წმალი უჭამია, მომკვდარა და მკვდარი იქ ჩაუფლენ“. „'სიარეთ ონმაულის იაილის ახლოსაა. იქ დიდი ყანაა. წყალი გუუვანია გოყოს და იქ მომკვდარა. იქ 'სიარეთ თეფსეში ჩაღებულ იყო“.

თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემები არსებობს ზედა მაჭახელაშიც. ეს გადმოცემები ძირითადად, ს. ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის მიწურულს დაფიქსირებული ლეგენდების ვარიაციებია (ს. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, ტფ., 1911,22), მაგრამ მათი დღემდე არსებობა ტრადიციული ქართული ღირებულებათა სიცოცხლისუნარიანობის კიდევ ერთი დასტურია (რ. გუჯეჯიანი. თამარ მეფის ხატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, კრ., „ქართულ-თურქული კულტურული პარალელები I“, თბ., 2009).

მაჭახელთა ღრმა რწმენით, ეს მიდამოები მათ თვით თამარ მეფემ უბოძა ერთგული სამსახურისთვის. სხვადასხვა გადმოცემით, თამარ მეფე ხშირად სტუმრობდა მაჭახელს. იგი ხან ქვეყა მაჭახელიდან (სადაც გვარას ციხეში ბინავდებოდა) ამობრძანდებოდა, ხან კი შაუშეთიდან გადმოდიოდა კარჩხალის მთის გადმოსასვლელებით, სადაც იმ დროს „ქალაქიც“ არსებულა. გადმოცემით, კარჩხალის მთის ერთ-ერთ კალთის მიდამოებში თამარ მეფის დროს ვრცელი და კეთილმოწყობილი ქალაქი ყოფილა გაშენებული. ამ ადგილს დღეს ნაქალაქარ/ნაქალაქევს უწოდებენ. იგი დასახლებული სოფლებიდან ცალკეა ახლოს ეყრატთანაა. „ნაქალაქარში თამარაის დროს სამთარშიც გაზაფხული ყოფილა, სანამ თამარაი კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, აქ ზამთარი არ სცოდნია, შვიდ წელიწადს პური კარჩხალის მთაზეც მოჰყავდათ ჩვენს დიდ დედებს, თამარ მეფე რომ წასულა, ზამთარი მერე დაწყებულა“. შესაძლოა, სწორედ ამ „ქალაქს“ გულისხმობდა ტბეთის სულთა მატიანეში დაცული ერთი მოსახსენებელი: „თევთისძესა, რომე ქალაქს მოკუდა, გიორგის შეუნდეს ღმერთმან“ (ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, 214). სწორედ ამ მიდამოებში ყოფილა მაჭახელთა **ზიარეთი**,

საიდანაც იმერხევის სოფლებში გადასასვლელი ბილიკებია (ბაძგირეთი, იევეთი). ზიარეთი მთაშია, რომელსაც ლეკობანს უწოდებენ. ლეკობანის მთის ტოპონიმებია: ნაყორავი, საბარგულა, გაბეჭნილი, ჯანჯღი, დიდი იათაღი, გოლეები, გაგრძელებულა, გელიბუდე, გეფენილი, ციეთაწყარო, გააღლებული (ხარებ აწევენდნენ), გათხრილთავი... შემდეგ იწყება იმერხევში მიმავალი ბილიკი.

ინეწმინდის გადაღმა, უკვე იმერხევში, ბიძგირეთელთა **ზიარეთია**. „ბაძგირეთზე ასე მარჯვნივ ტყია, იქ არის ზიარეთი“. „ზიარეთზე ორ-სამ წელიწად მარუნია ჩემმა დედამ. იქზე ერთი დიდი ქვა იყო, ქვაში, გეგონება, ცხენის ფეხი ეტყობოდა. ავად ვიყავი და დედას დავყავდი, იქ დამაწვენდნენ, მორჩებაო, იტყოდნენ. სამ-სამი ღამე ვრჩებოდით“. „ზიარეთზე წამიყვანეს, 7-8 წლისა ვიყავი. ცოტა ჭკუიდან ლესობა მქონდა. მაზინეს, მაზინეს, ვერ დამაძინეს. ვატყუილე, რომ დავიზინემ, ვერ დამაზინეს“.

ბაძგირეთელები თავიანთ ზიარეთში ორი გზით ადიოდნენ: ერთი ბილიკი საძგირელას ველიდან მარცხნივ მიემართება: „გაიელი გაკაფულაი-ს და ჩახვალ ზიარეთში“. მეორე გზა – „ჯანჯირის მთიდან გაიარ, ნახევარ საათში იქ ხარ“. „იქ ბევრი ძველი საფლავებია, ლამაზი ადგილია, ქვებია და ლამაზი კორდია“. „ზიარეთ ჯინჯირთან ახლოა, ვიარებოდით იქზე“.

თანამედროვე იმერხეული მასალით ყველაზე დიდი ზიარეთი პორტაში იყო. (აქ საუბარია ნ. მარის მიერ აღწერილ პორტის ზიარეთზე). პორტაში დღეს ქართველები აღარ ცხოვრობენ. „დიდი ზიარეთია პორტას, იქ წამიყვანეს. იქ ავედით. ერთი შეშის ოთახი იყო, ერთიც – ქვისა. გარეთ ხეები იყო. იქ ემეები დავაბით, შალის ნაფრეწები დავადით. მაძინეს. ერთ ღამე დამაზინეს, მერე ვერ მაზინეს. ბევრი ვიყავით პორტას, ვინცხას რაცხა დარდი ქონდა, მთელი წავედით. ვიწრო გზები იყო, ზოგი დაგორდნენ. 9-10 წლისა ვიყავ. დილაზე გავედით, ერთი დღე ვიარეთ. მერე ღამე იქ დავდექით“.

თანამედროვე მთხრობელთა ბავშვობაში (ანუ XX საუკუნის შუა წლებში) პორტაში „საზიარეთოდ“ დადიოდნენ ბაძგირეთიდან, გამიშეთიდან და ზაქიეთიდან, ასევე, უსტამისიდან: „ბერთადან უნდა აიარო ზემოთა, იქაცაა ზიარეთი. პორტაის ზირში. ჩემი ქალი იყო იქა“.

უსტაძისის თქმის იაილები ბაძგირეთულთა იაილებს ემუზიბლება: „ახლოს არის, გედიარ. იქ, ალაგაი **ზიარეთი**. იქ ვიწცხა წეეს. ვინმე ავად იყო, იქ ავიდოდა, იქ დეი'ხინებდა, კარგათ გახდებოდა. მე'სერები ეტყობა ახლაც". „ყვაილიან **ჯვარში** არის მეორე ზიარეთ. ის უფრო ზემოდ არის. ჩვენი მოხობანნი იაილია თავ'ში".

დიობნელების ზიარეთი დღესაც არსებობს: „ბოჯანათი გადიხარ, იმფკრეველს გაიარ, იქ ახლოს საფლაეებია, მესრები, იმას ჰქვია ზიარეთ. იქ რომ გაიარო, ღმერთი ლამა'სად შეგხედავსი". ამ ზიარეთში მიმავალ მლოცველებს აღ'წერს ზემოთ ნ. მარი. მ. მიქა'უტაძისა და ტ. ფ'უტკარაძის მასალით, „იმფკრეველში ზიარეთი დღეს ჟანის სახელია: იმაყე ჟანა'ში არის კონკრეტული ადგილი, რომელიც წმინდად მიაჩნიათ, ვინაიდან იქ მის'ული ავადმყოფი განიკ'ურნება ხოლმე" (ტ. ფ'უტკარაძე, მ. მიქ'უტაძე, იმფკრეველის მიკროტოპონიმია, ქართველ'ური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007, გვ., 335-336).

სურეანის ზიარეთი მეჩელე დღვაბიეთის მახლობლადაა: „ლამაზ დ'უდზე ორი მესერია და იქაა, ზიარეთი, ნანგრეებია იქ. ძველი. ლამაზია".

ზიარეთ-წ'წლა'ური სოფლის სახელია შავშეთის წ'ყლის ხეობაში (ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000, გვ., 181).

სა'ზიაროდ ბოლო დრომდე მიემართებოდნენ დიობნელები, ბაძგირეთელები, უბელები, ზიოსელები, სურეანელები...

მთხრობელები ზიარეთს მიგვითითებენ კარ'ხლის მთის კალთებზეც.

რამდენიმე ზიარეთია ხება-მარადიდის მთებშიც. „სოფელ მონასტრის მახლობლად, ძველი ქილისე იყო იქ".

ზიარეთი რამდენიმე ადგილის სახელად გვხვდება დღევანდელი საქართველოს ფარგლებში არსებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლებშიც. ეს ტოპონიმი არც სამცხე-ჯავახეთისათვის არის უცხო. მაგალითად, ზიარეთი არის მთა ერუ'შეთ'ში. მას, აგრეთვე, ჰქვია დადეშ-ერკოტა (მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ., 13). დღევანდელი ასპინძის რაიონში ერუშეთის ფერდობზე არის ნასოფლარი დადეში და ერკოტა. ისინი XX საუკ'უნის I ნახევარში სიცოცხლით სავსე სოფლები იყო. მათ ჰქონდათ საერთო მთა **ზიარეთი**, რომელსაც უნაგირასაც ეძახიან. იქ მთის წ'ვერზე იდგა ამაღლების ეკლესია, სადაც ზიარეთობას ან'უ ამაღლებას ადიოდნენ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ,

მუსლიმებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ ვარნეთში. ეს სოფელიც დღეს ნასოფლარია. მუსლიმთა ზიარეთობა გამოიხატებოდა სანთლების დანთებითა და პურმარილში მონაწილეობით. ქრისტიანები კი ამაღლების დღესასწაულს ზეიმობდნენ.

იქვე ახლოს იყო მეორე ზიარეთიც, ისიც მთა, ოღონდ ნასოფლარ როკეთისა. აქ, როკეთელებთან ერთად, ლოცულობდნენ აწყვიტელები, ქუნცელები. ამ მთას ეძახდნენ ზიარეთსაც და ამაღლებასაც. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლები სარო და ხიზაბავრა ამ ადგილს ამაღლებას და საკვირიკეს უწოდებდნენ.

დიდი ზიარეთია მითითებული იმავე ასპინძის რაიონში ერთ-ერთი მრეწველის სახელად ძველ რუსულ რუკაზე.

ტოპონიმი **ზიარეთი** გვაქვს **სამცხეშიც**.

ტოპონიმ ზიარეთის სიმრავლე შემთხვევითი არ არის. ეს სიტყვა შემოსულია ქართულში და მან შეცვალა ქართული ქრისტიანული სალოცავის სახელი ხოგადად. თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ZYARET-ი არაბულ-სპარსული ენებიდან შეთვისებულად არის მიჩნეული. მას მრავალი განმარტება აქვს. მათ შორისაა: 1. წმიდა ადგილების მოლოცვა, 2. სალოცავი ადგილი, 3. წმიდა საფლავი და სხვ.

ცნობილი ისტორიული პერიპეტიების შედეგად ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში დაპყრობილი იყო თურქეთის (ოსმალეთის) მიერ. ტერმინი ზიარეთი შესაძლებელია, უშუალოდ თურქული გაველენითაც გაჩენილიყო და არაბულ-სპარსულისაც.

ამიტომ ზიარეთობა შეიძლება იყოს ნებისმიერი ქრისტიანული დღეობის აღმნიშვნელი: ამაღლების, კვირიკობის, ელიობის, მარიამობის და სხვ. ეს დღესასწაულები წლის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. გარკვეული ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, მოხდა შემოსული ტერმინის უნიფიცირება, რამაც გამოიწვია ტოპონიმ ზიარეთის სიმრავლე მთელ ისტორიულ სამხრეთ-დასაველეთ საქართველოში.

დღევანდელი მასალით, ტოპონიმი ზიარეთი და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ჩვეულებები, კვლავ შემონახულია ტაო-კლარჯეთის ქართულ სოფლებში, ასევე დღევანდელი საქართველოს სოგიერთ მხარეში. მთავარი მახასიათებელი ზიარეთად მიჩნეული ადგილისა, არის იქვე ნაეკლესიარისა და ქრისტიანული სასაფლაოს არსებობა.

მაია ქუჩიშვილი, მეხაბ ბეჰიძე

ბეჰძნული ნახმომავლობის ლექსიკა მესხურ დიალექტში

(სომინი, ლახანა, სირა, სირონი)

ბერძნული ლექსიკა მესხურ დიალექტში არაერთგზის დადასტურდა ჩვენი კვლევისას. ბერძნული ლექსიკური ერთეულები რიგ შემთხვევაში გვხვდება მხოლოდ მესხურში, ხოგჯერ სხვა დიალექტებშიც, შეიძლება დადასტურებულ იქნას ისტორიულადაც. მათ შორის აღსანიშნავია **„სომინი“, “ლახანა”, „სირა” და „სირონი“**, რომელთაც თავისებური სემანტიკითა და ფორმით გარკვეული გზა გაიარეს მესხურ დიალექტში.

1. სომინი:

საინტერესო სურათს იძლევა ბერძნული ლექსიკა მესხურ დიალექტში, რომლის კვლევისას გადაეწყვიტეთ დაგვეწყო ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი პურით, კერძოდ, ბერძნული - „ფსომი” (ψωμή), მესხური - სომინი.

ვიდრე პურს სუფრაზე მიიტანდა ადამიანი, დიდი შრომა უნდა დაეხარჯა დაწყებული ხორბლის დათესვიდან, გამოცხობით დამთავრებული.

პურის ცხობის კულტურა ისტორიის უძველეს პერიოდებს მიეკუთვნება, ხოლო მასთან დაკავშირებული ლექსიკა იმ კონტაქტების შედეგია, რომელიც გქონია ისტორიულ თუ დღევანდელ მეზობლებთან.

„პური ჩვენი არსობისა” განსაზღვრავდა ადამიანის ყოფას, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, თუ როგორ პურს აცხობდა მესხი თუ მისი მეზობელი.

ფურნესთან და პურის ცხობასთან დაკავშირებით ველინდება პურის მრავალი სახეობა და შესაბამისი ლექსიკა. ბერძნულ-ლათინური წარმომავლობისაა ფურნე, ჩირალული ანუ სანათი თურქული სიტყვით არის გამოხატული, ასევეა ფურნეში გამომცხვარი ერიშტა. შემთხვევითი არ არის, რომ სულ ახლახანს გაჩნდა პურის რუსული სახელები: კირპიჩი, ბუხანკა...

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **ფურნე** - [ფურნო] ლათინურია, ქართულად ღუმელი ჰქვიან. ფურეს ლათინთა

ენაა, ქართულად ღუმელი. ფურნე -ბერძნულებ, ქართულად პურის საცხობს ღუმელი ჰქვიან და ჭურჭლის საწვავს – თუნი, ლექსიკონი ქართული [ს. ს. ორბელიანი, 1993, გვ., 205].

„ფურნოსი" [φούρνο] ახალი ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია პურის საცხობად, თანამედროვე ბერძნულ ენაში იგი ყლექრიონულ საცხობსაც გულისხმობს, ჰაერლუმელსაც და მიკრო ტალღოვან გამათბობელსაც. Μπαμπινιώτης-ის განმარტებით, „ფურნოსი" ლათინური წარმოშობისაა [ფურნეს] და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ჯერ შუასაუკუნეების ბერძნულსა და შემდეგ ახალ ბერძნულში [Γ. Μπαμπινιώτης, 2000, გვ., 1997].

სომინი და პური ერთი მნიშვნელობით იხმარება. სომინს ძირითადად უფროსი თაობა ეძახის, თუმცა მათ შორისაც არიან ისეთები, ვინც პურსაც ეტყვიან. შეიძლება სხვაობა იყოს პურსა და სომინს შორისაც. პური შედარებით პატარაა, ხოლო სომინი - დიდი.

პროფ. თინა იველაშვილის განმარტებით, „სომინი ორი-ორნახევარი კილოგრამიანი მრგვალი პურია. ცხვება ფურნეში. დოლის ან "ქერჭლის" (ვისაც დოლი ნაკლებად ჰქონდა, ქერსა და დოლს შეურევდა – ქერჭრელით აცხობდა პურს) ფქვილისაგან. სომინს ბოლო პირად შეურიან, რადგან ფურნე უფრო დამცხრალი – "დამჭდარია" და პური კარგად დაიშუშება. სომინის გამოცხობას ფურნეში საათნახევარი-ორი საათი სჭირდება. მას აცხობენ ყოველდღიურ საჭმელად. ერთი პირი (ფურნე) გამომცხვარი სომინი ხუთ-ექვს სულიან ოჯახს ერთ კვირას ყოფნის [თ. იველაშვილი, 1991, გვ., 5-6].

ახალ ბერძნული ენის ლექსიკონში Μπαμπινιώτης-ი იძლევა განმარტებასა და ეტიმოლოგიას ბერძნული პურის - „ფსომის" (ψωμί) შესახებ, იგი ამბობს, რომ ძველ ბერძნულსა და გვიანი პერიოდის ბერძნულში დღევანდელი პური "ფსომი" (ψωμί) აღნიშნულია „ფსომიონ" ფორმით **ψωμί < ψωμίον < ψωμός < ψη- < ψην** [Γ. Μπαμπινιώτης. 2000. გვ., 1997].

ასეთ ეტიმოლოგიას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქართული სომინი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ძველ ბერძნულ „ფსომიონ"-თან (ψωμίον), ვიდრე თანამედროვე ფორმასთან.

ასევე, პარალელის გაკეთება შეგვიძლია, სემანტიკური თვალსაზრისით, ფურნის აუცილებელ ატრიბუტებს შორის, რომლებიც ბერძნულ-მესხურ ფურნეში გამოიყენება – კომპოსიტების φουρνόξυλο, φουρναρόφτιαρο-ს ეტიმოლოგიაც,

სადაც პირველი ფურნის გამოსახვეტ ჯოხს ნიშნავს, რომლის თავშიც ნაჭერია დამაგრებული და ხაბაზები მას ფურნის გამოსახვეტად-გამოსასუფთავებლად გამოიყენებენ, ხოლო მეორე, პატარა ფრთიანი ხის ნიჩაბია, რომელსაც ხაბაზები პურის ან თასების შესაყრელ-გამოსაყრელად იყენებენ.

ქართულმა ისესხა პურის სახეობა თავისი სახელით, ხოლო მისი ცხობისთვის საჭირო ხელსაწყოების სახელად ქართული გამოიყენა.

2. ლახანა კომბოსტოს ყველაზე გავრცელებული სახეობა, რომელსაც ახასიათებს თავდახვეული ფოთლები, თავდახვეული კომბოსტო. ლახანას სახელით კომბოსტოს კულტურა საბერძნეთიდან პირველად დასავლეთ საქართველოში იქნებოდა შემოსული (იქ. ჯავახიშვილი) [ქეგლ, 1995, გვ., 1502].

ლახანა მესხურ დიალექტში გამოიყენება კომბოსტოს აღსანიშნავად. ლახანა არის კომბოსტო სვანურში [ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000, გვ., 376]. ლახანა ჭაურში, გურულში, ლეჩხუმურში, იმერულში არის მწვანე თავდაუხვეველი კომბოსტო [ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984, გვ., 326].

ლახანა შედარებით ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და თავდახვეულ ან თავდაუხვეველ კომბოსტოს ნიშნავს, მისგან არ არის ნაწარმოები კომპოზიტები, როგორც, მაგალითად, ბერძნულში, ანდა როგორც ხდება კომბოსტოს შემთხვევაში.

კომბოსტო Brassica ქართულში მრავალი სახეობისაა და ზოგჯერ სხვა მცენარესაც აღნიშნავს. მაგალითად, ა. მაყაშვილის ლექსიკონის მიხედვით ჩვენ გვხვდება: ბრიუსლის კომბოსტო, დეკორაციული კომბოსტო, ხვლის კომბოსტო, თავხვეული კომბოსტო, საყოილის კომბოსტო, საცაცურა კომბოსტო, ფოთლოვანი კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ჩინური კომბოსტო, კომბოსტოს კელაპტარა, კომბოსტურა და სხვა [ი. მაყაშვილი, 1961, გვ., 40-41].

ასეთი ფართო გამოყენება მესხურ დიალექტში ლახანას არ აქვს.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით ლახანა არის არაბული სიტყვა და ნიშნავს: „თავ-დახვეული კომბოსტო, ხვიტი“ [დ. ჩუბინაშვილი, 1964, გვ., 645]. არაბულიდან ქართულში ბევრი სიტყვაა შემოსული, მაგრამ ბერძენი მეცნიერები ლახანის, ეტიმოლოგიას ძველ ბერძნულს უკავშირებენ, თანაც იგი მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა, ამიტომ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული მესხურ დიალექტში,

ქართულ ენაში საერთოდ და სვანურში ნასესხობის გზით, იგი კომბოსტოს კულტურას უნდა შემოსულოდა.

λάχανο (το) – ბერძნულში ბოსტნეულის სახეობაა, რომლის ფოთლებიც მწარე ირგვება, არის განიერი და ხშირი ერთმანეთთან, ბურთის მსგავსი და ზომისაა და ხშირ შემთხვევაში ღია მწვანეა. ეტიმოლოგიურად ძველ ბერძნულს უკავშირდება: λάχανον<λαχαίνω «σκάβω» (ეთხრი, ვჭრი, ვკეთავ). საფარაულოდ წარმომდგარი უნდა იყოს სინონიმიდან αμφιλαχαίνω (ორივე მხრიდან, ორგვარად შემთხვევით მემარცხება (მომდის) რაღაც), რომელიც მოიხსენებოდა მცენარეთა დასამუშავებლად (კულტივაციისათვის) [Μ. Τριανταφυλλίδης, 1999, გვ., 994].

3. „სირა“ მესხურ დიალექტში რიგს, მწკრივს, ჯერს ნიშნავს.

სირი (ქართლურში, მესხურ-ჯავახურში) რიგი ან სირა; სირა გურულში, მესხურში, ზემო აჭარულში, ინგილოურში, ქიზიყურში, ჯერი წისქვილზე დასაფქვავისა, ჯერი, რიგი, მწკრივი. სირი-სირით, რიგ-რიგად [ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984, გვ., 494].

სირა (არ. თურქ სირა) რიგი, მწკრივი, ჯერი. (ჩემი სირაც მოვიდა. ჩუბინაშვილი., მარი, 53, ნოღ დიალ. 23). სირითსირით რიგრიგად, მწკრივად. „წერილები სირისირით მიფრინაენ“ [ი. მაისურაძე, გვ., 175].

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **სირა** – მორიგეობითი, რიგს ჰქვიან [6, გვ., 93]; **სირა** ნ. კილოუნება; **სირავარდი** ესე არს წყობით რიგზე კაცთა დგომა – [ს. ს. ორბელიანი, 1993, გვ., 93].

სირას მნიშვნელობით იხმარება წკიპიც მესხურში, რაც მწკრივს ნიშნავს. დაწკიპვა-დამწკრივება, ჩარიგება: „ბავშვები ბატებივით დაწკიპულან და ისე მიდიან“, „მეკრ. წკაპუა ნიშნავს გამწკრივებას“. გურულშიც გაწკაპვა იმავე მნიშვნელობით იხმარება“ (ს. ჟღენტი) [ნ. ბერიძე, მ. ბერიძე, 2005, გვ., 49].

მესხურ დიალექტში სამი სიტყვა იხმარებოდა რიგის აღმნიშვნელად. ოვითონ **რიგი, წკიპი და სირა** რაიმე განსხვავებული მნიშვნელობა მათ შორის არ შეინიშნება. ისინი ფაქტობრივად სინონიმებია ერიმანეთისა, რომელთაგან ორი, ქართული რიგი და წკიპი, სმნურ ფორმებსაც აწარმოებს: “დაწკიპულან“, „ჩარიგებულან“, “ჩამოარიგეს” და სხვა, რასაც მერ ვიტყვით **სირაზე**.

σειρά (ძვ. ბერძნ. σχοινί, χορδή- თოკი, სიმი) ახალ ბერძნულში ნიშნავს თანმიმდევრობას (საგანთა ან პირთა) ერთ ხაზზე, ხაზი; წესრიგი; მწკრივი; სერია (წიგნის); წრე (საზოგადოების) [Γ. Μπαμπινιώτης, 2002, გვ., 1576]. Μ. Τριανταφιλλίδης-ის განმარტებით ლექსიკონში სირა ნიშნავს მსგავსი საგნების ერთობლიობას, რომლებიც განლაგებულნი არიან ერთიმეორის გვერდით (დროისა და ადგილის მიხედვით). სემასიოლოგიურად ნასესხებია ჭრანგულში **serie**, ინგლისურში **serial**, რაც სატელევიზიო სერიალის მნიშვნელობით იხმარება. [Μ. Τριανταφιλλίδης, 1999, გვ., 1200].

4. სირონი

სამცხე-ჯავახეთში, რამდენიმე ადგილის სახელდებაში მონაწილეობს სიტყვა **სირონი**. ადიგენის რაიონში, ნასოფლარ ორჭოშნის ზევით, თურქეთის საზღვრამდე არის მაღალი ქვა, რომელსაც სირონი ჰქვია, ხოლო მის შემოგარენს **სირონები**.

სირონი//სირონები ყანების სახელია ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთსა და ზეკლს შორის. სირონები ორივე სოფლისთვის საერთო სახელია.

ჯავახეთში არის **სინორი** „სოფელ ქილდისა და თოკის მინდორი“ [გრ. ბერიძე, 1981, გვ., 201].

სინორი//სირონი ერთი სიტყვის ორი ვარიანტია, რომელთაგან ერთი მეტათეზისის შედეგია, კერძოდ, **სირონი** არის ძირითადი ფორმა მესხეთში.

გარდა იმისა, რომ სირონი შემოგვინახა ტოპონიმიამ, მესხურ დიალექტშიც (სამცხურსა და ჯავახურში) დაფიქსირებულია ეს სიტყვა. აღნიშნავს მიჯნას, საზღვარს [ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984, გვ., 495]. მიჯნად და საზღვრად განმარტავს გ. ზედგინიძის ხელნაწერი “ჯავახური ლექსიკა” [გვ., 421], სირონის კიდევ ერთ ვარიანტს „სირუნს“ უმატებს ა. მარტიროსოვი, რაც სომხური საკუთარი სახელის ანალოგიის შედეგი უნდა იყოს და მოჰყავს შემდეგი მაგალითები: „თურქეთის სირონზე გადავიდა. ვარგავის სირუნში გზა გადაუჭრეს“ [ა. მარტიროსოვი, 1984, გვ., 244].

სინორს იცნობს იმავე მნიშვნელობით, რომლითაც ცნობილია სამცხურსა და ჯავახურში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი [დ. ჩუბინაშვილი, 1964, გვ., 1177], რომელზე დაყრდნობითაც იძლევა ისეთივე განმარტებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ [ტ. VI, გვ., 1057].

სირონს, საზღვარს, მიჯნას სხვადასხვა სახე ჰქონდა სამცხესა და ჯავახეთში. ტოპონიმიურმა მასალამ გვიჩვენა, რომ

ადგილის სახელი სირონი შეგვხვდა ადგილის აღმნიშვნელად, სოფლებს შორის. კერძოდ, ჭობარეთსა და ზეელს შორის, მუსხსა და ლობიეთს შორის.

ამგვარად, სირონი ყართოდ გამოიყენება სამცხე-ჯავახეთის დიალექტურ ლექსიკაში ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში და ნიშნავს სასღვარს, მიჯნას ყანებს, სოფლებს ან ქვეყნებს შორის.

სინორი (სირონი) შემოსულია ბერძნული ენიდან, რის შესახებაც ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა მიუთითა და გაიმეორა, მას'ხე დაყრდნობით, ქართული ენის განმარტებითმა ლექსიკონმა.

ახალი ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში Γ. Μπαμπινιώτης-ი სინორს (το σύνορο) ასე განმარტავს: ნამღვილი ან ა'ხრიობრივად გავლებული ხაზი, რომელიც ორ ადგილს ან ორ ქვეყანას ყოფს; ერთი ქვეყნის რეგიონი, რომელიც სასა'ღვრო ხაზთან ახლოს მდებარეობს; τα σύνορα მრავლობით რიცხვში იხმარება, გეოგრაფიული პერიფერიების აღსანიშნად - საგარეო და შიდა საზღვრები; ორი მდგომარეობის მაგ., სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვარი. ხოლო მის ეტიმოლოგიას ასე ხსნის: το σύνορο კომპო'ზიტი სიტყვაა, συν + όρος, სადაც συν ძველი ბერძნული ენის თავსართია, რაც რაიმეს ერთობლიობას, საერთოს (თანა) ან ურთიერთ-ს ნიშნავს, ხოლო όρος - დასასრულს, საზღვარს ნიშნავს [2002, გვ., 1710]. ასევე დასტურდება ქვეყლა ახალი ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონებში, მათ შორის Μ. Τριανταφυλλίδης-ის ლექსიკონშიც [1999, გვ., 530, 531].

სინორი თურქულში შემოსულია სინირ ფორმით.

სამცხე-ჯავახეთში სასღვარს და სინორს გვერდში უდგას ამავე მნიშვნელობით სამანი „სასღვარი, მიჯნა – ზღვანი ნაყარე სამნები“ [ა. მარტიროსოვი, 1984, გვ., 243]. ამ სიტყვას გრ. ბერიძე სამანე ფორმით იცნობს [გრ. ბერიძე, 1981, გვ., 111], სულხან-საბა ორბელიანი სამანის შესახებ ამბობს, რომ ის „სომხურია“, საზღვარს ჰქვია [ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ., 39]. სინამდვილეში სამანი სპარსული სიტყვაა და „ხომა“, „სასღვარს“ ნიშნავს. აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1. სასღვარი, მიჯნა.. 2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად [ქეგლ VI, 1960, გვ., 686]. შდრ. სამანი - სომხ. სასღვარი, სინორ - სასღვარი [შრ. აჭარიანი, 1979, გვ., 162].

ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ჭორტი, აღმართული ქვა ან ქვაყრილი და სირონი

ერთმანეთის მაგივრად იხმარება, ისევე, როგორც სამანი. ბოლო დრომდე სამიქე (ქართული, სპარსული და ბერძნული) სიტყვა პარალელურად ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდებოდა. სამანი და სირონი ენათა კონტაქტების საფუძველსია განსილი ქართულში.

მიხეილ თამახაშვილის გვარის შესახებ

თამარაშვილი მესხეთში გაერცელებული გვარია. საქართველოში გვარების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის – მშობლის ან წინაპრის, სახელთან, რომელსაც ემატება გვარის მაწარმოებლები: -შვილი, -ძე, -იან, -ია, -ურ, -ავა? და სხვანი. ფუძედ გამოიყენება მამაკაცის სახელები. ქართულ ანთროპოლოგიაში ქალის სახელიდან წარმოქმნილი გვარები, მართალია, შედარებით მცირეა, მაგრამ არის და მის წარმოქმნას თავისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საფუძველი აქვს. მესხეთი არის საქართველოს ის კუთხე, სადაც ყველაზე ადრე უნდა მომხდარიყო გვარის ჩამოყალიბება. საქართველოში გვარს ერთგვარი ზერელიგიური ფუნქცია ჰქონდა. მართალია, კათოლიკური რელიგია უშვებს ქორწინებას არა მარტო ერთი გვარის შიგნით, არამედ ბიძაშვილების დაოჯახებასაც კი ერთმანეთში, მაგრამ იმდენად დიდი იყო გვარის ფსიქოლოგიური და ისტორიული როლის გაცვლენა, რომ მესხეთში ამ რელიგიურმა წესმა ვერ გაიმარჯვა ქართველ კათოლიკეებში. უფრო მეტიც, „ტრადიცია ეგზოგამიისა საკმაოდ მყარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შეიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა, ქართველისათვის წარმოუდგენელი იყო თავის მოგვარეზე დაქორწინება (თოფჩიშვილი, 2005:274). ასევე მნიშვნელოვანია მაჰმადიან ქართველთა გვარების პრობლემა. გამაჰმადიანების შემდეგ, იმის სანაცვლოდ, რომ არ გადაეხადათ გადასახადები, ქართველი კაცი უარს ამბობდა გვარზეც. ქართულ გვარს საუკუნეებით ჩამოყალიბებული და განმტკიცებული სისტემა ჰქონდა, გადადიოდა თაობიდან თაობაზე, ხოლო ოსმალურ-აზერბაიჯანული „გვარები" ყოველ თაობაში იცვლებოდა, მუსლიმური სარწმუნოება კი იძლეოდა

ბიძაშვილებში ქორწინების უფლებას. ქართველ მაჰმადიანებში ცნებაზე მეტად ამ ტრადიციის დანერგვა გაჭირდა. მუსლიმმა ქართველებმა დაკარგეს საკუთარი ქართული გვარები, მაგრამ არ დაკარგეს მეტგვარები, რომელიც ფაქტიურად გვარის შემცვლელი გამოდგა ახალ ვითარებაში. როდესაც ელაპარაკობთ გვარებზე მესხეთში, უნდა გაესვას ხაზი მის ეროვნულ საფუძველს. როდესაც გვარები ყალიბდებოდა, ჯერ კიდევ არ იყო ის რელიგიური სიჭრელე, რომელიც მიეღეთ შემდგ საუკუნეებში, ამიტომ გვარი, კომფესიური კუთვნილების მიუხედევად, ქართველთა ეროვნულობას უსვამდა ხაზს. ზუზოლა გვარზე იყო ზუზოლა ეროვნებაზე. როდესაც აზერბაიჯანისა და შუა აზიის მუსლიმურმა მოსახლეობამ გვარის დაბოლოებად მიიღო -ოვ რუსული სუფიქსი საბჭოთა პერიოდში, ეს არ იყო საშიში ეროვნული ხასით, რადგან მაშინ ხდებოდა გვარის ნამოყალიბება, შექმნა მათთვის, ხოლო, როდესაც გვარი უკვე ჰქონდა ქართველს და მას ართმევდნენ, ეს ნიშნავდა ახალ კულტურაში გადასვლას, გვარის სისტემისა და ეროვნების მოშლას. სარწმუნოების შეცვლა ქართველებისათვის, სამწუხაროდ, იქცა ეროვნების შეცვლის ტოლფასად. ამიტომაც იყო, რომ მაჰმადიანობამიღებული ქართველი მოინათლა „თათრად", ხოლო კათოლიკე ქართველი „გახდა ფრანგი". არა და ორივე მათგანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ არც თათარი იყო და არც ფრანგი. ორივე რელიგია სარწმუნოებაშეცვლილისაგან მოითხოვდა გვარის შეცვლას. ბოლოსდაბოლოს იცვლიდნენ გვარს, მაგრამ არავინ სთხოვდა მათ მეტგვარის შეცვლას, რომელიც ადამიანთა მარკირების ერთ-ერთი საშუალება იყო და ხშირად არა მხოლოდ ცვლიდა გვარს, ენაცვლებოდა მას და ზოგჯერ ხალხში უფრო პოპულარული და ცნობილიც კი იყო. მეტგვარს ზოგჯერ შტოგვარსაც უწოდებდნენ. მეტგვარის თუ შტოგვარის ნამოყალიბება დამოკიდებული იყო ოჯახის გაყოფაზე. მესხეთში, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში და პირველ ნახევარში, იყო დიდი ოჯახები, რომელთა შემადგენლობა ორმოციდან ოთხმოც სულამდე აღწევდა. ოჯახთა გაზრდა უსასრულოდ არ შეიძლებოდა, ამიტომ ხდებოდა მათი გაყოფა. ასეთ ოჯახებში ხშირად სამი თაობა ცხოვრობდა. ეს ოჯახი იყო, რა თქმა უნდა, ერთი გვარისა. თუ ასეთ ოჯახში ზედსიძე მოვიდოდა, ის აუცილებლად დამხვედრი ოჯახის გვარზე ეწერებოდა, ღებულობდა ცოლის გვარს და შვილებიც დედის ხასს აგრძელებდნენ. თუ სიძე არ მიიღებდა ცოლის

გვარს. მას ოჯახის წილზე, გაყრის დროს, პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. თუ მანამდე ერთი გვარი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, გაყრის შემდეგ, იგივე გვარი გვაძლევდა განშტოებებს. ძმები გაიყრებოდნენ, თან მიჰქონდათ ოჯახიდან წილი და გვარი. წილი შეიძლება ყოფილიყო მიწა, საქონელი, საცხოვრისი, ოხერ (ზ. ქუქნიშვილი) და სხვა. რაც შეეხება გვარს, მას უნდებოდა კონკურენტი მეტგვარის თუ შტოგვარის სახით, რომელსაც საფუძვლად ძირითადად განაყოფი ძმის სახელი ედებოდა. ეს შტოგვარი ხოგჯერ თავად ყალიბდებოდა გვარად, შეიძლება შექმნილიყო ახალი გვარი, მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა გვარისა, განაყრებში ოჯახის შექმნა იკრძალებოდა. გვარისა და შტოგვარის ნამოყალიბების წესი ერთნაირი იყო მართლმადიდებლებში, კათოლიკეებში და მაჰმადიანებში, მას ერთი ეთნოლინგვისტური საფუძველი ჰქონდა.

ოჯახის გაყრას უსრუნველყოფდა **დიდმამა,** რომელსაც მამასახლისიც შეიძლება რქმეოდა. დიდმამას განუსომელი უფლებები ჰქონდა თავის ოჯახში. როგორც წესი, დიდმამად ირჩევდნენ უფროს ძმას, როდესაც ძმები ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ პიროვნული თვისებების გამო შეიძლება უმცროსი ძმაც აერჩიათ (მარინე ბერიძე, 2005:90). 1926 წელს დაბადებული არლელი ივანე იაკობის ძე მათოშვილისაგან ჩაწერილი მაქვს შემდეგი ამბავი: „მათოშვილები ყოფილან ორმოცსულიანი ოჯახი. ეს ამბავი ხდება მე-19 საუკუნის ბოლოს. ოჯახის უფროსად, მამასახლისად თუ დიდმამად აირჩიეს ყველაზე უმცროსი ძმა, რადგან ის იყო ჭკუით და ძალით გამორჩეული, პაველე ერქვა, პალიკოს ეძახდნენ. მათოშვილები პირველში ყოფილან ნადირაძეები, იეხლა ზოგი ნადირაძეები ვართ, ზოგი – მათოშვილები. ნადირაძეები ქუთაისიდან გადმოსულან, ზოგი აზრით, არდაგანიდან არიან ჩამოსულები. ისევ პალიკოს ამბავს გავაგრძელამ: სოფელში საუბარი წავიდა უფროსობის თაობაზე, ვინ არის ოჯახის ძლიერი, კარგი უფროსიო. მათოშვილ პაველს უთქვამს, მართალია ოჯახში უმცროსი ვარ, მაგრამ ნემს სიტყვას წონა აქვსო. დადებენ ნაძლევს. მე რომ დღეს ვუთხრა, გავა ოჯახი და გათიბავს ოდოულერ ხორბალსო, – იტყვის პაველე და მთელი სოფელი უყურებს, შეასრულებენ თუ არა მათოშვილები ოჯახის უფროსის სიტყვას. გავიდნენ, 4-5 ჰექტარი რომ გათიბეს, აღიარეს წაგება და შეაჩერეს". ოდოულერი მწვანე, შემოუსვლელი ყანაა, რომლის მოთიბვა ცოდვად ითვლება. ამ ამბიდან კარგად ჩანს ოჯახის უფროსის

უფლებები. ასეთი თვისებების კაცი დაფასებული იყო გვარში, მისი შთამომაელები მისი სახელით მოიხსენიებოდნენ. ამიტომაც უწოდებენ მათ„შვილების ერთ შტოს **პალიკოთებს**. ასეთი დიდმამა უსრუნველყოფდა შემდეგში გაზრდილი ოჯახის გაყრას. გაიყრებოდნენ ძმები. გაყრის შემდეგ, როდესაც ახალი ოჯახი იქმნებოდა, ავტომატურად ხდებოდა ამ ოჯახის მამა **დიდმამა**. განაყარს **განაყოფი** ერქვა. ერთი და იმავე გვარის განაყოფები ნათესავები იყვნენ. მესხეთში ჩამოყალიბებული მდგომარეობა მე-19 საუკუნეში გართულებული იყო რელიგიური დაპირისპირებით, რასაც ხელს უწყობდა თავად მართლმადიდებელი რუსეთი. მართლმადიდებლები იწოდებოდნენ ქართველებად, ამიტომ არ ხდებოდა მათი გვარის დაბოლოების შეცვლა. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კათოლიკური და მაჰმადიანური აღმსარებლობის ქართველებს, რომელთაც ხელისუფლის მიუხედავად, უნდოდათ თავიანთი ეროვნული ნიშნის შენარჩუნება. ამ დროს გააქტიურდა ქართული ტერმინი **განაყოფი**. შტოგვარის სათავის დამდებს და მის შთამომაელობას განაყოფს უწოდებდა მართლმადიდებელიც, კათოლიკეც, გრიგორიანი ქართველიც და მაჰმადიანიც, რადგან ახალ სარწმუნოებაში "ახალი სისტემა ვერ აკმაყოფილებდა გვარის ქონის მოთხოვნას. ძველი ქართული გვარი აკრძალა მას, მისი მოხმარების უფლება წაერთვა. გამოსავალი მოიძებნა სხვა-გვარად. მაჰმადიანმა მესხებმა ნამდვილი გვარები დაკარგეს, მაგრამ არ დაკარგეს გვაროვნული სახელები ანუ მეტგვარები და შტოგვარები, რადგან ახალი გვარის მიხედვით მთლიანად ირღვეოდა ის ნათესაური პრინციპები და კავშირები, რომელიც გვართან იყო დაკავშირებული (ბერიძე, 2009:117)". ოჯახის უფროსობა მხოლოდ მამაკაცის ვალი არ იყო. მამასახლისთან ერთად ოჯახს უძღვებოდა **დიასახლისი**. „ისინი ანაწილებდნენ და მეთვალყურეობდნენ ოჯახის უფროსთა საქმიანობას (ჩიტაია, 2001:223)". ასეთი გამორჩენილი ქალები ისევე უდებდნენ სათავეს ჯერ შტოგვარებსა და შემდეგ გვარებს, როგორც მამაკაცები. ამ გზით გვაქვს მიღებული გვარები: **თამარაძე, თამარაშვილი, ჟუჟუნაძე, ჟუჟუნაშვილი, ნათელაშვილი, მარგალიტაძე, მარგალიტაშვილი** და სხვა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, ცოცხალია. მაგალითად: სოფ. არალში აფრია-მაშვილების ერთ შტოს **მოსეთქალიანთებს** ეძახიან. მოსეთ ქალი სოფ. ვალელი მოსეშვილებიდან იყო გამოთხოვილი. ასევე სოფ. ვალიდან იყო გამოთხოვილი ჩიტაშვილებში ეფენა (ეფენია). მას ქმარი ადრე გარდაეცვალა, შვილები მარტომ

ჯახარდა. ამიტომ შთამომავლებს **ეფენათებს** ეძახიან. მერაბიშვილების ერთ შტოს სოფ. ულეში **ჯავახულათებს** ეძახიან. მესხეთში გამოთხოვილი ქალის სადაურობა -ურ, -ულ სუფიქსებით ფორმდება. ჯავახი დღეის შთამომავლები იწოდებიან ჯავახულათებად, რადგან მათი გამჩრდელი იყო **ჯავახულა (ჯავახი)**.

გვარი ფორმდებოდა -ძე ან -შვილ სუფიქსით, რომელთაც დაუპირისპირდა მე-19 საუკუნეში რუსული -ოვ სუფიქსი. ეს დაპირისპირება რუსული პოლიტიკის შედეგია. -ოვ სუფიქსიანი ფორმები თანდათან ცდილობს განდევნოს ქართული დაბოლოება, რადგან ასეთი დაბოლოებიანი გვარით კარიერას უფრო ადვილად იკეთებდა ადამიანი. ამ სუფიქსებს გვერდით ამოუდგა -თ დაბოლოება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ განაყოფის საგვარეულო სახელს, მეტგვარს, იმავე შტოგვარს აფორმებდა, მაგრამ თუ ეს მეტგვარი შემდეგში იქცეოდა გვარად, -თ სუფიქსი მაინც ავრძელებდა არსებობას, ოღონდ მას საშინაო, არაოფიციალური დანიშნულება ჰქონდა. მაგალითად, მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე ხარისჭირაშვილი მოიხსენიებოდა სამი ვარიანტით: **ხარისჭიროთი, ხარისჭირაშვილი** და **ზარისჩაროვი.** (ბერიძე, 2010:283). სამივე ფორმა აქტიურად იხმარებოდა საზოგადოებაში. აქედან უფრო ადრინდელია ხარისჭიროთი, რადგან მისით იწყებოდა მეტგვარი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგ გვარად. ეს პროცესი შეიძლება პარალელურადაც განვითარებულიყო. **ხარისჭირო II ხარისჭირა** მეტსახელია, რომლისგანაც მიეღეთ შემდეგ გვარი ხარისჭირაშვილი. ასე შეიქმნა ერთგვარი ვარიანტულობა ქართულ გვარებში მესხეთში, რის გამოც თითქმის ყველა გვარს ჰქონდა **-შვილ**-ზე ან **-ძე**-ზე დაბოლოებულ გვართა გარდა **-თ**-ზე დაბოლოებული გვარიც. მაგალითად: თამარაშვილი – **თამარათი,** გიქოშვილი – **გიქოთი,** აფრიამაშვილი – **აფრიამათი,** მათოშვილი – **მათოთი,** კაკაჩიშვილი – **კაკაჩათი** და სხვა. საგვარეულო სახელთა საწარმოებლად მესხურს რამდენიმე ვარიანტი აქვს, ერთი მათგანია **-თ** დაბოლოება, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანი ძველ მრავლობითში. სახელობითში გექონდა: თამარა-**ნ**-ი, გიქო-**ნ**-ი, აფრიამა-**ნ**-ი, მათო-**ნ**-ი, და სხვა, ხოლო ნათე-საობითში თამარა-**თ**-ი, გიქო-**თ**-ი, აფრიამა-**თ**-ი, მათო-**თ**-ი და სხვა. "აქვე უნდა ითქვას, რომ -ი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც გვარი (მეტგვარი) სახელის გარეშეა. კითხვაზე – ვისი შვილია? ან

ვისიანთია? პასუხი იქნება -ი-სთან ერთად (ბერიძე, 2010:274)". ლინგვისტური მხარე ავტორ-მებს იმ შინაარსს, რომელიც განაყოფის ეთნოგრაფიულ მხარეშია ჩადებული. სანათესაოს გარკვეული ნაწილი არის მეტგვარის საიავის დამდების შთამომავალი, ნათესავი.

მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფია, მე-19 საუკუნის ისტორიის მკვლევარი შოთა ლომსაძე თამარაშვილთა გვარის შესახებ წერს: "თამარაშვილების მკვიდრი სამყოფი თავიდანვე მესხეთი იყო. ეს გვარი აქ ორნაირი სახით გვხვდება: **თამარაძე** და **თამარაშვილი**. გალმოცემით, რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან (თამარაძეებიდან) და ახალციხის რაბათში დასახლებულან, სადაც მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებინებიათ და მთელი ოჯახი სომხურ კათოლიკურ რიტზე მოუქცევიათ. სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ერთხანს უცდია კილეც თამარაშვილებისათვის გვარის შეცვლა და საეკლესიო წიგნებში ისინი **ბაინდუროვებად** მოუხსენიებია. როგორც ჩანს, თამარაშვილები გაიაწყენებულან გვარის შეცვლაზე და ეკლესიისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ. გარკვეულ პერიოდში ზოგიერთი თამარაშვილი საეკლესიო საბუთებში ბაინდუროვად იხსენიებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საბუთებში კვლავ თამარაშვილებად იწერებოდნენ, ბოლოს თამარაშვილებს კვლავ თავისი გაუტანიათ და ახირებული მოძღვარი თავიანთ ნებაზე დაუყოლიებიათ (ლომსაძე, 1984:9)". ქართული გვარის წინააღმდეგ რუსეთი და სომხური ეკლესია ერთ მხარეს იდგნენ. მართალია, -ძე და -შვილი რაიმე ტენდენციას არ იჩენს, რომელ ფუძეს დაერთოს და რომელს არა, მაგრამ მაინც ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ ჯავახეთიდან ჩამოსულმა თამარაძემ თამარაშვილობა ისურვა. მე-19 საუკუნეში შეინიშნება გვარის ერთგვარი სარწმუნოებრივი გამიჯვნა. კათოლიკენი უპირატესობას ანიჭებენ -შვილზე დაბოლოებას, ხოლო მართლმადიდებლები – -ძე-ს. სტამბოლის ქართველ მამათა საეანეს დღესაც უძღვება **სიმონ ზაზაძე**, რომლის წინაპრებიც წასულები არიან სოფელ უდიდან. უდეში დღეს ზაზაძის გვარი არ ცხოვრობს, მხოლოდ ზაზაშვილები არიან, სიმონ ზაზაძე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მისი წინაპრები იყვნენ ზაზაძეები და არა ზაზაშვილები. ასევე **გვარამაძე** იყო ცნობილი საეკლესიო პირი და მოღვაწე „ვინმე მესხი". მიხეილის წინაპრებმა, მართალია, არ მიიღეს ბაინდუროვის გვარი, მაგრამ საკუთარ გვარს კი დაბოლოება

შეუცვალეს, რითაც ხასი გაუსვეს, საგარაუდოდ, თავიანთ კათოლიკობას.

თამარაშვილის გვარი ეურდნობა საკუთარ სახელს თამარი, „რომელიც ერთ-ერთი პოპულარული სახელია საქართველოში საუკუნეთა მანძილზე. ამ სახელით, ცნობილ ისტორიულ პირთაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარ მეფე. ეს პირველი ქართველი მეფე-ქალი ეკლესიამ წმინდანად შეარაცხა და მისი სახელიც ქართულის მეშვეობით შევიდა საეკლესიო კალენდარში. წარმოშობით თამარს უკავშირებენ სემიტურ ენებს, კერძოდ, სადაც იგი „ფინიკის პალმას" ნიშნავს. თამარისაგან არის ნაწარმოები გვარები **თამარაშვილი, თამარაძე, თამარაული** (ჯუმბურიძე, 2003:233-234)". რომელიმე **თამარა** გამორჩეული ქალი იქნებოდა, ალბათ დიდი დედაც იყო, ამიტომაც მისმა შთამომავლებმა მისი სახელი აირჩიეს თავიანთი გვარისათვის. მიხეილ თამარაშვილმა იტალიაში მოღვაწეობისას შეიცვალა სახელი და მიქელი დაირქვა, ხოლო გვარად აიღო თამარაშვილის **-თ** დაბოლოებიანი ვარიანტი, რითაც თავის გვარს ერთგვარი ევროპული ელერადობა მიანიჭა.

მამასახლისაშვილის გვარი უდეში

სოფ. უდეში ცხოვრობს **მამასახლისაშვილების** ოთხი ოჯახი. მათი განაყრები ცხოვრობენ სოფ. აბასთუმანისა და ოსურგეთში, ერთი ოჯახიც გადასულია საცხოვრებლად რუსეთში, ტიუმენში. საოჯახო ტრადიცია გვარის მოსულობას კონკრეტულად არ მიუთითებს. უნია სტეფანეს ასული მამასახლისაშვილის მტკიცებით, „პაპას ჰყავდა რვა შვილი", ასევე მრავალშვილიანები ყოფილან სხვანიც, მაგრამ ავადმყოფობასა და ომებს ბევრი მათგანი უმსხვერპლია. მამასახლისაშვილების ორი ძმა დაღუპულა „ხორელათი", ორი – პირველ მსოფლიო ომში და რვა ახალგაზრდაც მეორე მსოფლიო ომში. განაყოფთა სახელებითა და მეტგვარებით მოიხსენიებენ როგორც **ქეროთებს, სერგოთებს (ვიკოთებს)** და **იაკობათებს.** ქერიოს, სერგოსა და იაკობს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უნდა ეცხოვრათ. ქერო ქეროყის შემოკლებული ვარიანტია. ამ ტიპის სახელები იშვიათი არ იყო კათოლიკურ მოსახლეობაში მე-19

საუკუნეში, რადგან ისინი აღმსარებლობის დროს იყენებდნენ სომხურ ტიპიკონს.

გვარის ფუძეა **მამასახლისი**, რომელსაც დამატებული აქვს ქართული ანთროპონიმთა მაწარმოებელი -**შვილი**. მამასახლისი არის უძველესი სამოხელეო ტერმინი. უძველეს დროში იგი იყო უმაღლესი საერო ხელისუფლის აღმნიშნელი სიტყვა. ჯერ კიდევ ქართველთა ეთნარქების დროს „არცა სახელ-ეღებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ **მამასახლისი** ეწოდებოდათ, და იგი იყვის მა'საებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდეს დედა-ქალაქად“ (ლეონტი მროველი, 1955:11). მამასახლისი იჯდა მცხეთას, ამიტომ მას „**მამასახლისი მცხეთისაი**“ ეწოდებოდა: „გამოველეს (თურქებმა) ზღვა გურგანისი, აღმოყვეს მრკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოც და რვა. და ესრახნეს **მამასახლისსა მცხეთისასა**, აღეთქვეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო **მამასახლისმან მცხეთელმან** აუწყა ყოველთა ქართველთა“ (ლეონტი მროველი, 1955:15). თვით ფარნავაზი იყო „ძმისწული სამარისი“, რომელიც იყო **მცხეთელი მამასახლისი**. (ლეონტი მროველი, 1955:20). ამიტომაც იყო, რომ მამასახლისს ივ. ჯავახიშვილი უსწორებს საჭეთმპყრობელს უწოდებდა. მამასახლისობა იყო „მმართველი და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლება ძველ საქართველოში. სხვა მამასახლისებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელს „მცხეთის მამა-სახლისი“ ერქვა. უმცირესი სოციალური და ადმინისტრაცი-ული ერთეულიდან, დაბა-სოფლიდან მოყოლებული ყველა ერთეულის (ქალაქის, ხევის, თემისა და თვით მთელი სამეფოს) უფროს ხელისუფალთა აღმნიშნელ ტერმინად „**მამასახლისი**“ ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 2002:426).

ძნელია მოიძებნოს მეორე ტერმინი ქართულ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიაში, რომელიც თავისი სიძველითა და გამძლეობით გვერდით დაუდგება **მამასახლისს**. მას შემდეგ, რაც საქართველოში სპარსეთმა გააუქმა სამეფო ხელისუფლება, ქართული ადმინისტრაციული ტერმინების ნაცვლად, სპარსული ჩნდება. ასეთია, მაგალითად, პიტიახში, მაგრამ მასთან ერთად მდგომარეობასა და სიცოცხლეს ინარ-ჩუნებს ქართული **მამასახლისი**. „რით განსხვავდებოდა და რა დამოკიდებულება ჰქონდა პიტიახშისა და მთავრის მოხე-ლეობას. მასალებიდან არა ჩანს. ამ ორი თანამდებობის გარდა არსებობდა, აგრეთვე, „**მამასახლისობა**“-ც. ეკსტაზი მცხეთე-

ლის ცხოვრებაში მოხსენებულია 541 წელს „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი“.

მამასახლისობა უძველესი დროიდან შერჩენილი სამოხელეო სახელწოდება არის, მაგრამ რა თანამდებობა ჰქონდა ქართლის მამასახლისს იმ დროს და რით განირჩეოდა მისი უფლება ქართლის ერისთავისა და ქართლის პიტიახშის უფლებისაგან, ამის გამოკვლევა, ცნობების უქონლობის გამო, შეუძლებელია“ (ჯავახიშვილი, 1979:319).

მამასახლისი, შემდგომ პერიოდში, მკვიდრდება სასულიერო ხელისუფლებაშიც. მონასტრის უმაღლესი ხელისუფლის – წინამძღვრის ანუ **მამასახლისის** დანიშვნა განსხვავებული იყო, როგორც სხვადასხვა მონასტერში, ისე ერთი და იმავე მონასტრის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. **მამასახლისობა** ზოგჯერ დაიდგინებოდა, ე. ი. ინიშნებოდა, ზოგჯერ – აირჩეოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობებზე დაყრდნობით, იე. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „მაშინ მამასახლისს ძმათა კრებული კი არ ირჩევდა, არამედ დამაარსებელი ნიშნავდა. ხოლო შემდეგ ალბათ ყოფილი მამასახლისი თავის მერმინდელ მოადგილეს სტოვებდა. ე. ი. მამასახლისის დადგენა მონარქიული წესით წარმოებდა. ასეთივე წესი სხვა იმდროინდელ ქართულ მონასტერშიც უნდა ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი, 2002:425).

მამასახლისს, როგორც ტერმინს, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, იგი დღესაც გვხვდება სხვა და სხვა მნიშვნელობით. ამ ტერმინის ასეთი პროდუქტიულობა განპირობებულია სიტყვის სემანტიკით, კომპოზიტის ორივე წევრის სიცოცხლისუნარიანობით. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, **მამასახლისი** არის „სახლთ უფროსი“ (ორბელიანი, 1965:435). ძველ ქართულში იგი იყო „სახლისა უფალი“ და წინამძღვარი მონასტრისა (აბულაძე, 1973:214).

მე-20 საუკუნეში მას მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ასახულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: „1. რევოლუციამდ. არჩევითი მოხელე სოფლად, რომელიც ასრულებდა ადმინისტრაციულ-პოლიციურ მოვალეობას... 2. არჩეული (ან დანიშნული) პირი, რომელიც უძღვება რაიმე მცირერიცხოვანი კოლექტივის საქმეებს... 3. ისტ. სახლის, გვარის ან თემის გამგებელი... 4. ისტ. ერთ-ერთი მოხელე ძველ საქართველოში; ექვემდებარებოდა ერისთავს... 5. ოჯახის უფროსი მამაკაცი (საპირისპ. დიასახლისი) (ქ ე გ ლ, 1958:32).

რაგორც ვანს, მამასახლისი ყოველთვის იყო ადმინისტრაციულ-სამოხელეო ტერმინი. მისი ეს ფუნქცია კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ბოლო დროს, როდესაც ლტოლვილთა დასახლებებში შემოიღეს **მამასახლისის** თანამდებობა. ჩამოთვალი მნიშვნელობებიდან თითოეული მათგანი შეიძლება დასდებოდა გვარის შექმნას საფუძვლად. ამ სიტყვამ მოგვცა სამი ქართული გვარი საქართველოში, ესენია: **მამასახლისაშვილი, მამასახლისი** და **მამასახლისიშვილი,** რომელთაგან ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის „გვარ-სახელებში საქართველოში" 1997 წელს დაფიქსირებულია ორი – **მამასახლისაშვილი** (სულ 78 ადამიანი; ადიგენის რაიონში – 63; ახალციხეში – 6; ონსერგეთში – 5) და **მამასახლისი** (1417 ადამიანი; ვანში – 486; ქუთაისში – 274; თბილისში – 202) (სილაგაძე, თოთაძე, 1997 :129).

ისტორიულად იყო **მამასახლისიშვილიც**. ერთი **მამასახლისიშვილი,** რომელიც დადასტურებულია 1721 წელს, დამოწმებული ჰყავს ი. ახუაშვილს, იყო მოლაშქრე, „არის ყაფლანისშვილის მამულში მსახლობარი" (ახუაშვილი, 1994:425). წყაროებში გვხვდებოდა **მამასახლისისძეც** (ახუაშვილი, 1994:715).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის გაელენითა და ზეწოლით ქართული გვარები ღებულობდა რუსულ დაბოლოებებსაც, კერძოდ, **-ов** და **-ев** სუფიქსებს. თვით დიდ ივანე ჯავახიშვილსაც კი თავიდან ჯავახოვი ჰქონდა გვარად. ამ კონიუქტურის შედეგია, რომ მამასახლისი იქცა **მამასახლისოვად.** ზოგმა მაინგანმა დაიბრუნა შემდგომ ქართული გვარი, ზოგმა კი რუსული დაბოლოებით დაიტოვა.

სახელის ეტიმოლოგია გამკვირვალეა. კომპოსიტი შედგება ორი სიტყვისაგან – **მამა** და **სახლი**. კომპოსიცია მომხდარია ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით. ჯერ არის სასვრული და შემდეგ მსასვრელი, ისევე, როგორც, მაგალითად, მამამთავრიშვილი. დღევანდელი ქართულით გვექნებოდა **სახლის მამა. სახლი** ძველ ქართულში იყო „ვანი", „ტაძარი", სავანე, სახახლე, ოთახი, სენაკი. „სახლეული" (აბულაძე, 1973:384), ამიტომ მამასახლისის მნიშვნელობა ტევადია და მრავალნაირი. ამ სახლს განაგებდა **მამა,** რომელიც იყო **„სახლის-უფალი"**, მამასახლისი. (აბულაძე, 1973:384).

ამგვარად, უძველში მცხოვრები მამასახლისაშვილთა გვარი, ქართულ გვართა სისტემაში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თავისი ყორმითა და მნიშვნელობით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხური გადმოცემის თუ ლექსის ჩაწერის დროს.

ასპინძის ბრძოლა, რომელიც 1770 წელს მოხდა, მრავალი ხალხური ლექსის, თქმულების, გადმოცემის წყაროდ იქცა.

მტკვარზე გადებული ხიდი, რომელიც ერეკლემ ბრძოლის წინ მოაშლევინა და რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა ერეკლეს სასარგებლოდ დამთავრებაში, ხალხმა მის საყვარელ გმირს დაუკავშირა. ამ ადგილს დღესაც **ერეკლეს ნახიდარი** ჰქვია. მოკლე გზას აწყურიდან ასპინძამდე, ერეკლემ რომ გაიარა, **ერეკლეს გზა** უწოდეს.

მესხეთში, როგორც ცოცხალ ამბავს, ისე ჰყვებიან ასპინძის ბრძოლასთან დაკავშირებულ გადმოცემებს.

ამ ბრძოლის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება. დაიდგა მემორიალიც, ორენოყანი წარწერით, ასპინძის სარაიონო ცენტრში, იქნებ, ერეკლეს ძეგლიც დაიდგას ოდესმე ასპინძის სანახებში, ან იქნებ ნახიდარიც აღდგეს პირვანდელი სახით, მაგრამ, ვფიქრობთ, პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს გასული საუკუნის ბოლოს ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფ. ალ. ხახანაშვილის ჩაწერილ მასალებს ერეკლესა და ასპინძის ბრძოლის შესახებ.

ალ. ხახანაშვილს ახალციხის მაზრის სოფელ სარიოში მცხოვრები 105 წლის გრიგოლ ბერიძისაგან ჩაუწერია ფოლკლორული მასალა. გრიგოლს, როგორც იგი გადმოცემაში წერს, თავის მხრივ, მამისაგან გაუგონია ასპინძის ბრძოლის ამბავი, მამამისი კი მონაწილე ყოფილა ამ ბრძოლისა: „მამაჩემისაგან გამიგონია, მაგ ასპინძის ომში იყო“... მასალა ქვეყნდება პირველად. იგი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ბატონმა ვ. გურგენიძემ.

„პირველად ქვეყნდება“ იმას არ ნიშნავს, რომ გადმოცემა ან ლექსები ასპინძის ბრძოლისა და ერეკლეს შესახებ არ იყოს ცნობილი, ან არ ჩაწერილა სხვა მეცნიერთა მიერ. იგი ქვეყნდება პირველად, როგორც ალ. ხახანაშვილის მიერ ჩაწერილი[1]. ამდენად მნიშვნელობა აქვს პუბლიკაციას, როგორც მასალის ისტორიისათვის, ისე ტექსტუალური თვალსაზრისით. მართალია, უმნიშვნელოა ამ მხრივ ცვლილებანი,

მაგრამ მაინც არის. მაგალითისათვის შეეადარებით 50 წლის შემდეგ ჯავახეთში არ. მარტიროსოვის მიერ ნაწერილი მასალა. ალ. ხახანაშვილს ვრცელი ლექსი აქვს ნაწერილი (იხ. №5) ერეკლეს ხერთვისში მისვლის შესახებ. ნაწილი ამ ლექსისა შემდეგ პროზად ჩაწერია არ. მარტიროსოვს: „ერეკლე ადგა და გამარჯვებული წამოვიდა ხერთვისში. თათრი ჯარი კი დაბრუნდა, უკან გაიქცა. ხერთვისში რო შემოვიდა ერეკლე. ქალებმა სეირობა დაიწყეს, ამბობდნენ: ეს რა ლამაზი კაციაო. მაშინ უთქვამთ:

ყადიშას შემოუთვლია:
ერეკლე რა კაციაო?
-რა მოგახსენო, ბატონო,
პატარა ქმაწვილიაო.
გული უგდია სპილოსი,
გარედან სალი კლდეაო,
ისე დაანგრევს ციხესა,
როგორც ყუტურე ხესაო...“[2]

„მერავიოვის ცნობით ერეკლეს თავისი ხელით მოუკლავს ლეკთა წინამძღოლი მალაშილა“[3]. ამ ფაქტმა დაუდო საფუძველი გადმოცემას ერეკლესა და კოხტა ბელადის ბრძოლის შესახებ. ამ გადმოცემის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს.

საინტერესოა გვიანდელი ფიქსაცია ერეკლესა და ლეკთა ბელადის ბრძოლებისა. ერთ შემთხვევაში ერეკლე „გაუძღვა“ „თათრი ფაშას“, მაგრამ ისე გავიდა მიჯნაზე მეყვე ერეკლეს ცხენი“, რომ ვერაფერი ავნო ერეკლეს. შემდეგ „დაბრუნდა თათრი ფაშა. ერეკლემ გაჰკრა ხმალი, ისე გაარონია წელში, რო იმან ვერც კი გაიგო“.[4]

„იმ ალაგს რო მისულან, შუაზე მოსწვეია ცხენი ცხენს, ამოულია ხმალი ერეკლეს, შემოუცხია წელზე და გადაუჭრია შუაზე“.[5] „გაინძერიო, ეგრე რაჰ დგახარო. რო გაინძრა, ნახევარი ძირ დიეცა, ნახევარი ცხენზე დარჩა“.[6]

XIX საუკუნის ბოლოს 105 წლის გ. ბერიძის მიხედვით კი „როგორც დაბრუნდა, ჰკრა და მარჯვენა ხელი მოაგდებინა ერეკლემ“.

ალ. ხახანაშვილის მასალა ეხება არა მარტო ასპინძის ბრძოლას. აქ ვხვდებით ერეკლეს ხერთვისში ასვლას. შეეხვდებით გუმიშხანს, მაშინდელ ისტორიულ გარემოს და სხვა.

ზოგან აშკარაა, რომ გამოტოვებულია სტროფი თუ არა, სტრიქონი მაინც:

...დამიძახეთ ლეკან ბატონს, სახელმწიფო მისი არი,

ზედა გამირი ხიდი გადო. განი ჰქონდა შვიდი განი".

მარიალაც 1956 წელს ნაწერილ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ლეკანთ ბატონ დამიძახეთ, სახელმწიფო იმისია,
იმას ყავდა შვიდი შვილი, შვიდთან შემოარტყა ხმალი.
დიდ გამირის ხიდი გადო, სიგანე ჰქონდა შვიდი მხარი".[7]

ნამწერი გამირს რკინად განმარტავს და ა'ხრიც ნათელი ხდება. შედარებებს აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით, რომ, მიუხედავად ამისა, პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ ნაწერილ ვარიანტებს არქაული იერი დაჰკრავს.

ალ. ხახანაშვილს ზოგიერთი სიტყვის განმარტება მოცემული აქვს ტექსტშივე, ნაუსვამს ფრჩხილებში. მაგ.: „შენ ერეკლეც ოქმიანო (შეძლება, ღონე)". ე. ი. ოქმიანი შეძლებულს, ღონიერს გულისხმობს. ეს განმარტებები, როგორც ჩანს, მოქმედის განმარტებებია. ოქმიანი ჯავახურ დიალექტებში გვხვდება ჰოქმიანი ფორმითაც, რომელიც უნარიანს, ხერხიანს ნიშნავს.[8] გვხვდება ცალკე ჰოქმიც („უნარი, შნო, მოხერხება".[9] ოქმიანი//ჰოქმიანი ამავე ლექსში განმარტებულია, აგრეთვე, როგორც „პოლიტიკიანი":

„შენ ერეკლე ჰოქმიანო (პოლიტიკიანო),
ცხენმაღალურაგინიანო.
შენი ნახოცი თათრები
ასპინძი ბოლოს ჰყრიანო.
ყვავ-ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს თხრიანო"[10]

ალ. ხახანაშვილის განმარტებები ჩვენ შენიშვნების სახით წარმოვადგინეთ. შეიცვალა თანმიმდევრობა, წინ გადმოვიდა გადმოცემა:

გაგონილი და ნაწერილი ს. საროს, ახალციხის მაზრა, გრიგოლ ბერიძისაგან. ნაწერილია 1889 წ.

1. ლეკის ბელადმა, რომელიც ცალკე ნაწილს შეადგენდა თათრის ჯარისას, შეუთვალა ასპინძაში:

— ჯარი რაზედ დაეხოცოთ, ჩვენ თვითონ გავიდეთ ერთმანეთზედო.

— კარგიო, შე წუწკო შენ მოითხოვეო...

— უთხრა ერეკლემ, შეჯდა თაეის გორდაზედ (ცხენს ეძახდა თავისას, ყოსალს, თითქმის ფრინავდაო), თითონ კი პატარა კაცი იყო, მამაჩემისაგან გამიგონია, მაგ ასპინძის ომში იყო.

– გამექეციო, – უთხრა ბელადმა. გაიქცა და გამოუდგა. რომ დაუწია ხმალი თურმე, ცხენმა წინ გაიტაცა დ ვერ მოასწრო მოეხვედრებინაო. მერე უთხრა ერეკლემ:

– გაბრუნდი ახლა შენაო. როგორც გაბრუნდა, ჰკრა და მარჯვენა ხელი მოაგდებინა ერეკლემ. მერე დაერივნენ და სულ გაჟლიტეს.

2. ერეკლე რომ შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა საომარი,
შვიდი ჯაჭი შვილი ჰყავდა, შვიდსავე შემოარტყა ხმალი,
– დამიძახეთ ლეჟან ბატონს, სახელმწიფო მისი არი.
'სედა გმირი ხიდი გადო, განი ჰქონდა შვიდი მხარი,
ხეობა შემოიარა, არსად არ შეაფრთხო ცხვარი.
გუმიშხანას[I] ჯაერი ჩამქცა, ოქრო და ვერცხლი იქ არი.
გუმიშხანას რომ მიუხდა, შიგაც მეოთფე მ'ხად არი.
სამი ღღე კი გაუმაგრდა, მეოთხე ღღეს უყო ძალი;
ციხე ხელ-ქვითაც ააგსო, არ იხმარა ზარბაზანი,
ოქრო კილეებით[II] გაჰქეს, კამენებს ჰკიდეს ფართალი;
ფამბავ'სედ[III] რო წამოვიდა, მას მიჰქონდა ნაშოვარი.
ასე დაჰფანტა ულუსი[IV], როგორც მურა მგელმა ცხვარი.
მარტო ისიც ვერ იქმოდა, წიგნი ფაშის სულიც[V] არი.

3. წერა და წერა წიგნები, 'სედი-'სედ გ'საცნა ჩაფარი:
–შენ მანდედან, მე აქედან ამოვიღოთ გ'ურჯისტანი,
აეიღოთ თბილი ქალაქი, ერეკლესა მოეჭრათ თავი.
ჯარში ლეკმა დაიძახა, წავალ კახეთს შევის'წავლი.
კახმა ბიჭმა (ამის მიქმელსა) თავში გაჰკრა:
–შენ კახეთს ვერ შეის'წავლი,
ან დაგარჩობს ალაზანი, ან იმისი ნიალყარი.

ასპინძაზედ

4. შენ, ერეკლე, ოქმიანო,[VI]
ცხენ ლამაზ-ყანაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰკრიანო,
ყვავი ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო.

ხერთვისზედ

5. ამ ერეკლემა არ დასთმო თავისი მუცლის ჩხვერაო[VII]
ადგა, აიყარა ლაშქარი, წამოვა ნელა-ნელაო.
ასრე ჩამოვა ხერთვისსა, თვარეც არ არის, ბნელაო.
ხან'ემებმა გაღმოხედეს, ტ'ერფათ დაუწეს ცქერაო.

ღლეში სამჯერ ვილოცავდით, ღმერთმა არ დაგვიჯერაო,
ვაიმე თუ დაგვიმძიმდეს სარაებიდან ცქერაო.
ფიდიშაჰს შემოუთვლია, ერეკლე რა კაციაო?!
რო მოვახსენო, ბატონო, პატარა ქმაწვილიაო.
გული უდგია სპილოსი, გარეულგან სალი კლდეაო,
ასე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტურე ხეაო.

ალ. ხახანაშვილის შენიშვნები:

I. „თათრისკენ არისო, ურუმები (ბერძნები) იქიდან გადმოვიდნენ".

II. „სარწყავია"

III. „მთის სახელია"

IV. „რალაც მტერი"

V. „საქმე"

VI. „შეძლება, ღონე"

VII. „მუცლის გვრემა, დარდი".

---

[1] ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების ცნობარი, შემდგენელი ვ. გურგენიძე, თბ., 1986, გვ. 35.

[2] არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. III.

[3] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957, გვ. 68.

[4] არ. მარტიროსოვი, დასახელებული ნაშრომი.

[5] იქვე, გვ. 112.

[6] გ. ბერიძე, სადისერტაციო შრომაზე დართული ტექსტები, გვ. 138.

[7] იქვე.

[8] გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981 გვ. 187

[9] იქვე.

[10] გ. ბერიძე, სადისერტაციო ნაშრომზე დართული ტექსტები, გვ. 153.

1988 წ.

ჩვენი მხარე განებივრებული არ არის ცალკეულ სოფელთა დღევანდელობისა და წარსულის ამსახველი წიგნებით. განსაკუთრებით იშვიათია ისეთი ლიტერატურა, რომელშიც პროფესიულ დონეზე იქნება წარმოჩენილი პრობლემა. თინა მაისურაძისა და ნათია ბერიძის ნაშრომს სათაურად „ზედა თმოგვი და ნაქალაქევი“ აწერია. ეს არ არის ორი სოფლის ტრადიციული ისტორია. სინამდვილეში ეს არის ერთი მთლიანი, ერთი ფუძე, ერთი ხალხი, გვარები, ერთი სიხარული და ტკივილი. 1944 წელი მნიშვნელოვანი იყო სამცხე-ჯავახეთისათვის, რადგან ამ წელს გაასახლეს მშობლიური მიწიდან მაჰმადიანი ქართველები და სხვა ეროვნების ადამიანები. ბევრ სოფელში შერეულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები. მაჰმადიანთა გასახლების შემდეგ ბევრი სოფელი იქცა ნასოფლარად, მაგრამ ზოგი მათგანი რომ არ მოკვდა და გაგრძელდა სიცოცხლე, ამაში ძველი ნაფუძრის დიდი დამსახურებაა. ზედა თმოგველები ჩაასახლეს ნაქალაქევში, მაგრამ მათ არ დაკარგეს თავიანთი მამა-პაპისეული ადგილები და ზედა თმოგვიც შეინარჩუნეს ისევე, როგორც თმოგველებმა – აგარა. ძველი სოფელი სახნავ-სათესლად „მთად“ იქნა გამოყენებული.

ზედა თმოგვი და ნაქალაქევი განსხვავდება კლიმატური პირობებით. ბევრად უფრო მკაცრი ჰაერია ზედა თმოგვში, ამიტომ, სოფლის გაშლა და გამრავლება აშკარად თვალშია საცემია, ბარად ჩამოსვლის შემდეგ. ავტორები კარგად ასახავენ სოფლის დაბლა ჩამოსვლის სურათებს, მიგრაციის დინამიკას. ამ ფონზე ჩნდება სურვილი, რომ გაგრძელდეს სოფლის ისტორია **ფიის** მაგალითზეც.

თ. მაისურაძესა და ნ. ბერიძეს მიზნად დაუსახავთ, შეესწავლათ სოფლის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. საამისოდ, სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, გამოყენებულია ხალხური გადმოცემები, თქმულებები, თვითმხილველთა მონათხრობი. ფოტოსურათების საშუალებით გაცოცხლებულია არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო და ყოფითი დეტალები, არამედ ის ადამიანები, რომელთა შორის ბევრი ცოცხალი აღარ არის. განსაკუთრებული სიყვარულით არის დახატული ნასოფლარი ზედა თმოგვი, მისი ეკლესია, სიწმინდეები, საცხოვრებელი სახლები და სხვა. საინტერესოა ავტორთა განმარტება თმოგ-

ვის დაწერილობასთან დაკავშირებით ძველ ქართულში და დღეს. რასაც უკავშირდება უმარცვლო უ-ს საკითხი.

ყველა ნიშნებია იმისა, რომ ვიყიქროთ, **ზედა თმოგვი** უკვე არსებობდა, როდესაც იქმნება უძლიერესი ციხე-სიმაგრე **ქვედა თმოგვში**. ზედა თმოგვის ეკლესია XI საუკუნეშია აშენებული, მაგრამ მის ადგილას უკვე VIII საუკუნეში მდგარა ტაძარი, რომლის ფასადიც ინტერიერში ახალი ეკლესიის ხუროთმოძღვარს ჩრდილოეთის კედლად გამოუყენებია (ჯავახეთი, 2000:113). ძველ ეკლესიაზე ბევრად ადრინდელი უნდა იყოს ის სტელები, რომლებიც აღწერილი აქვთ ავტორებს და რომლებიც იცავენ ნასოფლარს ოთხივ კუთხივ. აი, ეს ჯვრები: **ალაგურის ჯვარი, ჭაჭკრითავის ჯვარი, გუგუნჯვარი და წმ. გიორგის ანუ მაღალი ჯვარი** (მაისურაძე, ბერიძე: 29-31). ტოპონიმიაში **ზედა** და **ქვედა** მსაზღვრელად იხმარება გეოგრაფიულად ზემოთ და ქვემოთ მდებარე პუნქტებთან დაკავშირებით, რაც კარგად ჩანს ზედა თმოგვისა და ქვედა თმოგვის ანუ თმოგვის ციხის, იგივე თმოგვის ციხის რაბათის, დაპირისპირებაში. ასე იყო ზედა ვარძიისა და ქვემო ვარძიის დროსაც. ორივე შემთხვევაში პირველია **„ზედა“** (ზედა თმოგვი, ზედა ვარძია), რომელთაგან ისტორიული წყაროებით დადასტურებულია ვარძია მისი მშენებლობის დროს. „ისტორიანი და ასმანი შარავანდედთანი“, მოგვითხრობს, რომ მონასტერი აშენდა „ზემო ვარძიის ქვემო ვარძიითა მიცვალებითა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:91). ამასვე გვიდასტურებს ზედა თმოგვის ისტორიული სიძველენი, რომ მის სანაცვლოდ იქმნება თმოგვის ციხე-ქალაქი. აი, ეს შთაბეჭდილება რჩება, როდესაც ქალბატონების თ. მაისურაძისა და ნ. ბერიძის შრომას ვეცნობით. ვფიქრობ, ნათქვამს ხელს არ უშლის შემდეგი ასრი: „ზედა თმოგვი ციხე-ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, ამიტომ XI საუკუნეში, როდესაც ციხე მისი მამულებით, ბაგრატ IV-ის ერისთაოთერისთავს, ჭარსმანს, ეჭირა, მასვე ექვემდებარებოდა ზედა თმოგვი, სადაც ჭარსმანმა ეკლესია ააგო. შემდგომშიაც ზედა თმოგვი ციხის მფლობელებს ეკუთვნოდა. მას მერე, რაც თმოგვი თანდათან დაეცა, დიდი ციხე-ქალაქი დაბად გადაიქცა, ზედა თმოგვი ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდა“ (ჯავახეთი, 2000:115). თმოგვის ჯავახეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ქცევის შემდეგ, მისი ქალაქობის უამს, ბუნებრივია, ზედა თმოგვი მისი გავლენისა და ადმინისტრაციის ქვეშ მოექცეოდა.

ავტორები დიდი სიყვარულით აღწერენ სოფლის, აწ კი ნასოფლარის, კუთხე-კუნჭულს, ტოპონიმიას, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ზედა თმოგვი მესხეთის სოფელთა განუყოფელი ნაწილია. აქაც ბევრი ისეთი ლეგენდაა დაკავშირებული მის ისტორიასთან, რომელიც საერთოა სხვა სოფლებთან. ქართული სოფლების დიდი ნაწილი ოდითგანვე გაშენებული იყო მდინარის, ხეობების პირას ან წყაროების სიახლოვეს. მთაგორიან ადგილებში მათ ერთნაირი გეოგრაფიული პირობები გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, იქმნებოდა საერთო ხასიათის და შინაარსის ლეგენდები, გადმოცემები. შრომის მიხედვით ვგებულობთ, რომ ზედა თმოგვი ტყით იყო დაფარული, რაზეც მიგვითითებს, ისეთი ადგილის სახელები, როგორიცაა: მუხნარი, ჭნავის კალო, ცაცხვები, არყნალი, პანტიანი და სხვა (მაისურაძე, ბერიძე, 2012: 18). ამ სახელის მატარებელ ადგილზე დღეს ხის ნასახი აღარ არის. ამაში არაფერი მოულოდნელი და შეუძლებელი არ უნდა იყოს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ჯავახეთის სოფელ სამსრის წარწერა: „სახელითა ღვთისაითა, წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, ესე წმიდაი ეკლესიაი ოდეს აშენდა. მაშინ ესე ადგილი **ტყისაგან არა ჩნდა**“ (ცისკარიშვილი, 1959:42). შემთხვევითი არ არის აგრეთვე, რომ ერუშეთის მთებში ვან-ბუხმარეთის მიდამოებში არის ნასოფლარი **შუატყე**, რომლის გარშემოც დღეისათვის ხე საერთოდ არ ხარობს. ასე რომ, გადმოცემები ზედა თმოგვის შესახებ და ავტორთა მტკიცება ტყის ასებობის შესახებ, სრულიად რეალურია. ასევე მნიშვნელოვანია მდინარის არსებობის ფაქტი. მდინარე სოფლის შუაში ჩამოდიოდა. ლეგენდის მიხედვით, **„ზედა თმოგვის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული. როცა ეს არემარე მტერს გადაუწვავს, მხოლოდ მაშინ გამოჩენილა ეკლესია, რომელსაც გვერდით პატარა მდინარე ჩაუდიოდა**“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:21). ეს მდინარე და ტყე მართალია ხალხის მახსოვრობაში აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს ლეგენდაში წყლისგან ნაფოტის ჩამოტარების სახით. „ამ მდინარეს ჩამოუტანია **ხის ნაფოტები**, რომელიც დაბლა მტკვრის პირას მიმავალ თათრებს დაუნახავთ, შეუყოლიან მდინარეს და სოფლისთვის ასე მიუგნიათ“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:21). ასეთივე გადმოცემა არსებობს სოფელ ტობის შესახებ. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ეს გადმოცემა ჩაუწერია ვ. სუდაძეს და იგი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში: „სოფ. **ტობიდან** მომავალი ღრმა ხევით პატარა წყალი (ნაკადული) ეროვის მტკვარს.

თურმე ერთხელ მებადურებმა ნახეს, რომ **ამ პატარა წყალს ნაფოტი მოაქვს**. ეს წყალი იმ დროს არც ისე პატარა იქნება. მებადურები დაინტერესდნენ ალბათ აქ ვინმე ცხოვრობსო და ხეზე შეჯდებიან წყალში ტოპატოპით, აცლენ ხვენს სოფელში, ნახავენ, რომ სამი კომლი ცხოვრობს“ (ს. ჯ. ი. მ. ფ. ვ. სულაძის ხელნაწერი, №104:4-5). ამავე ლეგენდებს ეხმიანება გადმოცემები ზედაზენის შესახებ, რომ ზედაზენის ეკლესია ტყეში არ ნანდა და იგი აღმოაჩინა ღობიეთიდან სანადიროდ ასულმა მღვდელმა ზედგინიძემ: „სოფ. ზედაზენის ტერიტორია ადრე სულ ტყით ყოფილა დაფარული. სოფელ ღობიეთში ყოფილა ერთი მღვდელი, რომელიც ერთხელ წასულა სანადიროდ და უნახია პატარა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ტყეში ნაფლული. რიდესაც ჩასულა ღობიეთში, იქაური მოსახლეობისათვის უთქვამს, რომ მე **ზედა ველში** ეკლესია ვნახე და იქ უნდა ვიცხოვრო. მართლაც ავიდა საცხოვრებლად, გაჩეხა ტყე, ააშენა სახლი და დაიწყო ცხოვრება (ბერიძე, 2012:63-64).

უაღრესად საინტერესოა დაკვირვებანი არა მხოლოდ უძველეს სახელებზე, არამედ შედარებით ახალ ტოპონიმებზე, რომელთა სახელდება კონკრეტულ ფაქტთან ან რეგულარულ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ავტორები წერენ: „ამ ადგილებში ათასობით ცხვარი ძოვდა... იდითგანვე აქ და ჯავახეთის საძოვრებზე არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის ცხვარი იყო, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც, კერძოდ, თუშეთიდან და კახეთიდან მოერეკებოდნენ ცხვარს აქაურ საზაფხულო საძოვრებზე, ამიტომ აქაურ გზას **ცხვრის გზა** ეწოდებოდა“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:20). ეს უძველესი ტრადიციაა. ქართლ-კახეთის ცხვარ-ძროხა გადმოდიოდა ჯავახეთსა და არტაანში ზაფხულობით. ერთ შემთხვევაში იმდენი პირუტყვი გროვდებოდა, მაგალითად თავფარავნის ტბის პირას, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნიდა ტბისათვის. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ტბა ფანაერისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არეკნი ჯოგნი, მრეწველნი ხუასტაგნი, **ქართლისა და კახეთისანი**, და ნეხვნი მისი გამდნარისაგან თიელისა შესდის ტბასა მას, და იტკბების მის გამო უგემურობასა“ (ვახუშტი, 1973:320). უშუალოდ ზედა თმოგვს შეიძლება დაუკავშირდეს მე-20 საუკუნის ფაქტი, რომლის შესახებაც ალ. ფრონელი მოგვითხრობს ვარძიაში, ვარძიობაზე ყოფნის დროს. ბევრ რამეზე დაფიქრებულ მამულიშვილს, რომელიც ღამეს ათევს ვარძიის სენაკში, მო-

ესმება მშვენიერ ქართული სიმღერა, მიაყენება ხმას, მივა ქართლელ მომღერლებთან, რომლებიც დიდი თოხეთიდან წამოსულები აღმოჩნდნენ. მათვე განმარტეს მათი ვარძიაში ყოფნის მიზეზი: „ცხვარი აქ ახლოს გვეყენია, **ჩილდირში**, არდაგანის ოლქში. პასკეციმა გვიბოძა საძოვარი ადგილი და ყოველ საფხულს ცხვარი ამოგვიდის საბალახოდ; რაკი ასე ახლო ველგეყარეთ, ვარძიაში ჩამოვდივართ ხოლმე ღამის სათევად ამ ბედნიერს დღეს“ (ფროფელი, 1991:109). ეს კავშირი გაგრძელდა მე-20 საუკუნეში კოლექტივიზაციის დროს და, საყურადღებოა, რომ ცხვრის გადასარეკი გზა ზედა ომოგვის სიახლოვეს გადიოდა. ადგილის სახელდება ასეთი მასშტაბური მოვლენების ჟამს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასე დაერქვა, მაგალითად, **რუსის გზა** ჯავახეთში პასკეციჩის ექსპედიციის დროს. **ცხვრის გზის** ავტორებისეული ისტორია-ეტიმოლოგია სრულიად საფუძვლიანია, შეიძლება კიდევ უფრო ზუსტი ლოკალიზაციაც.

წიგნში ვხვდებით სხვა ეტიმოლოგიებსაც. ერთი მათგანი ეხება ცნობილ სახელს ზედათმოგვის მიდამოებში. ერთ-ერთი ზედათმოგველი ქალი მოეტაციათ და თურქეთში ბეგის ცოლი გამხდარა. ამ ლეგენდის მთავარი პერსონაჟი არის ელე, რომელსაც **ელეხანუმს** უწოდებდნენ. ამ სიუჟეტთან არის დაკავშირებული ტოპონიმი **ელეხანუმის წყარო**, რომელიც გამოდის მდინარე **შოლოს წყლის** ნაპირას, ნასოფლარ მოიდოლლში. მოიდოლლი შეღარებით ახალი სახელია. მის გარშემო ისტორიულად სულ ქართული სოფლებია. თურქული სახელები მე-19 საუკუნეში ჩნდება, როდესაც აქ თარაქამათა ტომები ჩამოასახლეს და ქართულ სახელთა ერთი ნაწილი შეცვალეს თურქული სახელებით (ბერიძე, 2008:280). მოიდოლლი, ეტყობა ბეგის საჯდომი იყო, რადგან ადამიანის საკუთარი სახელი დაეძღო ახალ სახელდებას, სახელის შეცვლას, საფუძვლად (ნიშნავს მოიდის შვილს). იგი ისეთ გარემოში მდებარეობს, რომ **მუკუზაშენი** უნდა რქმეოდა (იხ. ჯიქია, 1958:299-302). ამ ადგილზე მე-20 საუკუნეში კოლექტივიზაციის დროს თოკ-ყარგავის ფერმა იყო განთავსებული. გადმოცემის მიხედვით, რომელიც მე მე-20 საუკუნის სამოციან წლებში მომისმენია, წყაროს სახელი უკავშირდებოდა ბატონსა და მის მოტაცებულ ცოლს. **ელეხანუმის წყარო** გამოირჩეოდა დებეტით და სილამაზით. ალბათ, შემთხვევითი არ არის წყაროსა და მოტაცებული ქალის სახელთა დამთხვევა. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სწორედ

აქ მიიყვანეს ზედათმოგველი ქალი და არა თურქეთში. ავტორებიც მიუთითებენ: „ბეგს ძალიან ჰყვარებია მანსურას დედა. მისთვის სახელიც კი არ შეუცვლია და **ელეხანუმს** ეძახდნენ თურმე“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012: 44). ელე, რომელიც ელენეს შემოკლებული ფორმაა, გავრცელებული იყო ქრისტიანულ მოსახლეობაში. მომტაცებელს, როგორც ჩანს, მართლაც, ისე ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ მის სახელზე გაუკეთებია წყარო. ადამიანთა სახელის უკვდავსაყოფად სწორედ წყაროს გააკეთებდნენ ხოლმე. მესხეთში ასეთი ტრადიცია არსებობდა. იგი თავის დროზე, ვიღრე მოიტაცებდნენ, ქმრისგან ყოფილა ფეხმძიმედ. დაბადებული ბიჭს მანსურა დაარქვეს. „მანსურა იქ ალარ დარჩენილა, მამობილს, წამოსვლისას, ერთი აბგა ოქრო გამოუტანებია და მეგ'სურიც გამოუყოლებია. დალამებისას მოსულა მანსურა მამისეულ ადგილს, მთელი დღის ნამგ'ავრს ღრმად დასთხებია. მეგ'სურს ამით უსარგებლია, გაპარულა და ოქროც წაულია. მანსურა დარჩენილა და იქ დასახლებულა. გულის ჯიბეში დედის ნაწუქარი სამი ოქრო ჰქონია. იმ ოქროებით ზედა თმოგვის დაბლა, ძველი თმოგვის მახლობლად, მტკვრის ნაპირზე საბაღბოსტნე უყიდია და იმ ადგილისთვის **„ანაგული“** ანუ **„დედისგული“** უწოდებია. ამ ადგილს ზედათმოგველების ბაღები დღესაც არის და მას **„ალაგურს“** ეძახიან. შესაძლებელია, თავდაპირველმა სიტყვამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა და მივიღეთ **ანაგული–ალაგური“** (მაისურაძე, ბერიძე, 2012:44). ზედათმოგველებში გავრცელებული ეს ლამაზი ლეგენდა თავისთავად საინტერესოა, ოღონდ, ვფიქრობ, მისი დაკავშირება ალაგურის ეტიმოლოგიასთან არ უნდა იყოს საჭირო.

ალაგური ცნობილი სახელია ამ ადგილებში და ის ისეთივე ძველია, როგორც თვით ზედა თმოგვი ჭაჭკარი, აგარა და სხვანი. მისი ეტიმოლოგია უნდა უკავშირდებოდეს **ალაგს,** რომელიც, მართალია, თანამედროვე ქართულში იგივეა, რაც ადგილი, მაგრამ ძველ ქართულში მას **ბილიკის, კვლის, გზის** მნიშვნელობა ჰქონდა (აბულაძე, 1973:4). **„ალაგურის** ალაგი თავდაპირველად გზის მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო სახელდებული. ალაგურის მიკროტოპონიმებში გამოსაყოფია **მოკაკული,** გზის სახელი... ამავე არეალში, ზედა ქარძიდან აგარაში ასასვლელ გზას **მრუდეგზიები** ჰქვია... ალაგურისთვის რომ ნიშანდობლივია გზა, ამას ადასტურებს კიდევ ერთი სახელი – **ნალიკლდე,** რომელიც კლდეებს შორის ადგილია.

ეს „ნალები“ მეტი არაფერია თუ არა გზის გადასაკეტი ადგილი“ (ბერიძე, 2011:56), რომელსაც საყარაულოსა და „საბაჟოს“ დანიშნულება ჰქონდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ალ. ფრონელი წერდა: „გზა რომ ვახსენე, მართლა გზა არ გეგონოთ. მთა-კლდის დაქანებულ ფერდობზე სოლიდით მიკლაკნება მიხვეულ-მოხვეული საცალფეხო ბილიკი. ღიღხანს ვიარეთ ამ უბედური და კისრის მოსატეხი ბილიკით. ახლაც ვერ გამიგია, როგორ დადის ხალხი ხამთარ-ზაფხულ ამ საშმაკო და საბარტაროზე გზით. საკმარისია მცირედად ფეხი მოგისხლტეთ და დაეშვებით ძირს უფსკრულში, სადაც ყვავ-ყორანიც ვერარ მიაგნებს თქვენს დაფლეთილ ლეშს“ (ფრონელი, 1991:79). ალ ფრონელის მოყვანილი ციტატა შეეხება სწორედ ვარძიაგარას შორის მდებარე გზას, რომელსაც, როგორც ითქვა, **მრუდეგზიები** ჰქვია. თუ რატომ შეერქვა ამ გზას ეს სახელი, ამას კარგად ადასტურებს მითითებული ციტატა. როგორი გზა იყო ზედა თმოგვსა და ალაგურს შორის? შეგვიძლია ისევ ალ. ფრონელს მოვუსმინოთ: „მეორე გზა ლეპისის სამამა-სახლოდან ვარძიის მიმართულებით ს. **ზედათმოგვიდანაა**. ამ სოფლის მკვიდრნიც მართლმადიდებელი ქართველობაა... ამ გზით არ მიველია, მაგრამ აგარისას არ ემჯობინება. მაზრის უფროსს გაეცალო ამ გზით ჩემსე წინ და სულ ბედს იწყევლიდა“ (ფრონელი, 1991:80). ეს არის სწორედ გზა ზედა თმოგვსა და ალაგურს შორის. ალაგურიდან კი მიდიოდა შემდეგ ვარძიამდე. გზას, რომელსაც ასე შეუშინებია ოფიციალური პირნი, ჩვენი წინაპრები ჩვეულებრივად მოიხმარდნენ ყოველდღიურად. ასეთ გზებს თაყისი „ინფრასტრუქტურა“ ჰქონდა, რომლის ნაწილიც უნდა იყოს სწორედ **ნალიკლდე**. აქედან გამომდინარე, აშკარა უნდა იყოს, ალაგურის დაკავშირება ღედის გულთან არარეალურია.

ზედა თმოგვში ღღესაცაა **ქვაანთ ჭალა**. ჭალების, ყანების და სხვა სახის საყარგულების ნომინაცია ძირითადად გვარების ან სახელების მიხედვით ხდება. ყველაზე მეტად კი მეტგვარები ანუ განაყოფთა გვარები დაედებოდა საფუძვლად ახალ ტოპონიმს, ამიტომ ამ ტიპის სახელები პატრონიმული წარმომაელობისანი არიან. როგორც ავტორები მიუთითებენ, სწორედ ამ რიგისაა ქვაანთ ჭალა. ქვაანი მაისურაძეების განაყოფია. ძმებს **ქვას** და **შაპას** გაუჩენიათ ჭალა, საიდანაც დაერქვა სახელები **ქვაანთ ჭალა** და **შაპაანთ ჭალა** (იხ.). „ქვა ძლიერი და თავმომწონე, ამაყი ვაჟკაცი ყოფილა და მისთვის

ქვა ანუ **ქევარა** შეურქმევიათ სულმეტ სახელად“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:45). ეს პატრონიმული ტოპონიმი საინტერესო ეტიმოლოგიის მეტსახელს გვიცოცხლებს, რასაც მიუთითებენ ავტორებიც, როდესაც ქვას პიროვნულ თვისებებს გახაზავენ. მართული მსაზღვრელი ქვაანთ- ი'შლება შემდეგნაირად: **ქვ-ა-ან-თ.** მასში სამი მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა: **-ა** არის თვისების, ქონების მაწარმოებელი სუფიქსი. ჯავახური დიალექტის ცნობილი მკვლევარი გრიგოლ ბერიძე სამცხურ და ჯავახურ მასალაზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ გვარის განაყოფია (მეტგვართა) ძირითადი სუფიქსია **-ან** (თავისი ფონეტიკური ვარიანტებით). **-ან-**ს აქვს კრებითობის, მრავლობითობის, რაიმე თვისების ქონების და სხვა ფუნქციები (ბერიძე, 1988: 142), რომელთა შორის უმთავრესია კრებითობის ფუნქცია (ს. ჯანაშია). სამცხურსა და ჯავახურში **ნარი** და **თანი** ერთდროულად შეიძლება დაერთოს სახელს გვარეულობისა და კუთვნილების აღსანიშნავად: თამარიანი (სახელობითი), თამარიანთი (ნათესაობითი) (ბერიძე, 1988: 143). **ქვაანი** (სახელობითი), **ქვაანთი** (ნათესაობითი). ასე რომ, ეს **-თ** მრავლობითი რიცხვისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. დაგვრჩა ფუძე **ქვ.** მისგან მიღებულია ჯავახეთში გავრცელებული ზმნა – **ქეობს,** რომლის საწყისიც **ქეობა // ქაობა** დადასტურებული აქვს გრ. ბერიძეს და ნიშნავს **უმართებულოდ საკუთარი თავის ქებას** (ბერიძე, 1981:134), ხოლო **ქევალა** – „ტრაბახა, მკვეხარა, დაუმსახურებლად მაქებარი საკუთარი თავისა“ (ბერიძე, 1981:134). ქვაც სწორედ ამ ფუძისაგან არის მიღებული **-ა** სუფიქსის დართვით. შეიძლება **-ქე** ფუძე დავუკავშიროთ **ქ** ძირს ზმნაში – **აქებს.**

ამავე **ქვა** მეტსახელისაგან არის ნაწარმოები მისი კნინობითი ფორმა – **ქევარა,** რომელიც მითითებული აქვთ თ. მაისურაძეს და ნ. ბერიძეს. მასში გამოიყოფა **-არ-ა** რთული სუფიქსი და ხმოვნებს შორის გაჩენილი ვ. **-ალ-ა** რთული სუფიქსით იმოწმებს გრ. ბერიძე ამავე სახელს **ქევალას** სახით.

ასევე სამართლიანად უკავშირებენ ავტორები მაისურაძეების ერთ-ერთი შტოს ბიზიკაანთ თავკაცის სახელს **ბიზიკას – ბიძიკას.**

მნიშვნელოვანი ნაწილი შრომისა ეძღვნება ზედა თმოგვის გვარებსა და მეტგვარებს. ჩამოთვლილი და დახასიათებულია სოფლის 6 გვარი და მათგან მომდინარე განაყრები. ტრადიციულად, როგორც ქართულ სოფელს ახასიათებს, „ზედა თმოგვში გვარების მიხედვით უბნებად ცხოვრობდნენ. ოჯახები

მეტწილად გაუცრელი იყო. ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თაობა თავისი ნამატით. გაუცრელი ოჯახი იყო უფრო მდიდარი“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:36). „ბალაანთ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 87 წლის შალვა ოთანაძე, იხსენებს თავისი ღელის ნათქვამს, როცა რძლად მოსულა, ოჯახში 45 წევრი ყოფილა და 9 აკვანი იდგაო“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:37). დიდი ოჯახების ხსოვნა სამცხე-ჯავახეთში, როგორც ვნახეთ, დღეკანდლამდე აღწევს. გაყრა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. დიდი ოჯახების შენარჩუნებას, გარდა სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლისა, მორალური საფუძველიც ჰქონდა. 1924 წელს გ. ჩიტაია მესხეთში მოგზაურობის დღიურში წერს: **„არალში** ჩვენ ვნახეთ დღეს უკვე დაშიანებული დარბაზი, რომელშიც ას სულამდე (ბაშებიანად) ოჯახის წევრს უცხოვრია, ორი ძმის ნაშიერს“ (ჩიტაია, 2001:213). რაც უნდა დიდი ოჯახის შენარჩუნების მოსურნე ყოფილიყვნენ ძმები, ესპარულად ვერ გაიზრდებოდა მისი შემადგენლობა და ბოლოს და ბოლოს გაიყოფოდა. გაყრის დროს ნაწილდებოდა უძრავი და მოძრავი ქონება. ყალიბდებოდა ახალი ოჯახი, რომელიც იმეორებდა წინამორბედთა განცდილ გზას. თუ ახალი ოჯახი ძლიერი იქნებოდა, შეიძლება მას შექმნა ახალი დასახლება და შესაბამისად ახალი განაყრის სახელი დარქმეოდა უბანს. „სისხლით ნათესაურთა სახლები ჯგუფურად იყო თავმოყრილი. განაყარი ოჯახი სხვაგან არ მიდიოდა და უშუალოდ წინაპრის სახლს მიადგამდა თავის საცხოვრებელს“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:37).

სოფლის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდნენ მაისურაძეები, მაგრამ მაისურაძეების უბანს არ უწოდებდნენ მას, რადგან გვარი დაყოფილი იყო მიკროუბნებად და განაყრების გვარით მოიხსენიებდნენ: **ქეაანთ უბანი, შაჰაანთ უბანი, ბიზიკაანთ უბანი** და სხვა. მართალია ავტორები მაისურაძის ეტიმოლოგიას ალ. ღლონტ'სჯ დაყრდნობით უკავშირებენ მაისურას, მაგრამ ვრცელი გადმოცემის მოხმობით მანსურას შესახებ და დასკვნით, რომ „მანსურას შთამომავლები შემდეგ მაისურაძეებად დაწერილანო“ (მაისურაძე, ბერიძე, 2012:44), ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს საკუთარი სახელია საფუძვლად დადებული მაისურაძეთა გვარს. მანსურა შიძლება პირიქით იყოს მაისურაძისაგან მიღებული, რადგან საკუთარ სახელად გვხვდება, როგორც **მაისურა**, ისე **მასურა** (ალ. ღლონტი). ეს უკანასკნელი მაისურას ფონეტიკური ვარიანტია, ხოლო მანსურას შემთხვევაში ვანყითარებულია ნ ბგერა.

ლეგენდები გვარის შესახებ საინტერესოა, მაგრამ მას სიფრთხილით უნდა მიდგომა. ასეთი ლეგენდები სილამაზეს მატებს გვარის ხალხურ ისტორია-ეტიმოლოგიას. გვარების კვლევის საფუძვლის ნამრველი საქართველოში ილია მაისურაძე თაეისი გვარის შესახებ წერდა, რომ გვარი გავრცელებულია რაჭაში, მესხეთში, ქართლში და სხვაგან, საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **მაისურა, მასურა,** „ანალოგიური საკუთარი სახელები: **იანვარა** (გვარში იანვარაშვილი), **მარტა** (გვარში მარტაშვილი), **აპრილა** (გვარში აპრილაშვილი) (მაისურაძე, 1990:99). მიუხედავად იმისა, რომ ი. მაისურაძის მოყვანილი აზრი გაზიარებულია ცნობილი ონომასტიკოსის, პროფესორ იაკობ ახუაშვილის მიერ (იხ. ახუაშვილი, 1994:422), ივი საზოგადოება „გვარიშვილობის" მიერ გამოცემულ მაისურაძეებისადმი მიძღვნილ კალენდარში წერს: „მაისურაძეთა წინაპრები აზნაური **დიდიძენი** ყოფილან, ცნობილი და სახელოვანი შეომრები, მათ შორის, ერთ-ერთი შესანიშნაეი სილამაზისა და გარეგნობის პიროვნება, უებრო მებრძოლი და გ'ულადი. იგი მეფეს გამორჩეულად ყვარებია. დღეოფალი გამიჯნურებია. მეფეს მისი ჩამოცილება განუსრახავს, სახალხოდ ბოდიში მოუხდევინებია, ლაშქრის წინაშე **მაისურის ამარა** დაუტოეებია და უბრძანებია: „ჩამომირთმეეია შენთვის აზნაურის წოდება, გვარი დიდიძეობა და **მაისურაძეობა** მომიციაო". ეს ეტიმოლოგია, რადგან კომენტარის გარეშეა მოხმობილი, იმას ნიშნავს, რომ ავტორი მას იზიარებს. **მაისური** არაფერ შუაშია მაისურაძეთა გვართან დაკავშირებით. იგი რ'ესული მაიკის კალკირებული თარგმანია და დამკვიდრებულია ქართულში, ამიტომ მეფის წინაშე „მაიკის" ანაბარად ვერ გამოვიდოდა დიდიძე-მაისურაძე.

მაისურას აწარმოებს **-ურ-ა** რთული სუფიქსი, განსხვავებით ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან. ისინი დაბოლოებულია **-ა** სუფიქსზე: **მარტ-ა, იანვარ-ა, აპრილ-ა**. ამაეე რიგისაა მაისში დაბადებულის სახელი **მაის-ა**, რომელიც გვხვდება გვარში – მაისაშვილი. ამგვარად, საკუთარი სახელი თუ მეტსახელი მაისურა, რომელიც უდევს საფუძვლად გვარს – მაისურაძე, განსხვაეებული სტრუქტურისაა და, საეარაუდებელია, **-ურ-ა** სუფიქსის დანიშნულებაც სხვა იყო. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვეევაში სუფიქსი აღნიშნაედა ქალის დაბადებას, ისევე, როგორც აჭარულ და სამცხურ-ჯავახურ დიალექტებში -ურ-ა სუფიქსი მიუთითებს გამოთხოეილი ქალის წარმომაელობას. ნუნჩხიდან გამოთხოეილი ქალი არის

წუნიხულა, ბარალეთიდან – ბარალული, ზველიდან – ზველული და სხვა. თვის სახელად **მაისი,** როგორც მე-5 თვის სახელი, საქართველოში უძველესი დროიდან გვხვდება (აბულაძე, 1973:213). ქართულ გვართა სისტემაში ბევრია ისეთი გვარი, რომელიც მიღებულია ქალის სახელისაგან, მაგალითად: ნათელაშვილი, ჯუჯუნაძე, თამარაშვილი (თამარაძე), მარგალიტაძე და სხვა.

მაღრაძეები ზედა თმოგვში წარმოდგენილი არიან სამი განაყოფით ანუ შტოგვარით, ესენია: გიუაანი, თემუაანი და ბოღარაანი. გვარის შესახებ, მცირე ექსკურსის შემდეგ, ავტორები იძლევიან მაღრაძის გვარის ეტიმოლოგიას: „მკვლევარი ალ. ღლონტი თავის წიგნში მიუთითებს, რომ საკუთარი სახელია **მაღარა,** გვარები კი **მაღრაძე** და **მაღრაშვილი** აქედან არის მიღებული. პროფესორ ი. ახუაშვილის თქმით, კი, ამ გვარების საწყისია სიტყვა – **მაღარა**" (მაისურაძე, ბერიძე, 2012:47). მაღრაძის გვარის დაკავშირებამ მაღარასთან შექმნა მშვენიერი ლეგენდა, რომ „მაღრაძეები ყარძიის „მაღარიების" მთხრელები ყოფილან. შემდეგ ზედა თმოგვში დასახლებულან და გვარი მაღრაძე ამის გამო მიიღესო" (მაისურაძე, ბერიძე, 2012:47).

ქართული ონომასტიკის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი თავის წიგნში „ქართველური საკუთარი სახელები", საკუთარ სახელად მიუთითებს არა **მაღარას,** არამედ **მაღრას** (ღლონტი, 1986: 159). იგი ეყრდნობა ი. მაისურაძის შემდეგ განმარტებას: **„მაღრაძე,** ლეჟყანა, მარელისი (ორჯონიკიძის რ.), ასპინძის რ. ახალქალაქის რ. და სხვა" (მაისურაძე, 1981:104). როგორც ვხედავთ, არსად ეტიმოლოგია არ არის მითითებული, მხოლოდ წარმოდგენილია ის დასახლებული პუნქტები და რაიონები, სადაც ეს გვარია გავრცელებული. ალ. ღლონტზე დაყრდნობით გამოყოფს გვარის ძირეულ სიტყვას **მაღრას** და, როგორც თ. მაისურაძე და ნ. ბერიძეც მიუთითებენ, უკავშირებს მას **მაღარას** ი. ახუაშვილი. იგი წერს: „საწყისია: **მაღარაძე** (მაღარადან, თურქ.)" (ახუაშვილი, 1994:437). აქ ისე ჩანს, თითქოს მაღარაძე რეალურად არსებული გვარი იყოს, მაგრამ ამგვარი ფორმა არც ერთ მეცნიერს არა აქვს დადასტურებული. ასეცე არა ჩანს, საიდან გაჩნდა ალ. ღლონტთან და, ეტყობა, იქიდან ი. ახუაშვილთანაც, **მაღარაშვილი.** ესეც არ არის პრობლემა. თეორიულად ასეთი გვარების არსებობა დასაშვებია, რადგან გვაქვს **მაღარას** ქართული შესატყვისი

სიტყვა ქვაბი (ქვაბული, გამოქვაბული) და მისგან მიღებული გვარები: **მექვაბიშვილი, ქობულაძე, ქობულია** და სხვა. თურქული ენიდან შემოსული ბევრი სიტყვა იქცა საკუთარ სახელად და შემდეგ დაედო ქართულ გვარებს საფუძვლად. ასე რომ, შეიძლება მაღარაძისაც მიგვეცეს სახელი და შემდეგ მისგან გვარი. მაგრამ ამჯერად საქმე ქართული ენის ბუნებას ეხება. იქნებ არ მიგვეცეს ცნობილ მეცნიერთა ასრი და არ დაგვეკავშირებინა მაღრაძე მაღარაძესთან, მაღრა – მაღარასთან? ამ დაკავშირების მთავარი წინააღმდეგობა იმაშია, რომ შეუძლებელია, მაღარამ მოგვცეს მაღრა. ეს შემოსული თურქული სიტყვა ქართულში უკუმშველია. ნათესაობით ბრუნვაში გვექნება მხოლოდ ფუძემოკვეცილი ფორმით – **მაღარის** და არა **მაღრის**. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძირეული სიტყვა არის **მაღრა** და არა მაღარა.

თუ დავუშვებთ, რომ ამოსავალია **მარღი** და მოხდა ბგერაითვალისმა, როდესაც ეს სიტყვა იქცა საკუთარ სახელად -ა სუფიქსის დართვით, შეიძლება ასეთი ვარაუდი: **მარღი >მარღა >მაღრა**. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **მარღი** არის „თვალ-თეთრი“ (ორბელიანი, 1965:447). ასევე თვალს უკავშირებს ამ სიტყვას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: 1. ულამაზო თეთრი (ითქმის თვალების შესახებ)... 2. ასეთი თვალების მქონე, თვალთეთრი (ქ ე გ ლ, 1958: 72). მარღი ამავე მნიშვნელობით იხმარება დიალექტებში. თვალის ფერის მიხედვით, შეიძლება შერქმეოდა ადამიანს საკუთარი სახელი ან მეტსახელი, საიდანაც ვღებულობდით შემდეგ გვარებს, მაგალითად: თვალჭრელიძე, თვალწაგაძე, შავთვალაძე და სხვა.

საკუთარი სოფლის სიყვარულით დაწერილი წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო. გამოვყოფდი თუნდაც მის ლიტერატურულ ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია შემოქმედთა გულიანი, მამელის სიყვარულით შექმნილი სტრიქონები. ამ სტრიქონთა შორისაც გამოირჩევა შესანიშნავი პოეზია მანანა (ელსა) ოთანაძისა. მისი ერთი ლექსი ერეკლეს ნახიდარს ეძღვნება. ბარათაშვილის შემდეგ ძნელია მტკვრის დუდუნზე ლექსის შექმნა, მაგრამ ავტორის მიერ ოსტატურად არის შერწყმული მტკვრის დინჯი დინება მამულის ცხელ განცდასთან:

„ნელა მოდის მოდუდუნებს, ჩურჩული ძლივს ისმის,
ეკრძალება არემარეს, ნაომარს და დაღლილს.
სხვა ფერი აქეს აქ ყაყაჩოს, სხვა სიწითლით იწვის.

ფერი მოსდევს მამულისთვის გაღებული სისხლის.

პროზაში დაბეჭდილია თინა მაისურაძის და ზელიმხან მაღრაძის მშვენიერი მოთხრობები. მინდა, ყურადღება გავამახვილო ს. მაღრაძის ესეზე „ხეში ამღერებული სული“, რომელიც შესანიშნავ ხელოვანს ზაურ ოთანაძეს ეძღვნება, მინდა დავეთანხმო ავტორს ქველაფერში და მივაწოდო კიდევ ერთი შტრიხი ბატონი ზაურის ცხოვრებიდან. როდესაც მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თსუ მესხეთის ფილიალში შეიქმნა ხის, ქვის, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული დამუშავება-რესტავრაციის ფაკულტეტი, მოვიწვიეთ ორი შესანიშნავი ადამიანი: ზაურ ოთანაძე და სტეფანე მურადაშვილი. ზაური ხის დამუშავების ხელოვნებას ასწავლიდა სტუდენტებს, ხოლო სტეფანე – ქვისა. მათ საფუძველი ჩაუყარეს ხეზე და ქვაზე მუშაობის ტრადიციის აღორძინებას მესხეთში.

დასასრულს, ვულოცავ თავისი მხარის, სოფლის ისტორიით, გვართა გენეალოგიით დაინტერესებულ მესხეთის საზოგადოებას ახალი კარგი წიგნის გამოსვლას და წარმატებას ვუსურვებ მის ავტორებს.

ბონდო ახვლედიანი

ტოპონიმიაში გაცოცხლებული მესხეთი

გამოვიდა ცნობილი მეცნიერის, პროფ. მერაბ ბერიძის მონოგრაფია – „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის.“ ამ სწავლულს მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. იგი აგერ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია სისტემატიურად იკვლევს მშობლიური მესხეთის ტოპონიმიას და ისტორიას. ამ ხნის მანძილზე გამოაქვეყნა არაერთი წიგნი და ცალკეული სტატია. ახლახან კი საზოგადოების წინაშე წარსდგა აღნიშნული ვრცელი ნაშრომით, რომელიც მრავალწლიანი საველე და სამეცნიერო მუშაობის ხვაერიელი შედეგია. წიგნის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ჯავახეთის ისტორიული და თანამედროვე საზღვრების დადგენის ცდა. ცდას ვამბობ, რადგან ჯავახეთის საზღვრების შესახებ დღემდე გრძელდება დავა მეცნიერთა შორის. პროფ. მერაბ ბერიძის მიერ შემოთავაზებული მეცნიერული ვარიანტი ჯავახეთის საზღვრების შესახებ, ერთ–ერთი ყველაზე ოპტიმალურია და დამაჯერებელი. მაგრამ ამ წიგნში ეს არ არის მთავარი, მთავარია კვლევის ის აკადემიურობა, რომელიც თავიდან ბოლომდე წითელი ხაზივით რომ გასდევს მას. ავტორი საკვლევ თემას მასშტაბურად უდგება და დასმული პრობლემის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას ფართოდ განიხილავს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქვეთავები: „ნიკო მარი და შავშეთ–იმერხევის ტოპონიმია,“ „ექვთიმე თაყაიშვილი მესხეთის და სამცხე–საათაბაგოს შესახებ,“ „ლინჩის ცნობები სამცხე–ჯავახეთის შესახებ“ და სხვ.

ლინჩის ნაშრომის რუსული თარგმანი გამოვიდა 1910 წელს. მასში აღწერილია საქართველო და სომხეთი. ეს აღწერა საკმაოდ ფართოა და მოცემულია ამ ქვეყნების ისტორია, ეკლესია–ტაძრების, ციხე–სიმაგრეების საერთო სურათი. ამ მოგზაურის მოგონებების განხილვას არ ვაპირებ, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო – ლინჩი ახსენებს სომხეთის ზეგანს, რაც არასწორი სახელწოდებაა. ეს დაამკვიდრა გეოლოგმა გ. აბიხმა (1806–1896). ეს ე. წ. სომხეთის ზეგანი სინამდვილეში

არის იგივე სამხრეთის მთიანეთი, იგივე წინააზიის მთიანეთი. მის შესახებ მართებულად წერს პროფ. ლ. მარუაშვილი – „უპრიანია მას ეწოდოს არა სომხეთის, არამედ ამიერკავკასიის სეგანი.“ ამ ტოპონიმის შეუსაბამობას გრძნობდა რა აკად. ბ. პიოტროვსკი, შენიშნავდა: „ვანის სამეფოს ეკავა წინააზიის მაღლივი მასივი ე. წ. სომხეთის მთიანეთი“ („ვანის სამეფო“ [ურარტუ], 1959, გვ. 131, რუს. ენაზე). ამრიგად, თუ ამ მცდარ გეოგრაფიულ სახელწოდებას მივიღებთ, მაშინ გამოდის ჭორროხი და მისი შენაკადების უმეტესობა სომხეთის მთიანეთზე, ანუ სომხეთის ტერიტორიაზე მოდის. ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული კულტურის ძეგლები სომხეთის მიწაზე ყოფილა განთავსებული, ე. ი. სომხური ყოფილა. სამწუხაროდ, ეს ტოპონიმია ასეა შესული სომხური სკოლის სახელმძღვანელოში – („სომეხი ხალხის ისტორია,“ 1985). ზოგიერთი სომეხი მეცნიერი უფრო შორს მიდის და ე. წ. სომხეთის მთიანეთს მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად აცხადებს (არ. არწრუმი, „სომხეთის მთიანეთი და ცივილიზაცია,“ მოსკოვი, 1999, რუს. ენაზე).

ლენინს არაერთი ფაქტობრივი შეცდომა აქვს დაშვებული თავისი მოგზაურობის აღწერის დროს. მაგალითად, რუსეთის სომხურ პროვინციულ ქალაქს უწოდებს ახალციხეს. თუმცა ამ შეცდომას, ალბათ, შეგნებულად აშვებინებს მისი სომეხი მეგზური. ბარემ აქვე ვიტყვი – ლენინს ახლალაქში ჩაუწერია გენერალ პასკევიჩის მიერ შემღეგი ნათქვამი – „ერთი ახალციხელი მებრძოლი ორ ყარსელს და სამ ერევნელს უდრისო.“

პროფ. მერაბ ბერიძე ამ ნაშრომში არაერთ საყურადღებო დაკვირვებას გვაწვდის. ნიმუშად მოვიტანთ რამდენიმეს. „ეეყხისტყაოსანში“ მობურთალობა ვაჟკაცობის და პოეზიის საზომიც არის. „მესხურ მატიანეში“ ნართულია მოსახსენებელი მხეჭაბუკისა, რომლის დახასიათების დროს განსაკუთრებით არის საზგასმული „მხეჭაბუკის მობურთალობაზე,“ „საბურთე“//“საბურთალოები“ სპეციალური აღგილები ყოფილა ზოგიერთ სოფელში. როგორც ჩანს, „ბურთაობის“ სახეები დაიკარგა ჯავახეთში (და არა მარტო ჯავახეთში), მაგრამ ტოპონიმიამ შემოგვინახა მათი სახელები. სპეციალური საბურთაო ჰქონია საფყარას, საბურთაოები ჰქონიათ ხიზაბავრაში და სხვ.

ამგვარადვე ბევრი გვარ-სახელი შემოუნახავს ტოპონიმიას. მართალია სამხრეთ საქართველოში დღეს აღარ ცხოვრობენ

აბაშიძეები, მაგრამ სოფელ თოკში ნაციხარს აბაშიძეების ციხეს ეძახიან. ორბელიანის სახლს ეძახიან ახალციხეში ერთ ძველ შენობას, თუმცა ორბელიანები დღეს უკვე აქ აღარ ცხოვრობენ. აღარც მუსხელიშვილები ცხოვრობენ ჯავახეთში, მაგრამ მუსხელოვის//მუსხელიშვილის მამულები, რომელიც ახალქალაქის წითელი ხიდის ქვეშ იყო, დღეს ქალაქის უბანია. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მისი პატრონები იქნენ მუსხელიშვილები. ასევე საინტერესოა პროფ. მერაბ ბერიძის მიერ მოწოდებული შემდეგი განმარტება. ცნობილია, რომ ბადესთან დაკავშირებული ქველა სიტყვა წყალს და ბადეობას უკავშირდება, მაგრამ საბადური ჰქვია ბუჩქნარს ხიზაბავრაში, ხერთვისში და ტყეს ერკოტაში, ჯანას როკეთში. ნიშანდობლივია, რომ არცერთი ეს ადგილი მდინარის სიახლოვეს არ არის. ნაშრომის აეტორმა გაარკვია, რომ ძველ საქართველოში ბადით მხოლოდ თევზს არ იჭერდნენ. ბადეობდნენ აგრეთვე ფრინველზე და სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ქველა აღნიშნულ ტოპონიმს – საბადური.

პროფ. მერაბ ბერიძემ დაადგინა არტაანის გუბერნიის სოფელ ოლწქის აღრინდელი ქართული სახელი – ორჯოხი. ამ ქართულ ტოპონიმს თურქულ გარემოში ცვლილება განუცდია და გამხდარა ოლწქი. ამ სოფლის მახლობლად არის დასახლებული პუნქტი – ბურდოსანი, რომლის ფუძე ბურდ – აიხსნება მხოლოდ ქაროულ ნიადაგზე.

ეჰმედ დოღრუს 1573 წლის აღწერის დავთარში აღნიშნულია სოფელი ვარდოსანი. არტაანის სიახლოვეს, ჩრდილოეთით, ცნობილია, აგრეთვე, ისტორიული სოფელი და მთა, რომელიც არის ახალციხის რაიონში – ქურდოსანი. ეს ტოპონიმები ავტორს ასე აქვს განმარტებული – ბურდოსანი, ვარდოსანი, ქურდოსანი, ებიანი მრავლობითში იქნება – ბურდოსები, ვარდოსები, ქურდოსები. ასეთი წარმოება ქართულ ენასა და დიალექტში დღესაც ცოცხალია. აქედან არის ნაწარმოები ქართული გვარები – ბურდული, ვარდიძე, ვარდიაშვილი, ქურდაძე, ქურდიანი, ქურდოვანიძე. მაგრამ ქურდოსანიძე და ვარდოსანიძე იწარმოება, როგორც გეოგრაფიული სახელი და ისიც შთამომავლობით კუთვნილებას აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, ბ-ნ მერაბ ბერიძეს მინდა მივაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილს გვარი ქურდაძე, ქურდოვანიძე, ქურდიანი და ა. შ. მიანნია დღეს დაკარგულ, რომელიღაც ეთნიკური ერთეულის სატომო სახელად. საინტერესოა ისიც, რომ ტოპონიმები – ქურდოვანი

გვხვდება სომხეთშიც. კარგი იქნება ამ მხრივდანაც თუ შეხედავს ამ საკითხს.

მართლაც საინტერესოა არტაანში არსებული სოფელი დუდანა. როგორც ჩანს, ამ სახელმა შემოინახა მშვენიერი ქართული სიტყვა, რომელიც მდინარის ენას, მდინარის ხმაურს აღნიშნავს.

„ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ...“ (ნ. ბარათაშვილი).

„ისმენს დუდუნსა მტკვრისასა.“ (აკაკი).

მოტანილია აგრეთვე არტაანში შემოინახული ქართული მიკროტოპონიმები, მათ შორის – სიმდილია. სიმინდს მესხურ დიალექტში ასე რქმევია – ხისქულისთავი. ეს არის ქართული წისქვილთავი, ხევი მაღლისა და სხვ.

მიკროტოპონიმში შემორჩენილი ქართული სახელების ქვეთავი იწყება ტოპონიმ ტაოსკარით. ასეთი კარ შემადგენელიანი სახელები დამახასიათებელია არამარტო ტაო-კლარჯეთისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც – კლდეკარი, ტაშისკარი, ზეკარი, და ა. შ. ეს ტოპონიმი ტაოსკარი რომ ქართულია, ცხადზე ცხადია. მაგრამ ასე არ ფიქრობს პროფ. პ. მურადიანი, რომლის აზრით ეს არის სომხური ტოპონიმი – ტაიოც-ქარი (ტაოს ქვა). ქვა იმიტომ, ეს ადგილი ქვიანი და კლდიანია. სხვა რაიმე საბუთი თავისი აზრის შესამაგრებლად არ მოაქვს და ასე ჰაი-ჰარად გაასომხურა ქართული ტოპონიმები. რეალურად ტოპონიმი – ტაოსკარი, ეს სახელწოდება, ექვთ. თაყაიშვილის არ იყოს, ზუსტად ასახავს ადგილს, რომელიც კლდეებს შუა მარილა კარიეით არის გაჭრილი.

პროფ. პ. მურადიანმა არამარტო ტაოსკარი გააჩოჩა თავისკენ, არამედ მას სხვებიც მიაყოლა: ბერთუბანი, ბერთა, ბერთაყანა და სხვ. ბერდ – სომხურად ციხეს ნიშნავს. ფონეტიკური ცვლილებით დ – თ-დ იქცა და ტოპონიმი ქართული გახდაო. მის დასამტკიცებლად არავითარი ძველი სომხური წყარო არ მიუთითა, სადაც ისტორიულად იყო სომხური ბერდ და გახდა ქართული – ბერთ.

მივცეთ პირველ სიტყვას და მივხედოთ ყარსის ოლქის, ოლთისის უბნის ტოპონიმიას. აქ XIX ს-ის ბოლოს ქართული ტოპონიმები მრავლად ყოფილა. ესენია – აყჭალა, ლიბო, ორისი, ურეკი, საკურეთი და სხვ. არტაანის უბნის სოფლების ქართული სახელებია – ბერთა, წყალთაური, დოლის ყანა, ახალდაბა, გურჯაანი, კვარცხანა, მოსულთა, დამპალა, ანხალეთი და სხვ.

არტანუჯის უბანი – ხორაული, სამწყარო, ანჩი, ბიჭა, კლარჯეთი, ჯარციხე, ხერთვისი და სხვ.

ძველი ქართული ქალაქების ფანასკერტის და ტაოსკარის მიდამოებში მიკროტოპონიმები ქართულია. ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ამ ფაქტს თუ ყურად იღებს და გაითვალისწინებს ე. წ. შრომებში, ძალიან კარგი იქნება. ამით ის მეცნიერულ სიმართლეს გაუსწორებს თვალს და მის შრომებსაც მეტი მეცნიერული ღირებულება ექნება.

პროფ. მერაბ ბერიძე მესხურ ტოპონიმიას ფართოდ და მრავალმხრივად იკვლევს და მათ ეტიმოლოგიასაც გვაძლევს. ამ ნაშრომში არაერთი უცნობი ტოპონიმები აქვს გამოკვლეული და ბევრის კი ახლებური გააზრება აქვს მოცემული. თუმცა, აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მიკროტოპონიმის მისეული განმარტება საჭოჭმანოა. ერთ-ერთი მათგანია თიკნის ხალა. ეს მიკროტოპონიმი მას ასე აქვს განმარტებული – ბუჩქნარი – ადგილი, სადაც თიკნის სამწყემსო ჯოხები მოიჭრება. ამ კომპოზიციაში – თიკნის ხალა – პირველი ნაწილი გასაგებია და სადაო არაფერია, მაგრამ ხალას გაგება თიკნის სამწყემსავ ჯოხად გაუგებარია, რადგან ხალა კაკლის საბერტყ ჯოხს ჰქვია. ეს ჯოხი კი სიგრძით სულ ცოტა 7-10 მეტრი მაინც იქნება. ამიტომ, იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება თიკნის სამწყემსავად. რაც შეეხება მთიულურ დიალექტში არსებულ –„გრძელ წერილ ჯოხს, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე" – ის თივის ბულულის ამოსაკრავად გამოიყენება და არა თიკნის სამწყემსავად. ე. ი. მას თავისი დანიშნულება აქვს და თიკნის მწყემსობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამრიგად, არცერთი ეს განმარტება ამ მიკროტოპონიმის ჭეშმარიტ არსს ვერ გამოხატავს.

ჩვენი აზრით, აქ აღრევასთან უნდა გვქონდეს საქმე. უნდა იყოს თიკნის ხელა და არა თიკნის ხალა. ე. ი. თიკნის ხალა პატარა ადგილი – ბუჩქნარი. შეადარეთ – გოგრის ხელა, მუშტის ხელა და სხვ.

წიგნში გამოწვლილვით არის განხილული ახალქალაქის და ახალციხის ტოპონიმთა ისტორია. ეს ტოპონიმები ანკარა წყაროსავით გამჭვირვალედ ქართულია, მაგრამ, თურმე, ასე არ ფიქრობენ სომეხი და თურქი მეცნიერები, ისინი არამარტო ახალქალაქს, ახალციხეს, არამედ, მთელ მესხეთს და მესხთა ქართველობას ეჭვის ქვეშ აყენებენ. აქ კი ბ-ნ მერაბს დაბეჯითებით ვთხოვ – ამ საკითხს მიუძღვნას გამოკვლევა,

მოხოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ეს აუცილებელია, რადგან შემოხენილები არიან ხოგიერთი უცხოელი მეცნიერები, რათა ქართველ ერს მთლიანი ისტორია თუ არა, ნაწილი მაინც წაჰგლიჯონ.

წიგნში წარმოდგენილ და განმარტებულ მესხურ ტოპონიმიას სრულად ვერ განვიხილავთ, მაგრამ რამდენიმეზე მაინც შევჩერდებით, რათა ვაჩვენოთ მკვლევარის სკრუპულოზური მეცნიერული ნაკვალევი.

ხახრახი – მთა, საკვეარი სოფ. ხიზაბავრაში. მისი არმენიზებული ფორმაა – ხარხახი. საკვეარს კი მთიდან გამომდინარე წყალს უწოდებენ. (ინფორმაციისთვის – როცა მძიმე ტვირთია წასაღები, მაშინ დაუმატებენ მეორე ულელ ხარს. ამას ჰქვია საკვეარი (იმერულში). გადმოკვმით შოთა რუსთავში დაბადებულა და მამამისს ხახრუხელი რქმევია. საბას განმარტებით ხახრუხი ფრინველის სახელწოდებაა. დ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც ხახრუხი და ბარუხი ბულბულის მსგავსს ფრინველს რქმევია. ორიენი მათ სპარსულ წარმოშავლობაზე მიუთითებს. ამ მცირე ექსკურსის შემდეგ ბ-ნი მერაბი საკუთარ, საფუძვლიან მოსაზრებას გვთავაზობს – „ხახრუხი – ხახრახიდან უნდა მომდინარეობდეს და ამოსავალი სპარსული სიტყვა უნდა იყოს: „სპარსულში „შაშს" „Зачак" ეწოდება. შაშვიც ხომ მგალობელი ფრინველია და ფონეტიკურად სრული კანონზომიერება გვაქვსო – Зачк – ხახრახ – პირველი ხ ფონეტიკური ჩანართია, S – ჩ – ხ; ამრიგად, ტოპონიმი „ხახრახ" უფრო ძველ ფორმას შეიძლება „ხახრახის" გამარტივებული ფორმა იყოს. ჩვენ ეს განმარტება სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ძაღლის ენა – წყლის პირი, ნასოფლარი ღობიეთში. მცირეა ძაღლის ენა, რომელსაც საბა უკადრისს უწოდებს. ქართულ დიალექტებში ეძახიან ძაღლის ხალათა, ღორინკა, ქირი, მესხურში კი მგლისყურას. ლოსტოკი ჰქვია (დ. ჩუბინაშვილი – „ქართულ-რუსული ლექსიკონი", 1984). როგორც მკვლევარი ფიქრობს – მესხურ დიალექტში ძაღლის ენაც ერქვა, რომელიც მეტყველებაში დაიკარგა, მაგრამ ადგილის სახელმა შემოინახათ.

წინწალი – ისტორიულ მესხეთში ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით იყო სოფლები ზემო, ქვემო და შუა წინწლები. წინწალი საბას განმარტებით ეოფილა – „წვრილი მიჯნა, მოჯნა – „მცირე რამ საზღვრის ნიშანი" („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" წინწალსა და წინწკალს აიგივებს.

აქედან გამომდინარე პროფ. მერაბ ბერიძე გვარწმუნებს – „წინწალი შეიძლება შერქმეოდა სოფელს მისი სიბერატაციის, სპეციფიური გეოგრაფიული გარემოს გამო.“ შეიძლება ეს განმარტება მიეღოთ, მაგრამ არაფრით არ ჩანს წინწლები მცირერიცხოვანი იყო თუ არა. თუ ასეა, საბუთია საჭირო. კახეთში არის გვარი წინწილაშვილი.

ჯავახეთის სეგანზე, ახალქალაქის რაიონში, სოფელ გოგაშენის აღმოსავლეთით არის ნასოფლარი დანკალი. „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს (1595) აქ უკვე აღარაფინ ცხოვრობდა. ამ სიტყვამ მრავალ გადმოცემაში ლეგენდებს დაუდო სათავე. ერთი კი ასეთია – თმოგვის ციხე ალყაშემორტყმული იყო მტრის მიერ. სარგის თმოგველი მშვიდად უყურებდა ციხის ასაღებად მტრის უშედეგო ცდას, მაგრამ ამირსპასალარის ლამაზ ცოლს შეუყვარდა მტრის სარდალი და ვერაგმა ქალმა ჩუმად გადასცა ციხის გასაღები. მტერმა ციხის კარი გააღო, შეიჭრა და დახოცა მეციხოვნეები. სარგის თმოგველმა ვერ აიტანა დამარცხებით გამოწვეული შეურაცხყოფა და მერანით ქარაფიდან გადმოხტა და მტკვარში დაიღუპა. გამარჯვებულმა სარდალმა შეკრიბა ბრძენთა კრებული და ჰკითხა – „ვინ იყო უკეთესი – მე თუ სარგის თმოგველიო.“ ბრძენთა კრებულმა კარგახნის ყოყმანის შემდეგ აუწყა – სარგის თმოგველი გჯობდაო. მაშინ სარდალი მივარდა მოღალატე ცოლს და გადაუჭრიტა ხმლით აქაქუა იგი – სადაც ჩემზე უკეთესს სარგის თმოგველს უღალატე, მე რაღას მიზამო. ქალი შეეხვეწა – ნუ მტანჯავ – დამკალიო.

აღსანიშნავია, რომ ამ ლეგენდის სომხური ვარიანტი ჩაუწერია სომეხ ეთნოგრაფს ედ. ლალაიანს თმოგვში მცხოვრები ქურთისაგან („ჯავახეთის სურნელება,“ 1893, გვ. 57, სომხ. ენაზე) სომხური ვარიანტი თითქმის იმეორებს ქართულის შინაარსს. ამდენად, მის სომხურ თვითმყოფადობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ლეგენდაზე ააგო ოქ. თუმანიანმა პოემა „თმოგვის ციხის აგება“ (1902). როგორც პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა გაარკვია, ამ პოემაში ნახსენები ნადირ-შაჰი (1736-1748) მესხეთში არ ყოფილა. მისი ვარაუდით – „საფიქრებელია, რომ თქმულების სიუჟეტი აღებულია შაჰთამაზის დროს მესხეთ-ჯავახეთში მომხდარი ამბიდან. (დაახლ. 1573). ყვარყვარე ათაბაგის ღვაწმა, დედისიმედმა მოაკვლევინა ვარახა ოთარ შალიკაშვილის შვილის ძე, რაზეც მოგვითხრობს ვახუშტის „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“

(„ჯავახეთის ყოლკლორი ოჯ. თუმანიანის თხსულება“ში“ გაზ. „ხორპრდაინ ვრასტან“ (საბჭოთა საქართველო), 1933, ან 39).

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება იქნებ არ იყოს საფუძველს მოკლებული. შესაძლოა, ამ ისტორიულმა ფაქტმა, მართლაც ჰპოვა გამოძახილი ხალხურ სეპირისტვეერებაში, რა თქმა უნდა, მისი შინაარსის ცვლილებების გათვალისწინებით.

ახლა, რაც შეეხება ამ სიტყვის – დანკალი, დამკალი და ა. შ. ეტიმოლოგიას; ბ-ნი მერაბი მართებულად შენიშნავს – „მთქმელის პოზიცია ნათელია, რადგან დანკალი არ არის ახლოს სახელწოდებასთან, შეუძლებელია მისი ხალხური ეტიმოლოგია, ამიტომ დაეინებით უჭერენ მხარს დამკალს.“ (გვ. 152). მკვლევარის აზრით ყველაზე ძველი და სწორი ფორმა არის დანკალი, რომელიც უნდა მოდიოდეს ფორმიდან – დანკალ, სადაც – კან ყალაური სუფიქსი უნდა იყოს. დან – ძირი საკვლევია.

ვეცდებით მკვლევარს – დან-ის ეტიმოლოგიის ძიებას ყალაურში, იქნებ სჯობდეს ჯერ ქართულში მოინახოს.

ბ-ნი მერაბი მესხეთის ჰიდრონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს იწყებს სრულიად ლოგიკური კითხვით – ეტიმოლოგია წინ უნდა უსწრებდეს სახელის ფორმისა და შინაარსის დადგენას თუ პირიქით. თვითონვე პასუხობს – ეს არის ერთდროული პროცესი – ფორმა-შინაარსი. გზა ეტიმოლოგიისკენ, ანდა ეტიმოლოგია – გზა ფორმისა და შინაარსის საბოლოო დადგენისკენ. ერთი სიტყვით, ნ. მარს თუ მოვიხმობთ – სახელი მათი მნიშვნელობის ცოდნის გარეშე უსულო გვამებია. შემდეგ მკვლევარი გადადის კონკრეტულ ჰიდრონიმთა განმარტებაზე. მაგ. მტკვარი არის ჰიდროგრაფიული ტერმინი. მოაქვს ძველი ქართული და უცხოური წყაროები, სადაც მოხსენებულია მტკვარი. მას მიუღებლად მიაჩნია ეთნოგრაფ თ. ნიქოლაძის შემდეგი აზრი – „მტკვარი სალამოს ტბიდან შედარებით წყალუხვად გამოედინება და ახალქალაქზე ფარავნის წყლის სახელს ატარებს. აქ იგი მურჯასეთისა და უკვე ჯავახეთის მტკვრის სახელს ატარებს.“

ეს აზრი ბ-მა მერაბმა არ გაიზიარა და წამოაყენა საკუთარი შეხედულება. მას მისაღებად მიაჩნია ჯავახეთის მტკვარს ეწოდოს ფარავნის მტკვარი, ხოლო ხერთვისთან შეერთებულ ფარავნის და არტაანის მტკვარს ეწოდოს მტკვარიო. (გაზ. „ლიტერატურული მესხეთი,“ 2009, №5). ეს ყველაფერი შეიძლება ვირწმუნოთ, მაგრამ კარგი იქნებოდა მოეცა მტკვრის ეტიმოლოგიის საკუთარი განმარტება.

თავფარავანი. – ეს არის ამ მხარის ყველაზე დიდი ტბა. ტბის სახელად გამოიყენება სოფლის სახელი, რომელიც მდებარეობს მის ნაპირას. ფარავანი – ყარაიგნის ტბა. სოფ. სადამო —› სადამოს ტბა და ა. შ. მოხსენებულია ძველ ქართულ წყაროებში სხვადასხვა ფორმით: ფარავანი – თავ-ფარაგანი, თაფარავანი, ფანაყარი, ფარჟანა და სხვ. თაფარავანი მიღებული უნდა იყოს ტბა ფარავნიდან, როგორც ს. ჯიქია ფიქრობს.

მონოგრაფიის ავტორის აზრით, მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება თაყკალო, თაყჭალური, თავჯვარი. ყველა შემთხვევაში თავ – სიტყვას ადგილობრიეებისათვის გამორჩეულის, მეთაურის მნიშვნელობა აქვს. კაცმა რომ თქვას, შეიძლება ასეც აიხსნას თაფარავნის სახელიც, მაგრამ ჩემი აზრით ეროგვარი შეუსაბამობა მაინც რჩება. ნაკლებად არის მოსალოდნელი სიტყვა თავ – ტბის მსაზღვრელად იყოს გამოყენებული. რაც შეეხება თავ-ში რაღაც მითოლოგიური აზრის ძებნას, მართლაც გაუმართლებელია. იქნებ თაფარავანი მიღებულია მთა – ფარაყანიდან. მთას – მ ჩამოცილდა მეტყველებაში და მიყიღეთ თა – ფარავანი. ვინაიდან ფარავნის ტბა მაღალ მთაშია, შეიძლება მისი მდებარეობის გამო ეწოდა (მ)თა – ფარაყანი.

ჩვენ აღარ შევჩერდებით მეთევზეობის და მასთან დაკავშირებულ ტოპონიმიაზე, რადგან ბ-ნ მერაბს ეს თავი განსაკუთრებული მონდომებით დაუმუშაებია. ეროს კი ალვნიშნავ – მესხეთში მეთევზეობასთან დაკავშირებული ტერმინების სიახლოვე ლაზურთან ან ჭანურთან მეტად საინტერესოა და ცალკე კვლევის თემაა და იმედია ბ-ნი მერაბი ამასაც დროულად მოაბამს თავს.

ნაშრომის ბოლო თავი – „უცხო ენობრივი პლასტერი მესხურ ტოპონიმიაში" საინტერესოა და არაერთი ტოპონიმის კვლევების სურვილს იწვევს. მათ შორის არის ვანი. ეს სიტყვა მსია ანდრონიკაშვილს ქართულსა და სომხურში საშუალო ირანულიდან შემოსულად მიაჩნია. საშუალო ირანული – ვანი წარმოდგენილია ვაჰან ფორმით. საშუალო სპარსული ჩ – ქართულში გადმოცემულია – ჰ – და ხ თანხმოვნებით. ბ-ნი მერაბი მიუვება ამ სიტყვის ქართულში შემოსვლის პროცესს და სამივე ფორმას გამოუყოფს – ხ – ანიანი, ჰ –თანხმოვნით და ამ თანხმოვნის გარეშე. სანიმუშოდ მოაქვს სამხრეთში ვანის ქვაბები. აქ იყო დედათა მონასტერი XVIს-მდე, შემდეგ კი იყო მამათა მონასტერი. ამ მონასტრების შესახებ „გან-

გების" გამომცემელი ლეჟან მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ მას „ვაჰანის ქვაბების" უწოდებენ. – ჰ თანხმოვნის დაკარგვა ხმოვნის წინ დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისთვის. ვაჰანის ქვაბში – ჰ დაიკარგა და ორი ა-ს შეერთებით მიღებულია „ვანის ქვაბი." ამდენად, ვაჰანი უფრო ძველია, ვიდრე სომხურის და ქართულის –ვანი. მკვლევარის –ვაჰანი უნდა იყოს ამოსავალი ხარაგაულის რაიონის სოფ. ვახანისთვისაც. თითქოს აქ სადაც არაფერია, მაგრამ რას ნიშნავს კომპოსიტში ვანი: ფარა – ვანი, სე – ვანი, აღზე – ვანი და სხვ. რამდენადაც ამ სიტყვის – ვანის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები – ნ. მარი, ა. შანიძე და სხვ. საინტერესოა აგრეთვე სომხური საკუთარი სახელი –ვაჰან. რა კავშირშია საშუალო ირანული სიტყვა ვაჰანთან?

არაბული წარმოშობის სიტყვები, ისტორიის ბუღუკულმართობის გამო, ამ მხარეში არცთუ იშვიათია. ბ-ნ მერაბს სანიმუშოდ მოაქვს შუაკარავის ისტორია – ეტიმოლოგია შუაკარავი ნასოფლარია და ახალციხიდან 80 კმ-ით არის დაშორებული. შუაკარავს ერკყლი ტერიტორია, დაახლოებით 1000 ჰექტარი უჭირავს. მას ახლა სათიბებად და საძოვრებად იყენებენ. ხალხური გადმოცემით – „ერთ-ერთი ბრძოლის დროს შუაში იდგა დიდი კარავი და ამიტომ დაერქვა ეს სახელიო." ეს სახელი გამჭვირვალეა და შეიძლება ასე დაიშალოს – „შუა+კარავი." მკვლევარის ვარაუდით – თუ რა თქმა უნდა, ხალხურ ეტიმოლოგიას გაუყმიჯნებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორ მთას შორის შაბანებელსა და ჩხრიალას შორის მდებარეობის გამო ეწოდა ამ ზეთას შუაკარავი. ახლა კი ისმის კითხვა – არის თუ არა შესაძლებელი, რომ ადგილს ეწოდოს კარავი. აქ კი მკვლევარმა მოიხმო საბა, რომელიც წერს – „სახრდილობელი" – ეწოდების სახლთა სამგზაუროთ ნარმთა და ღართა შეკერილთა, გინა ქოხთა მალიად აგებულთა." ამით ბ-ნი მერაბი შუა კარავს უკავშირებს ჯავახეთის ნასოფლარ არეშის სახელს. ნასოფლარი არეში არის ჯავახეთის პლატოს პირზე, გადასცქერის ღელეანდელ თმოგვს, თმოგვის ციხეს, ბერთა ყანის ქვაბს. მთლიანად მტკვრის ხეობას, მოჩანს მტკვრის გარდა ორი დიდებული ტბა – წუნდის და ბერთაყანის. არეში ცნობილია სეტით. ეს ოთხკუთხედში ჩასმული სეტი 1942 წელს აღმოაჩინეს. 1959 წელს მისი დაცვის მიზნით გადაიტანეს კუმურდოს ტაძრის ეზოში და დღესაც აქ დგას. მასზეა IX-X ს.ს წარწერები. მასში მოხსენებულია ამ ნასოფლარის სახელი – ძემან გურგენ

კუროპალატისამან შესწირა არეშტი საყდარსა კუმურდო*-სასად.“ (ვ. სილოგავა, „კუმურდო“, “ გვ. 79). ამ წარწერით მტკიცდება, რომ სოფელი კუმურდო უფრო ადრე მოიხსენიება, ვიდრე ტაძარი. რაც შეეხება არეშტი ფორმას – მას ტი დაბოლოება შეიძლება ჩამოსცილდეს, როგორც – განძანი – განძა, ვერტაშიე ვერტა, ფოკანი – ფოკა, და სხვ. ასე, რომ არეშტიდან გვრჩება – არე'ში. არაბისტი ლ. ჭილაშვილი არეშის ეტიმოლოგიას უკავშირებს არაბულ ზმნას – არ'შა, რისგანაც უნდა იყოს მიღებული სახელი – ტახტი, კარავი („არეში,“ გვ. 163-164). ლ. ჭილაშვილს ჩამოთვლილი არეშების მატარებელი პუნქტებიდან ყურადღების მიღმა დარჩა სომხეთში არსებული ოთხი არეში (იხ. „სომხეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონი,“ ტ. I, 1986). არეშის ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული – არი'ში. აქედანაა არიშიანთა გვარი ჰერეთ'ში და საარი'შიანო დაკავშირებულია არეშთან. არეშიანი გვარი ისეა მიღებული, როგორც ორბელიანი, ბედიანი, დადიანი და სხვ. ეს ქართული გვარი ქვემო ქართლში გასომხებულა და სომხებად იწოდებიან. ეს ალბათ ასეა, მაგრამ შიდა სომხეთ'ში გვხვდება არეშიანები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ქართულ სამყაროსთან.

უნდა ითქვას, რომ დღეს ეს სიტყვა (არეში) ქართულ ლიტერატურაში დასტურდება. თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ციხის აღმნიშვნელად შემოვიდა სიტყვა – კალა, მაგრამ ვერ დამკვიდრდა საქართველოს დღევანდელ ტოპონიმში და კვლავ ქართულმა ციხემ შეცვალა. როგორც თურქული – ადა – (კუნძული, ნახევარკუნძული, მდინარის მონაკვეთი). თავის დროზე ამ სიტყვამ ამოაგდო ენიდან ხერთვისი. მაგრამ ადგილი საბოლოოდ მაინც ვერ დაიმკვიდრა ენაში და შემოგვრჩა ტოპონიმიაში. აქედან ბ-ნი მერაბი დაასკვნის: ამდენად – არე'შიც, როგორც კარვის აღმნიშვნელი სახელი გაქრა არაბობასთან ერთად (ამ სიტყვის არსებობა ქართულ ტოპონიმში არაბობის შემოსვლას უკავშირდება). ამავე დროს არეშის ქართული ენიდან ამოვარდნას, ალბათ ხელი შეუწყო კარვის უფლებების აღდგენამ.

სომხური ეთნოსის კვალს ჯავახეთში არავინ უარყოფს, მაგრამ ჯავახეთის რაღაც ერთიან სომხურ კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ამის არავითარი საფუძველი არ არის. თუმცა ეს არ უშლის ხელს ს. კარაპეტიანს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს ჯავახეთში ერთიანი სომხური

კულტურა არსებობდა (იხ. „ჯავახქ," 1996, სომხ. ენაზე. ამ წიგნზე იხ. ჩვენი რეცენზია, გაზ. „მნათობი," 2007, №6).

სომხების მასიური შემოსახლება ჯავახეთში მოხდა 1830 წელს გენერალ პასკევიჩის ხელმძღვანელობით. ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბური არ ყოფილა. შემოსახლებული სომხები დაასახლეს მეფის მთავრობის მიერ იძულებით გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების სოფლებში. ერთი სიტყვით, კომპაქტურად დასახლებული სომხური მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში 1830 წლამდე არ ყოფილა. ვახუშტის მიხედვით სომხები მასიურად ძირითადად დასახლებული იყო ორ სოფელში – გოკიოსა და ბარალეთში. აქვე შევნიშნავ, – ისტორიულად შეიძლება დადასტურდეს სომხური ეთნოსის კვალი თმოგვსა და წუნდაში. ამდენად, ბ-ნი მერაბი სრულიად საფუძვლიანად დაასკვნის – „ჯავახეთის ტოპონიმიაში სომხური სახელები ჩნდება მხოლოდ 1830 წლის შემდეგ (გვ. 290). თუ ზუსტი ვიქნებით, ცვლილება უფრო მიკროტოპონიმიაში მოხდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ არსრეთის ოლქიდან სომხების შემოსახლება მოხდა ორგანიზებულად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და მათ გაანაწილეს ქართულ სოფლებში, ამ სოფლების სახელების შენარჩუნებით. ამით ნებსით თუ უნებლიედ, ქართული ტოპონიმია შენარჩუნებული იქნა, რაც არ ითქმის მიკროტოპონიმიაზე. მათ სომეხმა ახალმოსახლეებმა თავიანთ ნებაზე შეუცვალეს სახელები.

ვფიქრობთ, ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ერთი ფაქტიც: 1830 წელს სომეხი ახალმოსახლეების პირველ ტალღას წინ მიუძღოდა კარაპეტ ეპისკოპოსი ბაგრატუნი. ჯავახეთის მიწაზე ფეხი დაადგეს თუ არა, კარაპეტ ეპისკოპოსმა მიწას სამჯერ დაჰკრა ეპისკოპოსის ჯოხი და სთქვა – სომხური მიწიდან მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვედითო. აი, ასეთი ცრუ პროპაგანდით გაბრუებული ხალხი შემოიყვანა კარაპეტ ეპისკოპოსმა ძირძველ ქართულ მიწაზე – ჯავახეთში. ეს სიცრუის პროპაგანდა დღესაც მუშაობს...

შეუძლებელია გულისტკივილით არ ითქვას სამი სოფლის – კარტიკამის, ბავრისა და ხულგუმოს შესახებ. ამ სოფლების მოსახლეობა სომხურენოვანია, მაგრამ ისინი არტაანიდან, კერძოდ, სოფელ ველიდან XIXს-ის მეორე ნახევარში გადმოსახლებული ქართველები არიან (ს. ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი," გვ. 331). მათ სარწმუნოება კათოლიკური ჰქონდათ და გამაჰმადიანებას ამით გადაურჩნენ,

ენა კი – თურქული და ქართული. ამ სოფლებში მათი გასომხების პროცესი ასე განვითარდა: მათ ქართული ენა შემოინახეს, მაგრამ შემდეგ სომხური სკოლა რომ დაუარსეს, ვინაიდან მათთვის მშობლიური ენა არ იყო სომხური, ამ ენას ქართული კი არ დაუპირისპირეს, არამედ სომხური. ერთი სიტყვით, გამაჰმადიანებას გადარჩენილი ველელები აგერ, ჩვენს გვერდით, ჯავახეთში, გასომხდნენ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, სომხური სკოლის, სასწავლებლის მასიურობა არის, რომელიც ანქარებს მშობლიური ენის დავიწყებას. ასე რომ, ენის დავიწყებას თუ თაობათა ცვლა სჭირდებოდა, დღეს ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე აღრე, როცა იქ სკოლებიც არ იყო. ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება. გასული საუკუნის 60-იანი წლები იყო. სამეცნიერო მივლინებით ვიყავი ერევანში. დავბინავდი სასტუმრო „ერევანში". ჩემს გვერდით ნომერში ორი ახალგაზრდა სომეხი ცხოვრობდა. მეზობლებმა ერთმანეთი გაიცანით. გაირკვა, რომ ისინი სოფელ ბავრიდან იყვნენ. მე ჯუთხარი, თქვენ არტაანელი ქართველები ხართ-მეთქი. გამინაწყენდნენ. ცხარე კამათი მოგვიწიდა. კატეგორიულად უარყოფდნენ ქართველობას. შეურაცხყოფადაც კი მიიღეს. მთელი ათი დღის განმავლობაში ხმა არ გაუციათ, ისე წავიდნენ. ერთის გვარი ჰაირაპეტიანი იყო, მეორესი აღარ მახსოვს.

ისტორიის მწარე ირონიაა, კარტიკამის, ბავრის და ხულგუმოს მცხოვრებნი, ქართველობას მალავენ და ამბობენ – ჩვენ ქართველები არ ვართო!

ნაშრომში მიკროტოპონიმები მდიდარ, ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გამოწვლილვით არის გაანალიზებული და კონკრეტულ მაგალითებზე ნაჩვენებია მათი არმენიზების პროცესი. ერთზე კი გული დამწყდა – კარგი იქნებოდა ტაოკლარჯეთის ქართული და არაქართული ტოპონიმია და მიკროტოპონიმია გამოეკვლია ბ-ნ მერაბ ბერიძეს, მაგრამ, იმედს ვიტოვებ, ამასაც მოკლე ხანში მოაბამს თავს.

დასასრულს, უნდა აღვნიშნო – ბ-ნ მერაბს ამ მხარის მთლიანი ტოპონიმიის შესწავლის პროგრამა აქვს მოცემული. იმედია, ამ პროგრამის შესრულებას ცდას და მონდომებას არ დააკლებს და არც თუ შორეულ მომავალში გვექნება ტოპონიმიაში გაცოცხლებული სამხრეთ საქართველოს მთლიანი სურათი.

P. S. ეს წერილი არის ამ ფრიად საყურადღებო მეცნიერული ნაშრომის წაკითხვის შემდეგ გამოწვეული

ფიქრის და ანალიზის შედეგი. გულახდილად ვიტყვი იმასაც, რომ გული დამწყდა, ბ-ნ მერაბის ამ ნაშრომმა, რომელიც ჩემი აზრით დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენია ტოპონიმიის კვლევების დარგში, რატომღაც ჩუმად ჩაიარა და მეცნიერული საზოგადოების განხილვის საგანი არ გახდა.

ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, ახალციხის ინსტიტუტის მესვეურებმა გაუკეთონ ორგანიზაცია და მოაწყონ ამ წიგნის საჯარო განხილვა. აქვე დავძენ – ეს წიგნი თსუ-მა უნდა წარადგინოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიაზე, რომელსაც ხელეწიფება ეს საქმე, რასაც იგი უსათუოდ იმსახურებს. ამით ბატონ მერაბ ბერიძის მრავალწლიანი მეცნიერული შრომა და ამაგი დაფასებული იქნება.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი,"
2009წ. აგვისტო, №8 (128)

ბონდო ახვლედაძე

ტკივილიანი ნიგნი

გამოვიდა პროფ. მერაბ ბერიძის შრომათა კრებული – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა". სანამ მასში შესულ შრომებს განვიხილავ, მანამ მსურს ორიოდე სიტყვა ეთქვა ამ კრებულის გამოცემის მიზეზსა და შესაბამისად საჭიროებაზე. მიზეზი მისი გამოცემისა არის 1944 წელს გასახლებული მესხთა ისტორია და მათი ქართველობა, რომელიც მეზობელი ქვეყნის სოციერთმა მეცნიერმა საეჭვოდ გახადა და დავის საგნად აქცია. ეს მაშინ, როცა დეპორტირებულ მესხთა წარსული განუყოფელია მესხეთის და მესხთა ისტორიიდან, ე. ი. განუყოფელია საქართველოს, ქართველთა ისტორიიდან.

მავანთა გასაგონად: მესხთა ისტორია იწყება ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან – „აქედან მოყოლებული შეიცვალა ხახი, გენი, ეთნიკური ყოფა. ეპოქები იცვლება, ისტორიისთვის რამდენიმე საუკუნე არაფერს ნიშნავს, ამიტომ თუნდაც ნებისმიერი ძალის შედეგად რამდენიმე თაობის

გაჭირვება ან ძირითადი ეროვნული ხაზიდან გადახვევა არ უნდა ცვლიდეს რადიკალურ ხასს“– მართებულად აღნიშნავს მერაბ ბერიძე...

მაგრამ მესხთა ძალით გამუსულმანება გამოიყენეს ხვენმა არაკეთილმოსურნეებმა და უწოდეს – კაკაბაელი თურქები, ახალციხელი თურქები, მესხი თურქები, უბრალოდ თათრები და ა.შ. მესხთა ეროვნების ასე შეგნებულად გაბუნდოვანების და დამახინჯების გამო, ქართველი მეცნიერები იძულებულნი გახდნენ ემტკიცებინათ მუსლიმი მესხების ტომით ქართველობა, რასაც ადასტურებს ქართული წყაროების გარდა, ანტიკური და რომაული საისტორიო მონაცემები. ამასვე ამოწმებს ბოლო საუკუნეებში თურქული და რუსული აღწერის დავთრები. ესენი კი სანდო დოკუმენტები არიან, რადგან დგებოდა სახელმწიფო საჭიროების გამო. უეჭველად ანგარიშგასაწევი ფაქტია ისიც, რომ მუსლიმი მესხები რომ არ აღრეულიყვნენ და გამორჩეული ყოფილიყვნენ ქურთებისა და თარაქამებისაგან, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მათ შემოიღეს სპეციალური ტერმინი „იერლი“, რაც ნიშნავდა ადგილობრივს, მკვიდრს. იგი ხსენებული ხელოვნური ტერმინებისაგან განსხვავებით, ეთნოსოციალურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. „იერლი“ ე.ი. მუსლიმი მესხი, თარაქამას, ქურთს ან სხვა ტომის წარმომადგენელს ქალს არ გაატანდა და არც მოიყვანდა. ამით ის ინარჩუნებდა თავისთავადობას, მიუხედავად იმისა, რომ პროზელიტი იყო. ეს მაშინ როცა „იერლსა“ და ქართველ ქრისტიანებს შორის მესხეთში იყო და არის დღესაც ქორწინების შემთხვევები დაბრუნების შემდეგაც.

ეს მოკლე წიაღსვლა დამჭირდა იმისთვის, რომ ვანვენო ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე გადასვლას როგორი ტრაგიკული შედეგი მოსდევდა. ქართველთა გამუსულმანებას განაპირობებდა მათ მიმართ გატარებული ეკონომიკური შეღავათები. თუმცა იყო, არც თუ იშვიათად, ძალდატანებით, მუქარით გამუსულმანების შემთხვევები. მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლიდა – შედეგი ერთნაირი იყო – საკუთარი ჯიშის და ჯილაგის მოწყვეტა და გაუცხოება. რაც მთავარია, ასეთი ქართველი საქართველოს მტრად ცხადდებოდა, ეს კი მიუტევებელი შეცდომა იყო, ამის გამო ისტორიამ ბევრჯერ მწარედ გვანანა, რადგან დაგვჭირდა ქართველის ქართველობის მტკიცება. რაღა შორს წავიდეთ, აგერ XIX საუკუნეში იმის დამტკიცებას, რომ არსებობენ ქართველი კათოლიკეები – „ორი ღიდი ადამიანის, მიხეილ თამარაშვილის და ივანე

გვარამაძის შემოქმედებითი ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა. იყო ადამიანი და სწირავდა სიცოცხლეს. იყენენ კაცები და გაწირეს თავი, რისთვის? იმისათვის, რომ ქართველებისათვის მათივე ქართველობა დაემტკიცებინათ. მერეღა რამდენია ასეთი, განა ერთი და ორი. გაემაჰმადიანებულვართ, გაკათოლიკებულვართ, გაგვრიგორიანებულვართ და უცებ... ყველაფერი თავდაყირა დამდგარა. ეჭვის ქვეშ მოქცეულა ჩვენივე ეროვნება და ეს ხდება არა სადმე ცხრა მთას იქით, არამედ აგერ, შიგან-შიგან საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში" – გულისტკივილით წერს მერაბ ბერიძე.

მაგალითად მოიაქს სოფელი ველის (თურქეთი) მცხოვრებ ქართველთა ბედი. ველელი კათოლიკე ქართველები XIX ს-ში გადაგვარებას გამოექცნენ და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში: ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი. მაგრამ მათ სომხური ტიპიკონი დაუკანონეს. დღეს ისინი თავს სომხებად თვლიან. ასე დაკარგეს სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველებმა ეროვნება, სარწმუნოება და, რაც მთავარია, საქართველომ დაკარგა თავისივე მიწაზე ქართული მოსახლეობა.

მერაბ ბერიძე მართებულად სვამს კითხვას – ბოლოს და ბოლოს ვინ არიან მესხები და თვითონვე პასუხობს – მესხები და მესხობის საკითხი არ არის ლოკალური ეიწრო ეთნიკური საკითხი. ეს არის საკითხი ქართველებისა და ქართველობისა. დიახ, მესხები და გაგვახსენდება ათონელები, ოპიზრები, ჩახრუხაძეები, რუსთაველები. ისიც საცნაურია, რომ მესხეთის სინონიმებია – ჯმოი ქართლი, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო. მოხდა ისტორიული ბედ-უკუღმართობა და XVI ს-ში მესხეთი დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ და ეს მხარე მოწყვიტა დედა საქართველოს. ამას კი მოჰყვა ძალით თუ ნებით მესხთა გამაჰმადიანება. მეფის რუსეთის მიერ 1893 წელს ჩატარებული აღწერაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი სომეხი კათოლიკენი და გრიგორიანელები, მაჰმადიანები, სუნიტები და ა.შ. ქართველად მარტო მართლმადიდებელნი არიან აღრიცხულნი. სარწმუნოების და ეროვნების დაპირისპირებამ გამოიწვია ქართველებში წინააღმდეგობა. პროსელიტი – ე.ი. მაჰმადიანი ქართველი დაუპირისპირდა, სამწუხაროდ მართმადიდებელ ქართველს. თუმცა მაჰმადიანი მესხი ადვილად არ ელევა დაკარგულ რწმენას, არ იოქცეფება დანარჩენ ერთმორწმუნე, მაგრამ სხვის თესლში, არ მისცემს ქალს და თვითონაც არ მოიყვანს. ერთად ყოფნა და ერთად ცხოვრება

ისევ თანამოძმესთან ურჩევნია. ამის სანიმუშო მაგალითად მერაბ ბერიძეს მოაქვს სოფელ უდის ტაძრის წარწერა – „1903 წელს აშენებული ეს ტაძარი მაშინდელი მესხეთის, მაშმადიანი და კათოლიკე მესხების, შინაგანი ძახილისა, სულის ზეობის ნაღდი ძეგლია. ძეგლის ძეგლი ტაძრის ორი წარწერაა – სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებზე. აი, ისიც, სამხრეთის წარწერა: „უდეს არის კათოლიკენი 2120 სული მაშენებელნი ამა საყდრისა. მაშმადიანები – 520, ტომით ქართველნი". ჩრდილოეთის წარწერა: 1901 წ. აღშენდა 1909 წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ-ქართველებმა, 272 მოსახ. კათოლიკეებმა."

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

კრებულის ერთ-ერთი განსაკუთრებით საინტერესო თავია – „კავკასიელი თურქები". ეს არის პასუხი ჩინგიზ აითმატოვის მიერ გაზ. „იზვესტიაში" (1988, 4, V) გამოქვეყნებულ სტატიაზე „Подрываются ли основы". ყირგიზი მწერალი წერს სტალინის მიერ გადასახლებულ ხალხების შესახებ და ჩამოთვლის – ჩეჩნები, ინგუშები, კალმიკები, ქურთები და მათ შორის, გადასახლებულია კავკასიელი თურქები. კაცმა რომ თქვას, გადასახლებით ქართველებს ვერავინ გააკვირვებს. ისტორიის მანძილზე არაერთგზის გადაუსახლებიათ ქართველები მშობლიური მიწიდან და მათ ადგილზე სხვა ტომის ხალხი ჩამოუსახლებიათ. ამიტომ, აითმატოვი ვიღრე „კავკასიელ თურქებს" გამოესარჩლებოდა, სჯობდა გაერკვია ის, რომ თურქები თურქეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს და ისინი არიან რელიგიური ისლამის, სუნიტების მიმდევრები. მათ არავითარი ეთნიკური კავშირი არა აქვთ მაშმადიან მესხებთან, აითმატოვი კავკასიელ თურქს რომ უწოდებს. ამ ელემენტარული სიმართლის მტკიცება უხდება მერაბ ბერიძეს აღნიშნულ თავში. მას მოაქვს უამრავი დოკუმენტური მასალა მუსლიმი მესხების ქართველობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1893 წელს რუსულად გამოცემული ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური დავთარი. აქ ცალ-ცალკე გრაფაშია აღწერილი ქალები და მამაკაცები, აღნიშნულია ეროვნება და სარწმუნოება. ნათლად ჩანს, რომ XIX ს-ის 80-90-იან წლებში ჯერ კიდევ არა არის სარწმუნოება გადამწყვეტი ფაქტორი და მუსლიმ ქართველთა უდიდესი ნაწილი ქართველად იწერება. მერაბ ბერიძეს შემდეგ მოაქვს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის რაიონებში მცხოვრებთა არასრული სია, რომლებიც 1944 წელს გაასახლეს, როგორც – „თათრები". აღნიშნულ 1893 წლის აღწერის

დავთარში კი ისინი აღრიცხულნი არიან ქართველებად. ეს წყარო კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ მასში თურქის ხსენებაც არ არის. რა თქმა უნდა, რუსმა მოხელეებმა მშვენიერად იცოდნენ და ერთმანეთში არ ურევდნენ თურქებს და თათრებს – „ეს იმას ნიშნავს, რომ მესხეთში თურქები არ ცხოვრობდნენ. ყოველგვარი ადმინისტრაციული მმართველობა ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ქართველებზე იყო დამყარებული, აი, ეს მაჰმადიანი ქართველები და მათთან ერთად რამდენიმე ქურთი და თარაქამა თურქობენ დღეს“ – აღნიშნავს ავტორი.

შეუძლებელია მშვიდად წაიკითხო გვერდები, რომლებზეც დროის უსამართლობით გულნატკენი მერაბ ბერიძე წერს – მართალია, დღეს სტალინის შეცდომები სწორდება და მისასალმებელია, გასახლებულები რომ ბრუნდებიან, მაგრამ ვინ ფიქრობს გაასწოროს მეფის რუსეთის „შეცდომა“, როცა 1830-იან წლებში გენერალმა პასკევიჩმა სამხრეთ საქართველოში მკვიდრი ქართველები – მესხები აყარა, იძულებული გახადა შიდა თურქეთში გადასახლებულიყვნენ და მათ ადგილზე შემოასახლა ერსრუმელი სომხები – 40 ათასი ოჯახი. ამ ძალადობამ გამოიწვია მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. უფრო ზუსტად, ეთნიკური ბალანსი სომხების სასარგებლოდ გადაიხარა. მანამდე ამ მხარეში 90 პროცენტი ქართველები ცხოვრობდნენ. ან კიდევ, რატომ არავინ აიტკივა თავი სპარსეთისა და ოსმალეთის „შეცდომების“ გასწორებაზე. როცა ქვემო ქართლის დაღუპული თუ გასახლებული ქართველების ადგილას უცხო ტომი ჩამოასახლეს? ისინი ახლა ყალბ ისტორიას თხზავენ და ლამის წარმართობის დროიდან მოსულად გამოაცხადონ თავი, თუ აბორიგენად არა. არაერთი ასეთი ტრაგიკული კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამ დროს ჩინგიზ აითმატოვი და არამარტო ის, არარსებულ კაკასიელ თურქებზე განგაშს ტეხს.

რასაკვირველია, ქართულ მიწას და პურს არავის ვამადლით, მაგრამ სიკეთეს დანახვა უნდა და მასპინძლის ამაგს დაფასება სჭირდება.

მერაბ ბერიძეს მოტანილი აქვს, სათანადო საბუთების დამოწმებით, მაჰმადიან მესხთა, ქართული გვარები. სასურველია, სასურველი კი არა, აუცილებელია, ამ მხრივ განაგრძოს კვლევა-ძიება და რაც შეიძლება მეტ მუსლიმ მესხს

დაუბრუნოს დავიწყებული ქართული გვარი, რაშიც ხელისუფლების მხარდაჭერა და ხელისშეწყობა უსათუოდ სჭირდება.

ნინუაის აითმატოვზე არანაკლებ ფანტაზიორი აღმოჩნდა თურქი მეცნიერი, ვინმე იუნუს ზეირექი, რომელიც მის წარმოსახვაში არსებულ „ახალციხელ თურქებს“ გულშემატკივრობს. უცილობას რომ ამეღაფრებს მესხეთის და მესხების ისტორიის საკითხებში, ეს ერთია, მაგრამ არის მეორეც – იგი ცილს სწამებს ქართველ მეცნიერებს და დასცინის კიდეც – „ქველაზე საშინელი ტყუილია ის, რომ თითქოს მათში (იგულისხმება მუსლიმი მესხები –ბ. ა) დაცულია ქართული ენა. ბერიძეებმა (ე. ი.) ქართველმა მეცნიერებმა – ბ. ა) უნდა იცოდნენ, რომ ამგვარი ტყუილებით მხოლოდ თავისიანებს, ქრისტიანული ფანატიზმით (ბედის ირონიაა, რომ მაჰმადიანი ზეირექი ქრიასტიანებს ფანატიზმს სწამებს – ბ. ა.) გონებადაბინდულ ზოგიერთ დასაქელეს ავტორს თუ მოატყუებენ, საჭიროა სალი აზროვნება – ჭკუას გვარიგებს ზეირექი და განაგრძობს – თუმცა თვითონაც კარგად იციან, რომ ახალციხეში არასოდეს საუბრობდნენ ქართულად, არც იყო ამის საჭიროება... ეს პროპაგანდისტები, რომელთაც მეცნიერების მეტი არაფერი გაეგებათ და რომლებიც გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მათი სურათების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მედოლეებისა და მესურნეებისგან შედგებიან, თავიანთი მტკიცებით – „ეს სახელები ქართულია, ეს ძეგლი ქართულია და საკითხში გაურკვეველ ხალხს გონებას ურევენ“ (ამონარიდი მომაქვს მერაბ ბერიძის შრომებიდან).

არააკადემიურ ტონს რომ თავი დავანებოთ, თურქ მეცნიერს წარმოდგენა არ აქვს ან არ უნდა იცოდეს ამ უძველესი ქართული მხარის ისტორია. ამიტომ, მერაბ ბერიძე იძულებულია მესხეთის ისტორიის გაკეთილებების ელემენტარული კურსი ჩაუტაროს და ცდილობს გააგებინოს სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი თვალსაზრისი შესახებ იმისა, რომ ბიბლიური მოსეს–ბუშხი (მოშხი ნოეს სამ ვაჟთაგან ერთ-ერთის, იაფეტის შთამომავალი იყო) იდენტურია ქართული მოსხურ-მესხებისა (პროფ. ნანა ხახარაძე – „ბიბლია და მესხეთის ძველი ისტორია, მესხეთი, 2000). ამას არ სჯერდება ქართველი მკვლევარი და ზეირექს მიუთითებს უცხოურ წყაროებზე – ჰეროდოტე ძ.წ.აღ. I და ახ. წ.აღ. II ს. და სხვ.

მაგრამ რა, ზეირექი ყოველგვარი წყაროს იგნორირებას ახდენს და ხელაღებით, ჰაიზარად წერს – ახალციხე „ლეღქორ-

ქოთში“ ნახსენები – აკ-რიკა, აკ-ყალეაო. ამას კი ამბობს, მაგრამ არ იძლევა მის ლოკალიზაციას, ახალციხე სამ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საქართველოში. ისე კი, რომ იცოდეს ზეირექმა, ახალციხე შედარებით ახალი სახელია –XI-XII ს.ს. ჩნდება, მანამადე მას ლომსია ერქვა. ახალციხე რომ პირველადია და მისგან არის მიღებული თურქული ფორმები –ახსხკა//ახისკა ახისრა – ეს დიდებულად აქვს გარკვეული აკად. ს.ჯიქიას (გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ისე კი ვიტყვით – ახალციხე მართალია ახალი სახელია, მაგრამ ახალი საქართველოსთვისაა, თორემ იმ დროს (XI-XIII ს.ს.) სტამბოლსაც და ბაქოსაც სხვა სახელები ერქვათ, ქვეყანაც სხვა იყო ამ ტერიტორიაზე, სადაც დღეს თურქეთი და აზერბაიჯანია.

როგორც აღვნიშნეთ, ზეირექმა ქართველ მეცნიერებს შეურაცყოფა მიაყენა, თვით ბერიძეების ცნობილი გვარი უდიერად მოიხსენია, მაგრამ მერაბ ბერიძემ დიდსულოვნად მიუტევა. მე კი დიდი შოთა რუსთაველი გამახსენდა, ზეირექის მსგავსებზე რომ თქვა – „კოკასა შიგან რაცა დგას, იგიეე წარმოსდინდების“.

ცნობილია, ყალბი მეცნიერული აზრი სარეკლამაციით სწრაფად ისრდება და ერცელდება. ამიტომ საჭიროა, დროზე გაეცეს პასუხი, რათა ფესვი არ გაიდგას და არ გაღვივდეს. ამ მხრივ მერაბ ბერიძეს არც თუ იშვიათად უწევს პასუხის გაცემა, თანაც იძულებულია დღესაცით ნათელი სიმართლე განუმარტოს ოპონენტს. ავიღოთ თუნდაც ვინმე არიფ იუნუსოვი და მისი შრომა – „Ахалцихские (Месхетинские) турки>> (ж.центральная Азиа и кавказ" №1, 1999). უდავოა, ტოპონიმს შეიძლება ერქვას ძირითადი სახელი, რომელსაც მეზობელი უწოდებს, საკუთარი ფონეტიკური ბანისის გათვალისწინებით. არიფ იუნუსოვს ქართული ტოპონიმის პირველადი სახელი – თბილისი – ტიფლისიდან მიღებული ჰგონია, რადგან თურქები მათი საარტიკულაციო საშუალებების გამო თბილისს – ტიფლისს ეძახიან, ეს კი ბუნებრივია, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ტიფლისიდან თბილისია მიღებული, როგორც არიფ იუნუსოვი ფიქრობს, უვიცობაა. ხელოვნურია აგრეთვე არიფ იუნუსოვის, ნინგიზ აითმატოვისა და სხვათა მიერ ნახმარი ტერმინი – ახალციხელი თურქები, მესხეთელი თურქები, მესხი თურქები, კაკასიელი თურქები და ა.შ. ეს მოგონილია მხოლოდ ერთი მიზნით, დამალონ, დაფარონ იქ ჩალხთა

ეთნოგენეზისი, რომელთა ეთნოტერმინიც ისევე ქართულია, როგორც ისტორიული ტოპონიმური, ეთნოლოგიური გარემო, ღღონდ შემოტრიალებულია მათ საწინააღმდეგოდ.

არიფ იუნუსოვი არ სჯერდება ტოპონიმ ახალციხის გათურქებას და უფრო შორს მიდის – ქართლის ტოპონიმია ლამის მთლიანად თურქულად გამოაცხადოს. სანიმუშოდ დავასახელებ რამდენიმეს, რომლის ქართულობაში ეჭვის შეტანა მკრეხელობაა, მაგრამ ეს არ აკრთობს იუნუსოვს, რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს ქართულ ენაზე. მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს – „ქართლის ცხოვრებაში“ შორეულ ხანში მოხსენიებული ბუნ-თურქების მემკვიდრეებად აქციოს XVIII ს-ში ძალად გამუსულმანებული მესხები. ამიტომ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ქარიშხალ საისტორიო წყაროებს კითხულობს ისე, როგორც მას აწყობს. ქართული ტოპონიმები – სარკინე, აწყური და სხვა თურქულ ტოპონიმებად გამოაცხადა. შეჯერდები აწყურზე, ამ ტოპონიმს სომეხი მეცნიერები თავისკენ ეწევიან, თურქები თავისკენ, მისი ნაღდი ქართულობა ყველას ავიწყდება ან ივიწყებენ.

ვინმე ვაჰე სარქისიანი ნემსის ყუნწში ძვრება და თავგადაკლული ცდილობს დაამტკიცოს ტოპონიმ აწყურის სომხურობა (ვ. სარქისიანი – „ჯავახქ“, 1988-2000წწ“ (2009, გვ. 302). მოაქვს ა. სანოსიანის მიერ ამ ტოპონიმის ერთობ საეჭვო ეტიმოლოგია. მან კი სახელი ასე დამარცვლა –აწ-კურ. აწ-აის ჰრ. აჭარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით – ამ ზმნის მეხუთე მნიშვნელობა არის – შენება. ამრიგად, ა. სანოსიანი და მასზე დაყრდნობით ვ. სარქისიანი დაასკვნის, რომ აწ-კურ ფაქტიურად ნიშნავს –„აშენებულია მტკვრის ახლოს“ (იგულისხმება ციხე-სიმაგრე და ამაყად უმატებს –„ეს არის უეჭველი სომხური ტოპონიმი“. ამ დილეტანტურ ეტიმოლოგიას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ კვლევასთან, აქედან გამომდინარე, მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან. (დაწვრილებით იხ. ჩვენი სტატია –„ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ ყანები დაყაო“, ჟ. „ცისკარი მწერლობა“, 2010, ივლის-აგვისტო).

ა. იუნუსოვს კი მიაჩნია, რომ აზგურ არის თურქული ტოპონიმი, რომელიც ვითომ მუსლიმ წინაპართა ტომს – გურებს უწოდებიათ მისთვის. ეს „მტკიცება“ მერაბ ბერიძემ წყაროების მოშველიებით დამაჯერებლად უარყო და მართებული დასკვნა შემოგვთავაზა –„აწყური ბეყრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აზ-გურები შემოვიდოდნენ მესხეთში. პირ-

ველი საუკუნიდან და მანამდე, ვიდრე ანდრია პირველწოდებული მოციქულად აწერეს, აქ ქართველები ცხოვრობდნენ".

სამწუხაროდ, მერაბ ბერიძეს ოპონენტებისათვის იმის მტკიცებაც კი უხდებოდა, რომ მესხი ისეთივე სახელია, როგორც იმერელი, ქართველი, კახელი, რაჭველი, მეგრელი, ხევსური, აჭარელი და ა.შ.

მერაბ ბერიძე საარქივო და საველე მუშაობის დროს შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე, თვალნათლივ ასკვნებს, როგორ ხდებოდა მესხთა „გათათრება". აქ არ შეიძლება შეეხერხებინათ რუსეთის როლზე მესხთა გამუსულმანების საქმეში. საქმე ის არის, რომ 1828 წელს, მართალია რუსეთმა შეიერთა მესხეთი და ფორმალურად ქრისტიანობის დამცველადაც გამოდიოდა, მაგრამ ოსმალეთი ასე იოლად არ თმობდა თავის გავლენას, რაც ეწობრივ-სარწმუნოებრივ აქტიურობაში გამოიხატებოდა. გამუსულმანება კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში. ერთმანეთში აღრეული ეროვნება და სარწმუნოება კიდევ უფრო გაბუნდოვანებისაკენ წავიდა, რადგან რუსეთმა არ გაატარა რადიკალური რელიგიური პოლიტიკა, არ დაუბრუნა ქრისტიანებს ჯერ კიდევ გაუმაჰმადიანებელი მოსახლეობა – „ეს კი რუსეთის ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში, მთელი მესხეთი (ტაო-კლარჯეთი) ქრისტიანობის დაბრუნებისთანავე, ქართველობას უბრუნდებოდა. მათი რელიგიური ცნობიერება ეროვნულ ცნობიერებას გაუტოლდებოდა. საქართველოს დაშლა გრძელდებოდა. იგი მეორე მიზეზიც – რუსეთის იმპერიაში ბევრი მუსულმანი ცხოვრობდა. ასეთი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მაჰმადიანია უკმაყოფილება არ აძლევდა ხელს რუსეთის ცარიზმს" – სწორად შენიშნავს მერაბ ბერიძე.

დასასრულ, მერაბ ბერიძის ნაშრომი – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა" სულისშემძვრელი, ტკივილით დაწერილი წიგნია და ყველამ უნდა წაიკითხოს, რათა კიდევ უფრო შეიგრძნოს თავისი სისხლისა და ხორცის, თვისტომის – მაჰმადიან მესხთა თავსმოხვეული ტრაგედია.

„ქართული მწერლობა", 2010, დეკემბერი, №12

გიორგი გოცირიძე

ტაძრებსა და მის სახელებში შენახული ეთნოტოპონიმური საიდუმლოებანი

(რამდენიმე შტრიხი მერაბ ბერიძის წიგნზე: ტაძრები და სახელები, თბ. 2010)

2010 წლის ბოლოს გამომცემლობა „უნივერსალმა" გამოსცა ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის მერაბ ბერიძის მონოგრაფია „ტაძრები და სახელები", რედაქტორები: პაატა ცხადაია და ვალერი სილოგავა, რეცენზენტები: თინა ივულაშვილი და სერგო მელიქიძე.

წიგნი ეძღვნება სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიური მემკვიდრეობის შესწავლას, სამეცნიერო წრეებისათვის აქამდე ნაკლებად ცნობილი ფოლკლორული, ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული მასალის წარმოჩენას, მათ კულტურულ-ისტორიულ ჭრილში გაანალიზებას, რაც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავტორის მიერ წარმატებით არის დაძლეული; განსაკუთრებით საყურადღებოა ეკლესიონიმების ანალიზი.

გავბედავ და ვიტყვი, რომ ასეთი კომპლექსური ხასიათის გამოკვლევა, რომელშიც ესოდენ უხვად და ფართოდ იყოს წარმოდგენილი საქართველოს ამ ლეგენდარული კუთხის – მესხეთის საეკლესიო და საკულტო ძეგლების, ხატსალოცავების სახელწოდებათა ტოპოეტიმოლოგია, დასახლებისა და განსახლების გეოგრაფია, სოფლების, უბნების, ცალკეული ადგილების სახელწოდებები, საოჯახო ურთიერთობების სოციალური სემანტიკა, მათთან დაკავშირებული სამეურნეო ცხოვრების სურათები, ლეგენდების, მითოლოგიური და სახალხო გმირების ეტიმოლოგიური თავისებურებები და სხვა, - არ მეგულება.

წიგნი იწყება ცნობილი ტოპონიმისტის, თსუ ტოპონიმიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, პაატა ცხადაიას განმარტებით ეკლესიონიმების შესახებ, რომლის მიხედვით ეკლესიონიმი არის „საკუთარი სახელი რელიგიური, საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების ადგილი, მათ შორის ეკლესიის, ნა'შის, სახატის, საჯვარის, ცალკე მდგომი საკურთხევლის, წმინდა ქვის, წყაროს, წმინდა ხის სახელწოდება" (ცხადაია, 1988:42). ბატონი მერაბის შენიშვნით კი ტოპონიმთა ეს

სახეობა (ეკლესიონიმი) სცილდება ქრისტიანული შინაარსის სახელებს, რადგან „წმინდა ხის, ქვის ან წყაროს და მსგავს ობიექტთა სახელები ყოველთვის ქრისტიანული რიდი იყო“ (ბერიძე, 2010:7). ამ მოსაზრების დასტურად ავტორს მითითებული აქვს ვ. ბარდაველიძის, ნ. ხიზანიშვილის, ს. მაკალათიას ნაშრომები, რომლებშიც წარმართული ხანის ძეგლებია შესწავლილი. სრულიად ვეთანხმები მკვლევარის მოსაზრებას, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ცოტა არადამაჯერებლად ჟღერს ამონარიდი ეთნოლოგ დ. შაყიანიძის ნაშრომიდან, რომ თითქოს და დასავლეთ საქართველოში, ამ მხრივ, სულ სხვა ვითარება იყოს, რომ აქ არის ისეთი სალოცავები, სადაც ადრე ეკლესია იდგა და დღეს აღარაა, არამედ აღმართულია მხოლოდ ხის ჯვარი (შაყიანიძე, 2001:275).

ბატონო მერაბ, თქვენც და დავით შაყიანიძესაც მინდა შეგახსენო, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. დასავლეთ საქართველოში, ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, თითქმის ყველგან გვხვდება ე. წ. „წმინდა ხეები“ ადგილები, სადაც ლოცულობენ და რომ ჯერ ხე იყო პირველი სალოცავი, და მერე აშენდა მის ადგილზე ტაძარი. ჯვარი ყოველთვის არ ნიშნავს ყოფილი ქრისტიანული ტაძრის ადგილს, ის შეიძლება იყოს „ჯვარ-ხატი“. ხატი და ჯვარი მთიულებში ერთმანეთის სინონიმებია და მათ შორის „ადგილის დედაც“ მოიაზრება, ყორენაგები სალოცავები.

ამდენად, დასავლეთ საქართველო არ არის გამონაკლისი, არადა, წიგნის ავტორი მ. ბერიძე ხაზგასმით წერს, რომ ეკლესიონიმებში გულისხმობს ქრისტიანული ტაძრების სახელებს და იქვე მიგვანიშნებს, რომ ‘სოგჯერ სოფელთა სახელები თავისი წარმოშობით ეკლესიონიმებია, ამიტომ მას ძველი შინაარსით განვიხილავთო. ე. ი. როგორც მე გავიგე, ის არა მარტო ეკლესიონიმების ქრისტიანულ სახელწოდებებს ეხება, არამედ მათ ძველ, ანუ ქრისტიანობამდელ სახელებსაც, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილია. ამდენად, ყველა შემთხვევაში დასაშვებია, რომ ძველ პლასტთან გვქონდეს საქმე. მკვლევარის თქმით: „ადგილის სახელების მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული იერუსალიმური სიწმინდეების სახელებია, მაგ., მცხეთაში, სადაც ასეთი ტოპონიმებია: ბეთლემი, თაბორი, გეთსამანია, ბეთანია, ჯვარი, გოლგოთა, საბა განწმენდილის მონასტერი და სხვ. სვეტიცხოველიც თავიდან თორმეტი მოციქულის სახელობისა იყო და იგი სიონის მთაზე აგებული

პირველი ქრისტიანული ეკლესიის ანალოგიით უნდა დაარსებინათ". ეს ძალზე საინტერესო და საგულისხმო დასკვნაა. მცხეთასა და მის შემოგარენში რომ ებრაული (იერუსალიმური) ტოპონიმების სიჭარბეა, ეს საქართველოს იერუსალიმთან განსაკუთრებული დამოკიდებულების შედეგად უნდა აიხსნას, იგი სრულიად კანონზომიერია და თავის დროზე ახსნა კ. კეკელიძემ (კეკელიძე, 1957:363). საინტერესოდ ჩანს ის გარემოებაც, რომ შემდეგში თვით „მცხეთის იერუსალიმმა" მოახდინა გავლენა საქართველოს სხვა კუთხეების ტოპონიმიკაზე, რისი არა ერთი მაგალითია მოტანილი მერაბ ბერიძის ნაშრომში. ამ ტოპონიმთა შორის ქველაზე მეტად „ბეთლემი" ფიგურირებს. იგი დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს. მაგ. აჭარისწყლის ხეობაში მთა - ჩაქვისთავთან, სენაკის რაიონში ბერთუმად წოდებული, ასპინძის რაიონში ადგილი სოფელ ოთასთან და სხვ.

წიგნის ავტორი უხვ მასალაზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ ეკლესიონიმთა გარკვეული ნაწილი კომპოზიტური ხასიათისაა და სიტყვის მეორე ნაწილს ზედსართავი სახელი „წმინდა" წარმოადგენს. საკლევ რეგიონში ასეთი ეკლესიონიმებია: გიორგიწმინდა, ანდრიაწმინდა, სტეფანწმინდა, მარიამწმინდა, ელიაწმინდა; ისინი ამჟამად სოფლის სახელწოდებადაა ქცეული, თუმცა ავტორი ფიქრობს, რომ თავიდან ისინი ეკლესიის სახელები იყო და მერე გადაიქცა დასახლებული პუნქტის სახელწოდებაზე. ასეთ შემთხვევას ტოპონიმისტები „მეტონიმიას" უწოდებენ. უმეტესად ამ ადგილებში ეკლესიები დგას, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ეკლესია აღარ იყოს, თუმცა სოფელს შეიძლება ჰქონდეს შერჩენილი ეს სახელი და ის, ჯამთა ვითარების მიუხედავად, არ არის გამქრალი. საილუსტრაციოდ მ. ბერიძეს მოჰყავს ახალციხის რაიონის სოფ. გიორგიწმინდის მაგალითი, მიუხედავად იმისა, რომ 1944 წლამდე აქ მაჰმადიანი მოსახლეობა ცხოვრობდა და ოდესღაც არსებული ეკლესია აღარ არსებობს.

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ზემოთარაიანი სახელით შედგენილი სხვა ეკლესიონიმების შემთხვევაშიც. მათ შორის, ახალციხის რაიონში ნასოფლარი „მამაწმინდა", „ანდრიაწმინდა", „მიქელწმინდა", „ელიაწმინდა" და სხვ. ამ სახელწოდებებში ნათლად ჩანს ქრისტიან წმინდანთა სახელობაზე აგებული ეკლესიების არსებობის კვალი (ზოგან შემორჩენილი, ზოგანაც გამქრალი), მაგრამ არის ისეთი ვითარებაც, როცა თვით წმინდანთა სახელებში უკვრო ადრინდელი,

ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების და კულტმსახურების ნიშნები იმალება. ეს შესანიშნავად ჩანს წმინდა ელიას შემთხვევაში. „ელიაწმინდა“ სოფელია ახალციხიდან 10 კმ-ის დაცილებით. „ელიას მთა“ არის ანტრიაწმინდის მიდამოებშიც, თბილისშიც არის „ელიას მთა“ და „ელიას უბანი“.

წიგნის ავტორი სრულიად ლოგიკურად ავითარებს მსჯელობას ელიაწმინდასთან მიმართებაში ძველი პლასტების არსებობის თაობაზე. იგი წერს, რომ სამცხეში ელიობა (ღვთისაწაული) და სალოცავი ელიაწმინდა არ აირეკვა ერთმანეთში. ელიობა წარმართულ ღვთაებას - ელიას უკავშირდება. ელიას ხალხი შესთხოვდა დარსა და ავდარს, ზაფხულობით გვალვების დროს წვიმის მოსვლას, ხოლო ხშირი წვიმიანობის შემთხვევაში – მზიანი დღეების დადგომას. ძველაფერი ეს წეს-ჩვეულების და რიტუალის სახით თითქმის დღემდე შემორჩა ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, მისი სხვადასხვა ხალხური ვარიანტებით. მაგ., ქართლშიც და კახეთშიც, როცა დიდ გვალვებს დაიჭერდა, სოფლის ქალები შეიკრიბებოდნენ, ხელში მორეტებს დაიჭერდნენ, ჯოხზე სახვეამურულ და ტალახში ამოსერილ თოკვინას დაამაგრებდნენ და იწყებდნენ ორღობეებში კარდაკარ სიარულს სიმღერით „ახ ლა'ხარე, ლა'ხარე, ცას ღრუბელი აჰყარე, ალარ გვინდა გორახი, მოგვენატრა ტალახი“ და სხვ. ტექსტის ვარიანტები ხალხურ მეხსიერებაში სხვადასხვაა და თითქმის დღემდეა შემონახული. ლა'ხარობა იგივე ელიაობაა და ელია ლა'ხარეს პროტოტიპია. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი წერდა. რომ „ელია“ წმ. ელიაა, ტაროსის ღვთაებაა, მას რამდენიმე ხალხური ეპითეტი გააჩნია: „მზის თვალი“, „წვიმა-ავდრის განმგებელი“ და სხვ. ამ ეპითეტებში აშკარად ვლინდება უძველესი წარმართული რწმენა-წარმოდგენების კვალი (ჯავახიშვილი, 1979:116).

მერაბ ბერიძის გამოკვლევის მიხედვით, სამცხეში ელია წმინდანად არ აღიქმება, ელიას შეიძლება დაემღვრიო, ეჩხუბო, უსაყვედურო, რატომ არის ავდარი ან გვალვიანი დღეები და ა. შ., რასაც არ აკადრებენო ქრისტიანულ წმინდანებს. ელიას მთაზე მხოლოდ სალოცავი ნიში დგასო და ა. შ. გამოდის, რომ ავტორის აზრით, ორ კულტთან გვაქვს საქმე? თუმცა ავტორი იქვე წერს, რომ „ქრისტიანობის გავლენით ელიას კულტმა ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი შეიძინა. ხალხმა წარმართული ღვთაება დაუკავშირა ცად ამაღლებული ბიბლიური წინასწარმეტყველი ელიას, აგრეთვე წვიმისა და ჭექა-

ქუხილის გამგებელს". ე. ი. ორ კულტთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ერთ სინკრეტ'ულ მოძღვნასთან. სწორედ სინკრეტ'ისმია საგ'ულვებელი წმ. ელიასა და ხალხ'ური ელიაობის ურთიერთმიმართებისას, რადგან ქრისტიან'ული ტრადიციითაც ხალხი ამინდის მოყვანას, წმ. ილიასაც შესთხოვს, როგორც ეს გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშია" აღწ'ერილი (მას მ. ბერიძეც იმოწმებს). მაგრამ ავტორი მაინც განსხვავებ'ულ პოზიციაზე დგას და აცხადებს: მოსახლეობის ცხოვრების ხაზი რომ არ შეწ'ყვეტილიყო, მათ რომ არ შეეცვალათ სარწმ'უნოება, შეიძლება კავშირი ელიაობასა და წმინდა ელიას სახელობის დღესასწ'აულს შორის დღევანდლამდე მოსულიყო, მაგრამ დღეს ელიაობა სხვაა და ნებისმიერი ქრისტიან'ული დღესასწ'აული – სხვა. ჩვენ არ ვიცით, როგორ აღინიშნებოდა ელია წინასწარმეტყველის დღესასწ'აული ელიაწმინდაში 20 ივლისსო და ა. შ.

ბატონო მერაბ, ასეთი რაიმეს მტკიცება ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეწ'ინააღმდეგება. ელია და ილია რომ ხალხ'ურ წარმოდგენაში ერთი და იგივე ღვთაებაა, ეს არაერთგზის არის დადასტურებული. თ'უნდაც თბილისის მაგალითი ავიღოთ, რომელიც თქვენ თეიმ'ურაზ ბერიძის მიხედვით მოგვყავთ. თ. ბერიძე წერს, რომ თბილისში, ელიას უბან'ში რაიმე საკ'ულტო ნაგებობებისა თ'უ სალოცავის ნიშანკვალი დღესდღეობით დამოწმებ'ული არაა და მის არსებობაზე არც წერილობითი წყაროები ამბობენ რამეს, მაგრამ ფაქტია, რომ ელიაობას აქ იხდიდნენ თითქმის XX საუკ'უნის 20-30-იან წლებამდე. ამდენად, შესაძლოა მხოლოდ ვარაუდის დაშვება, რომ აქ, ამ მთაზე, ოდესღაც სალოცავი იყო და შემდეგ უამთასვლის გამო გაქრა, ხალხ'ური დღესასწ'აული კი დარჩა.

ანალოგ'ური შემთხვევები ჩვენ სხვაგანაც მოგვეპოვება. მაგ., ოკრიბაში ნაქერალას მთაზე, ძველი რაჭისა და ოკრიბის გადასასვლელთან ციცაბო ადგილზე, სადაც მხოლოდ ფეხით მისვლა იყო შესაძლებელი, ოკრიბელები (სოფ. ძიროვანიდან) მაისის ბოლო კვირას იხდიან ტრადიციულ დღესასწ'აულს 9 ჯვარობას, იგივე მაისობას (გოცირიძე, 1981:41). გალმოცემით, აქ ხატი უნდა ყოფილიყო დაბრძანებ'ული, შემორჩენილია მხოლოდ სალოცავების ნანგრევები. ისე, რომ აქ საქმე გვაქვს სწორედ წარმართ'ული ხანის გადმონაშთებთან და არა წმინდა ქრისტიან'ულ მოძღვნასთან, უფრო სწორად კი, სინკრეტ'ისმთან და არასგზით არ შეიძლება აქ ორი კულტის

დანახვა. უკეთ თუ ვიტყვით, ეს არის ერთი კულტის განეითარებისა და სახეცვლილებების შედეგი.

რაც შეეხება თემას, რომ ეკლესიონიმებში ზედსართავი სახელი წმინდას უსწრებს ან მოსდევს სახლვრულს და რომ ქართულში ხედსართავი შეიძლება წინ კი არ უსწრებდეს არსებით სახელს, არამედ მისდევდეს მას, ეს უთუოდ მისაღები მსჯელობაა და ამ საკითხში მცირე კომპეტენციის გამო, ბატონი მერაბ, ვერ შეგეკამათებით. თქვენს წიგნში სათანადო მასალა და ანალიზი საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი და ის ძალიან ფასეულად მიგვაჩნია. მე, როგორც ეთნოლოგი, გაებედავ და აღნიშნულ კონტექსტში კიდევ ერთ საკითხსაც შემოვიტან. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სინამდვილეში ამა თუ იმ წმინდანის სახელობაზე აგებული ეკლესიების უმრავლესობა ფუნქციურია. ავიღოთ თუნდაც რაჭა, სოფ. მთის კალთა, რომელსაც ხალხი მეორენაირად „ბრავალძალს“, ანუ „მრავალძალს“ ეძახის. აქ XII-XIII საუკუნის ტაძარია აგებული. იგი წმ. გიორგის სახელობისაა, მაგრამ ჩვეულებრივ ბრავალძალის ეკლესიას უწოდებენ. აქ ყოველ 28 აგვისტოს „მარიამობას“, რაჭის მოსახლეობა (არა მხოლოდ ახლომახლო რაიონებიდან, არამედ შორიდან მოსულებიც) იხდიან დიდ დღესასწაულს, სალოცავს შესთხოვენ და ევედრებენ ოჯახის მფარველობას, მოსავლის სიუხვეს, ვაჟიშვილის გაჩენას, სხეულის განკურნებას, გაჭირვებაში ჩაყარდნილი კაცის გადარჩენას და ა. შ. ამიტომაც კლავენ საკლავს, მიაქვთ სხვადასხვა საწირველი (რიტუალური პურები (კეცეული), ღვინო) და აქ ანთებენ სანთელს. ათევენ ღამეს, მუხლმოყრილი ლოცულობენ და სხვა. პირადად მე, მოვსწრებივარ რაჭის ქედა სოფლებიდან „ბრავალძლის“ სალოცავში მიმავალ ყვანშიშველ, ჯაჭვებდადებული მლოცველების სვლას, იმას, თუ როგორ ჩერდებოდნენ ისინი გზადაგზა სოფლებში, როგორ ხვდებოდა მათ მოსახლეობა, როგორ „აბარებდნენ“ შეკრულად მეოფნი თავიანთ სახეწარს ღვთაების წინაშე და ა. შ., რაც საკმაოდ ვრცელი ამბავია და ამიტომ საუბარს აღარ გავაგრძელებ. რეალობა კი არის ერთი. კონკრეტულ შემთხვევაში წმ. გიორგის ეკლესია როგორც სალოცავი, ასრულებს მრავალჯერად ფუნქციას, იგი მრავალძალიანია და ეს მრავალძალიანობა, საკლავით საწირავში მისვლა და კულტმსახურება, ბევრად უფრო ძველი დროიდან მომდინარე ჩვეულებაა, ვიდრე თავად ახალი ტაძრის აგების დრო. საგარაუდოა, რომ მის ადგილზე აქ უძველესი წარმართული

საკულტო ნაგებობა იყო აღმართული, რაზეც თავად ხალხური გადმოცემები მეტყველებს, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ეკლესია-მონასტრები ახალ ტოპონიმებს უდებენ სათავეს, ესეც კანონზომიერია და ამის დასამტკიცებელ ნიმუშებს წარმოადგენს ვარძია, ვანის ქვაბები, აწყურის ეკლესია და სხვა. ამ ჩამონათვალში შედის ადგილთა ისეთი ტოპონიმებიც, როგორიცაა ჭულევი, სამსარი, საროს ციხე, საყარა, ლაშხვი, ჭობარეთი, საყვარი, ერკოტა, საძელი, ფაფა, ბუსმარეთი, ტატანისი, ჩითახევი და სხვა სოფლები. თითოეული მათგანის განხილვისას ავტორი იძლევა სრულ აღწერილობას, ეტიმოლოგიურ ძიებას და ხშირ შემთხვევაში გვთავაზობს სრულიად ახალ მოსაზრებებს, მაგ., იგივე ვარძიის ტოპონიმზე.

უხვი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი საინტერესო დასკვნას გვთავაზობს: „ვარძია ვარხისა და ვარძის ურთიერთჰანაცვლების ფონეტიკური ვარიანტია. ვარხი, ქვის საყუჭეკია ქალიხი, კეტი, კომბალი (ილ. აბულაძე)". იგივე გვარამაძისეული განმარტებით კი „ცულისნაირი მახვილი". მ. ბერიძის თქმით, „ვარძიის ქვაბებში ბევრგან შეინიშნება ვარძით თუ ვარზით ნამუშევარი, გრძელი ნაკვეთები. ეს ნაკვეთები იქცევა ხოლმე ხალხის ფანტაზიის წყაროს სათავედ. თითქოს ისეთი ძლიერი კლდის მკაფავები იყვნენ მაშინდელი მუშები (ქვითხუროსნი), რომ ერთი მოქნეული წერაქვით დიდი მანძილი გაჰქონდათ. სინამდვილეში ეს ვარძით ნაკაფი კლდეა. ერთს ეჭირა ხელთ იარაღი, ხოლო მეორე უროს ურტყამდა. იარაღიც განსაკუთრებული ფორმის იყო, გრძელი ცულისნაირი პირით, რომელსაც შეღარებით მოკლე ტარი ჰქონდა. იქნებ სწორედ ეს სიტყვა დაედო საფუძვლად ვარძიის სახელდებას".

ძნელია არ დაეთანხმო ამ ლოგიკურ მოსაზრებას, თუმცა კატეგორიული არც ავტორია და არც ჩვენ ვართ ამის მომხრე. ასეთივე ორიგინალური ხერხებით და საშუალებით მსჯელობს მ. ბერიძე ვანის ქვაბების და სხვა ეტიმოლოგიების შესახებ. ავტორისეული მოსაზრებების სიახლე ძირითადად მაინც ეკლესიონიმების ძიებაშია. ეკლესიონიმებში, როგორც ზემოთ ითქვა, იგი გულისხმობს ქრისტიანულ ტაძრებსა და სალოცავთა სახელებს. წერს, რომ სოგჯერ სოფელთა სახელები თავისი წარმოშობით ეკლესიონიმებია, ამიტომ მათ განვიხილავთ ძველი შინაარსით. ძველი შინაარსი კი ნიშნავს შემდეგს: სოფელს შეიძლება ერქვა სხვა სახელი ან საერთოდაც არაფერი ერქვა, უბანი იყო რომელიმე სოფლისა და იქ აშენდა

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. სოფლისთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ტაძრის სახელი გადავიდა სოფელზე, მაგრამ ენამ ერთგვარად მაინც გამოჯნა სახელი და თუ ეკლესიას წმ. გიორგის ეკლესია ერქვა, სოფელს გიორგიწმინდა დაერქვა. ონომასტიკოსები ამ მოვლენას მეტონიმიას უწოდებენ, მაგრამ ვფიქრობ (დასძენს ავტორი) არ უნდა გავიმიჯნოთ ერთმანეთისაგან ეკლესიის სახელი და სოფლის სახელი, რადგან საბოლოოდ სოფელი მოიცავს კიდეცაც ეკლესიას. ეკლესიონიმი ეკლესიის სახელს ნიშნავს. ამ სიტყვის პირვანდელი სახელდების ობიექტი, ანუ დენოტატი ხომ ეკლესია იყო. ამის დასტურია მაგალითად ტოპონიმი „მამაწმინდა“, მამა ღმერთის სახელობის ეკლესიის გამო რომ შეერქვათ ადგილს.

ავტორის მსჯელობას მე მთლიანად ვერ დაეთანხმები. რადგან ხშირად სწორედ ადგილის სახელი გამოიხატება ტოპონიმში, იმისდა მიუხედავად აქ იყო თუ არა ეკლესია. თუ სოფელში ეკლესიას აგებდნენ, მას უკვე წმინდანის სახელს ანიჭებდნენ და სოფლისა და ეკლესიის სახელები ერთმანეთს გაემიჯნებოდნენ. ასეთია რიცხვს მიეკუთვნება ქვემო რაჭის სოფელი კრიხი. იგი მდ. კრიხულას ხეობაშია განლაგებული და ზონალობის მიხედვით არის ზემო, შუა და ქვემო კრიხი. ქვემო კრიხშიც და ზემო კრიხშიც ეკლესიები იყო აშენებული. ქვემო კრიხის ეკლესია მოგვიანო პერიოდის ძეგლი იყო, რომელიც ათეისმის ხანაში თავის შესანახ საბძლად აქციეს (მე ეს ვემს ბავშვობაში მინახავს). ზემო კრიხში კი, რომელიც ცისკარბო კლდის – კიბულას თავზე მდებარეობს, ცნობილი VII საუკუნით დათარიღებული ეკლესია დგას. ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ამ ტოპონიმს „კრიხს“ მოსახლეობა ჰიდრონიმის (მდ. კრიხის) გამო აცნობიერებს და არა ეკლესიის გამო, ეკლესიას ისინი ჩვეულებრივ კრიხის ეკლესიას უწოდებენ და არც კი აზუსტებენ ღვთისმშობლისაა იგი თუ წმ. გიორგისა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობის მოწმე გავხდი გორის რაიონში ატენის ხეობაში მუშაობისას. აქაც სოფელი ატენი სამ უბნად (დასახლებულ პუნქტად) არის დაყოფილი – ზემო, შუა და ქვემო. ზემო ატენელები ქვემო ატენელებს ქართლელებს ეძახიან, თავად კი მთიელებად თვლიან თავს. ცნობილი ატენის სიონი ზემო ატენშია აგებული. აქაც არ ჩანს, რომ სოფლის სახელწოდებად ეკლესიონიმი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, ეს არ არის უნიკალური საყოველთაო

მოქლენა და საქართველოს სხვა კუთხეებში განსხვავებული ვითარებაც არსებობს. სახელდობრ ეკლესიონიმის მიხედვით აღგილის (სოფლის) სახელწოდების დამკვიდრებისა. ასეთია გელათთან ახლოს სოფელი მოწამეთა – წმინდანების დავით და კონსტანტინეს სახელობაზე აგებული ტაძრის ტერიტორია. საგარაუდოა, რომ მას ძველად ტაძრის აგებამდე სხვა სახელი ერქვა და მერე გადაფარა ეკლესიონიმმა, ან შესაძლოა ეს ლოკალური დასახელება ტაძრის აგების მერე შეიქმნა, მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო პირველი ვარაუდი უნდა იყოს სწორი, რადგანაც იქ სასაფლაოც არის უძველესი საფლავის ქვებით და წარწერებით, ფალიოსის კულტით, იქვე მდგარი საწირველი – წმინდა საკულტო ხეებით და სხვ., რაც მე ჩემი თვალით მინახავს, თუმცა, საგანგებოდ ამ სოფლის ისტორია დღემდე არავის შეუსწავლია.

ასე რომ, ბატონო მერაბ, მე გეთანხმებით ეკლესიონიმების მიხედვით, დასახლების ტოპონიმის წარმოქმნა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, სრულიად კანონზომიერი პროცესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველგან, რადგან ხშირ შემთხვევაში მას წინ სულ სხვა ლეგენდები და გადმოცემები ედო საფუძვლად და ეს კარგად ჩანს ეთნოგრაფიული მასალით; თქვენი წიგნის ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში შემოგაქვთ ეკლესიონიმების კომპლექსური (კულტურულ-ისტორიული) და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კვლევა მესხეთის მაგალითზე, რაც უთუოდ მნიშვნელოვანი ფაქტია და ეს წიგნი უთუოდ ძვირფასი შენაძენია ტოპონიმისტური და ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში.

წიგნის ღირსებად მიმაჩნია აგრეთვე ანთროპოიკონიმების ძიება. ნაშრომში არის ასეთი პარაგრაფი – დიდი ოჯახები და უბანკომპონენტიანი ანთროპოიკონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“.

ავტორი მსჯელობას იწყებს სამცხე-ჯავახეთის ყოფაში თითქმის XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე შემონახულ დიდ ოჯახებზე, სინანულით მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ დაიშალა და გაქრა დროთა განმავლობაში დიდი ოჯახები, რაც გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს საკითხი (ოჯახების გაქრა) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა მიწის დაკარგვის შიშით (თუ კომლი ცალკე არ დაეწერებოდა, ოჯახი მიწას კარგავდა), ამ პროცესმა ფსი-

ქოლოგიურად, ძალიან ნეგატიურად იმოქმედა უფროს თაობაზე. მათ გაერა-ოჯახის დაშლა (ფორმალურიც რომ ყოფილიყო) სირცხვილად მიაჩნდათ. ასეთი დამოკიდებულება იყო ქველგან, საქართველოს თითქმის ქველა კუთხეში. მხოლოდ ორ ამონარიდს მოვიტან ბატონი მერაბის წიგნიდან: 1. „ვისმე რო სახლიდან ქალი გაქცეოდა, ისეთი სირცხვილი არ იყო, როგორც გაერა", - მოგვითხრობს 84 წლის ინფორმატორი, სოფ. კოთელიის მკვიდრი, ვასილ ხუციშვილი. 2. გაერა არ უყვარდათ სვანებსაც. ბ. ნიჟარაძის ცნობით „როცა ოჯახის წევრები გაიყრებიანო, ამბობენ სვანები, მაშინ მათს კერიაზე – ცეცხლზე წყალი ესხმებაო" - ე. ი. კერა ჩაქრებოდა და ოჯახი ჩაიშლებოდა–დაინგრეოდა.

დიდი ოჯახების შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევები არსებობს გ. ჩიტაიას, რ. ხარაძის, ა. რობაქიძის, ილ. ჭყონიას და სხვათა ნაშრომების სახით და ამას აქ არ მოვიტან, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ სრულიად ვიზიარებ მ. ბერიძის გუნდის-ტკივილს.

დიდი ოჯახი კრაულა სოციუმს, აღელებებდა თაობათა შორის ურთიერთობას, აძლიერებდა ოჯახის შემოსავალს – ეკონომიკას, აჯალიბებდა შრომის ორგანიზაციის და ურთიერთდახმარების დახვეწილ ფორმებს და სხვ. მართალია ავტორის შენიშვნა იმის თაობაზეც, რომ თუ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სვანეთში გადმონაშთების სახით 100 კაციანი ოჯახების რიცხვი თუ მცირედ იყო შემორჩენილი, ჯავახეთში მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე იარსება 40-50 სულიანმა ოჯახმა. სამწუხაროდ, დიდ ოჯახებთან ერთად გაქრა ქართული საცხოვრებლის უნიკალური ტიპი „დარბაზი".

დელაბოძიანი და გვირგვინიანი სახლი, მათ შორის პირველ რიგში მიწის ქვეშ მოქცეული დარბაზები, რომლებშიც ჰაერი ერდოდან შემოდიოდა. დარბაზული საცხოვრებელი კომპლექსური ნაგებობა იყო. მასში, საკუთრივ საცხოვრისის (თავად დარბაზის) გარდა, შედიოდა დამხმარე სათავსები და ნაგებობები, საკუჭნაო, ბოსელი, ბაკი, საბძელი, საფურნე, კარაპანი (დერეფანი), სენე (სარძიე), საკოდე, ამბარის და სხვ. ეს კომპლექსი ორგანულად შერწყმული იყო მესხეთის ტრადიციულ მეურნეობასთან.

წიგნის ამ ნაწილში მერაბ ბერიძე, სანდო ეთნოგრაფიული მასალის მოხმობით, დაწვრილებით განიხილავს დიდი ოჯახების სოციალური სტრუქტურის საკითხებს, ოჯახის უფროსის, მამასახლისის, დიდი მამის (პაპის), დიდი დედის (ანუ

უფროსი დიასახლისის) ფუნქციებს, დიდი ოჯახების დაშლის შემდეგ წარმოქმნილი გვარების, გვართა შთამომავლების, მათი განშტოებების, გვართან და ოჯახთან დაკავშირებული ონიმებისა და ანთროპოტოპონიმების: „ძინძეს“, „კარის“, „უბნის“ და სხვ. საკითხებს.

მერაბ ბერიძის წიგნში გამოკვეთილი ადგილი აქვს დათმობილი მესხური გვარების შესახებ მსჯელობას. აქ მოთხრობილია თოლერთა და თორელთა საგვარეულოს, სოფელ უდეს ცალკეული უბნების, მე-16 საუკუნის მოსახლეობის, მათი შორეული წინაპრების და განსახლების შესახებ.

წიგნში ასევე თავმოყრილია სამცხის მოსახლეობაში გავრცელებულ გვარსახელთა მონაცემები, კორფუძიანი სახელები, ხოგიერთი სახელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, აზერბაიჯანული ეპოსის გმირის სახელის შემოსვლა ქართულ ტოპონიმიკაში, გვართა ვარიანტულობა ივ. გვარამაძის „ვინმე მესხის“ მიხედვით და სხვ., რაც ანთროპონიმული კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

დასასრულ, მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ეს მშვენიერი მონოგრაფიაა, წიგნი, რომელშიც საკითხთა ფართო წრეა წარმოდგენილი, როგორც ფოლკლორული, ისე ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული სფეროებიდან, ისინი ერთ სისტემაშია მოქცეული და გაანალიზებული. ავტორი მაქსიმალურად იყენებს საველე მასალას, კარგად იცნობს ისტორიულ წყაროებს, უხვად მოიხმობს სპეციალური ლიტერატურის მონაცემებს და ამას ყველაფერს შესაშური გულმოდგინებით და პროფესიონალიზმით აკეთებს.

მონოგრაფიიდან ნათლად ჩანს, რომ თავად ავტორი მესხია, საქართველოს ამ უძველესი მხარის შვილი, სისხლით ხორცამდე რომ აქვს გამჯდარი მისი სიყვარული, დეტალურად იცის ყველა კუთხე-კუნჭული, ხალხური ტრადიციები, პატივს სცემს წინაპართა ხსოვნას და სხვ., რაც ერის შვილთა გამორჩეული ხვედრია, საპატიო ტვირთია; მერაბ ბერიძე ღირსეულად ატარებს ამ ტვირთს, იგი წარმატებული მეცნიერი და მოქალაქეა.

PS: ბატონ მერაბს ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან ვიცნობდი. მახსოვს მისი საოცარი ენერგია და შემართება. იგი თაყვანმოდებული „ყამირელი“ იყო და სტუდენტური ლაშქრობების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი. თითქმის ყოველ ხაფხულს ისტორიული ძეგლების აღდგენაში მონაწილეობდა, უნივერსიტეტის

დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ კი, გულმა კვლავ მისი მშობლიური კუთხისკენ გაუწია და უღიდესი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დაარსებაში. 15 წელი იყო ამ ფილიალის დირექტორი//რექტორი. ამჟამად ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორია, ამავე დროს, არის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, აქტიურად თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკური კვლევების ცენტრთან. მისი ახალი წიგნი „ტაძრები და სახელები“ უთუოდ ძვირფასი შენაძენია ონომასტიკური მეცნიერების სფეროში. წიგნი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიკოსებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ფილოლოგებს, მესხეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირებს.

მინდა ავტორს წარმატებები ვუსურვო შემდგომ შემოქმედებით ცხოვრებაში.

„გულანი“, №12, 2012 წ.

მშობლიური მესხეთის მოჭიხნახულე

გამოვიდა ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის ორი წიგნი **„სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“** (2011) და **„ზველი და მისი შემოგარენი“** (2012).

ვფიქრობთ, ქართული სამეცნიერო და მკითხველი საზოგადოების წინაშე ბატონ მერაბ ბერიძეს წარდგენა არ სჭირდება. ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც, გამოდის მისი მონოგრაფიები, რომელშიც გამოკვეთილია მესხეთის ტოპონიმია და გეოგრაფიული სახელწოდებები. ეს მეცნიერული პროდუქტიულობა, ათეული წლების განმავლობაში, მესხეთსა და ჯავახეთში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგია. მას ფეხდაფეხ აქვს შემოვლილი ამ მხარის სოფლები და უამთა სიავისაგან გაველანებული ნასოფლარები. აქვე ისიც გვსურს აღვნიშნოთ, რომ მას მიზნად აქვს დასახული ყველა სოფლის ტოპონიმიური ლექსიკონები კიდევ ერთხელ გადაამუშაოს და მშობლიური მესხეთის სრული ლექსიკონი გამოსცეს.

სტატია გვსურს დავიწყოთ პირველი მონოგრაფიით – **„სოფლები და ნასოფლარები“**. მის მიერ განხილულ საკითხთა შორის საყურადღებოა **აწყურის** არაქართულ ტოპონიმად წარმოჩენა ერთი მხრივ სომეხი მეცნიერის და, მეორე მხრივ, აზერბაიჯანელი მეცნიერის მიერ. პირველნი აწყურს უეჭველ სომხურ ტოპონიმად აცხადებენ – **„აწ-კურ“**. აწ სომხურ ხმნად **(ბენერა)** მიაჩნიათ, სინამდვილეში აწყური დაიშლება ასე: ა წყური, რომელშიც ა არის პრეფიქტი (ნ. მარი), ხოლო **წყურ** ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია **წყ** – ძირი, – მართებულად აღნიშნავს პროფ. მერაბ ბერიძე. აქვე ვიტყვით, აწყურის **ამ სახელად???** რომ ვთქვათ, ტენდენციური ეტიმოლოგიების ავტორია დოცენტი **ა.სანოსიანი** (ამ საკითხში მხარს უმშვენებენ **აშ. მელქონიანი, ლ.სარქისიანი** და სხვ.). ა. სანოსიანის ეს „მეცნიერული აღმოჩენა“ გამოქვეყნებულია მის შრომათა კრებულში ***„Еще белий геноцид“***. ამ ტოპონიმის სანოსიანისეული „ეტიმოლოგია“ და, საერთოდ, ამ კრებულის არამეცნიერულობა, ავტორის ფანტასტიკური უვიცობანი და

გააქებული ანტიქართულობა, ფაქტობრივად ვანცენე **„Армяне – последный вагон“**-ში (იხ. ჟურნალი „ცისკარი“, 2009, № 7). ამიტომ მის შესახებ სიტყვას ალარ გავაგრძელებ.

არანაკლებ დილეტანტურია და, შესაბამისად, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული **ლ. იუნუსოვის** აწყურის ე. წ. ეტიმოლოგია. მან არც აციცა, არც აცხელა და (აწყური) წყაროს დაუსახელებლად **აზ – გურად** გამოაცხადა. ალბათ, **აზ**-ში – ასერბაიჯანის შემოკლებულ ფორმას გულისხმობს, **გურ**-ი კი დაუკავშირა თურქული მოდგმის ტომს – **საბირებს**, რომელნიც, მაინცდამაინც, აწყურში ცხოვრობდნენ თურმე მე-4 მე-6 საუკუნეებში. აი მათ დაურქმევიათ აწყურისთვის – **აზგური**. პროფ. მერაბ ბერიძემ ძალიან ოიდად დაამტკიცა ამ ეტიმოლოგიის აბსურდულობა. იგი წერს: „Ацкур, Аскур, Азгур ფორმები მცორადია, ყველა მიღებულია ქართული აწყურიდან. მეტის თქმას არ ვაპირებ.

ერთი გვინდა ვკურჩიოთ პროფ. მერაბ ბერიძეს – **„ვარძიის“** ეტიმოლოგიის კვლევის დროს მეტი სიფრთხილეა საჭირო...

ტოპონიმი **„აგარა“, „აგარანი“, „აგარაკი“** – ქართულში გავრცელებული სახელია. **აგარაკი** ძველ სომხურში და სომხეთში გავრცელებული სამეურნეო საგეოგრაფიო ცნება – სახელი იყო. სახელი აგარა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და გვხვდება თითქმის ყველა კუთხეში. „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ბევრი აგარაა დაფიქსირებული. მათი ერთიმეორისაგან გარჩევის მიზნით ს. ჯიქია ახლომდებარე მნიშვნელოვანი პუნქტის მიხედვით მოიხსენიებს. მაგალითად, **ასპინძის აგარა**, რომელიც იმ დროისათვის დიდი სოფელი ყოფილა. მას გააჩნდა ცალკე სათიბი, რომელსაც **ოთარაშენი** ერქვა. ავტორს გამოკვლეული აქვს აგარაში მცხოვრებთა ქართული სახელები: **იმედაშვილი, იმედაიშვილი, იმედაძე, იმედიძე, მიქელია, გულია, გაბრიელი, დავითა** და ა.შ. ამ სახელების მიხედვით დგინდება, რომ მე-16 ს-ში აგარა წმინდა ქართული სოფელი ყოფილა.

ვანის ქვაბის ტიპიკონში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის სხვადასხვა საუკუნის მინაწერები. ერთ-ერთი მათგანი, მე-15 საუკუნისა, გვამცნობს, რომ **მირძასა** და **ზაზას** ვანის ქვაბთა მონასტრისთვის შეუწირავს – **„აგარას ორკალოსძისა მამული, სამი გრივი პური, ნახევარი წმინდა და ნახევარი ქერი“** (ო. ყორდანია, 1896; 46).

ბატონმა მურაბმა გაარკვია, რომ სამი გრიფი დაახლოებით 30 კოლს ულრიდა, რომლის ნახევარიც „წმინდა“, ე. ი. დასაფქვავად გამზადებული უნდა ყოფილიყო. მეცნიერი, აგრეთვე, გამოთქვამს ვარაუდს, რომ აგარაში მარტო **ზაზაძეები** ცხოვრობდნენ და ისინი იყვნენ ზემოთ ხსენებული **ზაზას** შთამომავლები.

საინტერესოა ჯავახეთის სოფელ **აზმანას** შესახებ ეტიმოლოგიური განმარტებითი ძიება. აზმანას ისტორიას მე-16 საუკუნიდან შეიძლება გავადევნოთ თვალი. აქ მცხოვრები ქართველები ოსმალების მიერ შეწირულ ქველა გალასახადს იხდიდნენ ხორცზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე. აზმანელები საქორწინო გადასახადსაც კი იხდიდნენ. ეს გადასახადები მოეხსნებოდათ თუ ისინი რწმენას შეიცვლიდნენ და ქრისტიანობას დასთმობდნენ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. სოფელი მტკიცედ იდგა წინაპართა გზაზე. 1595 წელს აზმანაში უცხოურია 2 კომლს. (ს. ჯიქია, 1941. გვ. 228).

აგარა შუმერულად ნიშნავს **მინდორს, არეს**. ფონეტიკურ საფუძველზე მას ქართულიდან ბერძნულში შესულად მიიჩნევენ, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, პირიქით უნდა მომხდარიყო.

ისეთი ზოონიმური ტოპონიმი, როგორიც არის ჯავახეთში აზმანა (სოფელი) განმარტებულია სულხან-საბას მიხედვით, რომელიც ცხვრის განმარტებისას წერს: **„ორი წლისას აზმანა“** ეწოდებაო. ეს კომენტარი რომ გაამაყროს, პროფ. მურაბ ბერიძეს მოაქვს ცხვართან და მის მსგავსთაგან არაერთი სახელი, რომელიც დაკავშირებულია ჯავახურ ტოპონიმებს: სოფელი **სათხე, საკრავები** – საძოვრების სახელია ასპინძის რაიონში, ნასოფლარ ბნელაში. ჭედილა-ჭურა//ჭედილა – ჭალას ჰქვია ასპინძის რაიონის ნასოფლარ **დადეშში**. ასევე. ასპინძის რაიონში არის ნაცხვარიები, ცხვრის სადგომი ნასოფლარი **ზედა თმოგვში** და სხვ.

ამრიგად, ჯავახეთის სოფლის სახელი **აზმანა** თავისი ეტიმოლოგიით დაკავშირებულია ცხვრის ასაკობრივ სახელთან.

საყურადღებოა ნარკვევი **ერკოტის** შესახებ. ავტორის ვარაუდით **„ერკოტა ნიშნავს ერის კოტაობას (ვარჯიშს თუ კეჭნაობას“)**.

ამ განმარტების საფუძველს აძლევს სოფელ ერკოტის მკვიდრის **დევანოზ ბერიძის** ნაამბობი: **„ერკოტა ეწოდებოდა**

იმიტომ, რომ აქ (ერკოტაში) ხალხი იკრიბებოდა-დადგებოდა – „ერთა კოტაოსა“ (ჭიდაობა). ეფიქრობთ, მისაღებია და დამატებით კვლევას არ საჭიროებს.

ესურს, ყურადღება გავამახვილოთ ხალხურ თამაშებზე: **გოფი, ქალის გაქცევანი, ჯორებრუნა, მძიმე საგნის აწევა, კუნძის თრევა.** ამ თამაშებიდან მძიმე საქონლის აწევის შესახებ ავტორი წერს: **„ამ შეჯიბრის მომსწრენი დღესაც არიან. როცა ჭაბუკი 16-17 წლის გახდებოდა, ვაჟკაცობის გამოსაცდელად სოფელში (მაგალითად, დადეშში) საგანგებოდ შერჩეული სიპი ქვა უნდა აეწიათ, საყდრის წინ, მეიდანზე, ვინც ასწევდა, ვაჟკაცად ითვლებოდა“.** ძირითადად ყველაფერი სწორია, მაგრამ ჩვენის მხრივ გვსურს გავიხსენოთ ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის შესანიშნავი მოთხრობა – „მკვდრის მზე“. მასში აღწერილი ამ ჩვეულების წესების გარდა, ზოგიერთი არაარსებითისა, ემთხვევა **„ვინმე მესხის“** მიერ აღწერილ თამაშს – მძიმე საგნის აწევა. ქვა სპეციალურად იყო დამუშავებული, რათა ხელი ჩაეჭიდა მის ამწევს. მას **საჯილდაო ქვა** ეწოდებოდა. როგორც პროფ. მერაბ ბერიძე აღნიშნავს, ეს ტრადიციულად დღესაც გრძელდება – **„შოთაობის“** სახალხო დღესასწაულზე ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხოლმე საჯილდაო ქვის აწევაში.

რაც შეეხება „ვინმე მესხის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, თითქოს მესხეთში, ოლიმპიური თამაშების მსგავსი რამ იმართებოდა, ეს ნაკლებ სარწმუნოა. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა დამატებით გაგრძელდეს კვლევა-ძიება.

ნარკვევს, რომელშიც განხილულია ზანურ-მესხური შეხვედრები, გარდა მეცნიერულისა, სახელმწიფოებრივი დატვირთვაც აქვს. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიას სომხეთის ისტორიულ ტერიტორიად განიხილავს და მათზე პრეტენზიებს აცხადებს. ამ პრეტენზიას არსებობის უფლების საფუძველს აცლის ზანურ-მესხური ენობრივი შეხვედრები. იგი იმითაც კი მტკიცდება, რომ ეს მხარე ოდითგან ქართულია და მოქცეული იყო დასავლეთ საქართველოს არეალში. ამასვე ადასტურებს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს არავითარი კავშირი არა აქვს სომხეთის წარსულთან და მის კულტურასთან. ეს მასალები პარალელებს პოულობენ და იდენტურია დასავლეთ საქართველოს უძველეს კულტურასთან.

ახლა დავაკვირდეთ **ლინგვისტურ-ტოპონიმიურ** მასალას. ამ მხრივ ბატონ მერაბს საკმაოდ ვრცლად აქვს წარმოდგენილი და, რა თქმა უნდა, შესაბამისად, გაანალიზებულია. დიახ, ისტორიულ მესხეთში **ზანური** ფენა უცილობელ ფაქტად არის მიჩნეული ტოპონიმიური მასალის საფუძველზე. უფრო მეტიც, არის ცდა ქრონოლოგიური პლასტების დადგენისა უნობრივ დონეზე (გ. თოფურია, „ლინგვისტური გეოგრაფია, ტოპონიმია და ენის ისტორია (ქართული ენის მასალების მიხედვით) კრ. „ხელეური“, 1985წ.).

მესხურში დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ საერთო ქართველურ დონეზე. მაგალითად – მესხური სიმღერის („მუმლი მუხასა“) ერთი ადგილი, რომელიც **„მოსეს ბადით“** გამოირჩევა, პროფ. მერაბ ბერიძეს გასწორებული აქვს ასე: **„მოსაბადითს“**. ბადის ეს სახეობა – **მოსაბადე** ლაზურიდან არის შემოსული.

მესხურში მწკრივს ჰქვია **„წკიპი“**. **„ბავშვები ბატებივით დაწკეპილან და ისე მიდიან“**. აქედან არისო ტოპონიმი **დაწკეპულყანები**. მეგრულში და **გურულში „წკაპუა ნიშნავს გამწკრივებას“**. მეცნიერული გამოკვლევა მართებულ ყარაულს – მესხური **„წკიპ“** შეიძლება ზანურის რომელიმე დიალექტიდან მოდიოდესო. მას, ასევე, სწორად აქვს განმარტებული – **ქუქური**, ანუ **აჩუქურა**, რაც ნიშნავს მხარზე ბავშვის შესმას ისე, რომ უნდა ჩაჯდე და იხტუნაო ბავშვთან ერთად. ქუქური მიღებულია ქურქურისაგან. ზანურად – **ქურ-ქურლი**. ქური კი მიღებულია ქურსიდან არ. ჩიქობავს მისჯდეთ. ასე რომ, ქურქური ქურის გაორკეცებით არის მიღებული.

„ხარიხუჯი“ – ხარს სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ: სახნავად, საურმედ, ხე-ტყის სახიდად, საკიდრად. ეს უკანასკნელი კი საბას ასე აქვს განმარტებული: **„აზავური (ხარი საკიდარი), ასეთი საკიდარა ხარისათვის, მარტო ხარისთვის.“** იყო სპეციალური ხურჯინებიც, რომელსაც **ხარის ხურჯინი** ერქვა. პროფ. მ. ბერიძე ხურჯში ზანურ ხურჯს ხედავს, რაც მართებულად მიგვაჩნია.

„ყოყორი“//“ყოყორა“ – ბავშვის ჯიშიან კვერცხებზე იტყვიან ყოყრიანიაო. ე.ი. ჯიშიანია. **„ბიჭს ყოყრებში ეტყობა, რაც გაიზრდება“, „ყოყორე ზანურში გოგრის ჯიშიაო“**, – წერს მ. ბერიძე. აქ კი ბ-ნ მერაბს ვერ დავეთანხმები: რა შუაშია ბიჭის ყოყორი ზანურ გოგრის ჯიშთან? ამას ახსნა უნდა.

ტიკანი. საერთო ქართველური ფუძეა – **თიკანი,** რომლის პარალელები გვხვდება ჭანურსა და მესხურში. საგულისხმოა, რომ ჯავახური იცნობს მხოლოდ **ტიკან** ფორმას. ხანურ-მესხურ შეხვედრებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ სომხურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, თითქოს რალაც ჯავახურ-სომხური კულტურა არსებობდა, რომელიც მთლიანი სომხური კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ცრუ თეორია არაფრით არ მტკიცდება. როგორც ვხედავთ, არც ტოპონიმიური მონაცემებით დასტურდება. სპეციალურად გადავხედე სომხურს და მისი მიმდებარე რეგიონების ტოპონიმია ხეთ ტომიან ლექსიკონს და მესხურ-ჯავახური ტოპონიმია არ მოდის თანხვედრაში სომხურთან, გარდა თითოოროლა გამონაკლისისა.

პროფ. მ. ბერიძემ მოგვცა **დალი აბდალის** ინტერპრეტაცია. ეს არის მეტსახელი. დალი აბდალა გარეგნობით არ გამოირჩევა, მაგრამ ხასიათით აქტიური, მხიარული, ხშირად ემოციური, სიმთვრალეში ღრეობის, დაკერა-თამაშის მოყვარული კაცია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტსახელის შერქმევასთან ერთად, ხოგჯერ მის ქართულ ვარიანტსაც გაუსვამენ ხაზს – **„გიჟი, გადარეული, – შეშლილი“,** სულით ავადმყოფის მნიშვნელობით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს.

დალი – თურქული სიტყვაა და ნიშნავს **გიჟს, დაუოკებელს.** მისი აჭარული და გურული ფონეტიკური ვარიანტია – დალი (გაიხსენოთ ჰარმენ ლორიას რომანი „დალი-მურადი“). რაც შეეხება – აბდალას, გურულ დიალექტში ნიშნავს – სულელს. აქედან არის გვარი – **აბდალაძე.** პროფ. მ. ბერიძე მართებულად დაასკვნის – **„დალი აბდალა, როგორც ცალ-ცალკე მნიშვნელობის მქონე სიტყვები, დღევანდელმა დიალექტმა არ იცის, მაგრამ შემოგვინახა მეტსახელმა“.**

სამცხე-ჯავახეთი გამორჩეულია ტბებით და მდინარეებით, ხევ-ღულეებით, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებული სულისა და ისტორიისანი არიან. ესენია: **მტკვარი** და **ფარავანი.** ერთი დედამდინარეა საქართველოსი და მეორე – უდიდესი ტბა ჩვენი ქვეყნისა. ფარავნის ტბის გარშემო სოფელია **თავფარავანი.** თავი, ამ შემთხვევაში, ნიშნავს მეთაურს, ცენტრალურს, მთავარ სოფელს. ფარავნის ტბიდან მიიღო სოფელმა სახელი, რომელიც შემდეგ ისევ ტბას დაუბრუნდა.

ასეა მიღებული ტბის სახელი თაყვარავანი და ტრაგიკული ბალადა თაყვარავნულ ჭაბუკზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ბ-ნი მერაბი მართებულად წერს – **"თუ ჯავახეთის მტკვარს ვუწოდებთ ფარავანს, როგორც გზის მაჩვენებელ ტრაფარეტზე ყოფილა გაკეთებული, მაშინ ეს ყველაფერი იკარგება"**-ო. მართლაც, ფარავანი არის ტბა თავისი გარემოთი, ისტორიით და დღეყანდელობით. ლეონტი მროველი ჯავახეთის შესახებ გვაუწყებს: **„ხოლო ჯავახოს მისცა ფანავრიდგან, ვიდრე თავამდე მტკურისა"**. ჯუანშერი კი მესხეთის საზღვრებს შემოფარგლავს: **„ფარავნიდგან და ტბა ტაშისკარიდგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა"**. ამის შემდეგ ავტორი დაასკვნის – **„ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ჯავახეთის მტკვარი და არა ფარავნის"**.

მე-16 ს-ში **ოცხე** ყოფილა დიდი ქალაქი, სადაც ფიქსირდება რამდენიმე უბანი. ოცხეს შერქმეულია თავის უბნის სახელი. **აბასაანთ უბანი** ქცეულა **აბასთუმანი**. მხედველობაშია არ არის მისაღები ხალხური ეტიმოლოგია – **აბაზი** და **თუმანი**.

აბასთუმანი არის მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი. აქ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან სამკურნალოდ და დასასვენებლად. მათ შორის თურქეთიდანაც. თურქულად კი, არც მეტი და არც ნაკლები, აბასთუმანი ნიშნავს – **აბასისის ნიფხავს**.

ბ-ნი მერაბი გამოდის ინიციატივით, **აბასთუმანს დაუბრუნდეს მისი ნამდვილი ისტორიული სახელი ოცხე**.

ვფიქრობთ, მისაღები ინიციატივაა!

გოგიჩა ქართულია. საინტერესოა რომ **სევანის ტბას** ადრე ერქვა **გოგჩის ტბა**. ქართული ტომის უძველესი ნაკვალევი ხომ არ ჩანს ამ ტოპონიმში?

მეორე წიგნია **„ძველი და მისი შემოგარენი"**. ისტორიული მესხეთი მოიცავდა საქართველოს ფარგლებში მყოფ სამცხე-ჯავახეთს, ერუშეთის ნაწილს და დღეყანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილ **ტაოს, კლარჯეთს, არტაანს, შავშეთს, კოლას**... აქ რეგიონების თითოეული სოფელი გამორჩეულია თავისი ისტორიით.

სოფელ **ზველის** ეტიმოლოგია საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული **აკად. ს. ჯიქიას**. ზველის რამდენიმე ვარიანტია. ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული არის **ზურზელი**. ასეა იგი წარმოდგენილი **„ვილაიეთის დიდ დავთარში"**, რუ-

სეთის ალწერის საბუთებში და ა.შ. აკად. სულიქიას მიხედვით – „ვარიანტი „ზურზელი“... ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ სოფლის სახელი „ძველი“ ან, თუ გნებავთ, „ზველი“ იყო და „ზურ“ მარცვალი მას თურქმა წაუმძღვარა... „ფონეტიკური მანიპულაციის საფუძველზე მიღებულია შემდეგი სქემა – „ზრზველი>ზურზველი>ზველი>ძველი“ (მ. ბერიძე).

სოფ. სველი არქეოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ მის ისტორიას 2000 წლის მანძილზე ჩვ.წ.აღ-მდე. აი, რას წერს ცნობილი არქეოლოგი ოთ. ლამბაშიძე: „ზველის ყორღანული კულტურა არსებით სიახლოვეს ავლებს ეგეოსურ სამყაროში ცნობილ მინოსის ეპოქაში არსებულ დაკრძალვის წესებთან. ამ თვალსაზრისით ზველის ყორღანული სამარხის კამარების კონსტრუქციები ემთხვევა ეგეოსურისას...“ არ არის გამორიცხული, რომ სოფელ ზველის ყორღანებში დამოწმებულ დაკრძალვის კრემაციული წესი ნაკარნახევი იყოს საერთოდ, ძველ აღმოსავლეთში საყოველთაოდ ცნობილი კრემაციული დაკრძალვის წესის გაელენით, მაგრამ ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაკრძალვის მსგავსი წესი, ამგვარი ნაგებობა-სამარხები, უცნობი იყო ეგვიპტელებისთვის, შუმერებისთვის და ანატოლიის ზეგანისთვის, რომელნიც კოლხური კულტურის გამოჩენისთანავე იწყებენ არსებობას“.

როგორც პროფ. მერაბ ბერიძე აღნიშნავს – „ზველის გარშემო არსებული სოფლები და ნასოფლარები – მუსხი, ჭობარეთი, ტობა – ის სოფლებია, რომლებიც ასაკით დიდად არ ჩამოუვარდებიან კოლხურ ცულს და კოლხურ-მესხურ კავშირებზე მიუთითებენ“.

მართებული დასკვნაა და მისი გაზიარება მოუწევთ ჩვენი კარის მეცნიერებს... ამასთან, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემების მიხედვით, გამოაქვს დასკვნა, რომ მე-16 ს-ში სველში მცხოვრებთა უმრავლესობა იყო ქართველი. ყარა – შაგბულაა, ელია, ბიძინა, პაპუნა, ოქრო, გურამ, ბასილა, ზაზა და სხვ.

სველელებს სათიბები და ვენახები ჰქონიათ თავშავაზე. ეფიქრობთ, აქედან მოდის გვარი თავშავაძე (ქასპის რ-ნი, სოფ. ქვემოჭალა), სახელ შავგულასგან გვარი შავგულიძე, იჩქით გურგენიძე – გვარია იჩქითიძე (ხარაგაულის რ-ნი, სოფ. სუდაღანი). ამ „დავთარში“ დაფიქსირებულია სახელი

„ატომა“. ამ სახელის შესახებ მერაბ ბერიძე შენიშნავს – **ეს გაურკვეველი ეტიმოლოგიის სახელიაო**. მისი ეტიმოლოგიის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს არის სომხური საკუთარი სახელი, რომელიც არცთუ იშვიათად შეგეხვედრია ძველ სომხურ ხელნაწერებში.

პროფ. მერაბ ბერიძეს საინტერესო გადმოცემა აქვს ჩაწერილი მოხათლულების წყაროს შესახებ: **„თეთრაწყაროდან, ტყის მხარეს, პანტებში, გამოდის ცივი წყარო... თათრების დროს, ქართველებს ეკრძალებოდათ ქრისტიანობა და მონათვლა ქრისტიანული წესით. სოფლის სამხრეთით, ტყისპირას, არის წყარო, სადაც სოფლის მღვდელი, ვინმე ზედგინიძე, ღამით, მალულად, მიდიოდა და ამ წყაროში ნათლავდა ბავშვებს, ამიტომ ჰქვია ამ წყაროს ეს სახელი – მონათლულების წყარო“**. არის კიდევ ამ თქმულების მეორე ვარიანტი: **„ამ ადგილზე პავლე მღვდელი მალულად ნათლავდა ბავშვებს. ბავშვებს მიჰქონდათ სარეცხი, ვითომ გასარეცხად. იქ ინათლებოდნენ“** და სხვ.

ეს ხალხური გადმოცემა ასახავს მწარე სინამდვილეს, როცა ამ მხარის ქართველები იძულებულნი იყვნენ ფორმალურად მიეღოთ მაჰმადიანობა, ჩუმად კი – ქრისტიანულად ნათლავდნენ ბავშვებს, რათა შეენარჩუნებინათ მამა-პაპისეული სარწმუნოება. ისინი 1944 წელს გადაასახლეს შუა აზიაში და დღეს მათ შთამომავლებს უნდათ დაბრუნება საქართველოში, რაზეც არ შეიძლება უარი ეუთხრათ და საბოლოოდ გაეწიროთ. ვფიქრობთ, შერჩევით შეიძლება მათი დაბრუნება და არაკომპაქტურად დასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ტიპონიმი **მაღარიები**; მისი ფუძეა **მაღარა** (და არა მაღარო). აქედანაა გვარი **მაღრაძე**. ალბათ, საჭირო იყო **ფურის** მნიშვნელობის განმარტებაც.

1990 წელს ახალციხის მუზეუმის თანამშრომლებს ჯობარეთში ჩაუწერიათ: **„ჯობარლები ყოველ წელს სასაფლაოზე გადიან, აღდგომის სწორზე, მეორე კვირას. მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. წინასწარ მოსამზადებელ პურმარილს მღვდელი აკურთხებს, სანთელს აანთებს, ჯგუფ-ჯგუფად დასხდებიან, თამადას აირჩევენ და ა.შ. ასეთი წესი აქვთ ხარაგაულის რაიონის სოფ. სერბაისის მცხოვრებლებსაც. ისინიც, აღდგომის სწორზე, სასაფლაოზე გადიან. ეს არის შავშეთის წმ. გიორგის ეკლესის** (მუხების წმ. გიორგის

ეკლესიასაც უწოდებენ). **ისინიც ასრულებენ ალნიშნულ წესჩვეულებას. ნიშანდობლივია, რომ ამ რელიგიურ რიტუალს მხოლოდ სერბაისელები ასრულებენ. მეზობელი სოფლების: ქვების, ზედაუბნის, მარელის და ვახანის მცხოვრებლებმა ასეთი რამ არ იციან".**

„ნეფეს მესხეთში სიძეს ეტყვიან" (გვ. 95).

ცნობისთვის – მარტო მესხეთში კი არ ეძახიან სიძეს ნეფეს, არამედ ქართლშიც, იმერეთშიც და ა.შ.

ზეკელის წმ. გიორგის ეკლესიიდან 1990 წელს წაუღიათ ხატები, ხოლო 1981 წელს ეკლესიის ეზოდან მოუპარავთ საფლავის ქვები, ვერძის ქანდაკებები და სხვ. სოფელში აქტიურად საუბრობენ, რომ ეს ქვები გადაუტანიათ სომხეთში! ალბათ, რომელიმე ძველი სომხური ეკლესიის ეზოშია განლაგებული და, სომხურია! – ამაყად არწმუნებენ ტურისტებს.

სამარცხვინო და სამწუხარო ფაქტია!

პროფ. მერაბ ბერიძეს ვუსურვებთ წარმატებას და გამარჯვებას დასახული მიზნის, მესხეთის ტოპონიმიის სრულად აღწერისა და გამოცემის საქმეში.

„ლიტერატურული მესხეთი", №5 (173) მაისი, 2013 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973წ.

2. ახუაშვილი, 1994 – ი. ახუაშვილი, ქართული გვარსახელები, I, 1994წ.

3. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966წ

4. აჭარიანი, 1979 ჰრ. აჭარიანი, სომხურ ფუძეთა ლექსიკონი, ტ., IV. 1979

5. ბერიძე, 2012 – მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, 2012წ.

6. ბერიძე, 2011 – მ. ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ, 2011წ.

7. ბერიძე, 2010 – მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, 2010წ.

8. ბერიძე, 2009 – მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ჯესჯები და დღეყანდელობა, 2009წ.

9. ბერიძე, 2008 – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა ტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბილისი, 2008წ.

10. ბერიძე, 1992 – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992.

11. ბერიძე, 1981 – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1981

12. ბერიძე, 1988, – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, 1988წ.

13. ბერიძე, 1977 – თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

14. ბერიძე, 2005 – მარინე ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები (1918-1944 წწ), 2005წ.

15. ბერიძე, ბერიძე, 2005 – ნ. ბერიძე, მ. ბერიძე, ხანურ-მესხური შეხვედრები, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005წ.

16. გოცირიძე, 1991 – გ. გოცირიძე, რელიგიური დღესასწაული, ჯვარობა, ისტორიულ-ეთნოლოგიური შეხედულებანი, II, თბ„ 1991.

17. გუჯეჯიანი, 2009 – რ. გუჯეჯიანი. თამარ მეფის ხატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, კრ., „ქართულ-თურქული კულტურული პარალელები I", თბ., 2009.

18. ზედგინიძე, – გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკა, ხელნაწერი.

19. თაყაიშვილი, 1991 – ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, მრავალტომეული, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991.
20. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000
21. თოფჩიშვილი, 2005 – რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I. 2005წ.
22. იველაშვილი, 1991 – თ. იველაშვილი, ხალხური სამსარეცელო, 1991
23. კეკელიძე, 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1957.
24. ლეონტი მროველი, 1955 – ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, ტ. I, 1955წ.
25. ლომსაძე, 1984 – შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, 1984წ.
26. მაისურაძე, 1990 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1990წ.
27. მაისურაძე, 1981 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1981წ.
28. მაისურაძე – ი. მაისურაძე, მესხური ლექსიკა, პირადი არქივი, ს. ჯ. ი. მ. ფონდი 66
29. მარტიროსოვი, 1984 – მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, 1984წ.
30. მაყაშვილი, 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961წ.
31. ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, აეტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა ილია აბულაძემ. 1965წ.
32. ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV 1965 წ.
33. ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, 1966 წ.
34. ორბელიანი, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991წ.
35. ორბელიანი, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II. 1993 წ.
36. ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV 1965 წ.

37. სილაგაძე, თოთაძე, 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, 1997წ.
38. სიხარულიძე, 1958 – სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ., I, ბათუმი, 1958წ.
39. ფროინელი, 1991 – ალექსანდრე ფროინელი, ლიდებული მესხეთი, 1991წ.
40. ფუტკარაძე, 2007 – ტ. ფუტკარაძე, იმერჯეციის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007წ.
41. ფუტკარაძე, 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წ. I, ბათუმი, 1993.წ
42. ქ.ე.გ.ლ, 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I, 1950წ.
43. ქ.ე.გ.ლ, 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. ავთანდილ არაბულის რედაქციით, 2008წ.
44. ქ.ე.გ.ლ, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბილისი,1955წ.
45. ქ.ე.გ.ლ, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბილისი,1958წ.
46. ქ.ე.გ.ლ, 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი,1960წ.
47. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1955
48. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, 1960.
49. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1995წ.
50. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, 1984წ.
51. ქ.ე.გ.ლ, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, 1958 წ.
52. ქ.ე.გ.ლ, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1958წ.
53. ღლონტი, 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლონტი, მეორე გამოცემა, 1984წ.
54. ღლონტი, 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1986წ.

55. შანიძე, 1973, – ა.კ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1973წ.

56. შავიანიძე, 2001 – დ. შავიანიძე, ქართულ გვართა და სალოცავთა მიმართების საკითხისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, V, 2001წ.

57. ჩიტაია, 2001 – გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტ. III, 2001

58. ჩუბინაშვილი, 1964 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1964წ.

59. ცისკარიშვილი, 1959 – ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959წ.

60. ცეცხლაძე, 2004 – ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004წ.

61. ცხადაია, 1988 – ცხადაია პ., ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988წ.

62. ჭიჭინაძე, 1911 – ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, ტფ., 1911წ.

63. ჭუმბურიძე, 2003 – ხ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, 2003წ.

64. ჯავახიშვილი, 1979 – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979წ.

65. ჯავახიშვილი, 2002 – ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002წ.

66. ჯავახეთი, 2000 – ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, 2000წ.

67. ჯიქია, 1958 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958წ.

68. Марр Н. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. – Тексти и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С. – Петербург.

69. Μπαμπινιώτης Γ. Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας, 2000

70. Μπαμπινιώτης Γ. Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας, 2002

71. Μ. Τριανταφιλλήδης, Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας, 1999

ს ა ხ ჩ ე ვ ი

ნასოფლარ ერკოტის ტოპონიმია ... 3
ერკოტა და ტრადიცია ... 62
ნასოფლარ ერკოტის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ... 66
ავაზანი სამცხის ტოპონიმიაში ... 74
მცენარეული წარმომავლობის სახელი სამატიტლო ... 79
„სვიარეთობის“ ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, **მერაბ ბერიძე, როზეტა გუჯეჯიანი** ... 81
ბერძნული წარმომავლობის ლექსიკა მესხურ დიალექტში, **მაია ქუქჩიშვილი, მერაბ ბერიძე** ... 88
მიხეილ თამარაშვილის გვარის შესახებ ... 94
მამასახლისაშვილის გვარი უდეში ... 100
საუკუნის წინანდელი ჩანაწერი ... 104
სოფლის სიყვარულით დაწერილი წიგნი ... 109
გამოხმაურება
ბონდო არველაძე, ტოპონიმიაში გაცოცხლებული მესხეთი ... 122
ბონდო არველაძე, ტკივილიანი წიგნი ... 135
გიორგი გოცირიძე, ტაძრებსა და მის სახელებში შენახული ეთნოტოპონიმური საიდუმლოებანი ... 144
ბონდო არველაძე, მშობლიური მესხეთის მოჭირნახულე ... 156
გამოყენებული ლიტერატურა: ... 166

საგამომცემლო ჯგუფი: ლარისა გურგენიძე

ლია ზედგინიძე



გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. № 106,
ტელ.: 0(365) 22-19-90, 591 41 12 78
ელ ფოსტა: contact@sjuni.edu.ge